ISSN 0132–6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

3

1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქეთევან გოგოლაძე



მერაბ
კოსტავას
პორტრეტი



„ზარი
გვიხმობს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

3

მარტი

1991

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო", № 303, გამოცემის 33-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

□□□

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი ხულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

□□□

მორიგე რედაქტორი
ნანა ჯაფარიძე

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები
8. ირაკლი კაკაბაძე — იქ, სადაც ძალიან ცხელა. ტრილოგია
33. ოთარ შალამბერიძე — ლექსები
35. დილარ ივარდავა — ლექსები
38. ჯუმბერ ხანთაძე — მოთხრობები
53. ხოზე ადეიშვილი — ლექსები
55. ელა გოჩიაშვილი — ლექსები
56. ტარიელ მარხვაშვილი — ორი მოთხრობა
62. ჯანო ონიანი — ლექსები
64. ირინე უშვერიძე — ლექსები
65. აკაკი ვასაძე — ყინულის მარწუხებში. რომანი. დასაწყისი

## ახალი თარგმანები

104. უილიამ შექსპირი — ლუკრეცია. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

## ისტორიის თეთრი ფურცლები

115. ლევ ტროცკი — სტალინი. გაგრძელება. თარგმნეს ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა

## აკაკი — 150

123. შალვა მარკოზაშვილი — აკაკი წერეთელი ბაქოში

## წერილები

126. როსტომ ჩხეიძე — ამირანის თქმულების გარშემო
138. ნათელა ონაშვილი — მშვენიერი ოცნების საუფლო
144. ოთარ ზოიძე — ჩვეულებითი სამართლის საკითხები ვაჟა-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებაში

## აზროვნების საგანძურიდან

147. რუდოლფ შტაინერი — თეოსოფია და სოციალური საკითხი. თარგმნა რევაზ თვარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯანსულ ჩარკვიანი

## დედა

გიმზერ ბუხართან დაღლილს და
დაცლილს,
ირგვლივ სიზმრული ფრენენ
ზღაპრები,
გველეშაპები წავიდნენ მკაცრნი,
მოვიდნენ ნაზი გველეშაპები.

არავითარი გმინვა და ჭმუნვა,
ფხიზლობს იუდა, ყივის მამალი,
ნუ გეშინია, იყავი ჩუმად —
სიჩუმე ახლა არის წამალი.

1991 წ. 11 იანვარი.

●

წლები ჩამარცვლა ქარვისა,
დარდში და სიმწუხარეში,
შემოგვაბერდა, ჩაის სვამს
გადაკრუხებულ ქალებში.

უმზერს მშვიდობამისჯილებს,
ზის და მოწყენა უხდება,

ერთხელაც გაიკიჟინებს,
ერთხელაც ამოქუხდება.

კვლავ დაისიზმრებს მირაჟებს,
იტყვის რომ არ გაუმართლა,
მოიდრეკს უფლის წინაშე
ქედსა და წავა უფალთან.

1990 წ. 11.XI.

## დედუფალო

შენი მთის და, შენი ტყის და
შენი მთვარის ჩრდილი ვარ,
შენს სუსტ მხრებზე ლურჯი ციდან
წვიმად ჩამოშლილი ვარ.

ყოვლისაგან ბოროტისგან
სიკვდილშემოსილი ვარ,
შემიწყალენ დედუფალო,
რადგან შენი შვილი ვარ.

1990 წ. 4.XI.

## სახლობანა

ჯოხის ცხენი თავლაშია,
მზის სუნია თავლაში,
ჩვენს შვილიკოს არა შია,

დედას სძინავს ჰამაკში,
სახლობანას თამაშია
ძმებო, ჩვენი თამაში.

1990 წ. 30.XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რადგან კაცის სიკვდილი
ალსასრულებელია,
იმ სოფელში, ხორცისგან
განძარცულებს გველიან.

მე აქ დღე არ მქონია,
ჩემი დღე იქ თენდება,
ჩემი ყანის თავთავი
იქეთ ალმოცენდება.

სიცოცხლის სიტკბოებას
აქეთ არ ვეშურები,
არ დამინდო, უფალო,
ვიდრე ალვესრულები.

1990 წ. 12.XI.

## მწლოკვი

ლექსი ხალხურ მოტივზეა. დაწე-
რილი და ეძღვნება ერთი ანონი-
მური წერილის ავტორს.

ვინ გაგიხეთქა ნალველა,
წყევლა გდის — ფერი ზაფრანის,
შხამის და გესლის სალვრელად
ვინ გაგიმზადა საფლავი?

რა თეთრი სისხლის ნთხევითა
კუდზე შემდგარხარ ტიელო,
ნაძირალათა ხელიდან
რა მოგცეს სამაგიერო?

ჩირქუა ბალღამაურო,
როდისლა გამაირწყვები,
ხანჯალო, სამლარიანო —
მისაწვდენს რად არ მიწვდები.

ღმერთმა შეგარგოს წამლებად
რაც ბევრგზის გაგილოკია,
კაცი რო დაგემალება,
კაცი კი არა, მწლოკვია.

1990 წ. 8.XI.

## ცოდვა...

წინაპართა ჩემთა მსგავსო,
მოვლენილო ქართველად,
ნუთუ მართლა ალარ გახსოვს
საბას წვერით დათრევა?

ნუთუ მართლა ალარ გახსოვს
შუბლი ჭავჭავაძისა?
თუ სიკვდილად ალარ ფასობს
მოკვდინება ტაძრისა?

ალმოსავლის ცა და მიწა
შერთე დასავლეთისას,
ნუთუ უცებ დაგავიწყდა
ცოდვა ბაზალეთისა?

ვის ავუნთეთ, ვის ჩავუქრეთ,
ვის ვარსკვლავთან შევმცდარვართ?
ვაი, ჩემთვის სიჩაუქე,
გულდედლობამ შეცვალა.

1990 წ. 27. XI.

●

მურად ქვანიას

მურადს გაგირითმავ
პურადს.
მურადს გაგირითმავ
ძმურადს,
რადგან ყურად ვილებ
ყურად,
შენგნით გამზადებულ
სურათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავ იმედაშვილს
ნაბდით,
ახლავს შვილიშვილი
თოთო,
ყავლი არასოდეს
გასდის,
დიდი ჟვანიების
„ფოტოს“.

თუმცა მიღმა დგეხარ
ფარდის,
და ჭვრეტ შემოდგომის
ფოთოლს,
ყავლი არასოდეს
გასდის,
დიდი ჟვანიების
„ფოტოს“.

1990 წელი, დეკემბერი.

## საცოდაობა, ანუ ამბავი ერთი დასახლებული პუნქტისა

ყველაფერი აქვთ საჭმელ-სასმელი,
საყურებელი და მოსასმენი,
ჩასაცმელი თუ ამოსაცმელი,
მოსასხმელი თუ ამოსასხმელი.

ძეგლი ლენინის, ძეგლი სტალინის,
ნავთი, ბენზინი და ნაფტალინი.

საავადმყოფო, კლუბი, ესტრადა,
გვირაბი ხიდი და ესტაკადა.

კაი ხალხი და კაი ბუნება,
მარჯვნივ ბინული მარცხნივ
ტყე-გრილი,
მაგრამ აქვთ ისიც, — უგუნურება,
უგუნურება პირუტყვებრივი.

1990 წ. 19 ოქტომბერი.

## ლექსად გაგზავნილი ბარათი ცაგერში

სიზმარი ვნახე, ძვირფასო, —
მზე ჩადიოდა დასავლით,
შენ ბურთზე იდექ, პიკასოს
პატარა გოგონასავით.

ცხენისწყლის პირას მეძინა,
გზები ერთმანეთს კვეთავდნენ,
მკლავზე ასპიტი მეწვინა
და შენ გიყვარდი ერთადერთს.

დღეს სიყვარული ვის ახსოვს,
ვართ სიძულვილზე მოჭრილი,
მადლობას გითვლი, ძვირფასო —
მე შენი მონა-მორჩილი.

1990 წლის ოქტომბრის 18.

## ტირანი

შვილი მოკლული,
დედა მტირალი,
რისხვით, წუხილით
გული მტკივანი.

ცა მოღუშული,
გაუცინარი,
ცრემლი, გოდება,
შაბათ-კვირანი.

თანამგრძნობელთა
შესაწირვალი,
მოვიდრეკ მუხლსა
ცასა მყვირალი.

შვილი მოკლული
დედა მტირალი,
ყველგან ტირანი
და ტირანი,
ყველგან ტირანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დილა

გადაიარა ბურუსმა —
მთას მოეხვია წვეროსა,
გულმკერდზე მიუალერსა,
ცისფერი ფარჩით შემოსა.

ძეძვნარი გამოაჩინა,
მაღალი ნაძვი დამალა,
მერე ნარნარად დაეშვა
და მშვიდად გაიტრამალა.

კვლავ ამოცურდნენ ნაძვები,
მზემ სხივი სტყორცნა ურბნისსა,
მთები კი, როგორც ტაძრები
იდგნენ წინაშე უფლისა.

1990 წ. 4.XI.

## ცრემლი

არ მაცალეს სათიბები
ისე უცებ გაცელეს,
როგორც სარკე, ასპარეზი
აირეკლავს ალმწერელს.

მენატრები, მენატრები,
მენატრები ძალიან,
გუნებაში გაქანდაკებ
ცრემლიანს და ჯავრიანს.

მობრძანდება ალტაცება —
შვილი სიამოვნების,
გაამზევებს სათნოებას
ზღაპრულ ნიამორების.

საითა ხარ გამიჯნული,
ვის ოდაში ბერდები,
აივანთა ჩუქურთმებში
ღუღუნებენ მტრედები.

არ მაცალეს, სათიბები
ისე უცებ გაცელეს,
როგორც სარკე, ასპარეზი
აირეკლავს ალმწერელს.

1990 წ. 19.XI.

## ვის რა ეცვა...

ეშმაკმა იცის ცოდვისა —
ვინ ჰქმნა ნაკლები ვინ მეტი,
ლენინს უყვარდა ჟილეტი,
ნადეჟდას რითმა ჟილეტის.

რაც შეეხება ჯუღაშვილს,
ტანზე ემოსა კიტელი,
ჰაილ-ჰაილის ძახილით
ფრენჩით ვიდოდა ჰიტლერი.

ბერიას ეცვა ხალათი,
ხან კოლხის, ხან „კა-გე-ბე-სი“
„ნიანგში“ სულ მიკროფონთან
მახსოვს ტიტველი გებელსი,

კვლავაც სიცილით კვდებიან
მკვდარი მარქსი და ენგელსი,
რაც გინდა შენ ის ჩაიცვი
ღმერთია უპირველესი!

1990 წ. 3.XI.

## შალვა ქ-ს

წუხელ კუხალა მესტუმრა,
მთვრალი, გატიალებული,
წვერმოშვებული ბებრულად,
იქით განთიადს შებმული.

ღვრიდა თაფლსა და შაქარსა,
კვლავ თითო ჭიქის მდომელი,
მითხრა: შევქმნითო ლაშქარსა
ჩვენს მტერს დათრგუნავს რომელიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკობდა, ანგლობდა, —
არ დაუსვია წერტილი,

ჭიქა არაყი არ მქონდა,
გავუშვი გულდაწყვეტილი.

1990 წ. 18.XI.

## თამაში

ვაი,
ამ უბედურ ხანაში,
რანდი
აღარ მიაქვს შალაშინს,
ქალი
თურქის ჰარამხანაში,
ისე,
როგორც ღვინო მარანში.

ცხვარი
აღარა გვყავს ფარაში,
გლეხი
ჩამოსახლდა ქალაქში,

ნათელს
ვერა ვხედავ წყვარამში,
ფერი
დაკარგულა ქარვაში.

კაცი
აღარ მიდის ყანაში,
ცხენი
აღარ მიდის თავლაში,
კმარა
სახლობანას თამაში,
კმარა
სიყვარულის თამაში.

1991 წ. 8 იანვარი.

## მამულისადმი

ნეტა არ შეგშლოდი
და ქება არ გეთქვა,
ის კაცი არა ვარ,
ვინც ბნელი გაჰკვეთა.

მე კი მოგიკვდები
ისე ვით შინაყმა,

შენ იგი მიბრძანე,
ამყოლი ვინ ამყვა.

ამსოფლად ვიცოცხლე
სიკვდილის ტოლფასად,
არავის არა ვთხოვ
ჩემს შესანდობარსა.

1990 წ. 7.XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი კაკაბაძე

# იქ, სადაც ძალიან ცხელა

(ტრილოგია)

## წინასიტყვა

სადღაც შორს, ავსტრალიაში, ალბათ ძალიან ცხელა. იმდენად, რომ ცხოველებიც მოუსვენრად დარბიან აქეთ-იქით ჩრდილის ძებნაში. ძალიან უხარიათ როცა გრილ ადგილს იპოვიან.

პატარა ბიჭმა მამას ტყეში გაშვება სთხოვა. მას არ ეშინოდა არც ცხოველების და არც შხამიანი გველების. შიშველი ფეხებით გადაირბინა მთელი მინდორი. მერე მაღალ ბალახებში დიდ ხანს იარა.

ბოლოს, როგორც იქნა მიაღწია ტყეს. იპოვა თავისი საყვარელი ხე. წამოწვა მის ძირში და დაიწყო ფიქრი. ეს ბებერი ხე მისი ძველი მეგობარი იყო. ისინი ყოველთვის ჩუმად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

ბიჭს რაღაც გაუგებარი, ტკბილი გრძნობა მოაწვა. ფიქრობდა, როგორი იქნება ცხოვრება ამის მერე, თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა. ასე იყო ყოველთვის, როცა ძნელ თამაშს მოიგებდა ან რამე სახიფათოს გადაურჩებოდა. ამ წუთას მის ბედნიერებას არაფერი აკლდა. ფეხები მთლიანად მტვერში ამოსვრილი და დასისხლიანებული ჰქონდა.

მან არ იცოდა რა ელოდა და მთელი სიცოცხლე ბებერი ხის ძირში წოლა ეგონა.

შეიძლება ეს მართლაც ასე ყოფილიყო. იმიტომ, რომ არავინ იცის რა მოხდება მერე და თუ ჩვენ თავს არ ვულალატეთ, სიკვდილამდე მეოცნებე ბიჭებად დავრჩებით. ვინ იცის, იქნებ უკეთესია გვერდზე გადავდოთ ჩვენი ყოველდღიური სისულელეები და ცოტა ხანი მაინც გავატაროთ ბებერი ხის ძირში.

არავინ არ იცის.

. . . . . . . . .

„ვიწყებ წერას იმაზე, თუ რა ძნელია
წერო კარგად და წერო სიმართლე...“

ერნესტ ჰემინგუეი.

„დედა ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე“.

გალაკტიონ ტაბიძე

## სიზმარი

### № 1

ამასწინათ სანდრომ უცნაური სიზმარი ნახა. ძალიან გაუკვირდა, ჯერ ერთი, ასეთი გრძელი სიზმარი არასდროს უნახავს, მეორე ის, რომ ძალიან ძნელად ასახსნელი იყო.

აი ეს სიზმარიც:

„შუაღდღისით ვიღაცამ მილიციაში დარეკა. გამოიძახეს ერთ-ერთ ბინაში, სადაც მკვდარი იპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციელები მალე მივიდნენ. ნახეს რომ სახლის კარი ღია იყო. იქვე იდგნენ ცნობისმოყვარე მეზობლები.

მილიციელები შევიდნენ ბინაში და დაინახეს მკვდარი. ოთახში საშინელი გაზის სუნი იდგა.

მკვდარი თვითონ სანდრო იყო. თვალები გახელილი ჰქონდა, ტანზე ერთი წვეთი სისხლიც არ ეტყობოდა. ის გაზით გაიგუდა.

ექიმი ყურადღებით აკვირდებოდა გვამს. მერე ერთ-ერთ მილიციელს მიუტრიალდა და უთხრა:

— „სულ ახალი მკვდარია. ალბათ ერთი საათის".

მილიციელმა სერიოზული გამომეტყველებით თავი დაუქნია. მას უცნაურად დამრგვალებული სახე ჰქონდა, წითელი ლოყებით.

— „ფუ, კიდევ ერთი საქმე. ბედი არ გინდა, კაცო". — თქვა ხმამაღლა ისე, რომ ყველა ოთახში მყოფი ერთი წუთით მისკენ მოტრიალდა. მერე მილიციელი დერეფანში გავიდა. იქ სანდროს დედა იდგა თავჩაღუნული.

— „ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ქალბატონო. შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ, კანონი ასეთია, ჩვენება უნდა მოგვცეთ, დამნაშავეს საკადრისი მივუზღოთ".

სანდროს დედამ გაუღიმა მილიციელს და ხელი ხელში მოკიდა.

— „აუცილებლად" — თქვა მან.

და ისინი ერთად გავიდნენ დერეფანიდან.

სანდრო ხედავდა, რომ თვითონ მკვდარი იწვა ოთახში. სხვები კი უაზროდ ფუსფუსებდნენ მისი გვამის ირგვლივ. თითქოს რაღაც უაზრო ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა ყველას. მიდიოდნენ, დაათვალიერებდნენ მკვდარს და ისევ თავის ადგილას დადგებოდნენ.

მერე სანდრომ დაინახა, რომ ვიღაც ფოტოაპარატიანი კაცი შემოვიდა ოთახში. რამდენიმეჯერ გადაუღო.

— „მორჩა — თქვა ექსპერტმა. — შეგვიძლია გავიტანოთ. ოღონდ ფრთხილად".

სანდრო თავისი ფეხით ადგა და ქუჩაში გავიდა. ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ყველა თავისი საქმით იყო გართული.

მიდიოდა ქალაქში და ვერავინ ცნობდა. უამრავი ნაცნობი დაინახა, მაგრამ ყველა გვერდს უვლიდა. ისე თითქოს არაფერს ხედავდნენ.

ბევრი იარა ქუჩებში, ბოლოს დაინახა ასსართულიანი, უზარმაზარი შენობა, რატომღაც იქით წავიდა.

შევიდა სახლში, მივიდა ლიფტამდე და გამოიძახა. მასთან ერთად ვიღაც მოხუცი ქალი ელოდებოდა კაბინას. დიდ ხანს მოუწიათ ცდა.

როდესაც ლიფტში შევიდა, სანდრომ დაინახა, რომ ირგვლივ სულ სარკეები იყო.

— „თქვენ რომელზე გნებავთ?" — კითხა ზრდილობიანად ქალმა.

— „მეასეზე". — უპასუხა სანდრომ.

— „მეც". — თქვა ქალმა და ხელი დააჭირა ღილაკს.

სანდრომ შეამჩნია, რომ ლიფტში ძალიან ცხელოდა, სუნთქვა უჭირდა.

კარგა ხანს იდგა და აკვირდებოდა მოხუცი ქალის სახეს, რატომღაც მოეჩვენა, რომ ამ ქალს თვალებიდან სისხლი მოსდიოდა. თითქოს ვიღაცამ დაუკაწრა ქუთუთოები.

როგორც იქნა კაბინა ავიდა მეასე სართულზე. ორივენი ერთდროულად გადმოვიდნენ ლიფტიდან.

— „თქვენ საით მიბრძანდებით?" — კითხა სანდრომ ქალს, თუმცა მერე საშინლად გაუკვირდა, რატომ აძლევდა ასეთ უცნაურ შეკითხვებს.

— „მე ვიცი თქვენ სადაც გინდათ. — თქვა ქალმა და სანდროს ხელი მოკიდა — წამობრძანდით. მეც იქ მივდივარ".

ქალმა თან გაიყოლია სანდრო. ის გაოგნებული სახით მისდევდა. ფიქრობდა თუ საიდან შეიძლებოდა სცოდნოდა ამ მოხუცებულს ეს ყველაფერი.

ცოტა ხანში ისინი ერთ დიდ კართან მივიდნენ. თვითონ კარი ხისა იყო, კარგად მოპირკეთებული. ისე, როგორც დიდი თანამდებობის პირებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოდან დიდი ასოებით ეწერა:

„ეშმაკის კაბინეტი“. მიღება 2-დან 5-მდე.

სანდრომ რატომღაც ხელზე დაიხედა მაგრამ, როცა საათი ვერ დაინახა, უაზროდ დაიწყო თვალების ცეცება. მოხუცი ქალი მიუხვდა სურვილს.

— „სამის ნახევარია, გენაცვალე“ — უთხრა სანდროს.

სანდრომ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია.

დაახლოებით თხუთმეტ წუთს ჩუმად ისხდნენ მოსაცდელში. დრო საოცრად ნელა გადიოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, კაბინეტის კარი გაიღო და იქიდან გამოვიდა შავ ლაბადიანი მამაკაცი, ასე ორმოც-ორმოცდახუთი წლისა. მან კარი მოიხურა და გზა გააგრძელა.

მოხუცმა ქალმა სანდროს ხელი დაადო.

— „თუ შეგიძლიათ ურიგოდ შემიშვით. ბლანკზე ხელს მოვაწერინებ, ბეჭედს დავარტყმევინებ და გამოვალ, ზუსტად ხუთი წუთის საქმეა. კარგი?!

სანდრომ თავი დაუქნია. ქალმა მადლობა გადაუხადა და შევიდა ოთახში.

სანდრო კედელს უყურებდა თავიდან ის ყვითელი იყო, მაგრამ მერე შავი გახდა. გაკვირვებულმა სანდრომ თვალები დახუჭა ერთი წამით და როცა გაახილა, გარკვეულად დაინახა, რომ კედელი მთლიანად მწვანე ფერისა გამხდარიყო.

ვერაფრით მიხვდა რა ხდებოდა. ბოლოს იფიქრა, რაიმე ფიზიკური მოვლენაა, რომელიც სკოლაში არ მისწავლიათ. ინსტიტუტში ხომ საერთოდ არ გადაუშლია ფიზიკის წიგნი. რომელიღაც ლენჩი ლექტორი ყავდათ და არავინ უსმენდა ლექციებზე.

და მაინც უჭირდა გაგება, რატომ მიიღო კედელმა ამ პატარა დროში რამდენიმე ფერი. ძალიან უცნაურად მოეჩვენა ეს ყველაფერი.

ქალმა დაპირება შეასრულა. დაახლოებით ხუთ წუთში გამოვიდა ოთახიდან.

— „დიდი მადლობა. ის თქვენ გელოდებათ. მობრძანდით“ — უთხრა ქალმა სანდროს და პირის გახლეჩამდე გაიღიმა. სანდრომ გაიფიქრა, რომ ამ ხნის ქალს არ უხდება ასეთი კეკლუცობა.

ადგა და კარი შეაღო.

როდესაც კაბინეტში შევიდა, დაინახა რომ მაგიდას უჯდა ასე ოცდაათი წლის სიმპათიური კაცი. მას ძალიან ლამაზად ეცვა, თუმცა სამუშაოდ იყო გამოწყობილი. პიჯაკის ქვემოთ არაჩვეულებრივად ლამაზი პერანგი ეცვა. ამ პერანგზე ეკეთა წვრილი, შავი ჰალსტუხი.

სახე ძალიან სიმპათიური ჰქონდა. რაღაცით ჰოლივუდის მსახიობს ჰგავდა, რომელიც სათავგადასავლო ფილმებში თამაშობს.

— „დაბრძანდით“. — უთხრა მან ზრდილობიანად სანდროს.

სანდრო დაჯდა. შეამჩნია, რომ კაბინეტი ძალიან კარგად იყო მოწყობილი, კომფორტის უკანასკნელ დონეზე.

ახალგაზრდა კაცი ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. კარგა ხანს თავს არ იღებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყურადღება მიაქცია სანდროს.

— „მე აქ მსაჯულის მოვალეობას ვასრულებ“: თქვა იმან.

სანდრო გაკვირვებული სახით უყურებდა.

— „მე რას მპირებთ?“ — იკითხა ცოტა ხანში მორიდებულად.

— „უნდა გაგანაწილოთ. ახლა დაგკითხავთ და გადავწყვიტავთ სად გაგიშვათ, ქვესკნელში თუ ზესკნელში“.

— „როგორ“ — გაუკვირდა სანდროს.

— „ჩვეულებრივად. თქვენ ხომ თავი მოიკალით?“

— „დიახ“

— „ეხლა მე რამდენიმე კითხვას მოგცემთ. თქვენ მიპასუხებთ. თუ გაირკვა, რომ თქვენ სიკეთეს ემსახურებოდით, მოგცემთ სამოთხის ვიზას —

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელით აჩვენა სანდროს რომელიღაც ბეჭდიან ქაღალდზე — თუ კი პირიქით, მაშინ ჯოჯოხეთში მიიღებთ რეკომენდაციას. აქ რთული არაფერია. ჩვენი აპარატი უნაკლოდ მუშაობს".

— „გასაგებია" — თქვა სანდრომ — ესე იგი თქვენ ეშმაკი ხართ.

ახალგაზრდა კაცს გაეცინა.

— „ამ პერიოდში მე ვასრულებ ეშმაკის მოვალეობას. საერთოდ კი ფირმას რამდენიმე ჩემი კოლეგა ჰყავს. თითოეული ორ-ორ თვეს მუშაობს".

— „მერე ხელფასი?" — დაინტერესდა სანდრო.

— „ხელფასს წლიურად ვიღებთ. კონტრაქტში ასეთი პირობაა დადებული, ჩვენ მოვალეები ვართ, ეს ორი თვე გაცდენის გარეშე ვიმუშაოთ. თუკი ერთ საათს მაინც დავიგვიანებ, ავტომატურად ვიხსნები და ჩემს ადგილას იმ წუთასვე სხვას დანიშნავენ, მაგრამ თუ ყველაფერი ნორმაში იქნა, მაშინ წლიური ხელფასი იმდენი მეძლევა, როგორც ჩვეულებრივ მსახურს, რომელიც თორმეტივე თვეს მუშაობს".

— „კი მაგრამ ამ ორი თვის განმავლობაში სახლში არ მიდიხართ?".

— „თითქმის არა. ძალიან დაძაბული სამუშაო მაქვს. დღე-ღამეში თექვსმეტ საათს აქ ვატარებ. პირველ სართულზე ჩემი ოთახი მაქვს და იქ მძინავს. სამაგიეროდ იმ ათ თვეს მთლიანად ცოლშვილთან ერთად ვატარებ. ამიტომ ბედს არ ვუჩივი".

— „ძალიან საინტერესო სამუშაოა" — თქვა სანდრომ.

— „განსაკუთრებით ჩემი განხრა. მე მარტო თვითმკვლელობებზე ვმუშაობ. ბევრ რამეს ვიგებ ახალს".

სანდრო მიხვდა, რომ დიდ დროს ართმევდა ამ კაცს თავისი უაზრო კითხვებით და გაჩუმდა. ის ელოდებოდა როდის დაიწყებდა ეშმაკი კითხვების დასმას და თავისი ანკეტის შევსებას.

ახალგაზრდა კაცმა რომელიღაც დიდი დასტიდან რამდენიმე ქაღალდი ამოიღო, წინ დაიდო და სანდროს შეხედა. სახეზე თითქოს რბილი გამომეტყველება ჰქონდა. აი, ისეთი როგორიც სალონებში მყოფ მამაკაცებს აქვთ ხოლმე. თან ზედმიწევნით ზრდილობიანად ლაპარაკობდა.

— „ესე იგი თქვენ თვითმკვლელობა ჩაიდინეთ?!" — დაიწყო ეშმაკმა.

— „დიახ" — გაიმეორა სანდრომ რამდენიმე წუთის წინ გაცემული პასუხი.

— „რა მიზეზით?"

— „არ ვიცი".

ეშმაკს სახეზე გაკვირვება დაეტყო. მან ოდნავ გაიღიმა, ისე, რომ თითქმის არც ემჩნეოდა. ერთი წუთი კალამი მაგიდაზე დადო და სანდროს ზრდილობიანად მიმართა.

— „ფინანსური პრობლემები?" — და ხელით ფულის მიმანიშნებელი მოძრაობა გააკეთა.

— „არა." თქვა სანდრომ.

— „ქალის გულისთვის?"

— „არა".

— „ესე იგი რაღაც უსიამოვნება მოგივიდათ."

— „არა".

ეშმაკმა კალამი აიღო და რაღაც ჩაწერა ანკეტაში.

— „მაშინ რისი გულისათვის?"

— „ეს გრძელი ამბავია". — თქვა სანდრომ.

ეშმაკმა ისევ გაიცინა. ძალიან უხდებოდა მის ისედაც ლამაზ სახეს მხიარულება. მან სიგარეტი შესთავაზა სანდროს.

— „ეს ჩემი მოვალეობაა. მე უფლება არა მაქვს რომ ყურადღებით არ მოგისმინოთ, გესმით?".

— „კი".

— „მაშინ დაიწყეთ".

სანდროს პირი უშრებოდა. საშინლად უნდოდა წყლის დალევა. ეშმაკი მიუხვდა სურვილს და წყლით სავსე ბოთლი მიაწოდა.

როდესაც გული იჯერა სმით, მოყოლა დაიწყო.

— „მე არ ვაპირებ თავის მართლებას. რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო. მე აფექტში არ მომიკლავს თავი. ამაზე ძალიან დიდხანს ვფიქრობ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდად ცივი გულით მივედი ამ დასკვნამდე".

ეშმაკი მის სიტყვებს გაცხარებული იწერდა, თითქოს ავტომატი მუშაობდა, ისე ჩქარა ახერხებდა ყოველი სიტყვის გამოყვანას.

სანდრო აგრძელებდა.

— „ახლა ზუსტად ოცდასამი წლის ვარ. ჩემი მშობლები საკმაოდ შეძლებული ხალხია. ამიტომ გაჭირვება არასდროს გამომიცდია. პირიქით, ყველაფერი ზედმეტი მქონდა, არაფრის ნატვრა არ მჭირდებოდა.

ბავშვობაში ვცხოვრობდით ერთ პატარა, მიყრუებულ ქუჩაზე, საკუთარ, ორსართულიან სახლში. საკმაოდ დიდი ეზო გვქონდა და ბავშვებიც მთელ დღეებს იქ ვატარებდით. მე და ჩემი უმცროსი და სოფო.

ჩვენი ცხოვრება აქ იწყებოდა და აქვე მთავრდებოდა. ერთი სული გვქონდა როგორმე ეზოში ჩავსულიყავით. მთელი დღეები ვთამაშობდით. ამ თამაშებში ვხედავდით ჩვენ აზრს მთელი ცხოვრებისა. აქ იყო ბრძოლაც, გამარჯვებაც, დამარცხებაც, სიხარულიც, სიყვარულიც და სიძულვილიც. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც დღევანდელ ადამიანებს აკლიათ.

მაშინ არავის ეპარებოდა ეჭვი საკუთარ საქციელში. კაპასი მეზობლის ბაღიდან ატმის მოპარვას ყველა გმირობად თვლიდა. ბევრი სხვა რამეც გვანიჭებდა ბედნიერებას. კოცონთან ჯდომა ღამღამობით, დღისით კი სახურავზე წოლა. დიდ ხეზე აძრომა და იქიდან ბრაზიანი მეეზოვის გაჯავრება. ეს ყველაფერი ახლა ჩემთვის სიზმარია, მაშინ კი ცხადზე უცხადესი იყო.

მე მძულდა სკოლა. იმიტომ რომ იქ მასწავლიდნენ ფიქრს და მუშაობას, ისე როგორც თვითონ უნდოდათ. მე კი არ შემეძლო ამის გაკეთება. ამიტომ მასწავლებლებს არ ვუყვარდი. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ რაც შეიძლება მწარედ დავესაჯე. ბევრჯერ გავუმწარებივარ. მეც არ ვრჩებოდი ვალში. მოკლედ, ალბათ ხვდებით ყველაფერს.

მაგრამ, ბავშვობაში მე ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი იმით, რომ ჩემს არსებობას ჰქონდა აზრი, შემეძლო მეთქვა რისთვის ვცხოვრობდი. ყოველ დღე ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ იცხოვრო, რომ შეგეძლოს შენი არსებობის გამართლება.

ჩემი აზრით, ცხოვრების სინამდვილე არის ბრძოლა, სიყვარული, სიძულვილი, გამარჯვება და დამარცხება. მათ გარეშე ის ჰკარგავს თავის მიმზიდველობას და იქცევა უაზრო დროის ტარებად. როდესაც არ იცი რა უყო შენს თავს. როდესაც ყველაფერი გბეზრდება, პირველ რიგში კი საკუთარი თავი.

ცხოვრება, რომელიც ბავშვობაში მქონდა, ნამდვილი იყო. ის ჰგავდა ვიწრო გზას, ფათერაკებით რომ არის აღსავსე. ამ გზაზე სიარული ძალიან სახიფათოა, მაგრამ სამაგიეროდ ის გაძლევს ბედნიერების შეგრძნების უნარს.

როცა ცოტა წამოვიზარდე, ისევე როგორც ყველა ბავშვს, მეც გამიჩნდა ოცნებები. ვიყავი შეყვარებული ამ ოცნებებში და ჯერ არაფერი ვიცოდი სინამდვილის შესახებ. აკი ვთქვი, ეს იყო ცხოვრების ყველაზე ლამაზი დრო. ერთადერთი რაც მინდოდა, მშვენიერების ხილვა და გრძნობა. არავის შეეძლო მოეშალა ჩემთვის ეს ბედნიერება. ყოველი ხე, ყოველი ბალახი ან ფოთოლი ულამაზესად, უნატიფესად და უტკბესად მეჩვენებოდა. ყოველი გოგოს თვალებში წმინდა სიყვარულის ნაპერწკალს ვხედავდი, ხოლო ჩემს მეგობარ ბიჭებში სამუდამო ერთგულებას და ძმობას. ყველასთვის ფართოდ მქონდა გახსნილი სულის ჭიშკარი.

ამ დროს თვითონ მე სავსე ვიყავი რაღაც უდიდესი ძალით, რომელსაც ღვთაებრივს თუ დაარქმევ. ეს არის უდიდესი სწრაფვა სიცოცხლისათვის. მას არა აქვს ზომა და ფარგლები. საერთოდ მე არასდროს არ მესმოდა ზომიერების.

ეს იყო გარკვეულ ასაკამდე.

მერე კი დადგა ყველაზე რთული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო. ვატყობდი, რომ ნელ-ნელა ვკარგავდი მომავლის იმედს, რწმენას, აღარ შემეძლო უწინდებურად ოცნება.

თქვენ ალბათ მკითხავთ, კი მაგრამ რატომ?

არ ვიცი. ცხოვრებაში ყველაფერი ისევ ისე დარჩა. უბრალოდ ჩემი ხედვა შეიცვალა.

ასე მეგონა, თითქოს ვიღაცამ ამოქოლა ჩემი ოთახი უზამაზარი ქვებით და გარეთ გასვლის საშუალებას არ მაძლევს. აბსოლუტურად იზოლირებული გავხდი.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მე ვიყავი სადღაც ორ გზას შუა, ორ ბეწვის ხიდს შუა, განიერ და კომფორტაბელურ გზაზე იმ ორისაგან განსხვავებით მას დასაწყისიც ჰქონდა და დასასრულიც.

ბეწვის ხიდზე სიარული განიჭებს დიდ ბედნიერებას, იმიტომ, რომ გაღმა ხედვ მოშრიალე ტყეს, ახლად დანამულ ბალახებს, უკვე მოგდის მათი სურნელი, შენი ცხოვრება სავსეა განსაცდელით, წინააღმდეგობით, ნატვრითა და ოცნებით. უნეტარესი წუთები მაშინ დგება, როდესაც ერთი წამით სუნთქვას შეიკრავ, გაშეშდები და ყურს უგდებ ჩიტების ხმას. მაშინ კიდევაც რომ ჩავარდე ამ უფსკრულში, მაინც ბედნიერი ხარ, იმიტომ რომ მიზანი და რწმენა გქონდა.

მეორე გზა სიძულვილის გზაა. მასზე მოსიარულე ადამიანი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ცუდი გააკეთოს კაცობრიობისთვის. ის თავის მიზანს ამაში ხედავს. შეიძლება მისი გზა არ არის სწორი, მაგრამ ისეთი ადამიანებისაც მშურდა, მიმაჩნდა რომ მათაც აქვთ ბედნიერების განცდა, რომელსაც ყველა პატარა კაცი მოკლებულია. იმიტომ რომ ისინიც ბეწვის ხიდით დადიან და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ.

მესამე გზა კი ყველაზე განიერია. ის ათასნაირი ზიზილ-პიპილითაა მორთული. ბევრი ჭრელი ნივთი ამშვენებს. მიდიხარ მასზე და იცი რომ არაფერი მოგელის. მიდიხარ ათასობით უსახურთან ერთად და საკუთარი თავისადმი ზიზღის გრძნობა გეუფლება იმის გამო რომ ასეთი სუსტი აღმოჩნდი, ასეთი უნებისყოფო. მიდიხარ ამ გზაზე და ივსები უსასრულოდ დიდი სიცარიელით.

ალბათ, ძალიან მოგაბეზრეთ თავი ამ ქარმაგებით.

თანდათანობით ჩემი ცხოვრება სულ უფრო უაზრო და უინტერესო ხდებოდა. ვერ ვიპოვე საქმე, რომლითაც თავს შევიქცევდი. დავიწყე სამუშაოს ძებნა, მაგრამ ვერაფრით მოვეწყე ისეთ ადგილას, სადაც გული მიმიწევდა. ეს ალბათ, ჩემი ბრალიც იყო. ვატყობდი, რომ თითქმის არაფერი არ მაინტერესებდა, არაფერი მიტაცებდა, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო.

შევერიე ცხოვრების მორევს. ისე ვარსებობდი, როგორც ყველა. მეგონა, რომ ეს იქნებოდა ყველაზე ბუნებრივი გზა, რომელსაც შეიძლებოდა კაცი დადგომოდა.

ვცხოვრობდი უაზრო და უმიზნო ცხოვრებით. ბევრ ხალხთან ურთიერთობამ მეც მათნაირი გამხადა. ვერც კი შევიტყვე, ისე გავლოთდი. ბევრი გოგო მყავდა გარშემო. დღე და ღამეს მხიარულებაში ვატარებდი. დილით ვდგებოდი და ვთამაშობდი. მერე ამხანაგები, მეგობრები, ნაცნობები, შეყვარებულები და ასე გადიოდა თვეები.

გვიანღა იყო, როდესაც მივხვდი, რომ უდიდესი შეცდომა ჩავიდინე. ძალიან გამიჭირდა ამის გაფიქრება. მთელი დღეები საშინლად იწელებოდა. აღარ შემეძლო მხიარულობა. ღამით კოშმარები მესიზმრებოდა.

სხვებს უკვირდათ ჩემი მოწყენა, როდესაც ყველა იცინოდა, მე აღარ შემეძლო მათ ავყოლოდი და გულიანად გადამეხარხარა. თავს ძალას ვატანდი, მაგრამ არაფრით გამომდიოდა. ვგრძნობდი ჩემი მდგომარეობის სიყალბეს და ხელოვნურობას. ეს კიდევ უფრო მიმძიმებდა არსებობას.

საშინლად გავორდი. სულ სხვანაირი ვიყავი მარტო, ჩემს თავთან და სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირი — ხალხში. როდესაც ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, მაშინ რაღაც უხილავ ნიღაბს ვიფარებდი. საშინელ ნიღაბს, რომლისაც მრცხვენოდა, მაგრამ არაფრით შემეძლო რამის შეცვლა.

ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი იმაში, რომ ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს, არაფერი უნდათ, გარდა საკუთარი კარგად ყოფნისა. ის რაც მათ არ ეხება, არ არსებობს. ამ ხალხში არც ნამდვილი მორალია, არც ერთმანეთის პატივისცემა, არც სიყვარული. ეს ყველაფერი იკარგება მათი პატარა ინტერესების ფონზე. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ მეც ასეთი გავხდი.

პირველ ხანებში ეჭვიც მეპარებოდა ჩემი დასკვნების სისწორეში. ხშირად ერთი გამამართლებელი აზრით ყველა სხვას ვაბათილებდი. მინდოდა დამეჯერა, რომ ეს ყველაფერი კარგია, მშვენიერია, მაგრამ, არაფრით გამომდიოდა.

ასეთ უმოქმედობაში ვიყავი კიდევ რამდენიმე წელიწადი, სანამ საბოლოოდ არ დავრწმუნდი ჩემს ტრაგიკულ შეცდომაში.

მივხვდი რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა. ეს ვიცოდი მაგრამ, რანაირად, როგორ მეცხოვრა?

მე მარტო ასეთი არსებობის წესით ვსარგებლობდი. სხვანაირად არც მიცდია, მხოლოდ ასე შემეძლო ყოფნა.

ბავშვობაში დაბრუნების ძალა მე არ მქონდა, და ალბათ ეს არც იქნებოდა სწორი. უფრო გიჟი მოიქცევა ასე, ვიდრე ჭკუათმყოფელი.

ვცდილობდი გავრიყოდი ცხოვრებას. თვეების განმავლობაში არავის ვნახულობდი. ვიკეტებოდი ბნელ ოთხაში და თითქმის არაფერს ვჭამდი. მაგრამ, ესეც არასწორი აღმოჩნდა. ურთიერთობის გარეშეც ვერ გავძელი.

ჩემს წინაშე იყო უამრავი გზა, რომლის არჩევაც შეიძლებოდა, მაგრამ არც ერთი მათგანის სისწორისა არ მჯეროდა ბოლომდე. ეჭვები მღრღნიდა თავს.

ერთ ხანს გადავწყვიტე საქმე მეკეთებინა. დავიწყე მუშაობა, მაგრამ ერთ თვეზე მეტ ხანს ვერსად ვერ გავძელი. საშინელ აპატიას ვგრძნობდი ყველანაირი სამუშაოს მიმართ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანებისათვის კარგის მოტანა არ შემეძლო.

ვერც ერთი მეგობარი ვერ ვიპოვე ისეთი, რომელსაც გავანდობდი ამ ჩემს ტანჯვას და გულზე ცოტა მაინც მომეშვებოდა. ჩემს წრეში ყველას დროისტარება აინტერესებდა. მე კი ეს ყველაფერი საშინლად მღლიდა.

ასე ვცხოვრობდი მანამდე, სანამ ერთი აზრი არ მომივიდა თავში.

მე და ჩემი ნაცნობი კინოში ვიყავით. რაღაც ფილმზე თუ არ ვცდები მეორე მსოფლიო ომის შესახებ. მთელი ფილმის განმავლობაში მეძინებოდა. მაგრამ ბოლოს გამოჩნდა ერთი საშინელი სცენა: აჩვენეს თუ როგორ ახრჩობდნენ გაზის კამერებში ნაცისტები თავიანთ პატიმრებს. ეს დოკუმენტური კადრები ისეთი ნატურალიზმით იყო გადაღებული, რომ ხანდახან თვალების დახუჭვა მინდებოდა.

და ამ დროს თავში მომივიდა გენიალური აზრი. სწორედ ასე უნდა მომეკლა თავი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ იდეამ იმდენად ამიტანა, რომ ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი მის სისწორეში.

სახლში რომ მოვედი, მთელი ღამე არ მეძინა, სულ ამაზე ვფიქრობდი.

რატომ მომივიდა ასეთი უცნაური აზრი?

იმიტომ, რომ ასეთი საშინელი სიკვდილი შეძრავს ადამიანებს, თუ კი რამეს შეუძლია საერთოდ მათზე მოქმედება. საჭიროა, რომ მათ დაინახონ თავიანთი მდგომარეობის ტრაგიკულობა. ეს კი შეუძლებელია მსხვერპლის გარეშე, თანაც ასეთი შემზარავი მსხვერპლისა.

მაგრამ მანამდე საჭირო იყო მათი შემზადება ამისათვის. მე ესეც მოვიფიქრე.

ერთ-ერთ თავყრილობაზე, როცა ყველანი უაზროდ ისხდნენ და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდნენ როგორ მოეკლათ დრო, მე წამოვდექი ჩემი ადგილიდან და ლაპარაკი დავიწყე:

— „სისულელეა ეს ყველაფერი. რატომ ვცხოვრობთ ასე. ჩვენ ხომ შეგვიძლია უფრო ლამაზად ვიცხოვროთ, ყველამ ერთად“.

ამ სიტყვების შემდეგ ცოტა ხნით გავჩერდი, რეაქციას დაველოდე. ისინი გაჩუმებული მიყურებდნენ. სახეზე საშინელი გაკვირვება ეწერათ. ეტყობა არც მოელოდნენ ჩემგან ამას, თან დაინტერესათ კიდევაც.

— „ყველანი უნდა შევიცვალოთ“. — ვთქვი მე ხმამაღლა.

— „როგორ?“ — მკითხა ერთ-ერთმა, რომელიც შედარებით ფხიზელი იყო.

— „არ ვიცი. მაგრამ აუცილებლად უნდა შევიცვალოთ“.

— „ვერავინ ვერ შეიცვლება, იმიტომ რომ ყველას ასე უნდა ცხოვრება“. — მითხრა იმან.

— „მე არ მინდა. და მე შემიძლია წყნარად მოვიკლა თავი იმიტომ, რომ ეს სიცოცხლე არაფრად არ მიღირს“.

იმან გაკვირვებულმა შემომხედა. დანარჩენებიც ყურადღებით მისმენდნენ.

— „შენ ვერ შეძლებ მაგას. ეს არავის შეუძლია. ისე უბრალოდ თავის მოკვლა, ყოველ მიზეზის გარეშე. ეს აბსურდია“.

— „და თუ შევძელი, მაშინ დაიჯერებთ ჩემს სიმართლეს?“ — ვკითხე მე.

— „მაშინ კი“. — თქვა იმან.

ყველას ვატყობდი სახეზე უნდობლობას. მათ არ სჯეროდათ ჩემი. მაგრამ გულში უკვე ვზეიმობდი იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი ჩემს თავში, ისე როგორც არასდროს.

გახარებული წამოვედი იქიდან. ახლა უკვე ნამდვილად მჯეროდა ყველაფრის. არაფერში ეჭვი აღარ მეპარებოდა. მივხვდი, რომ ამის გაკეთება საჭირო იყო იმიტომ, რომ ადამიანებს ცოტათი მაინც შეზიზღებოდათ საკუთარი თავი და მე მჯეროდა, რომ ამას მივაღწევდი.

შეგძულდეს ასეთი ცხოვრება, ნიშნავს დაინახო ნამდვილი. ის, რომელიც არ კვდება. და თუ ამაში შეძლებ დაეხმარო ადამიანს, ეს უკვე დიდი ბედნიერებაა.

მეორე დღეს სახლში მარტო დავრჩი. სამზარეულო ოთახში ჩავიკეტე. კარებები და ფანჯრები მაგრად დავხურე. გაზის ქურა ჩავრთე და დავჯექი.

ნელ-ნელა ჰაერი იხუთებოდა. ჯერ ხველება დავიწყე. ყელი საშინლად მტკიოდა. ვატყობდი, რომ ვიხრჩობოდი, მაგრამ რაღაც მიხაროდა. მიხაროდა ის, რომ ვშორდებოდი ამ საშინელ ტანჯვებს, ამ უსახურებას, ამ უგზოობას და მივდიოდი სადღაც სხვაგან, სადაც არ იქნებოდა ეს პროზაული არსებობა.

რამდენიმე წუთში უკვე ყველაფერი გათავებული იყო. მე აღარ ვარსებობდი.

სანდრომ მოყოლა დაამთავრა.

ეშმაკმა დადო კალმისტარი. მერე სიგარეტის კოლოფი აიღო და შესთავაზა. თვითონ რბილად იჯდა სავარძელში. დასასვენებლად ფეხები მაგიდაზე შეაწყო.

სანდრო ცოტა არ იყოს, დაიღალა, მაგრამ თავს კარგად გრძნობდა.

— „დედ-მამასთან როგორ ურთიერთობაში იყავით?“ — კითხა პატარა პაუზის შემდეგ ეშმაკმა.

— „ჩვეულებრივად. მარტო აუცილებლობის მიხედვით თუ ველაპარაკებოდი. დედაჩემი ნერვიული ქალია. გამუდმებით ჩხუბობს და საკუთარ სიმართლეს ამტკიცებს. მე არ მსიამოვნებდა იმასთან ლაპარაკი. მამაჩემს კი არაფერი აინტერესებს ფეხბურთის გარდა. რამდენიც არ უნდა ელაპარაკო, ყურს მაინც არ გიგდებს. ამიტომ ჯობია სულ არ დაიჭირო საქმე. ჩვენ მარტო სადილზე ვხვდებოდით ერთმანეთს“.

ეშმაკმა ესეც ჩაიწერა თავისთვის.

— „ვინმე თუ გიყვარდათ? ქალს ვგულისხმობ“.

— „მყავდა ერთი შეყვარებული. მაგრამ მიყვარდათქო ვერ ვიტყვი. უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალოდ მომწონდა. იმასაც მოვწონდი და ამით მორჩა ყველაფერი. ორი წელიწადი გვქონდა რომანი, მაგრამ ამ დროს სულ მეგონა, რომ საშინლად დაბმული ვიყავი. ხშირად ვღალატობდი, ის არ განიცდიდა ამას, იმიტომ რომ თვითონაც ასე იქცეოდა. ბოლოს დავშორდით ერთმანეთს ყოველგვარი ემოციების გარეშე".

— „გასაგებია". თქვა ეშმაკმა.

სანდრომ სიგარეტს მოუკიდა.

— „ასე არ გამოვა" — თქვა ისევ ეშმაკმა.

— „რა?!" — კითხა გაკვირვებულმა სანდრომ.

— „მე ვერც ერთ ვიზას ვერ მოგცემთ".

— „რატომ?"

ეშმაკი სავარძელში გადაიწია.

— „თვითმკვლელებს სამოთხეში არ მიესვლებათ. ეს საკმაოდ ძველი კანონია, ალბათ ჩემზე უკეთესად იცით. ამიტომაც მოხვედით აქ და არა სხვაგან. მაგრამ, მთელი უბედურება ის არის, რომ მე ჯოჯოხეთის საგზურსაც ვერ მოგცემთ. ამისათვის საჭიროა რომ თქვენ ცუდი გქონდეთ გაკეთებული ამ თვითმკვლელობით. ესე იგი ვიღაცისათვის გული დაგეწყვიტათ. მე კი ამის მსგავსს ვერაფერს ვხედავ".

— „კი მაგრამ თვითმკვლელობა ხომ დანაშაულია?!" — კითხა გაკვირვებულმა სანდრომ.

— „დანაშაულია მაშინ, როცა შენ ღვთაებრივ ცხოვრებაზე ამბობ უარს. როცა შენს არსებობას აზრი აქვს ამ დროს მართლა ცუდს სჩადიხარ".

— „მერე?".

— „მერე ის, რომ თქვენი სიკვდილით არავის გული არ დასწყვეტია, ეს ერთი და მეორეც, თქვენ ადამიანებისთვის კარგი გააკეთეთ იმიტომ, რომ დაანახვეთ ასეთი ცხოვრების უაზრობა. თქვენ არ გინდოდათ, მაგრამ გმირობა ჩაიდინეთ".

— „ესე იგი, რა უნდა ვქნა?!" — მოთმინებიდან გამოვიდა სანდრო.

— „არაფერი. ერთი კვირის მერე მოდით. მე უნდა ვიფიქრო". — წყნარად თქვა ეშმაკმა.

— „გმადლობთ". სანდრო ადგა სკამიდან და ოთახიდან გამოვიდა.

კორიდორში ახალგაზრდა გოგო იდგა. მას ხელები მთლიანად დასისხლიანებული ჰქონდა.

სანდრომ კაბინა გამოიძახა და ცოტა ხანში უკვე ქვემოთ იყო.

ქუჩაში უამრავი ხალხი იდგა. ის სწრაფად გაემართა ქალაქის ბოლოსაკენ.

როდესაც მივიდა იქ, ზღვა დაინახა, გადაწყვიტა ნაპირთან მისულიყო.

ქვიშაზე ვიღაც გოგო იჯდა. სანდროს საიდანღაც ეცნო. ახლოს მივიდა და დაინახა რომ ეს იყო მისი და.

— „სოფო, შენ აქ რა გინდა?!" — თქვა მან.

— „არაფერი . —უპასუხა სოფომ, ისე რომ არც მოუხედია — უბრალოდ კენჭებს ვისვრი ზღვაში".

სანდრო გვერდზე მიუჯდა.

— „იცი, შენ იყავი ერთადერთი, ვინც ცოტათი მაინც მიყვარდა. ყოველთვის მეგონა, რომ მოვიდოდა დიდი გემი, რომელიც შორს წაგვიყვანდა ისეთ კუნძულზე, სადაც არავინ ყოფილა".

სოფო გაკვირვებული შემოტრიალდა.

— „როგორ? არის ასეთი ადგილი?"

— „როგორ არა". — თქვა სანდრომ.

ზღვა სულ არ ღელავდა. ასეთი დაწყნარებული არასდროს ყოფილა.

სანდრომ გაიღვიძა. თვალები მოიფშვნიტა და ადგა.

— „რას არ ნახავს კაცი" — გაიფიქრა თავისთვის და პირის დასაბანად სააბაზანოში შევიდა.

**№ 2**

მოჩანს პორტრეტი. ზედ გულგრილი სახე ადამიანისა, რომელმაც ყველაფრის იმედი დაკარგა.

შედარებით თბილი ამინდი დგას. გუშინ ძალიან ციოდა. საშინელი ქარი ამოვარდა და კინაღამ ჩვენი სახლის წინ მდგომი დიდი ალვის ხე წააქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან უცნაურია ეს მეტამორფოზები ბუნებაში.

მეორე ოთახიდან შემოდის ორი მეზობლის ჩხუბის ხმა: სარკე დაიმტვრა. ალბათ რაღაც ძალიან ცუდის ნიშანია. შემოვარდა ქალი. ყვირის. თუ არ ვცდები, რუსთაველის ერთ-ერთ აფორიზმს. როგორც იქნა გააშველეს ძმები.

ერთ-ერთმა მოთქმით დაიწყო ტირილი. „ყველა მე მჩაგრავს, რა საშინელებაა“ და მისთანები. მერე ტელევიზორს შეხედა და სიცილი დაიწყო.

მე ისევ პორტრეტს ვუყურებ. უცებ მომეჩვენა რომ ქვემოთ აწერია: „Modern Art“.

მაგრამ, ეს მარტო მოჩვენებაა.

ახალგაზრდა ბიჭი ქუჩას კვეთავს და იფურთხება. ჩემმა მეზობელმა ქალმა ეს შეამჩნია.

— „რა უზრდელია“ — ჩაილაპარაკა თავისთვის. მე გავიფიქრე, რომ სწორია. ქუჩაში მოქცევა თუ არ იცის, მაშინ საერთოდ ნუ დადის.

ზარი ისმის. კარი გააღეს. „როგორ არის“ — „კარგად“.

გუშინ უცნაური სიზმარი ვნახე. ამიტრიპტილინის მჟავას გიკეთებთო. მე მგონია, საერთოდ არ არსებობს არაფერი ამის მსგავსი. რამხელა სისულელეა.

დედაჩემი მსაყვედურობს, სუფთა ქართულს არ ლაპარაკობო. ვცდილობ, მაგრამ მაინც არ გამოდის.

„ის სულ ყრუ იყო, როცა მეცხრე დაწერა“.

მანქანების რაოდენობა გაიზარდა. ალბათ პიკის საათია. მწვანე მანქანაში ჩემი მასწავლებელი შევამჩნიე. ისევ ნაცრისფერი ჟილეტი აცვია.

მისი პირი ხშირად ილებოდა უაზროდ. არასდროს მყვარებია ეს მასწავლებელი. ერთხელ შეურაცხყოფა მომაყენა. არასოდეს დამავიწყდება. მინდოდა სკამი ჩამერტყა, მაგრამ თავი შევიკავე. ანდა რა ხეირია. ჯობს ისევ ნაჯახით გაუჩეხო თავი, ისე რომ ვერავინ დაგინახოს.

— „ხომ სწორი ვარ“.

ჩემი ბავშვობის ამხანაგი მახსენდება. ის მიღიმის და მეუბნება:

— „მაიაკოვსკი გადაიწვა. აღარ შეეძლო წერა; ამიტომ თავი მოიკლა. შენც ხომ ეგრე არ მოიქცევი“.

— „არა“ — ისევ მიცინის. მე კი მგონია, რომ ამ წუთას ყველაზე ძალიან მიყვარს ის. მახსენდება ცაცხვების შრიალი.

ერთხელ, როცა ოცდაერთ შეკითხვას ვთამაშობდი, ტულუზ-ლოტრეკი ჩაიფიქრა იმ გოგონამ, რომელიც მე მომწონდა. ვერ გამოვიცანი. ალბათ იმიტომ, რომ დავიბენი.

„მეც მინდოდა რამე შემექმნა მეცხრესავით ძლიერი. ეს ჩემი ოცნებაა“.

კიდევ უფრო მომრავლდნენ მანქანები. ძალიან ლამაზია ქალაქი საღამოს შუქზე. ამას წინათ კარნავალი გაიმართა. დიდი ჩირაღდნები დააყენეს. ყველა აქ იყო.

მეზობლებისაგან რატომღაც ხმა არ ისმის. რა ხდება ნეტავი? ეზოში ხომ არ ჩავიდნენ. წიგნი გადავშალე.

„Einudzwanzig Portraits aus der Gruppe 47“.

ისე, მართალი რომ გითხრათ გუშინდელთან შედარებით ნაკლები ხალხია ქუჩაში. ეტყობა სამუშაოდან ადრე გამოიპარნენ თუ რა ხდება?!

ის მოვიდა. ეხლა უნდა ჩავიცვა და გზას გავუდგე. ძალიან მეზარება.

დღეს პანაშვიდზე მივდივართ. ყველას გვეშინია, რომ არ გაგვეცინოს. ერთი ჩემი ამხანაგი არ მოდის კიდეც. ეშინია ხარხარი არ ატეხოს. კი მაგრამ მე რატომ მივდივარ. ყველას გვრცხვენია ერთმანეთს გამოვუტყდეთ.

ვიცვამ. თეთრი შარვალი ჩავიცვი. ნაცრისფერი პულავერი. სახლიდან გავდივართ. ტყუილუბრალოდ ვლაპარაკობთ რაღაცეებს.

სულ სიმბოლოები მაგონდება. ყველაფერს გადატანით მნიშვნელობას ვაძლევ. იდიოტობაა. ჟურნალის ყდა.

„Stephan Rieck war sechs Monate, als er an Krebs erkrankte. Heute ist erdreinenhalb und Gereitet“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ ყველა ასე იყოს.

ყვავილები უნდა ვიყიდოთ ბაზარში, აუცილებელია, არ მიყვარს პანაშვიდის ყვავილები.

— „ეხლა მისმინე, სისულელე არ წამოგცდეს“.

— „ჰო, მესმის“

მოიღრუბლა. ისევ წყნარი ნაბიჯებით მოვდივართ.

ვუახლოვდებით ამ სახლს. მახსენდება საავადმყოფო. სისხლის რიგში ვიდექი. ძალიან არ მინდოდა რომ მივახლოვებოდი, მაგრამ დრო საოცრად ჩქარა მიდიოდა. ახლაც ასეა. არ მინდა შესვლა.

უამრავი ხალხი დგას გარეთ, ჯერ კიდევ მხარული სახეებით. მერე შედარებით მოღუშული. მერე კიდევ. ბევრი ხალხი ამოდის კიბეებზე. ზოგი ჩადის. ისმის ქვითინი. იმ სართულზე ვართ უკვე მარჯვნივ შევუხვიეთ.

— „აქეთ“ — გვეუბნება შავებში ჩაცმული კაცი.

ტირიან. რამდენიმე ქალი სკამზე ზის. დანარჩენები დგანან. ნეტავ რატომ ანთია ჭაღი. თვალში მცემს.

ჩემს წინ ვინც მიდის, სიცილს ძლივს იკავებს. ნეტავ რატომ არიან ჭიანჭველები ადრე გაზაფხულზე.

უკან გამოვდივართ. ოფლი მომდის. რა ხდება. მუსიკა. ვერდის რექვიემი, თუ არ ვცდები. ადრინდელი პანაშვიდი გამახსენდა. ჩემი ამხანაგის დის. მაშინ სიცხე იყო.

ისევ ჩემი მასწავლებელი შემეფეთა. ჩუმად მოგვესალმა, გამოვდივართ. უკვე დაბნელებულა.

წინა დღეს ციტატებს ვიწერდი. დამჭირდება. ახლა კაფეში მივდივართ.

„მე მრცხვენია, რომ ვერ ვწერ მეცხრეს მსგავს სიმფონიას. ყველას უნდა რცხვენოდეს“.

— „საით მიდიხართ“.

— „იქით“.

— „გზა დაკეტილია“.

მილიციონერმა გვიჩვენა მეორე გზა. სხვა მხრიდან ვერ გავალთ.

„ირაკლი“ — მესმის უკნიდან. მივიხედე. არავინ არ არის. რა ხშირად მაქვს მოჩვენებები.

მოხუცი კაცი ძაღლს მოასეირნებს. მახსოვს, დედაჩემი მეკითხებოდა:

— „რატომ არის ნარკომანია?“

მე ვუთხარი:

— „არის და იქნება კიდევაც“.

«От нечего делать».

— „არა“.

ისევ ფოთლების შრიალი გამახსენდა. ცხოვრება რამდენჯერმე მეორდება. ასე ამბობენ ბუდისტები. ხანდახან მგონია, რომ ისინი სწორი არიან. რალაცეები მახსენდება.

ისევ წიგნის ყდა.

„Im Ettablissment der Schmetterlinge“.

ქუჩაში ხმაურია. „მიდით ბიჭებო“. ერთმანეთს ურტყამენ ვილაცეები. ჩვენ ვაშველებთ, მერე გარბიან. მილიცია მოდის. ჩვენც გავრბივართ.

— „აქეთ-აქეთ“ — გვიყვირიან.

შევირბინეთ სადარბაზოში. მილიცია გვეძებს. ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მაგრამ მაინც დაგვიჭერენ, ამიტომ ვიმალებით.

ჩემი ამხანაგი მეუბნება:

— „საჩხუბარი მაინც იყოს რამე. თავს შევაკლავდი. მაგრამ არაფერია საჩხუბარი“.

და მე გულში ვეთანხმები.

უკვე აღარ შემიძლია ამის ატანა. ამდენი სირბილისგან ფეხები მეკეცება.

— „კი, მაგრამ ზემოდან მეორე გასასვლელი არაა?“

— „არის, ჩვენები იქიდან გავიდნენ“.

გავდივართ მეორე ქუჩაზე. მერე მესამეზე.

აქეთ-იქით ვიხედებით. არავინ ჩანს. წყნარად გავუდექით გზას.

გამახსენდა სკოლა. მასწავლებელმა გვითხრა:

„ამ მწერალთან დრო დარღვეულია. მას უნდა გვაჩვენოს, რომ ბოროტება არასოდეს ქრება. ის ყოველთვის ჩვენს გვერდითაა. აწმყოშიც და მომავალშიც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] შარლ აზნავურს უკრავს, ისმის მუსიკა.

[illegible] სირბილის შემდეგ ელენთა მტკივა. ადრეც მიჭირდა სირბილი, როცა ფეხბურთზე დავდიოდი.

როდის ჯობს წერა. გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე. ალბათ ორივე დროს ერთნაირად მიყვარს, ისევე როგორც შარლ აზნავური.

მახსოვს, ჩემი მეზობელი თავის დობერმან პინჩერს ხეივანში მიასეირნებდა.

— „ძალიან ლამაზი ძაღლია".

— „მშვენიერია". — თქვა ვიღაც მოხუცმა ქალმა და რატომღაც მომეჩვენა რომ ამბობდა, „თქვენ ყველას ეს ძაღლი გჯობიათ".

მაშინ ზაფხული იყო. წყნარი ზაფხული. როცა ყველაფერი დამღვარია. სიმშვიდე ბატონობს.

— „კი, კი რა თქმა უნდა, რასაკვირველია" — მესმის გვერდზე. ეს ის ხმაა, მე რომ ვერ ვიტან.

წითელმა ავტობუსმა ჩაიარა. შიგ უცხოელი ტურისტები ისხდნენ, ან შეიძლება ფეხბურთელები. დღეს ხომ მატჩია.

„დრო გადის და ჩვენ ვერ ვიჭერთ მას".

ერთმა ქალმა თქვა: „ამ რეჟისორმა მხოლოდ ფილმში შეძლო თავისი პოზიციის გამომჟღავნება".

კაცმა არ იცის, რატომ დაფრინავენ ქალაქში ეს უცნაური მცენარეები. ჩემი მასწავლებელი რატომღაც თვლიდა, რომ ისინი არყის ხის გამონაზარდები არიან. ამის შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა, სულაც არ აწუხებდა ეს პრობლემა.

„ბავშვობაში მეგონა, რომ ყველა კრიზისის გადალახვა შეიძლება".

სანაგვე ყუთი დავინახე. ვიღაცამ შოკოლადის ქაღალდი გადააგდო. ჩვენ კი წყნარად გავიარეთ. ვითომც არაფერი ყოფილა.

ვზივარ კინოში. ძალიან უინტერესო ფილმია და უკვე დიდი ხანია თავი მობეზრდა. ჩემს უკან რამდენიმე [illegible] გოგონა ზის.

«Феллини. Это большой режиссер. Когда смотришь его фильмы, становится хорошо.

В его фильме есть одна женщина, которая всем довольна. А это большое искусство, быть всем довольной».

ამ დროს საშინლად მეძინებოდა. რა ჩქარა გარბიან წამები.

მივდივართ. უკვე თითქმის მთლიანად ჩამობნელდა.

— „ხომ გეუბნებოდი შეტევა დაგემართება-თქო. ბრონხიტიანი ბავშვებისათვის არ შეიძლება დიდხანს თამაში".

— „კი დედა, მისმინე, ხუთ წუთსაც და თუ გინდა ხვალ საერთოდ აღარ ჩავალ სათამაშოდ".

და მაინც ისე გრძელდებოდა, როგორც ყოველდღე. რა უცნაურია არსებობა.

ჩემი ნაზი მეგობარი მიღიმის: და ალერსიანად მეუბნება:

— „ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი თავის".

— „რატომ?"

— „იმიტომ, რომ სიკვდილის ფასი არ ვიცით".

რა უაზროდ ვლაპარაკობთ ხანდახან.

რამდენ ხანს გრძელდება გზა. ჩვენ ხომ პანაშვიდიდან მოვდივართ.

უცანაურია ყველაფერი. ისიც, რომ ახლა ამხანაგებთან ერთად ქუჩაში მივდივართ. ისიც, რომ არ ვიცი რა ვუყო ჩემს გრძნობებს და ვის რა ვუთხრა.

— „ქალბატონო, ან გაიარეთ ან გაგვატარეთ".

— „რა გინდა. ძალიან გეჩქარება?"

— „კი".

— „მაშინ მეორე მხრიდან გადი".

„რაცოის სიკვდილი".

ჩვენ ერთად ვტიროდით მეცხრე სიმფონიის დანგრევას. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.

მოძღვარმა თქვა:

— „ხშირად უბრუნდები ამ თემას".

და მე დავეთანხმე

— „სწორია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები აქეთ-იქით ეხეთქებიან. [illegible] ოდეს სხეულში.

„ადამიანი უსასრულოდ ძლიერი და უსასრულოდ სუსტია“.

მე მაინც ვერ ვხვდები, რატომ ხდება ისე, რომ ბევრი ჩვენგანი პანაშვიდზე იცინის.

ცხრაზე, იმედი მაქვს, სახლში ვიქნები. დღეს დაგვიანება არ შეიძლება. იცი, უკვე მთლიანად დაბნელდა და ვარსკვლავების შუქის ქვეშ ყველა საკუთარ თავს ეძებს.

დღეს ნახევარ მთვარეა. მე მიხარია, რომ როგორც იქნა მომეცა სახლში წასვლის საშუალება.

## რძის რიგში

### № 3

Heinrich Böll, Milo Dor, Günter Eich, Hans Magnus...

რატომღაც თავში უაზრო წინადადებები იღვიძება. რიგი ნელა გადის. აი, ის მამაკაცის გამყიდველიც მოჩანს, რამდენიმე დღის წინ გზაში რომ შემეჩეხა. არ მახსოვს რა ვუთხარი, იმან კი:

— რას მეუბნები, ჯერ მიწას თავი ვერ აგიცილებია. — თუ რაღაც ამისმაგვარი.

ისევ სამღერი ჩამიჯდა. ვერაფრით ამოვიგდე თავიდან. საერთოდ, ეს სისუსტის ნიშანია. მე ყოველ შემთხვევაში ასე მგონია. ადრე ყოველთვის ვფიქრობდი, „რა მემღერება“ და ამით ვცდილობდი თავიდან ამომეგდო მელოდია.

ეხლა რატომღაც არ გამომდის.

გუშინ ჩემთან ორი მეგობარი იყო, უფრო სწორად ამხანაგი. რა სისულელეა ეს პირობითობები. მოკლედ ორნი იყვნენ,

ერთ-ერთმა თქვა:

— „მინდა ვიპოვო აზრი ცხოვრებაში, ჩემი არსებობის გამართლება. მაგრამ, ჯერჯერობით არ გამომდის“.

მეორე პროფესიულ კალათბურთზე და კურორტებზე ლაპარაკობდა.

— თურმე იტალიელებს უთხოვიათ ერთი ადგილი გასაკეთებლად. სამი წლის კონტრაქტით, გააკეთებენ, მერე საწყის თანხას თვითონ აიღებენ და დანარჩენს ჩვენს სახელმწიფოს გადაუხდიან. ძალიან დიდი ფულია. ჩვენებს ეშინიათ მაინც, არ არიან თანახმა. გესმის?“

— „მესმის, მესმის“ — ვპასუხობდი.

ესე იგი, გუშინდელი დღე შეიძლება კარგად ჩაითვალოს. ფინანსური მხრიდან თითქმის ყველაფერი კარგადაა. მანქანაც ვიშოვეთ. საჭიროა სალებავი. რატომ სალებავი? გუშინ იმანაც მკითხა:

— „რატომ სალებავი?!“

მე არ ვიცოდი რა მეპასუხა. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სალებავი საჭიროა, აუცილებელია.

გამახსენდა ერთ ჩემს მეგობართან დიალოგი, ისევ ვხმარობ ამ ორ სიტყვას ერთად.

— „კი მაგრამ ქმედება აუცილებელია იმისათვის, რომ ხალხს ბედნიერება მოუტანოს?“

— „ჩემი აზრით, ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია მდგომარეობიდან. ქმედითი სიყვარული“

— „არის კი საერთოდ გამოსავალი?“

— „მე ვეძებ მას და ვცდილობ ვიპოვო“

— „მე კი არ ვეძებ და არც ვპოულობ“.

მოკლედ მომიჭრა. მშვენიერი პასუხია. მერე იყო:

— „ჩემი აზრით ადამიანი უნდა ცხოვრობდეს თავისთვის. არავინ არ აინტერესებდეს და საქმე აკეთოს. პროფესიით იყოს დაკავებული“.

— „არ გეთანხმები“ — შევეკამათე.

— „ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

ისევ მკაცრად მიპასუხა. მახსოვს მოღრუბლული ამინდი იყო.

მაღაზიაში რატომღაც ნახატები კიდია. ქვემოთ აქვს გრძელი წარწერა. რუსულად:

Виктор Вазарели. Хоккаидо. Холст-масло подарено музею автором.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ორი გამყიდველი მუშაობს, ერთი მსუქანი, მეორე შედარებით გამხდარი. სწრაფად აწოდებენ ერთმანეთს რძეს. საერთოდ, ამ ბოლო ხანებში ძალიან დიდი რიგებია. დაახლოებით ასი კაცი დგას.

შემოდის დირექტორი. ასე ორმოცდაათი, სამოცი წლის კაცი. ჭაღარა აქვს უკვე შერეული. საქმიანად დაიარება დახლებს შუა, რაღაცას ბურტყუნებს.

— „ასი ან ორმოცდაათი კოლოფი ხაჭო. ათასი კლიენტი გვყავს დღეში. ან საერთოდ არ გამოგვიგზავნონ ან მორჩნენ ჩვენს წვალებას. უკვე ორი თვეა ასე გვეთამაშებიან. მყიდველებს გონიათ ჩვენ ვართ დამნაშავეები. ეჰ“.

ჩემს წინ მსუქანი, ხანში შესული ქალი დგას. მოუსვენრად იქცევა. რიგის დასაწყისი ჯერ არ ჩანს და უკვე ყვირის ურიგოდ ნუ არიგებთო.

— „ყველას გვეჩქარება სამსახურში. ცხრაზე დაბარებული ვარ საბჭოში. არ შემიძლია ამდენი ცდა“. — ყვირის თითქმის მთელ ხმაზე.

სხვებიც აყვირდნენ. უცებ მომეჩვენა, რომ დირექტორი ჩემკენ მოტრიალდა. ხელი გამოიშვირა და დაიყვირა:

— „შენ, შენ, ძალიან სუსტი არსება ხარ. ჭიანჭველა ხარ. შენ უნდა დაგეძლია ეს ყველაფერი. ამიტომ ვართ ჩვენ უბედურები. კარგად დაიმახსოვრე“.

მომეჩვენა. აბა რა.

ხშირად მემართება ასეთი რამეები. დედაჩემი მეუბნება, რომ უსათუოდ ექიმს უნდა ეჩვენოო.

ცხელა. ღილი შევიხსენი. გამყიდველი ყვირის.

ვიღაც უცნობმა ურიგოდ სცადა რძის აღება. ასე ორმოცი წლის კაცი იქნებოდა. შედის. იღებს და ჩანთაში აწყობს. სულ რამდენიმე არაჟნის კოლოფი აიღო.

უკანიდან, რასაკვირველია ყველაფერი დაინახეს.

— „რატომ იღებს ურიგოდ?!“

— „თქვენ ხაჭოზე დგახართ. მე რძეს ვიღებ. ხომ არ მოგაცდინეთ არავინ“. — წყნარად უპასუხა კაცმა.

გამყიდველი ჩააკვირდა მის სახეს.

— „მე შენ გიცნობ. შენ ხუთ კაპი[illegible] მოიპარავ, თუ კაცმა საშუალება მოგცა“.

— „რა შენი საქმეა მე რას ვიპარავდი. შე ბებერო თხაო. შენ“.

— „შენნაირი ქურდი კი არა ვარ“. — გამყიდველი იცინოდა.

— „თორემ უარესი არ ხარ“ — და კაცმაც გაიცინა.

ქალმა გირი აიღო. ორკილოგრამიანი გირი აიღო და პირდაპირ თავისკენ გაუქანა. კაცი გაიქცა. ის კივილით გამოედევნა. სხვა გამყიდველები გადაუდგნენ. დირექტორიც მივარდა.

— „ვისი გულისთვის იშლი ნერვებს, შე მამაცხონებულო“.

რიგში არავინ განძრეულა. მარტო იმ ქალმა, ჩემს წინ რომ იდგა, თქვა:

— „მაგას რა ალაპარაკებს. ყოველ დღე მოდის და დედას იგინება. გეგონება ჩვენი ბრალია ეგ რო მოხსნეს“.

ვიღაც მოხუცი ქალი ითხოვდა, ავადმყოფი ვარ და ჩქარა მომეცით ხაჭოო. სხვებიც აღელდნენ.

— „მოგვეცით, ვისაც მარტო რძე უნდა, იმათ რიგში ნუ ჩააყენებთ. ხაჭო დაარიგეთ. ქალბატონო, უკვე ორი საათია ვდგავარ“.

როგორც იქნა გააგრძელეს გაყიდვა, კიდევ დიდი ხანი იყო დარჩენილი.

ერთმა მწერალმა თქვა:

„მე ხასიათის გახსნისათვის ყველა საშუალებას ვხმარობ. თუ მიზანს მივაღწიე, მაშინ ბედნიერი ვიქნები“.

თვითონაც არ ვიცი რატომ გამახსენდა. ხშირი და გადაბმული რთულად გასაგები ფრაზებით ლაპარაკობდა. რაღაც უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. გეგონება უსასრულოდ უნდა დაგიმტკიცოს თავისი სისწორე.

ერთ-ერთი თავის დასათაურება ერთ-ერთ წიგნში.

Die Absurde Freheit.

ის ნაზად გიცინის და გეუბნება:

— „მე მთელი ცხოვრება მამწარებდნენ. და ამიტომ მეც ვცდილობ ყველა გავამწარო. აი, ასე“.

წყნარად, აუღელვებლად ამბობს ამ სიტყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დასწლთან ნაცნობი გამყიდველი მუშაობს ყოველთვის მაძლევს ხოლმე იმას, რაც ძნელი საშოვნია. მაგრამ, ახლა არ არის საჭირო, ისიც და საქონელიც.

რიგი ნელა მიიკლაკნება წინ. გამახსენდა ერთი ლამაზი გოგონას ნათქვამი.

— „ყველაფერი ეს აბსურდის ფილოსოფიას მაგონებს. არაფერია საჭირო და მაინც ყველაფერი ხდება".

დიდხანს ვფიქრობდი ამ სიტყვების მერე. ვერაფრით ამოვიგდე თავიდან. ან და რა საჭირო იყო ამოგდება. მეტი რომ არ შეიძლება, ისე ჭკვიანურად არის ნათქვამი.

ჩემს წინ აბრა კიდია. „ჩვენთან არ ეწევიან". ეს კაცი კი უკვე მთელ კოლოფს ათავებს.

სტადიონზე ვისხედით სამნი. ჩემს გარდა ორი ეწეოდა. უცებ ჩვენსკენ მოტრიალდა შუა ხნის კაცი.

— „არ უნდა მივბაძოთ მოსკოვის მაგალითს?".

— „ბატონო?!"

— „არ უნდა მივბაძოთ, მეთქი, მოსკოვის მაგალითს? აა?"

— „უკაცრავად" — ბიჭები ყველაფერს მიხვდნენ.

საჭირო იყო სიგარეტის გადაგდება.

იმას დაბადებიდან ლურჯი თვალები ჰქონდა. უფრო ხწორად ცისფერი.

— „საჭიროა დავახარისხოთ ყველაფერი", — ამბობდა ხოლმე ის.

აბსოლუტურად ყველაფრის დახარისხებას ითხოვდა.

— „ყველას და ყველაფრის ბრალია ეს" — და ლურჯი თვალები რაღაც საოცრად უელავდნენ.

მე და ჩემი მეგობარი გოგონა ვზივართ რესტორანში. ეს იყო მოსკოვში.

— „კი მაგრამ, რა გიშლის ხელს" — მეკითხება.

— „ყოველი დღე ახალ პრობლემას მიყენებს წინ. მე კი მინდა ვიფიქრო მათ შორის ყველაზე დიდზე".

— „მერე რას აპირებ?"

— „თუ კი მისი დაძლევა გინდა მთლიანად უნდა მიეცე მას. გაიგე? ასი პროცენტით. შეიძლება მეტითაც. სხვანაირად არაფერი გამოგივა. მეც იმას ვტირი, რომ ძალიან სუსტი ვარ. გაიგე, საშინელებაა, როცა ბევრი იცი და ვერაფერს აკეთებ".

— „ეგ საერთოდ ჩვენი თაობის ნაკლია".

— „როგორ მაგონებ გერტრუდა სტაინს. ოღონდ გარეგნობით არა" — გავიხუმრე მე.

ფერმკრთალი შუქი ნაზად ეცემოდათმაზე. ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ მისით იწყება მსოფლიო და მისითვე მთავრდება.

— „შენ შეგიძლია ბევრი გააკეთო". — ეს მითხრა და გამიღიმა.

ერთი წამით საკუთარ ძალაში დავრწმუნდი. მაგრამ მარტო ერთი წამით.

— „იმათზე მეტი უნდა გააკეთო. თუ გინდა, რომ უბრალოდ მოდური მწერალი არ იყო. თუ გინდა რომ რაღაცით დაეხმარო ადამიანებს".

ვის გულისხმობდა ამ მომენტში ვერ მივხვდი. ალბათ ეგზისტენციალისტებს.

მაშინ ნამდვილად მიყვარდა. მერე კი ყველაფერმა გაიარა ისე თითქოს არც არაფერი ყოფილაო.

საიდანღაც ყვავილების სუნი მოდიოდა. რა უცნაურია, ამ მაღაზიაში რა უნდა ყვავილებს. ნეტავ სადაა ჩემი ქართულის მასწავლებელი.

— „რაციონალიზმი", ჩემო კარგო, აუცილებელია ცხოვრებაში. უიმისოდ ვერსად წახვალ".

— „ესე იგი ყველაფერი ჭკვიანურია?!"

— „აბა რა"

მახსოვს მისი ნაზი თვალები. ახლაც მახსოვს, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ.

საჭიროა სიმშრალე და აუცილებელი ტონი. სულ ამას ამბობდა, როცა სტილზე ჩამოვარდებოდა საუბარი.

რიგმა წინ წაიწია. უკვე მეორე ნახატის გარჩევა შემიძლია.

«Рихард Мортенсен. Опус о Тулонском Порте № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Холст-Масло.

Причудливо избигающиеся, зигзагообразные темные линии расположены в кажущемся беспорядке».

აბსტრაქციონიზმი მოდაში შემოვიდა. ადრე სისულელედ თვლიდნენ, ეხლა ყველა ასე ხატავს.

— „ასეთს მეც დავხატავ" — ამბობდა ერთი იდიოტი. სადღაა ლირიკა.

ჩემს წინ მსუქანი ქალი ამთქნარებს. მეც ძილი მომინდა. რა კარგია დასვენება მაშინ, როცა უსაშველოდ დაღლილი ხარ.

— „წავიდეთ, დავისვენოთ. ათი დღით თელავში".

— „მაინც სულ ვისვენებთ და რა საჭიროა".

— „ჩემთვის მუშაობა დასვენებაა".

— „უცნაურია".

ცა დღეს მოღრუბლულია. გუშინ კი მშვენიერი ამინდი იყო. ხეებს უკვე ყვავილობა დაუწყიათ. ძალიან ლამაზია გაზაფხული ჩვენში. რუსი ტურისტები უკვე გაღეღილი პერანგებით დადიან. ჩვენ მაინც გვეშინია სიცივის, ამიტომ ყოველთვის თავს ვიზღვევთ. აპრილის შუა რიცხვებამდე თბილად ვიცვამთ.

ურიცხვი შთაბეჭდილებები მთლიან ნაკადად.

დღიურში არის ასეთი ჩანაწერი:

„მე მძულს საკუთარი კონფორმიზმი. მშიშარა ვარ".

ახლა რატომღაც გამახსენდა. ალბათ იმიტომ, რომ ის დღიური დღემდე დაუმთავრებელია და ხშირად ვუბრუნდები ფიქრებში.

ქუჩაში წითელი ფერის მანქანამ ჩაიარა. შიგ მთარგმნელი იჯდა. უკვე დიდი ხანია ერმთანეთს ვიცნობდით. ერთხანს გერმანულიდან ლექსებს თარგმნიდა. დიდი ხანი გავიდა მას მერე.

— „აბა რანაირად უნდა იმუშაო" — სულ ამას ამბობდა. ვერ ვხვდებოდი რატომ.

ერთხელ კი დაღლილი გამომეტყველებით მოვიდა ჩამთან. დიდხანს მიყურა და მითხრა:

— „მე მინდა ჩიტების გალობა მოვისმინო".

მე არ გამკვირვებია. მივხვდი, რომ დაიღალა.

— „მინდა, ძალიან მინდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამის ნიჭი არა მაქვს".

ალბათ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ყოველი ჩვენგანი ამბობს ჭკვიანურ აზრს.

ძალიან მიყვარს სიჩუმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ბევრნი ვართ და ხმას არავინ იღებს.

ამ დროს გზები არც ისე გადატვირთულია. ხალხი დასასვენებლადაა წასული. ამიტომ ხშირად დგანან ცარიელი ტაქსის მანქანები გაჩერებაზე.

ერთხანს სოციოლოგების ჯგუფში მინდოდა მუშაობა. ვიფიქრე, რომ ეს ჩემთვის საუკეთესო პრაქტიკა იქნებოდა.

რიგი ნელ-ნელა მიიწევს წინ. ისევ მეჩვენება რაღაცეები. ჭალარაშერეული კაცი მუშტებს უქნევს მის გვერდზე მდგარ ქალს. ემუქრება. მერე დაარტყა და წააქცია. დაიწყო კივილი. უამრავი ხალხი მოვიდა. მღერიან მოცარტის „რექვიემს" და ამით ყველაფერი მთავრდება.

უკვე საათნახევარია რაც რიგში ვდგავარ. ისევ მოჩვენებებით ვერთობი.

— „მე ვიტყვი ძალიან მნიშვნელოვანს, ჯერ არავის რომ არ უთქვია. და გადავჭრი უამრავ პრობლემას".

ეს უაზრო, ბანალური სიტყვები დიდხანს ჩამრჩა გონებაში. გამყიდველი კი ძალიან ჩქარა მუშაობს. ჩემი რიგის მოსვლამდე ცოტა დრო დარჩა.

უცბად ყველამ ერთმანეთს ჩასჭიდა ხელი და დაიწყო სიხარულის ჰიმნის სიმღერა. სახეზე ნეტარებით ისინი ერთმანეთს უყურებდნენ. მე არ მჯეროდა. მაგრამ ეს ასე იყო. მათ უყვარდათ ერთმანეთი და ერთად მღეროდნენ.

მაღაზიის დირექტორი დირიჟორად გადაიქცა. ხელში აიღო ჯოხი და სოლისტებს გადახედა. ჩვენ გუნდი ვიყავით. ჩვენი სიმღერის ხმისაგან ჭერი ირყეოდა.

„Alle Menschen werden Bruder,
Wo dein Sanfter Flügel weilt".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელიხელ ჩაკიდებულები ვმღეროდით. რატომღაც ვიფიქრე, რომ ადრე ყველაფერში ვცდილობდი, რომ სულ სხვანაირად უნდა დამენახა ეს წყნარი და უშფოთველი ყოფიერება.

სიმღერა ცამდე ადიოდა. ღრუბლებს არღვევდა, როგორც თვითონ ბეთჰოვენი.

— „გმადლობთ, გმადლობთ, ღმერთო“ — ვფიქრობდი, ჩემთვის — „ეს ცხოვრებაში ერთხელ ხდება“.

არავინ აღარ მახსოვდა. უბრალოდ ერთი წუთით მეგონა, რომ ადამიანებს ერთმანეთი უყვარდათ.

— „მეგობარო, თქვენი რიგი მოვიდა“ — გამომაფხიზლა გამყიდველის ხმამ.

— „ორი ხაჭო და ერთი რძე“ — ვუპასუხე წყნარად.

უკვე თერთმეტი საათი შესრულდა. საჭირო იყო სახლში წასვლა და ერბოკვერცხის შეწვა.

სანაყინეში ახალი ნაყინი იყიდებოდა. წყნარად ავუარე გვერდი. გაციებულზე ხომ დიდი რისკია ნაყინის ჭამა.

არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მეძინება. ახლა ხომ დილაა.

## კვატრო ჩენტისტის პორტრეტი

ერთხელ, შემთხვევით ჩემს მეგობართან აღმოვაჩინე ძველი სტილის ფერწერული ტილო. ეს იყო არისტოკრატი ქალის პორტრეტი.

ამ ჩემი მეგობრის ბაბუა ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეცნიერია. ხშირად იწვევენ საზღვარგარეთ. თითქმის არც ერთ კონგრესს არ ტოვებს.

ეხლაც, თვითონ ბაბუამ მოგვიყვა ამ ნახატის ისტორია.

თურმე, იტალიაში, არც ისე დიდი ხნის წინათ, აღმოუჩენიათ ეს სურათი. უამრავი სპეციალისტი დაახვიეს, რომ გაეგოთ ვის ეკუთვნოდა. უამრავი გაზეთის და ჟურნალის რეპორტიორი ჩამოვიდა ამ სენსაციური ცნობის მოლოდინში. ყველას საკუთარი ვერსია ჰქონდა. ვიღაცეებს უკვე აუქციონის მოწყობაც უნდოდათ. მოკლედ, ადამიანები თავისი წვრილმანი საქმეებით იყვნენ გართულნი, მაგრამ ავტორის ვინაობას მაინც ვერავინ ამბობდა.

გავიდა რამდენიმე თვე. აჟიოტაჟი დაცხრა, ხალხი ცოტა ხანში წავიდა იქიდან. დარჩა მარტო პორტრეტი, რომელიც იქვე, კაპელას დაუტოვეს.

სპეციალისტებმა ეს ნამუშევარი არც თუ ისე ძვირად შეაფასეს და ამიტომ ამ აუქციონსაც აზრი დაეკარგა.

პორტრეტი დარჩა მუზეუმში როგორც უცნობი ავტორის ნამუშევარი.

რამდენიმე წელიწადში იტალიაში ჩავიდა ჩემი მეგობრის ბაბუა. რაღაც სიმპოზიუმზე, თუ არ ვცდები. იქიდან წაიყვანეს ამ კაპელაში. შემთხვევით ეს ტილოც ანახეს. თან უთხრეს რომ არც კი ვიცით ვის ეკუთვნისო.

ბაბუამ არც აცია, არც აცხელა და დანამდვილებით თქვა ვინ იყო ავტორი. ჯერ არავინ დაუჯერა, ალბათ, იფიქრეს ალალბედზე რაღაც ახირებაო. მაგრამ, მერე აღმოჩნდა, რომ ეს ვარიანტი აქამდე არავის დაუსახელებია.

როდესაც შეამოწმეს, სწორი აღმოჩნდა. კაპელამ სურათი მას აჩუქა პატივისცემის ნიშნად.

მან ჩამოიტანა ეს პორტრეტი და დაკიდა სასტუმრო ოთახში, გამოსაჩენ ადგილას.

მე პირდაღებული ვუყურებდი, მას მერე, რაც გავიგე რომ ეს ნამდვილი ორიგინალი იყო. წარმოგიდგენიათ, რენესანსის დროინდელი ორიგინალი.

თუ არ ვცდები ეს ორი წლის წინ მოხდა.

ჩვენ სამნი ჩავედით იმ ქალაქში ჩემს მეგობართან. მე და კიდევ ორნი. ერთმანეთის საცოლ-საქმრო. რამდენიმე დღით ვაპირებდით გაჩერებას.

მთელი ოჯახი სამსართულიან სახლში ცხოვრობდა. ესე იგი ბებია, ბაბუა, დედ-მამა და სამი შვილიშვილი. ეს საკუთარი სახლი იყო, ამიტომ, თითო სართულზე მგონი სამ-სამი ოთახი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ჩემს მეგობარს კიდევ ორი პატარა და ჰყავდა. უფროსები მანქანით დადიოდნენ სამუშაოდ, პატარები იქვე სწავლობდნენ სკოლაში.

ეს ოჯახი ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურად ითვლებოდა მთელს საქართველოში, ყველანი ხელოვნებაში მუშაობდნენ. მამას მაღალი ხელფასი ჰქონდა. ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორი იყო. დედა კონსერვატორიაში მუსიკის ისტორიას კითხულობდა. მოკლედ, ყველანაირად ხელი ჰქონდათ გამართული.

ყველას ძალიან უკვირს რომ არა ნომენკლატურულ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ასეთი ბინა. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ეს სახლი ბაბუის საკუთრება იყო. მგონი, თვითონ ფილიპე მახარაძემ დაუტოვა. ვიღაც რევოლუციონერი თავის დროზე აქ იმალებოდა.

მოკლედ, ბევრ ლაპარაკს აზრი აღარა აქვს. მივყვეთ პირდაპირ მოვლენებს.

მასპინძლები ძალიან კარგად დაგვხვდნენ. ჩვენი ჩამოსვლისათვის სპეციალურად ტორტიც გამოაცხვეს. უკვე გაშლილ სუფრასთან გველოდებოდნენ.

ბაბუა მაგიდის თავში იჯდა. პირველად ჩვენი სადღეგრძელო დალია:

— „თქვენ ხართ ჩვენი იმედი და მომავალი!" — ჩვენ სახეები გაგვებადრა. სასიამოვნოა ასეთი კაცისგან ამის გაგონება.

სუფრაზე უგემრიელესი საჭმელები იდო. მათზე უარის თქმა ალბათ შეუძლებელია. კარგა ხანს ვისხედით მაგიდასთან. ბოლოს, მადლობა გადავიხადეთ და წამოვიშალეთ.

ბავშვებმა რაღაც თამაში გვასწავლეს. ყველანი ვთამაშობდით, სანამ არ დაღამდა. დრო ძალიან კარგად გავატარეთ.

მერე დედამისმა ზრდილობიანად გვკითხა, გასეირნება ხომ არ გინდათო. უკვე გვიან იყო, ამიტომ უარი ვუთხარით.

— „მაშინ, უნდა დაიძინოთ. — თქვა დედამისმა — ჩვენთან ასეთი წესია. თერთმეტისთვის ყველანი ვიძინებთ".

სხვა გზა არ გვქონდა, წამოვდექით და ყველას კარგი ძილი ვუსურვეთ.

მესამე სართულზე აგვიყვანეს, უფრო სწორად, თვითონ ჩემი მეგობარი ამოგვყვა და იმან გაგვანაწილა.

ამ სართულზე რამდენიმე ოთახი იყო. შუაში კაბინეტი. მე განაპირას დავწექი, საიდანაც ფანჯრები მდინარეზე გადიოდა.

ისინი კაბინეტს იქით მოთავსდნენ. იქიდანაც კარგი ხედი იშლებოდა, ოღონდ მეორე მხარეს. მოჩანდა მთები და ტყე.

ლოგინები უკვე გაშლილი დაგვხვდა. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და დავიშალეთ.

მე ჩემს ოთახში შემოვედი. ძალიან ლამაზად იყო მოწყობილი. კედლებზე სხვადასხვა რეპროდუქციები ეკიდა. მთვარის შუქი კიდევ უფრო ალამაზებდა ამ ისედაც ლამაზ ნახატებს.

დავწექი. მაგრამ რატომღაც არ მეძინებოდა. დეტექტივის კითხვა დავიწყე. ცოტა ხანში შევატყე, რომ ვერც წიგნმა ჩამითრია. უბრალოდ ზემოთ ვიყურებოდი და ვფიქრობდი.

გრძელ, ლამაზ, ძველებურ ოთახში ვიწექი. ეს ყველაფერი რატომღაც შუა საუკუნეებს მაგონებდა. მინდოდა იმ დროს მეცხოვრა. ვყოფილიყავი ფრანცისკანელი ან ვთქვათ გრიგოლ ხანძთელის ძმობის წევრი.

საოცარია, მაგრამ ის დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ყველაზე შინაარსისაგან დაცლილად მეჩვენება. როცა ამ დროზე ვფიქრობ არავითარი ლამაზი ოცნება არ მესახება. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ყველას ასე ეგონა, როცა თვითონ ცხოვრობდა. ადამიანები მარტო სიკვდილის წინ აფასებენ ცხოვრებას. მანამდე სულ უკმაყოფილოები არიან. რაღაც მეტი უნდათ.

ამ ფიქრებში შევამჩნიე, რომ გარეთ მთლიანად ჩამობნელდა. სახლში ყველა მიჩუმდა. სინათლეები ჩაქრა. გარედან შემოდიოდა რაღაც უცნაური ხმა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ყოველთვის არის ხოლმე სოფელში, მაგრამ ვერაფრით გამირკვევია რისია. შეიძლება ჭრიჭინაცაა, არ ვიცი.

ოთახში ძველებური ფარდები იყო ჩამოკიდებული. ისინი თითქმის ანახევრებდნენ მთვარის შუქს.

თვალები გახელილი მქონდა და ველოდებოდი როდის ჩამეძინებოდა.

ამ დროს ქვემოდან რაღაც ხმა მომესმა, ძალიან გამიკვირდა. თითქოს ვიღაცეები ჩუმად ლაპარაკობდნენ.

გავიტრუნე. ყური დავუგდე, რას ამბობდნენ ქვემოთ.

გავარჩიე, რომ ერთ-ერთი დედამისი იყო, მეორე ალბათ თვითონ უნდა ყოცილიყო. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჰგავდა იმის ხმას.

იატაკს ყური დავადე.

— „ჩემ ოთახში — ამბობდა დედამისი — ამასაც მოვესწარი“.

— „რა იყო, რა მოხდა ისეთი?“ — პასუხობდა თვითონ.

— „არ შეიძლება და მორჩა“.

— „რატომ?“

— „რატომ და იმიტომ რომ არ არის მიღებული“.

— „სისულელეა“ — ამბობდა ის გაცხარებული ტონით.

— „მე არ მაინტერესებს შენ რას ფიქრობ ამაზე. ჩვენ ჩვენი მორალი გვაქვს, რას იტყვის ხალხი?!“

— „აქამდე ვერ გაიგე, რომ საცოლე და საქმრო არიან?!“

— „რითი დამიმტკიცებენ? მე არაფერი ვიცი“ — გამომწვევათ ეუბნებოდა დედამისი.

— „ჩემი სიტყვის არ გჯერა?!“

— „ვთქვათ და მჯერა. მერე?! ხალხმა ხო არ იცის“.

—„რა იდიოტიზმია, გამოდის რომ ყველაფერს ხალხის დასანახად ვაკეთებთ, არა?!“ — თითქმის იყვირა იმან. მე შემეშინდა, რომ არავის გაეღვიძა და ჩემსავით არ მოესმინა ეს უსიამოვნო ლაპარაკი.

— „გაჩერდი, გაჩერდი, თუ ღმერთი გწამს“ — უთხრა დედამისმა.

— „მე მგონია, რომ სხვის საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ. მეტს არაფერს არ ვამბობ, გაიგე?!“

— „კარგი — თქვა დედამისმა — მაშინ ისე გავაკეთოთ, ვითომ მე არაფერი ვიცი ამის შესახებ, ვითომ შენ არ გიკითხავს ჩემთვის. რა, ეგრე არ იყო? ხო მართლა არ გიკითხავს?“

— „კარგი. ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა“.

— „აი, ეხლა კარგი ბიჭი ხარ. მე ვიტყვი, რომ არაფერი ვიცოდი“.

ამის მერე აღარაფერი გამიგონია. ეტყობა, ერთ-ერთი მათგანი ოთახიდან გავიდა. ყველაფერი ისევ მიჩუმდა.

უკვე შუაღამე იქნებოდა, ჩემს თავს შევატყვე რომ თვალები მეხუჭებოდა და აღარაფრის თავი აღარ მქონდა. მალე ჩავიძინე.

მეორე დილას სასეირნოდ წავედით. ექვსივე ვიყავით. ორი ნავი დავიქირავეთ და შორს გავედით ტბაში.

მე პატარებთან ერთად მოვხვდი. ბევრი მაცინეს. რაღაც ამბებს მიყვებოდნენ და მერე თვითონ ხარხარებდნენ. ვუყურებდი და მიკვირდა, როგორ შეიძლება მიიღოს ადამიანმა უდიდესი სიხარული პატარა წვრილმანებიდან. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი რამე არასდროს გამომსვლია.

სახლში შედარებით გვიან დავბრუნდით. უნდა გვესაუზმა.

— „რატო დაიგვიანეთ?!“ — გვკითხა დედამისმა.

— „ნავებით შორს წავედით და მერე აღარ დავბრუნდით“ — ვუთხარი მე.

ცოტა ხანში მაგიდას შემოვუსხედით. მარტო ჩვენ ოთხი და დედამისი. პატარები საკუთარ ოთახში შევიდნენ. როგორც ეტყობა, სამეცადინო ჰქონდათ. მამა სამუშაოზე იყო. ბებია და ბაბუა ზემოთ ისვენებდნენ.

— „გადაიღეთ, გადაიღეთ — ამბობდა დედამისი — ლევან, შვილო შესთავაზე ბავშვებს საჭმელი“.

ლევანმა ყველას გადმოგვიღო გემრიელი საჭმელები.

ჩუმად ვჭამდით. იშვიათად დედამისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდილობის გულისათვის რაღაცას თუ გვკითხავდა.

— „ზუკა, შენ რომელ კურსზე ხარ?" — მკითხა მე.

— „მესამეზე".

— „ხო, ხო, სულ დამავიწყდა. რეზო?!"

— „მე, მეოთხეზე" — უთხრა რეზომ.

— „ალბათ ძალიან საინტერესოა არა სწავლა?" — ეს შეკითხვა ყველას გვეკუთვნოდა.

— „ისე რა" — ვთქვი მე.

დედამისს სახეზე გაკვირვება შეეტყო.

— „ჩვენ დროს სუ სხვანაირად იყო. ყველა მუშაობდა და სწავლობდა".

— „არ მჯერა" — უცებ ჩაერთო ლევანი.

— „ნუ გჯერა. მე ხო ვიცი რომ ეგრე იყო".

ამის მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. საუბარი ვერ ავაწყეთ. ყველანი დაძაბულები ვისხედით.

პირველად ისევ დედამისმა დაილაპარაკა.

— „როგორ გეძინათ, ბავშვებო?!"

— „კარგად" — ვუთხარი მე.

— „ალბათ ნათიას მარტო მოწყინდა" — ტაქტიანად იკითხა ლევანის დედამ.

— „არა, მე მარტო არ ვიწექი" — მორცხვად თქვა ნათიამ. თან საშინლად გაწითლდა.

— „როგორ?"

— „მე და ნათია ერთად ვიწექით — აუხსნა რეზომ — კაბინეტის გვერდზე ზუკას ეძინა".

— „დედა, ჩემი სიკვდილი, ესე იგი თქვენ ერთად იწექით? — თქვა ანერვიულებულმა დედამ — ლევან, რატო არ მითხარი".

ლევანს ისეთი გაბრაზებული თვალებით შეხედა, რომ ერთ ხანს ვიფიქრე, იქნებ გუშინდელი ლაპარაკი მოძელანდა ან დამესიზმრა-მეთქი.

ისედაც დაძაბულები ვიყავით. ეხლა ყველა ძარღვი დასკდა.

ნათიას წითელ სახეზე რამდენიმე პატარა ცრემლი გადმოგორდა. ძალიან ლამაზი გოგოა, მაგრამ ტირილი რომ ასე მოუხდებოდა არ მეგონა, რეზოც ნემსებზე იჯდა. ეს სახეზე ეტყობოდა.

ლევანს ხმა არ ამოუღია, ჰამას აგრძელებდა.

დედამისი ხან მე მიყურებდა, ხან რეზოს. თითქოს რაღაცას ელოდა ჩვენგან. რეზო მიხვდა ამას,

— „იცით რა, ქალბატონო ნანა, თქვენ ალბათ არ იცოდით, ჩვენ ცოტა ხანში ჯვარს ვიწერთ".

— „აი, რო დაიწერთ, მერე რაც გინდათ ის ქენით. ეხლა რას იტყვის ხალხი. მომეჭრა თავი და ეგ არის".

მე აღარ ვიცოდი რა მექნა, ისე დავიბენი. მერჩივნა საერთოდ გავმქრალიყავი ან პატარა ჭიანჭველად გადავქცეულიყავი.

ლევანმა თავი აწია. შეეტყო რომ საშინლად იყო გაბრაზებული.

— „დედა, ეს ჩვენი საქმე არ არის" — თქვა ბოლოს.

— „აბა რა არის ჩვენი საქმე?!" — გადაუბრიალა თვალები დედამისმა.

— „მე ვიცი ჩემი საქმე რაც არის და შენ არ იცი" — უთხრა წყნარად ლევანმა.

— „ხედავთ ბავშვებო, რეებს მეუბნება ეს უზრდელი?! — ჩვენ მოგვიტრიალდა დედამისი — ეს იმიტომ, რომ გავზარდე, თან გადავყევი. აი, რას უნდა ელოდე შვილისგან. მითხარი მაინც რატო, რისთვის?"

მერე მოთქმით დაიწყო ტირილი. არც კი ვიცოდი როგორ დამეწყნარებინა. ან საერთოდ სჭირდებოდა თუ არა დაწყნარება.

— „რისთვის და იმისთვის, რომ ყველას ცხოვრება უნდა გაუმწაროთ" — თქვა უცებ ლევანმა და მაგიდიდან წამოდგა — ის ხო არ შეგიძლიათ, რომ ვინმეს საქმეში არ ჩაერიოთ, ვინმეს სიცოცხლე არ დაუმახინჯოთ. მეზიზღებით ყველანი".

ამ სიტყვების შემდეგ ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. ყველანი გაშეშებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები ვისხედით. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ვიღაცამ მოგვნუსხა.

ცოტა ხანს ასე ჩუმად ვისხედით. მერე დედამისი ისევ შემოგვიტრიალდა.

— „აი, ასეა ყოველდღე. არ ვიცი რა უნდა ჩემგან. სულ მეჩხუბება, ეს იმიტომ, რომ პატიოსანი ქალი ვარ. არ ვიპარავ, ხალხს არ ვხოცავ და კიდევ სხვა რამეებს არ ვაკეთებ. აი, მაგიტომ" — ამას ისტერიული ხმით ამბობდა.

ჩვენ ვერაფერს ვეუბნებოდით, ერთი სული გვქონდა, იქიდან გავსულიყავით. საჭმელი ისე გაცივდა, რომ თითქმის პირი არ დაგვიკარებია.

ბოლოს, როგორც იქნა, ავდექით მაგიდიდან და მადლობა გადავიხადეთ. როცა ოთახიდან გამოვედი, მთელი ლოდი ჩამიწყდა გულიდან.

ერმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. ისინი თავის ოთახში გავიდნენ, მე ჩემთან შემოვედი.

ლოგინზე წამოვწექი. ვფიქრობდი რა გამეკეთებინა, მაგრამ ტვინი არ მიმუშავებდა, არაფრის მოფიქრება არ შემეძლო.

ასე ვიწექი უაზროდ და ჭერში ვიყურებოდი.

ამ დროს ოთაახში რეზო შემოვიდა.

— „იცი რა, ზუკა — მითხრა ჩუმად — მე მგონი ჯობია ჩვენ აქედან წავიდეთ".

— „როგორც გინდა" — ვუთხარი მე. მაგრამ ძალიან გამიხარდა. იმიტომ, რომ გულში მეც ძალიან მინდოდა ჩქარა წასვლა.

— „არა, შენ არა — თქვა უცებ რეზომ — მე და ნათია წავალთ, უხერხული რო არ გამოვიდეს, რამეს მოვიმიზეზებთ:"

— „მე არ მინდა დარჩენა!"

— „ლევანს ეწყინება. ხო ხვდები როგორც გამოდის".

— „კარგი, კარგი. შენი გულისთვის გავაკეთებ".

რეზომ გაიცინა და გავიდა. მე მივხვდი, რომ ასე უცებ აბარგება მართლა უხერხული იქნებოდა. თანაც ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კიდევ რამდენიმე დღეს დავრჩებოდით. ამიტომ გადაწყვეტილების შეცვლა არ შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, რაიმე მიზეზი მაინც უნდა ყოფილიყო.

იმ საღამოს ისინი წავიდნენ.

ყველამ გააცილა ლევანის გარდა. დედამისი ცივად გამოემშვიდობა.

ლევანი თავისი ოთახიდან არც გამოსულა. საერთოდ, როცა მუშაობდა, ვერავინ ბედავდა შესვლას.

დაღამებამდე პატარებს ვეთამაშებოდი. ძალიან მართობდნენ. ყველა სიტუაციაში რაღაც მხიარულს იგონებდნენ. ეხლაც, სასაცილო თამაში მოიგონეს და ერთად ვიძრომიალეთ მაგიდების ქვეშ. ბოლოს ბებიაც შემოგვიერთდა.

ისე გავერთე, რომ ერთ ხანს გადამავიწყდა კიდევაც მთელი ეს ამბავი. ძალიან შემიყვარდა ლევანის პატარა დები. მგონი იმათაც.

იქ ყოფნის დროს შევამჩნიე, რომ თვითონ ლევანს თითქმის არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია დებთან. ისე, აუცილებლობის ფარგლებში ელაპარაკებოდა ან შეკითხვებზე პასუხობდა.

ამის მერე ჩემს ოთახში ავედი, ზემოთ. დიდ ხანს ვკითხულობდი დეტექტივს. იმ ღამესვე დავამთავრე. ძალიან მომეწონა ბოლო. მერე თავი დავდე და მთვარეს ვუყურებდი. თან ვფიქრობდი.

ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა არის თუ არა სადმე, რომელიმე პლანეტაზე სიცოცხლე, სადაც ჩვენნაირი ადამიანები დადიან და თუ არის, რას აკეთებენ მაშინ. იქნებ ჩვენზე უფრო ჭკვიანურად მოიგონეს დროის მოკვლის საშუალებები.

იმ ღამეს უცნაური სიზმარი ვნახე. ვითომ ერთ-ერთ პლანეტაზე გავფრინდი. ვიღაცეებს ვებრძოდი გაუთავებლად და მიკვირდა, რატომ ვებრძვი. ჯერ ხომ არ ვიცი მტრები არიან თუ მოყვრები, მაგრამ მაინც ვეომებოდი. ბოლოს რაღაც უშველებელი ურჩხული გამომეკიდა. მოვრბოდი და ვიცოდი, რომ აუცილებლად დამეწეოდა. იმ მომენტში, როცა უკვე ხელი მტაცა, ყვირილით გამოვიღვიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოვაჩინე, რომ არავითარი ურჩხულებიირგვლივ არ იყვნენ. ძალიან გამიხარდა. ვიფიქრე, რა ბედნიერებაა, როცა არავისი არ გეშინია. ყოველ შემთხვევაში ის მაინც იცი, რომ დევი არ მოვა და არ შეგჭამს.

საათს შევხედე. უკვე თორმეტი სრულდებოდა. დილით არ მიჭამია. საშინელი დამშეული ვიყავი.

სახლში რაღაც უცნაური სიჩუმე იყო. გამიკვირდა. საერთოდ, ამ დროს ყოველთვის ხმაურია ხოლმე.

ჩავიცვი და ქვემოთ ჩაველი. დიდ ოთახში არავინ დამხვდა. მერე დავინახე, რომ გარეთ ლევანის და იდგა. გაველი და გვერდზე მივუდექი.

— „აა, ზუკა" — სერიოზული ტონით მითხრა იმან.

— „როგორ ხარ?" — ვკითხე მე და გავუცინე.

— „არა მიშავს"

— „სად არიან სხვები?" — ბოლოს ვერ დავმალე ჩემი ინტერესი.

— „წავიდნენ ლევანის მოსაყვანად" — ისევ სერიოზული და ცოტა ნაღვლიანი ტონით მითხრა.

— „როგორ ლევანის მოსაყვანად?!"

— „როგორ და ისე, ლევანი გაიპარა. დაიბარა აღარ დავბრუნდებიო".

„აა, გავიგე" — ვთქვი მე გულში. რეზოს ვემდურებოდი. ვიფიქრე წინა დღეს რომ წავსულიყავი, ამ ამბავს მაინც გადავურჩებოდი-მეთქი. კაცმა არ იცის, შეიძლება ასეთი ბედი მაქვს.

— „ხო, მართლა — მითხრა უცებ იმან — შენ რაღაც წერილი დაგიტოვა. შენს ოთახში დევს, დილით ამოგიტანე".

გაკვირვებისაგან ხმა ვეღარ ამოვიღე. მეგონა გული გადამიტრიალდებოდა. ვერა ვხვდებოდი რაში უნდა ყოფილიყო საქმე.

ზემოთ ავედი. მაგიდაზე მართლა იდო რაღაც დაკეცილი ქაღალდი. დილით ყურადღება არ მიმიქცევია.

ქაღალდი რამდენიმეჯერ იყო გადაკეცილი. ზემოდან ეწერა „ზუკას".

გავხსენი. წერილი ორ ფურცელს იკავებდა. კარი ჩავკეტე და კითხვა დავიწყე.

აი, ისიც:

„მაპატიე, რომ არ გაგაფრთხილე და ისე წაველი. ჩემს მაგივრად ბოდიში მოუხადე რეზოს და ნათიას. არაფერს არ გთხოვ. უბრალოდ, მინდა რომ სწორად გამიგო.

ამ წერილს შენ გწერ იმიტომ, რომ ამ წუთას არავინ მყავს გვერდზე შენზე ახლობელი. ჩვენ არასდროს ვყოფილვართ უახლოესი მეგობრები, მაგრამ რატომღაც ყოველთვის მეგონა რომ შენ შეძლებდი გაგეგო ჩემთვის. ამიტომ არ მივწერე ვინმე სხვას. მით უმეტეს, რომ ჩემს საკუთარ ოჯახში ვარ. მე გეტყვი: ეს სახლი ჩემთვის უღაბნოდ გადაიქცა. აუტანელია აქ ცხოვრება. უკვე რამდენიმე წელიწადია მე აღარავითარი საერთო არა მაქვს ჩემი ოჯახის წევრებთან.

შენ ალბათ გაგიკვირდება. რატომ? ალბათ ყველა ნორმალური ადამიანი ასეთ შეკითხვას დასვამს.

მე ყველაფერს თავიდან ვიტყვი, მით უმეტეს, რომ არც ისეთი გრძელი ამბავია. იმედი მაქვს, რომ ბოლომდე ჩაიკითხავ ამ წერილს და ჩემს პატარა დავალებასაც შესრულებ, რისთვისაც წინასწარ მადლობას გიხდი.

სახლიდან გაქცევა ადრეც მინდოდა. უბრალოდ შემთხვევას ველოდებოდი. აქამდე აუცილებლად წავიდოდი, შესაძლებლობა რომ მომცემოდა.

მაგრამ ჩემს მონდომებას სიმტკიცე აკლდა. სიმტკიცე იმაში, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გამოსავალი, რომ არ არსებობს სხვა გზა. ეხლა კი ყველაფერი გასაგებია. რაც მთავარია, ვიცი როგორ მოვიქცე.

მე მივდივარ და მივდივარ ცივი გულით. არც ერთ შემთხვევაში უკან აღარ დავბრუნდები. ეს მინდოდა მეთქვა და გთხოვ რომ ასე გადასცე ყველას.

შენ ალბათ კიდევ ერთხელ მკითხავ. კი მაგრამ რატომ მიდიხარ? სად მიდიხარ?

მე ვეცდები ორივე კითხვაზე გიპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხო და კიდევ ხუთი წუთით მოგაცდინო შენს საქმეებს.

შენ ბავშვობიდან მიცნობ. ალბათ იცი, რომ ძალიან ცუდი ხასიათი არა მაქვს. ჩემი გაბრაზება არც ისე ადვილია.

ბავშვობაში, თუ გახსოვს, თამაშის დროს ყოველთვის ვცდილობდი სუსტის მხარე დამეჭირა. თავს არ ვიქებ. შეიძლება ეს არც არის კარგი თვისება. მაგრამ, მე ასეთი ვარ და საუბედუროდ ველარ გადავკეთდები.

ზოგს შეუძლია გულგრილად უყუროს როგორ აწვალებენ და კლავენ ადამიანებს მის გვერდზე და ამის მერე კიდევ ფეხბურთზე წავიდეს. მე მშურს იმათი. იმიტომ, რომ ეხლა ალბათ ასეთების დრო მოვიდა.

მე არ შემიძლია შევიკავო თავი, როცა რაღაც საშინელი ძალა შიგნიდან მაწვება და გარეთ გამოსვლას მოითხოვს. იქნება ეს პროტესტი თუ სიხარული. ყველაფერ ცუდთან შეგუება ჩემთვის სიკვდილია.

მე არ შემიძლია ვიცხოვრო იმათთან ერთად, ვისთან ცხოვრებაც შეუძლებლად მიმაჩნია.

თავი მოგაბეზრე ჩემი თვისებების ჩამოთვლით.

ბავშვობაში ბედნიერი ვიყავი. საკუთარი თავი მეგონა მსოფლიოში საუკეთესო დედ-მამის შვილი. ჩემს ოჯახს გარეთ ცხოვრება არ წარმომედგინა. ვამაყობდი ბაბუაჩემით. მინდოდა მეც მისნაირი ჭკვიანი ვყოფილიყავი. მეგონა, ბევრი კარგის გაკეთება შეიძლებოდა.

ამასობაში დრო გადიოდა. ნელ-ნელა გავიზარდე. სხვა ინტერესები გამიჩნდა. მეგობრებში მერჩივნა ყოფნა, ვიდრე სახლში. გარკვეულ ასაკში ალბათ ყველა ასეა.

პირველი პროტესტი მაშინ გამიჩნდა, როცა უკვე დიდმა შევატყვე, რომ ოჯახში სულ ცდილობდნენ ჩემთვის ჭკუა ესწავლებინათ. საშინლად მაღიზიანებდა ეს მენტორული ტონი. ყოველთვის მინდოდა რამე მეპასუხა, მაგრამ, ჯერ კიდევ მჯეროდა რომ ისინი სწორები იყვნენ, რომ იმათ ყველაფერი იციან, ამიტომ არ ღირს კამათი.

მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ვატყობდი, რომ სულ უფრო მეტ შენიშვნას მაძლევდნენ. თან ყველანაირ წვრილმანებზე. „პური როგორ დადე", „წადი კარი გააღე" და ასე შემდეგ. მიკვირდა რომ ასეთ ჭკვიან ხალხს შეეძლო ამდენი ეფიქრა ამ სისულელეებზე. ვერ ვხვდებოდი რაში იყო საქმე და ისევ ჩემს თავს ვამტყუნებდი.

დიდებს სიამოვნებას ანიჭებთ ყველაფერზე ჭკუის დარიგება. გეგონება ის, რასაც ამბობენ, უკვე დამტკიცებულია. გიმტკიცებენ და დარწმუნებულები არიან რომ სხვანაირად არ შეიძლება. თითქოს ეს ყველაფერი პროფესიად გადაექციათ. იმ პერიოდში უკვე გული აღარ მიჩერდებოდა სახლში. ხშირად გავდიოდი მთელი დღით და აღარ ვბრუნდებოდი.

რაღაცეებზე ჩემი აზრი ჩამომიყალიბდა. ცხოვრებას უკვე ჩემებურად ვუყურებდი. რაც მთავარია, ეს მშობლებს აღიზიანებდათ. არ შეიძლებოდა რამე განსხვავებული მეთქვა, საკუთარი აზრი მქონოდა. მე ასე მივხვდი.

ჩემი ყველაზე დიდი უბედურება სხვა არის. ყველაფერს ავიტანდი, ის რომ არ დამენახა.

ადრე, როცა მშობლები კრისტალურად პრინციპულები მეგონა, ჩემს პროტესტს არ ვავლენდი. ალბათ არც მქონდა ამის უფლება და ეს ძალიან კარგად ვიცოდი.

მაგრამ, მერე ყველაფერი გადატრიალდა. საერთოდ ვერ გავერკვიე ვერაფერში.

ისინი ყველაფერზე რეაგირებას ახდენდნენ. პატარა უწესრიგობაც კი ნერვებს უშლიდათ. მზად იყვნენ ყველას ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ, ოღონდ თავისი ნორმები დაეცვათ. ის რაც „სწორი" ეგონათ.

მაგრამ, მე მივხვდი, რომ სინამდვილეში ისინი სულ სხვანაირები არიან. ყველაფერს აკეთებენ. აბსოლუტურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერს. იმათთვის არ არსებობს ნამდვილი მორალი, ნამდვილი პატიოსნება. ყველაფერი მოჩვენებითია, გამოსაჩენი. ისე, როგორც «Анна Каренина»-ში.

ადამიანი, რომელიც გასწავლის თავისუფლების სიყვარულს, შენს თვალწინვე კლავს ყოველ ნაბიჯზე ამ თავისუფლებას. ის ვინც სიყვარულს გიქადაგებს, სულ იმის ცდაშია რომ ვინმეს რამე აწყენინოს. ვისაც უშიშარის და ვაჟკაცობის პრეტენზია აქვს, თვითონ არის პირველი მლიქვნელი.

აი, ეს აბსურდული წრეც.

მე ვიცოდი, რომ, რაზეც ისინი დგანან, არამყარია. ეს შენობა ვერ გაძლებს და დაინგრევა. მაგრამ ახალის აშენების ძალა იმათ აღარ აქვთ.

ალბათ, ამას პირველ რიგში თვითონ გრძნობდნენ და ამიტომ ამტკიცებდნენ თავის სიმართლეს, იმიტომ რომ არ ყოფნიდათ ვაჟკაცობა საკუთარი შეცდომა ეღიარებინათ. შეიძლება არც უნდოდათ, ჩვენც იმ გზაზე უნდა გაგვისტუმრონ, რომელიც თვითონ დაიგეს. ჩვენც იმათ ნორმებს უნდა დავემორჩილოთ. ყველა ის, ვინც დაარღვევს მათ, აუცილებლად ცუდი ადამიანია.

უამრავი შემთხვევა მქონდა იმისთვის, რომ დამენახა ეს ყველაფერი. ერთ წუთში მაგიდასთან კაცი ამდენ ტყუილს ვერ მოიფიქრებს.

ამის მერე შევიძულე ისინი. აღარც ერთი მათგანის დანახვაც არ შემეძლო. ყველანი ჩემს დანგრეულ ოცნებებს მაგონებდნენ.

ეხლა თვალებიდან ცრემლები მომდის. ის, რისიც მე მწამდა, აღარ არსებობს. შენ არ იცი, რა საშინელებაა ეს ჩემთვის. საკუთარ მშობლებში დავინახე ყველაფერი ცუდი, შესაზიზღი. არა, მარტო ჩემს მშობლებში არა. ყველა იმაში, ვინც თავის წყნარ, უაზრო ცხოვრებას იცავს სილამაზისაგან, თავისუფლებისაგან. ვისთვისაც ტყუილის თქმა უკეთესია, ვიდრე რაღაცისთვის ბრძოლა. ვისაც საკუთარი სინდისი მოთვინიერებული ჰყავს.

ისინი ძალიან ძლიერები არიან. იმიტომ, რომ უმრავლესობა ასეთია. იმათ შეუძლიათ ყველას ცხოვრებაში ჩაერიონ, არ მისცენ საშუალება იყვნენ ბედნიერები. ეს ერთი შემთხვევა არ არის, უამრავი ყოფილა და იქნება. როცა არავის ესმის რას აკეთებს, მაგრამ, მაინც არ ჩერდება, იმიტომ, რომ ამას მოითხოვს რაღაც უხილავი წესი. ჩემთვის აუტანელია მეშჩანური მოქცევის ნორმები, რომლებსაც არაფერი მოაქვთ გარდა უბედურებისა და უსახურობისა.

კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს, რომ თავი მოგაბეზრე ამდენი მსჯელობით. მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია. შეუძლებელია უყურო სისაძაგლეებს და წყნარად აიტანო ისინი შენს გვერდზე, როგორც ამას უფროსები აკეთებენ.

მე არ ვამბობ, რომ შევძლებ ამ ფორმალური და უაზრო ურთიერთობების წრის გარღვევას. მაგრამ ყველანაირად ვეცდები მიყვარდეს ისე, როგორც თვითონ მინდა და მძულდეს ის, ვინც ჩემგან დაიმსახურებს ამ სიძულვილს.

იქნებ შენ მითხრა, რომ მე ურთიერთობებს გავურბივარ. ალბათ სწორია, მაგრამ აქ მე ვგრძნობდი, რომ საშინლად არასრულფასოვანი ვიყავი, ჩემი ადგილი ვერაფრით ვიპოვე.

მინდა წავიდე ბუნებაში. იქ, სადაც არავინ დაადგენს მოქცევის ნორმებს, იქ სადაც თავისუფალი ვიქნები. იმედი მაქვს, რომ იქ მაინც ვისწავლი, როგორ ვიცხოვრო და როგორ მოვკვდე. ვიპოვი ჩემს გზას.

გადაეცი ყველას, რომ მივდივარ ცივი გულით. არავინ და არაფერი ჩემთვის აღარ არსებობს. ჩემს დაბრუნებაზე არც იფიქრონ.

მე არავის ვადანაშაულებ იმაში, რაც შემემთხვა.

ლევანი.

ძალიან გთხოვ არ გეწყინოს, რომ ეს უსიამოვნო დავალება შენ მოგეცი. ათასჯერ ბოდიში შენც და ყველას".

წერილი რამდენჯერმე წავიკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე გადავწყვიტე ცოტა ხანს ისევ ჩამეძინა, ვიფიქრე რომ ამ დროისათვის ყველა დაბრუნდებოდა.

დაახლოებით სამი საათის შემდეგ გავიღვიძე. წერილი ჯიბეში ჩავიდე და ოთახიდან გავედი.

ლევანის და ტელევიზორს უყურებდა.

— „ზუკა, დედაჩემთან შედი ერთი წუთით".

— „ეხლავე" — ვუპასუხე მე.

დედამისი თავის ოთახში იყო. ლოგინზე იწვა. მომეჩვენა რომ თვალები გაშეშებული ჰქონდა. ზემოთ იყურებოდა.

რომ შევედი შემამჩნია.

— „მოდი, შვილო" — მითხრა წყნარად.

მე სკამზე დავჯექი.

— „ყველგან ვეძებეთ. არსად არ არის" — თქვა და ტირილი დაიწყო.

ვერაფერი ვთქვი. უბრალოდ ამოვისუნთქე.

— „როგორ ფიქრობ, აღარ დაბრუნდება?!" — როცა ეს მკითხა, შევამჩნიე, რომ ბოლო იმედებიც ეწურებოდა. გულწრფელად შემეცოდა ეს ქალი, რომელიც ადრე ჩემში მარტო შიშს და მორიდებას იწვევდა.

— „ალბათ არა" — ვუთხარი მე.

ოთახი ნახევრად ჩაბნელებული იყო. მაგრამ მაინც კარგად მოჩანდა ის პორტრეტი, რომელიც რენესანსის ოსტატმა დახატა. რატომღაც მომეჩვენა, რომ ის არისტოკრატი ქალი მიღიმოდა და თან რაღაცას მეუბნებოდა. მაგრამ რას, არ ვიცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამარ შალამბერიძე

## ირმები

თავისუფლება სულს ისე მოსწყუროდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა.

გალაკტიონი

გადენეს!
  დაჭრილი ირმები გადენეს
იმ წმინდა წყაროდან,
  იმ ნანატრ წყაროდან,
რისთვისაც გადახდათ
  ხიფათი ამდენი!
რისკენაც მიქროდნენ
  და მიუხაროდათ!

გარეკეს!
  მწყურვალი ირმები გარეკეს!
ვერ დაიწყაროვეს
  სულ ერთი ყლუპიცა.
და კი არ მიადგნენ
  თავისით ფარეხებს,
თითქოსდა ვიღაცამ
  იქითკენ უბიძგათ...

ირმებს სულ სხვა წყრომა
  უელავთ თვალებში!
ყველა თითო-თითოდ
  გულს ცრემლით იბანავს
და თავისუფლების,
ცეცხლოვან ალერსით
ბალანატრუსულნი
  რქით ჩხვერენ მიწასა...

## სიმართლის სპექტაკლი

ალს შესტრფის ალი!..
ჩაწმახნია სხეულს სხეული!..
ტრფობის ძალა კი
იმგვარია, — ტკაცუნი ისმის...

ზოგი იმდენად
სუსტი გახლავთ და უდღეური,
რომ ნატამალიც
აღარ რჩება როლიდან მისი...

ალს ჰკოცნის ალი!..
ნაპერწკლები დავლურს უვლიან!..
ვინ არის იგი? —
ბებერ კუნძს რომ მიაგო წყენა? —
ტირის საბრალო,
ერთიანად გალუმპულია...
დიდსა თუ მცირეს
ტრფიალების სახმილი ცელავს!..

ცეცხლოვან სპექტაკლს
ცეცხლოვანი დასასრული აქვს:
სიყვარულისგან
სწორედ ფერფლად ქცეულა ყველა!..
ხოლო, ეს კვამლი? —
მეგონება მათი სულია, —
ტოვებს ასპარეზს
და მიიწევს სივრცეში ნელა...

ამგვარ დღეშია
ჩემი ბუხრის პაწია სცენა
და ერთადერთი
მაყურებლის დაღლილი მზერა...

## პოეტი და ბედისწერა

ჰე, ბედისწერავ, სადღაც, მარიხზე!
რაკი მომმადლე ხვედრი პოეტის,
ავი თვალისგან შენვე დამიხსენ,
დაე, გიგულო გვერდით ყოველთვის.

რა ოხრად მინდა მაშინ ოცნებაც,
ანდა ამ ლექსის წერას რა მრჯიდა,
თუკი არასდროს აიტყორცნება
ტოროლა ჩემი სულის ვარჯიდან?!

ჩამომაშორე ღვარძლის ღრუბელი,
ქარი დამკრავდეს ვიდრე ცხრაპირი;
არ ამიცრემლდეს კვლავ ცის უპენი,
არ გამიმწარდეს კიდევ აპრილი...

შენ გვედრის ჩემი აზრიც, გონებაც,
გადამიმწვანე სულის კორომი,
რომ ფოთლის ენით სთქვან
სტრიქონებმა
აზმანი შენდა საამბორონი!..

ჰე, ბედისწერავ, უზენაესო!
მხოლოდ მე ერთი შეგრჩი
გულწრფელი!

უნდა სათხედად გულზე დაესო,
ვინც შენს განგებას ეჭვით უცქერის.

შენი ვარ, შენი, ჩემო ძირ-ძველო,
უფსკრულის პირას მოასპარეზე!
რაა პოეტი უბედისწეროდ,
ან შენ — პოეტის ჯვარცმის გარეშე?!

## გმადლობ, განგებავ!

განხმული იყო ჩვენსა ზედა
ცისკრის კარედი,
ხოლო გზას ჩათქმულ ვარსკვლავამდე
ღიმილს ვუთმობდით.
როგორ გვიყვარდა... სულ გვიყვარდა
ჩვენ ერთმანეთი,
მაგრამ ერთმანეთს არასოდეს
არ ვეკუთვნოდით!..

მეტი სიფრთხილით თვალს
ვუხვევდით,
ჭრელ ბრბოს, მეტადრე,
ზოგჯერ შეხვედრით სულს
ვითქვამდით,
ჩუმით, მყუდროთი...
მივუყვებოდით აჩემებულ ბილიკს
ერთადერთს,
მაგრამ ერთმანეთს არასოდეს
არ ვეკუთვნოდით!..

პირზე ვეკერეთ მტერ-მოყვარეს,
ღამის ქვეყანას,
თუმც წყალწაღებულს, მაინც
ერთურთს
იმედს ვუთბობდით...
დამბადებელმა ორივენი ერთგზის
შეგვყარა,
მაგრამ ერთმანეთს არასოდეს
არ ვეკუთვნოდით!..

ბოლოს იძალა ავმა ენამ, —
ღვარძლით დაგვცოფა,
სალბუნს სულისას ვნებდებოდით
მხოლოდ წუთობით...
ერთმანეთისთვის, რომ იტყვიან,
დავჩდით ამ სოფლად,
მაგრამ ერთმანეთს არასოდეს
არ ვეკუთვნოდით!..

სხვა რაღა დაგვრჩა? — იმ დღეების
ხსოვნას შევფუთნით, —
ხომ ყველას გვმართებს ერთხელ
სკივრის
ამოლაგება?!
მოგონებითღა მარტოოდენ ერთურთს
ვეკუთვნით!..
ამ უმცირესი მადლისთვისაც,
გმადლობ, განგებავ!..

## გაპარვა

ღამე.
ბაქანი.
მყუდროებას ნაგაზი უყეფს.
ჩვენ კი ვსაუბრობთ,
და ძველია თემა საუბრის.
შენივე კაბით
მე გიფარავ მთვარისფერ მუხლებს,
რადგან ვგრძნობ,
მავანს
ხარბი თვალი როგორ გაურბის...

## ამაოება

ჩვენ — მიმავალნი,
მივდივართ ყველა.
ის — მომავალი,
მოდის მუდმივად;
ჩვენ — უიმისო,
ის კი — უჩვენო,
ნეტა, ერთმანეთს
რაში ვუნდივართ?!.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დილარ ივარდავა

•

შორეულ დღეთა —
ტანჯვის თუ გვემის —
ბავშვობის ლაღის —
შეკვეცა ფრთების;
მამული ჩვენი —
ჯვარცმული გემი —
ჩრდილი პონტოზე
კავკასის მთების!
გავჩნდით და მერე
არ გვწყალობს ღმერთი!
იდგა წუხილი
ვარსკვლავთა ზედა!
მარადიული და... ერთადერთი,
მხოლოდ შენ იყავ,
სამშობლო დედავ!
უძლებდი წარღვნას
მაშინ და მერეც,
გაჰყევ მხედრულად
კრულ დღეთა დენას,
უმკლავდებოდი
დაქცევის მერეხს,
გშველოდა მუდამ
მაღალი რწმენა!
იყო ღალატი,
მტრობაც და იჭვიც,
ჩვენთა ოცნების
ვერსკვლავთა ცვენა —
მუდამ გვწყალობდა
ხმლის გვერდით ნიჭიც
და ნიჭთან ერთად
ღვთიური რწმენა!
თუმც ვერ გავიგე
რომელი ტყუის —
ეშმას მათრახი
თუ მსრბოლი ჰუნე!
რეკავს ზარი და...
მე ვიღებ ყურმილს —
ყურმილში ვისმენ
განყვეტილ ჟუმერს!
უნდა აკრეფა
გაფანტულ ბგერებს,
იმედი — იმედს,
რწმენას კვლავ რწმენა!
ო, ჩანგო ჩემო,
ყალბს დაიმღერებ,
თუ მამულისთვის
გული არ ღელავს!

•

მანძილს ზომავენ,
ტვირთს წონიან, —
(რაც თავი მახსოვს),
მეტრო-არშინით,
საჟენით თუ
სასწორ-გირებით;
მაგრამ მითხარით
მწუხარებას,
ან მიხდილ სასოს
რითი გაზომავ,
რით ასწონი,
რა დაპირებით?!

•

არც ყოჩივარდა,
არცა კუნელი,
არც ია-ია,
ხეც არ დგას ზღმარტლის —
ქრებიან თვალწინ საუკუნენი,
ჭმუნვით დავყურებ
ჰორიზონტს-მარტვილს.
ტყე აქ არ ტყეობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე მზეობს ალარ!
მდინარეს გულში ჩასცეს
ლახვარი, —
ეჰ, წარმავლობის სასტიკმა ტალღამ
სიძულვილი შვა —
რალაც ახალი!

●

ტაძარში უფლის მსახურნი
საუფლო სანთელს ლევენთავენ,
ბატონების და მონების
ვერრა გავიგე, ღმერთმანი.

ზოგჯერ მონა სჯობს
ბატონს და...
ზოგჯერ მონას სჯობს ბატონი,
ეგაა:
ბოლოს ხვდებიან
არსთა გამრიგეს მარტონი:

ამიტომ სანთელ-საკმეველს
თუ მისდევ, ისიც იცოდე:
ეგ გული მხოლოდ სიმართლის
შუქისთვის უნდა ინთოდეს!

### რუხის ციხესთან

აქ როცა მოვალ,
ჩუმად ვკითხულობ,
შორთა მწვერვალთა
ახლომხედველი:
— სად ჩაიფერფლა
ის კირითხურო,
ვინაც ალმართა
ესე კედელი?!

●

კვალი. ნაკვალევი.
გადახნულა
სვე და...
განა შვებას ველი,
სევდა, ისევ
სევდა!
ინწვის სულში იჭვი
და სულს არ აქვს მოცლა,
ახლა ძალზე მიჭირს
დაკარგულზე ლოცვა!
არ მაბრუებს უკვე
შენთა თმათა სუნთქვა;
ჩვენი სიჭაბუკე
დარჩა მაინც სუფთა!
...ქარის კვნესა,
ქარის გმინვა,
დაგვიბედა ღმერთმა, —
ტირიხარ და...
განა ვლირვარ
შენი ცრემლის წვეთად?!

●

ვიცი — ამ ბრბოში
თბილად მიხსენებ,
თუმც ავყოლილვარ მეც ბედისწერას,
თუ მიხსნის ვინმე —
შენ, შენ ისევე,
შენგნით სჭირდება დენს დამიწება!
თორემ დამლუპავს
სურვილი ფრენის,
რამდენს ზევიწევ —
ძირს ვენარცხები.
შენი ბრალია დღეს ყველაფერი:
გავმდიდრდები
თუ გავიძარცვები!

●

ქვეყანა ჩვენს წინ გადაბრუნდა,
გვეგონა: მზე ჩვენთან მორბოდა, —
გააბა ათასი აბლაბუდა
უთვალავმა ყვითელმა ობობამ.

სიმართლე ფეხებს მიიმტვრევს ისევე,
ვერ ამყოფებ კივილს მუნჯად;
საფლავამდე ბილიკის სისველე
ია-იებს ამოხეთქავს
ბლუჯა-ბლუჯად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილო სისხლი დაიწმინდე,
მწყემსო კეთილო, მიხედე ფარასა!
შენი კოლხიდა,
შენი მთაწმინდა
აქციე წმინდანთა პარნასად!

●

რა ნუგეში ვცე,
რა, ვუთხრა
დღეს ამ შაოსნებს —
9 აპრილიდან
რომელთ ვხედავთ
სასაფლაოზე?!

ჭკნებიან ვარდნი —
ქრება დედათ დღეთა ალობა,
ან რაღა არის
მზე მათი და...
მათი ქალობა?!
სურო და ხავსი
იმედისგვარად
საფლავზე უჩანთ, —
სასაფლაოსკენ!

ეგლა დარჩათ — ის ერთი ქუჩა,
რომელიც, ალბათ, გაგრძელდება
ან და მარადის,
იმ ნუგეშისმცემ სიკვდილამდე —
კუბოს კარამდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ხანთაძე

# მოთხრობები

## მელსი*

იმ ზაფხულს ომიანობით დაზაფრულმა ბევრმა თბილისელმა ვერ მოახერხა ბავშვების ქალაქიდან გაყვანა. მე და ჩემი უბნის თანატოლთა უმრავლესობამაც მზეში, ასფალტზე გავატარეთ ზაფხული. იმხანად ვერაზე ვცხოვრობდი, ერთ წყნარ ქუჩაზე, პატარა ძველ სახლში. იქვე ახლოს დიდ ჩინოსანთა სახლი იყო, მშვენიერი სუფთა ეზოთი, მაღალი გალავნით. იქ, სამ სართულზე სამი ოჯახი ცხოვრობდა. ეზოს მხრიდან სახლს უზარმაზარი შემინული აივნები ჰქონდა. ქუჩები მაშინ მოკირწყლული იყო, მხოლოდ იმ სახლის გასწვრივ იყო ასფალტი და ამიტომ ბავშვებიც აქ ვამჯობინებდით თამაშს. ვერთობოდით ნაჭრის ბურთებით, ავჭალურით, კოჭებით, ჩიკორით, „სამოკატკით", ვთამაშობდით ლახტს, გრძელ ვირს, მრგვალ ვირს, ვირსა და ვირის პატრონს, ჩილიკა ჯოხს, რიკტაფელას და, რასაკვირველია, ომობანას. იმ სახლის მკვიდრნი ქალაქიდან გაკრეფილები იყვნენ და ამიტომ ხშირად მათი ეზოთიც ვსარგებლობდით ხოლმე.

შუა სართულზე ერთი ჩინოსანის ოჯახი ცხოვრობდა, მანქანა ემსახურებოდათ და, ასე მახსოვს, — მცველიც. მცველი კარს გაუღებდა ხოლმე, ჩინოსანი მედიდურად გადმოვიდოდა მანქანიდან და მოქანცული კაცის იერით სადარბაზოს მიაშურებდა. ვაჟი ჰყავდა ჩვენი ტოლი, მელსი ერქვა სახელად, რუსულ სკოლაში სწავლობდა, მაგრამ ჩვენთან თამაში ძალიან უყვარდა. იმ ზაფხულს ეს ოჯახი ოქროყანაში ატარებდა, ხშირად ქალაქშიც ჩამოდიოდნენ და მაშინ მელსი თავაწყვეტილი გამოინავარდებდა ხოლმე ქუჩაში, ვიდრე აივნიდან არ გადმოსძახებდნენ: „პორა კუშატ-ო".

ბევრი მაშინდელი თამაში მკაცრ კანონებს ემორჩილებოდა. შეიძლება სასტიკიც იყო და მარცხიანიც. კანჭები სულ დაწითლებული გვქონდა, მუხლისთავები და იდაყვები — დაგლეჯილი.

თამაშები გვინვითარებდა მოქნილობას, ამტანობას, საზრიანობას და, რაც მთავარია, იმის შეგნებას, რომ თუ შენს მეტოქეს ტკივილს აყენებ, იცოდე, რომ წაგების შემთხვევაში, შენც იგივე მოგელის. თუ არ შეგიძლია ტკივილი აიტანო, ნუ ითამაშებ. ბევრს შეიძლება ჰგონია, რომ ეს ქუჩის თამაშები თბილისურია. არა, ბატონო! ისინი საერთო საკაცობრიოა და ევროპაშიც ფართოდაა გავრცელებული. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ გაეცნობით XVI საუკუნის ცნობილი ნიდერლანდელი მხატვრის ბრეიგელის სურათს, „ქალაქური თამაშები", რომელზედაც საკვირველი სიზუსტით და ოსტატობითაა ასახული ყველა ის თამაში, რაც კი ოდესმე მითამაშია.

*მელსი — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსი თითქოს არ იყო ურიგო ბიჭი, ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, თამაშის დროს ჭინჭყლი იყო, წაგების შემთხვევაში ყოველთვის ანჩხლობდა, მერე რაღაცას მოიმიზეზებდა და შინ გარბოდა. ერთი სიტყვით, თავს არ „გვაჩაგვრინებდა", ჩვენებურად რომ ვთქვათ, — კონს არ იძლეოდა. ჩვენც შევეჩვიეთ, ვპატიობდით და ყოველთვის გასდიოდა.

დაბინდებამდე ქუჩაში ვიყავით, და მერე, დაღლილ-გახვითქულ-დათხუპნილები წავბანდალდებოდით ხოლმე სახლებში.

ერთი ონავარი ბიჭი თამაშობდა ჩვენთან, ლუტუ, არაფერი გამოეპარებოდა, ერთ მშვენიერ დღეს გვითხრა მე და ჩემს მეგობარ ზალიკოს: საღამოს მელსისთან კინოს აჩვენებენ, დარჩით და ვუყუროთო, სიამოვნებით დავრჩით.

მაშინ, ომიანობის დროს, ქალაქის ქუჩებში სინათლეს არ ანთებდნენ, — „მასკიროვკა" — იყო, არც მაცხოვრებლებს გვქონდა ელექტროდენი მუდმივად, იმ ჩინოსანთა სახლში კი ყოველთვის ენთო შუქი.

დაღამდა. ლუტუ ეზოს გალავანზე აფოთფხდა და მომარჯვებულად მოკალათდა — აქედან კარგად ჩანსო. ჩვენც ავფოთფხდით. შუა სართულის აივანს მუქი მკვრივი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, სინათლე არსაიდან ეპარებოდა, მხოლოდ კუთხეში იყო პატარა ვერტიკალური ზოლი დარჩენილი, იქიდან თეთრი ეკრანის ვიწრო ნაწილი მოჩანდა. სინათლე ჩქარა ჩაქრა და ეკრანზე გამოსახულება აციმციმდა. ჯერ წარწერების ნაწილი გამოჩნდა, მერე ფიგურები ამოძრავდნენ. მხედველობის არე იმდენად მცირე იყო, რომ ვერ მივხვდით, რა ხდებოდა, მხოლოდ ის დავასკვენით, რომ სურათი ომზე იყო. ბოლომდე ვუყურეთ. სახლში ბედნიერი მივედი. კინოსურათი ვნახე-მეთქი, — „დედას ვუთხარი. არ დაუტუქსივარ.

მეორე დღეს მელსი ისევ ოქროყანაში წაიყვანეს და საღამოს კინოსურათი აღარ უჩვენებიათ. შემდეგ დღეებში ისევ გამოჩნდა მელსი და კინოს ნახვის იმედიც ჩამესახა. ამჯერად მთელი გალავანი ბავშვებით გაიჭედა. იყო ერთი ჭიჭყინი და ვაი-ვიში. სინათლე ჩაქრა, ეკრანი აციმციმდა, მაგრამ ჩქარა იმ ზოლს რაღაც ჩამოაფარეს, ეკრანის ნატამალიც კი აღარ გამოჩნდა. გულდაწყვეტილი ბავშვები მიმოიფანტნენ. მე და ზალიკოც უნდა წავსულიყავით, მაგრამ უცებ თავში აზრმა გამიელვა — მოდი, მელსისთან მივიდეთ-მეთქი და წუთში ეს ორი ფეხშიშველი, ჩამოგლეჯილი, გამხდარ-გაძვალტყავებული ბავშვი მელსის დიდ კარებს მივადექით. ზარი დავრეკე. რუსის მოსამსახურე ქალმა გაგვიღო. ჩვენ არც ჰო გვითქვამს, არც არა, ისე შევტანტალდით ბინაში, აივანზე გავედით და იატაკზე, ეკრანის წინ მოვკალათდით. პირდაღებული ვუყურებდი ეკრანს. სურათი ისევ ომზე იყო და გამეხარდა. უფროსებმა რუსულად დაიწყეს ჩურჩული. მე რუსული არ ვიცოდი, მარტო „ტიფი" გავარკვიე და „სიპნოი". — მერე რა, რომ ქალაქში პარტახტიანი ტიფია მოდებული, ჩვენ რა, ჩვენ კინო გვინდა", — გავიფიქრე და სწორედ ამ დროს რუსის ქალი მოგვადგა, წკიპად წაგვავლო ყურებში ხელი, აგვწია და ბუზღუნით კარისკენ გაგვიძღვა. მე თვალებით მელსი მოვძებნე, მამას მიყრდნობოდა, და პირში თითჩაჩრილი ეკრანს მიშტერებოდა. წამიც და, კარს მიღმა აღმოვჩნდით. მე ისევ ზარს წავეპოტინე. არ გინდაო, — მითხრა ზალიკომ, ხელი გადამხვია და დიდ კიბეს ნელა ჩავყევით.

კიდევ გავიდა რამოდენიმე დღე. ისევ უდარდელად ვთამაშობთ, მელსი ისევ შემოგვიერთდა მისთვის ხელსაყრელ მომენტში, მერე ჩაიჭრა და, თუმცა, წესისამებრ, წრეში უნდა ჩამდგარიყო, რაღაც მოიმიზეზა და შინ წავიდა.

კონი მივიღოთ! — გასძახა ზალიკომ შეუვალი ტონით. მელსიმ ყური არ ათხოვა და გაიქცა. ზალიკო დაედევნა და ზუსტად შესასვლელთან ფეხი გამოსდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსი უხერხულად დაასკდა ასფალტს, ცხვირიდან სისხლი წასკდა, ალრიალდა და სადარბაზოში შევარდა. ბავშვები შევშინდით და დავიფანტეთ.

საღამოს მელსის დედა მოვიდა ჩვენთან. დედაჩემმა სანთლით გაუნათა შესასვლელი. ოთახში არ შემოსულა, იქვე ელაპარაკებოდა დედას რუსულ-ქართულად, ცოტა ხმასაც აუწია, მე ტანში გამცრა. საუბარი დამთავრდა. დედა ოთახში დაბრუნდა. ჯოჯოხეთს მოველი, ვარ გატრუნული.

— მაგათ რომ ზალიკოს სახლი აწვალო, იცოდე, არ ვიცი, რას გიზამო, — მითხრა დედამ, გულზე მომეშვა.

●

ამას წინათ ზალიკო შემხვდა, ბაბუა გავხდიო, — შემომახარა, გადავეხვიეთ ერთმანეთს, კიდევ უფრო გასუქებულა, ასაკიც უფრო დასტყობია, არა და, რა ბიჭი იყო, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენი.

მელსი ძალიან დიდი ხანია არ შემხვედრია, ქალაქში გაითქვიფა, ალბათ, მამამისი კი მოგვიანებით დააქვეითეს, ჩინ-მედლებიც აყარეს, ბოლოს რაღაც კანტორის უფროსი ყოფილა, ქრთამზე დაუჭერიათ.

## ბომბები

**ომიანობის** დროს, ახლანდელის არ იყოს, ყველაფერი ჭირდა, ფეხსაცმელიც. მე და ჩემ კბილა ობოლ დეიდაშვილს, თენგოს, როგორც იქნა, გვიყიდეს საბურთალოს ბაზარზე ამერიკული ყელიანი ფეხსაცმელი — ბათინკები, ბომბებს ეძახდნენ. დიდი, მრგვალი ცხვირი ჰქონდა და სქელი ლანჩა, ყავისფერი იყო, მკვრივად ნაკერი. ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ, სისველეში არ ვარგოდა, წყალს საშრობივით ისრუტავდა. გვიყიდეს და თანაც რამდენიმე ნომრით დიდი. დიდი იმიტომ, რომ ბავშვები ვიყავით, სოკოებივით სწრაფად ვიზრდებოდით და სამერმისოდაც რომ გამოგვდგომოდა. ფეხი ყანყალებდა შიგ, ქეჩები ჩაგვიფინეს, კოჭებში მაგრად მოგვიჭირეს და, როგორც იქნა, გავმართეთ. ამ ბათინკებში ჩარლი ჩაპლინს ვგავდით, ალბათ, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვწონდა. სათამაშოდ არ გვაცმევდნენ — დაცვითავთო, დახევთო, მარტო განსაკუთრებულ შემთხვევებში გვაძლევდნენ. აი, თუ კინოში გაგვიშვებდნენ, მაშინაც.

წავედით მე და თენგო კინოში, გზად მზესუმზირაც ვიყიდეთ. ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, სარდაფში კინოთეატრი „ლუქსემბურგი" იყო, ახლა რომ სახინკლეა, იქედან იყო ჩასასვლელი. სურათი გადიოდა ომზე — „ზიგმუნდ კოლოსოვსკი". სურათიც იმას ჰქვიოდა და ომიც. სროლით იწყებოდა და ორი საათი გადაუღებლად გრუხუნებდა. ძალიან მოგვწონდა ბავშვებს, ომობანას თამაშის დროსაც ყველას ზიგმუნდობა უნდოდა. ჩვენებური არ იყო, მაგრამ ჩვენიანებს ეხმარებოდა, — გერმანელ ოკუპანტებს სულ დედა უტირა და ჩვენც შეყვარებულები ვიყავით კოლოსოვსკიზე. მაინც, ერთი მომენტი იყო მეტად დრამატული. ზის კოლოსოვსკი მარტო, დაძრობს რევოლვერს და ნელა, მშვიდად, მრავალმნიშვნელოვნად გადათვლის შვიდ ცალ ტყვიას, მერე ჩატვირთავს რევოლვერში და უკვე ვიცით, რომელი შვიდი გერმანელი უნდა გამოასალმოს სიცოცხლეს. ამ დროს დარბაზი გაიტრუნებოდა ხოლმე და გულის ფანცქალით ელოდა ეკრანზე მსხვერპლის გამოჩენას.

თენგოს არა ჰქონდა ნანახი „ზიგმუნდ კოლოსოვსკი", მე მქონდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით ვუყურებდი განმეორებით, თანაც ასარჩევიც არ იყო — სულ ამგვარი სურათები გადიოდა, „საომარი კინოქრონიკები", „ფრონტზე", „სოლოვატ იულაევი", „ის იცავს სამშობლოს", უფრო უარესებიც, „ზიგმუნდ კოლოსოვსკი" მათ შორის კარგი იყო.

დავდექით რიგში, სალაროსთან. უამრავი ბავშვი იყო, უფროსებიც, ალბათ, ბილეთებს ბევრად მეტს ყიდდნენ, ვინემ ხალხი ეტეოდა, დარბაზი ყოველთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის გადაჭედილი იყო ხოლმე, ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა. ისხდნენ გასასვლელებში, კიბეებზე, ეკრანის წინ. იმჯერადაც ასე იყო. ჩვენც ეკრანის წინ, იატაკზე მოვკალათდით. ემატება და ემატება ხალხი. აბა, ჩაიწიე — გვეუბნებიან იქიდან, აქედან, წინიდან, უკნიდან. გვარიანად გაიჭედა იქაურობა, ტარანებივითა ვართ ჩალაგებულები. ძვრას ვერ იზამ, როგორც ხარ მიკუჭული, ეგრევე უნდა გაუძლო ბოლომდე.

დაიწყო სურათის ჩვენება. დინამიკები ყურებს გვიხეთქავს და ომის, სროლის ნაღდ ეფექტს გვიქმნის. იხოცებიან და იხოცებიან გერმანელები. ისმის შეძახილები „სალოლ!“ „მალადეც“. „გენავა!“ ჩვენც ასევე ვართ საერთო აღტაცების ფერხულში ჩაბმულნი. ვისაც უკვე ნანახი აქვს, ის წინასწარ ამცნობს მოვლენების მსვლელობას იმათ, ვინც პირველად უყურებს: — ახლა ესვრის, ახლა მოკლავს, ახლა გადახტება, ახლა დაიჭერენ და ასე შემდეგ. მაშინ ასე იყო მიღებული ბავშვებში. მეც სიამოვნებით ვაძლევ ახსნა-განმარტებას თენგოსა და ირგვლივ მსხდომთ, ჩემი ტოლი ბიჭები არიან, უფრო დიდებიც.

დამთავრდა კინო. დაიძრა ხალხი და თენგომ თავში ხელი შემოირტყა. — ცალი ბოტი აღარა აქვს. მარჯვენა ფეხზე აღარ აცვია. ალბათ სურათის ყურების დროს გასძვრა და გატაცებულმა ვერც კი იგრძნო. აქეთ ვეცით, იქით ვეცით მთელი დარბაზი გადავქექეთ, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ ვერ დავადგინეთ. დარჩა ჩვენი თენგო ნახევრად ფეხშიშველი. ზამთარია, უსიამოდ ქინქლავს. კარგა ხანს ცალი ფეხით, ასკინკილით იხტუნავა, მერე შემოვისვი ზურგზე. აბა რა უნდა მექნა, და ასე ნელნელა მივაჩანჩალე სახლამდე, ფიქრის გორაზე.

უბედურება წინ გველის, არ გინდა გასაცოდავებულ ბებიას და ბაბუას უთხრა ბოტი დავკარგეო. მოხუცებს ორი ვაჟი დაჭერილი ჰყავდათ, ქალიშვილი, თენგოს დედა, ომის დასაწყისში გარდაეცვალათ, სიძე ომში დაეღუპათ, დარჩათ მარტო დედაჩემი და ონავარი თენგო უამრავი თავსატეხი პრობლემებით.

სახლის წინ ჩემი „ბათინკა“ ვათხოვე. გაკრა შიგ ფეხი, მხიარულმა შეირბინა შინ, გამოიცვალა ფეხსაცმელი, ბებიას დასანახად გაწმინდა და, წესისამებრ, კარადაში შეინახა. მერე ჩუმად ჩემი ცალი ამოიდო იღლიაში და გამომირბენინა, ახლა მე შევცუნცულდი ეზოში.

კარგა ხანს თენგოს ბოტები არ შეუხსენებია უფროსებისათვის. ძველებით, დახეულებით კმაყოფილდებოდა, მაგრამ როდემდის? ერთხელაც ბაბუამ სტუმრად წაყვანა დააპირა. ეცნენ ბოტებს მოხუცები, ცალი ვეღარსად ნახეს, გადაატრიალეს ყველაფერი და ბოლოს დაადგინეს — თაგვი შეჭამდაო.

## მუსიკალური ქრთამი

იმ წელიწადს მოსკოვს ვიყავი წასასვლელი აუცილებელ საქმეზე, სახელშეკრულებო თემას ვასრულებდით ერთი გაბერილი ორგანიზაციისათვის, უძრაობის პერიოდი იყო და ყველაფერი პომპეზურად უნდა გაგვეფორმებინა. ჩვენ ჩვენი უნდა გვეთქვა, იმათ — თავისი, ბეჭედი უნდა დაგვესვა ქაღალდზე, საქმისათვის წერტილი და, ბარიბარშიც ვიქნებოდით. მე და თემო უნდა წავსულიყავით. მე, სამუშაოს ხელმძღვანელი გახლდით, ის კი პასუხისმგებელი შემსრულებელი. არ გვიყვარდა სიარული არც ერთს, სასტუმროებში წანწალი, ადმინისტრატორებთან ადგილისათვის ლრიტინი, მეტროებში ჯიკაობა და გადავწიეთ და გადავწიეთ ჩვენი გამგზავრების თარიღი.

ბოლოს, როგორც იქნა, გადავწყვიტეთ წასვლა. ბილეთები ჭირდა ძალიან, აქეთ ვეცით, იქით ვეცით, ვერაფრით ვერ დავჯავშნეთ უკან დასაბრუნებელი ბილეთები.

გავბრაზდი, თემოც გაბრაზდა და მანქანით გავწიეთ მოსკოვისაკენ. მართალია, ორი-სამი დღე გზაში ვიყანყალებთ, სამაგიეროდ აღარც მეტროებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიბორიალებთ და აღარც გასაძრომ-გამოსაძრომებშიო, — დავიმშვიდეთ თავი.

თავი კი დავიმშვიდეთ, მაგრამ ხომ მოგვშივდა გზაში, სადაა საჭმელი? ერთგან გვითხრეს, დენი არ არისო, მეორეგან — წყალიო, მესამეგან, პროდუქტი არ შემოიტანესო და ასე გაუთავებლად. ვიარეთ მთელი დღე მშივრებმა. მერე დასვენება მოგვინდა, დაძინება. მეტი არაა თქვენი მტერი, კაცმა რუსეთში, ტრასის სიახლოვეს სადმე ღამე გაითიოს. უამრავი მძღოლი შეგვხვდა, ჩვენსავით რომ ეძინებოდა და მჯდომარე თვლემდა საჭესთან. ვიწვალეთ ჩვენც იმ ღამეს. მეორე დღეს აქა-იქა კი ვიკითხეთ კემპინგი, სასტუმრო, რესტორანი, სასადილო და საშველი რომ არ დაგვადგა, გადავწყვიტეთ ღამითაც გვევლო, რიგრიგობით გვემართა მანქანა და მოგვეთოკა გზა. ვჩქარობთ, იქნებ მოსკოვს მოვაღწიოთ და გვეშველოს რამე.

დაბნელდა, ჩემი რიგიც მოვიდა. ცარიელია გზა, ჩვენ გზებთან შედარებით ფართო, სწორი და მეც ვაწვები და ვაწვები. შევნიშნე ერთი ავტო მომდევს, კარგა ხანს მდია. კი მივდივარ ასორმოცით და ვატყობ, ვერ მეწევა. ერთი პატარა წავიფორხილე, იმ ავტომაც გადამასწრო და ფირნიში ამიბდღვრიალა „სდექ"-ო, სირენებიც ჩართო და მერე ბრძანებაც მოაყოლა: — „45-93 გააჩერეთ მანქანაო". გავაჩერე. ავტოინსპექციის მანქანაა, ჟიგული, „კანარეიკას" რომ ვეძახით, ისეთი. გადმობრძანდა ორი ოფიცერი, დიდის ამბით მომესალმნენ, „ჩესტი" ამიღეს და საბუთებიც მომთხოვეს. მივეცი. თემომ შეიღვიძა და გამოძვრა მანქანიდან. უფრო ამის მეშინია, ფიცხია, თანაც ლომივით დამშეული და ვფიქრობ, ხმას არ აუწიოს-მეთქი.

ერთ- ერთმა მითხრა, უფროსი იყო, ალბათ, მაიორი, ოცი წუთია მოგდევთ და ვერ დაგეწიეთო. ამ ხნის განმავლობაში შვიდჯერ დაარღვიეთ მოძრაობის წესიო. პირველი — „გაი"-ს პორტს გადაჭარბებული სიჩქარით კი არ ჩაუარეთ, ჩაუფრინეთო, არა და, რომლით უნდა გევლოთო. მეორე, — დასახლებულ პუნქტში გებგერითი სიჩქარით მინავარდობდით, იქ კი შემზღუდავი ნიშანი ჰკიდია და 30 კილომეტრამდე ზღუდავს მოძრაობის სიჩქარესო. იქვე მესამე დარღვევა გააკეთეთ, — დასახლებულ პუნქტში ახლო მაშუქებით უნდა იაროთ, თქვენ კი შორი მაშუქები, პროჟექტორები გენთოთო, მერე მკვეთრი მოსახვევი იყო და, სვლა უნდა შეგენელებიათო. ღმერთი, რჯული, ხატი, აქ, ჩვენში, რომ მკვეთრს ვეძახით, ამგვარი მოსახვევი დარიალის მერე არ შემხვედრია. იქ სხვას ეძახიან მკვეთრს. ძლივს, რომ უხვევს, ისეთს — თვალში თუ კარგი ცენტრი და რადიუსი არ გაქვს, ვერ მიხვდები, რომ მოუხვია. ერთი სიტყვით, ჩამომიკაკლა შვიდი დარღვევა.

— რა მეშველება, — ალბათ, დამრჩა ცოლ-შვილი ობლად-მეთქი, ვიფიქრე, მერე მოუყევი ჩვენი გაჭირვება — ორი დღის უჭმელები ვართ, სასადილოს ვერ მივაგენით და რესტორანს, სასტუმროზე, ხომ იცით, ფიქრიც კი ზედმეტია. ასე მშივრები და უპატრონოები მოვდივართ, ვჩქარობთ, იქნებ მოსკოვს მივაღწიოთ და დავბუნაგდეთ-მეთქი.

თემომ არ მაცალა ლაპარაკი, აუხირდა ფორმიან ხალხს, მოსახვევი სად იყოო? ვეუბნები, — ბიჭო, მაცალე ცოტა, იყო თუ არ იყო, ეხლა მაგის გარკვევის დროა? მალაპარაკე, ჯარიმას გადავიხდი, რაღაცა კი გვაქვს მანქანაში, ჩავაცეცხლებ და მოვრიგდებით-მეთქი. რომ არ გასჭრა, ვუყვირე ერთი ლაზათიანად და გავაგრძელე ვაჭრობა ჩემს ახალ ნაცნობებთან. გაბრაზდა თემო, ჩაჯდა მანქანაში და მაგნიტოფონი ჩართო — „ცისფერი ტრიო" გალობდა.

შუა ვაჭრობაში იმედი გადმეწურა — შევატყვე — ესენი მართვის უფლებას არ დამიბრუნებდნენ, წამართმევდნენ, ოქმსაც შემიყენებდნენ და ავტოხულიგანადაც მომნათლავდნენ.

უცებ იმ მაიორმა ცქვიტა ყურები, მივარდა მანქანას და თავი კაბინაში შერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო, გავვოცდი. — რას უნდა ეძებდეს ნეტავი? — გავიფიქრე.

ნუ რებიატო, — გვითხრა. — ეს სიმღერები ჩამაწერინეთ და ყველაფერს დაგიბრუნებთო. ჩაგაწერინებ კი არა, მთელ კასეტას გაჩუქებ, ოღონდ გამიშვი-მეთქი ვუთხარი. არაო, მაგდენზე როგორ შეგაწუხებთო. ხომ ხართ მშივრები? ჰოდა, აქედან ცხრა კილომეტრზე გავახშმებთ, მისდღემში რომ არ დაგსიზმრებიათ ისეო. ვიდრე თქვენ ივახშმებთ, მე სიმღერებს ჩავიწერ და ბასტაო. რამდენჯერ მოვისმინე, მაგრამ ვერაფრით ჩაწერა ვერ მოვახერხე, გიჟსა ვგევარ, ისე მომწონს, ეგენი მასწავლა და არ მინდა სხვა არაფერიო.

ამას, რომ მეუბნებოდა, თვალები გაუბრწყინდა, სიკეთით აევსო, სული აუმღერდა, ფორმა აღარ მოუხდა, თუმცა ბრგე ბიჭი კი იყო, შემეცოდა კიდეც, ფორმაში რომ იყო გამოხასკვული.

ჩაჯდა „კანარეიკაში", გაგვიძღვა წინ, გადაიწერა ის სიმღერები, ნავახშმევს გზა დაგვილოცა, მადლობა გვითხრა, ფრთხილად იარეთო, დაგვარიგა და გამოგვიშვა კაცურად.

## ავტორიტეტი

ახალგაზრდა სპეციალისტი ვარ. დავიწყე მუშაობა ქალაქ ტულას მახლობლად, კოსაია გორას მეტალურგიულ ქარხანაში. მანამდეც ბევრ ქარხანაში ვიყავი ნამყოფი პრაქტიკებზე, მაგრამ ასეთი ძველი, მზრჩოლავი და ჭუჭყიანი რამ ჯერ არ მენახა.

ვმუშაობდი სადნობ განყოფილებაში, სადაც ელექტროღუმელებში ფოლადს ადნობენ. ჩემს ცვლაში მდნობელების ბრიგადას ვინმე აგეევი მეთაურობდა. ყოჩაღი კაცი იყო, საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ ცინიკოსი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ინჟინრების მიმართ. მეც გამკრავდა ხოლმე კბილს, მე ყური არ ვათხოვე, ჩემსას ვუბერავდი.

ელექტროღუმელებს ჩასატვირთი კარი აქვთ. კარზე პატარა ხვრელია, ჭუჭრუტანა, სამზერი, რომელსაც ფურცლოვანი ფარდა ეფარება. სამზერიდან სითბოს გადარეგარებული ნაკადი გამოდის. აქედან მდნობელი დნობის პროცესს, ელექტროდების მდგომარეობასა და სხვა სპეციფიკურ ელემენტებს აკვირდება. ამისათვის ფარდას გადასწევს, სახე რომ არ დაეწვას, დიდ ქეჩის ქუდზე დამაგრებულ მუქსათვალიან პირბადეს მოიმარჯვებს და სამზერში ისე იხედება.

ჩემთვის პირველი ხელფასის დღე ახლოვდება. ღამის ცვლაში ვმუშაობ. პირთამდე სავსე ღუმელი რითმულად ბუგუნებს, ფოლადი ჩამოსასხმელად თითქმის მზადაა. აგეევი ჩასატვირთი კარის გასწვრივ დგას და თბება.

— მაშ შენ თბილისელი ხარ? — მკითხა მან. — „ბელამორკანალის" კოლოფიდან პაპიროსი დააძრო, მარცხენა ხელთათმანიანი ხელით მოხერხებულად სამზერის ფარდა გადასწია, პირში პაპიროსი ჩაიდო და სამზერიდან კარგა მანძილზე პაპიროსს მოუკიდა, დაახლოებით ისე, ნავთის ლამპის თავზე რომ იციან ხოლმე მოკიდება. ეფექტურია ჭეშმარიტად. ვინც ამ ილეთს ზუსტად ვერ შეასრულებს, ცხვირ-პირს დაიწვავს, ანდა, პაპიროსს შუაზე გაწვავს და ირგვლივმყოფნი სიცილს აყრიან.

ვიგრძენი, აგეევი რასაც უმიზნებდა. გამომწვევად გამიღიმა და მკითხა: შენ რა, ინჟინერი ხარ?

მე აუღელვებლად ამოვიღე „პრიმა", მოვსრისე, ხელთათმანი მოვირგე, სამზერის ფარდა გადავწიე, თავი ოდნავ შევაბრუნე და სიგარეტი მხურვალე ნაკადს დავუმიზნე, ისე რომ აგეევისათვის თვალი არ მომიცილებია. გამიმართლა და სიგარეტი პირველივე ცდაზე გავაბოლე. გულზე მომეშვა და სრულიად წყნარად ვუპასუხე: დიახ, ინჟინერი გახლავართ. აგეევმა თითები პირში ჩაიყო თავი მაღლა ასწია და დასტვინა. ჩვენს თავზე გაჩერებული ამწის ჯიხურიდან მეამწე რუსის გოგო დაგვყურებდა, ალბათ, სეირის ყურება და კისკისი უნდოდა.

— ნახე, ტონია, შენ კი ინჟინერს წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობ, — შესძახა აგეევმა. მივხვდი, ჩემი ჯერი იყო, მეც დავუსტვინე, ...თეთრად, მაგრამ ერთ- მკვეთრად. აგეევმა ყურებზე ხელი მიიფარა, ამას კი ალბათ მოელოდა და თქვა: „ნუ დაიოტ, გრუზინ“.

— ტონია, დროა, ციცხვი მოაწოდო, — გავეცი ბრძანება. ამწე დაიძრა. საქციელდაკარგულმა აგეევმა ჩამოსხმისათვის მზადება დაიწყო.

შუადღემდე ჩემი თანაშემწის ჩუკანოვის თანდასწრებით აგეევმა მითხრა:

— დილით ხელფასზე უნდა ჩავიდეთ კანტორაში და მერე შენ უნდა „დაგასველოთო“.

ვიცოდი, ეს დასველება რასაც ნიშნავდა. კანტორა, ერთი გამურული, ორსართულიანი შენობა, ქარხნის გადაღმა იდგა, ჩემი საერთო საცხოვრებლიდან დაახლოებით კილომეტრის დაშორებით. მის გვერდით ჩამწკრივებული იყო პატარა, ყოველთვის ლოთებით გამოჭედილი სამიკიტნოები. ბევრ ლოთს იქვე, ქვაფენილზე ნახავდით ჩაძინებულს. ეს სურათი პირველ დღესვე, კანტორაში სამუშაოდ გაფორმების დროს შევამჩნიე. სწორედ ამ სამიკიტნოებში უნდა მომხდარიყო ჩემი კურთხევა. ორ ცეცხლს შუა ჩავვარდი. ვფიქრობ: უარი ვუთხრა — არ იფიქრონ, რომ ფული მენანება, წავყვე და, რომელი არყის მსმელი და ლოთი მე ვარ, სამიკიტნოში ვიბლლარძუნო. ბოლოს მაინც დამითანხმეს. ცვლის დამთავრების შემდეგ დილაადრიან მივადექით კანტორას. კარგა მოზრდილი რიგი დაგვხვდა სალაროსთან. იყო ერთი გაწევ-გამოწევა. ბევრის მაგივრად ცოლი ღებულობდა ხელფასს. იდგნენ ქმრები და ცოლებს ეხვეწებოდნენ: „ნუ, დაი, ლიდა, ხოტ ტროიაკ“. „პრიდიოშ დომოი ი პოლუჩიშ პოლლიტრუ“ — პასუხობდა ცოლი. რომელიღაცას დალევა უკვე მოესწრო და ცოლმა მუღლარაზე სიფათში სილით უპასუხა. უცხო სანახაობა იყო ჩემთვის და კარგა ხანს გავერთე. ამასობაში ჩვენმა რიგმაც მოაღწია.

ხელფასები იმ დროისა და კონიუნქტურისთვის საკმაოდ მაღალი გვქონდა, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბოთლი არაყი ორი მანეთი და ოთი კაპიკი ღირდა, მე, მაგალითად, თვიური ხელფასით ას ოცი ბოთლი არაყის ყიდვა შემეძლო.

გამოვედით გარეთ. რატომღაც პირველ სამიკიტნოში არ შევედით, არც მეორეში. აქ „ზაკუსკა“ არ არისო, — ამიხსნა აგეევმა. მესამეში შევედით, თუმცა დილაა და ჯერ კიდევ ხალხი თხლადაა, მაგრამ უკვე პაპიროსისა და არყის სუნით ყარს იქაურობა. ჩუკანოვმა ჭიქები მოიტანა. აგეევმა არაფრით არაყი არ მაყიდინა, თვითონ იკისრა. მერე „საუზმეულიც“ მოაყოლა: სამი კანფეტი და პურის ნაჭერი. ბოთლი მოხერხებულად გახსნა, ჭიქები ერთმანეთზე მიჯრით მიაწყო და ისე რომ არც საუბარი შეუწყვეტია და არც ბოთლისაკენ გაქცევია თვალი, არაყი ჩამოასხა.

ჰოი, საკვირველებავ! არც ერთი წვეთი არ დაღვრილა და სამივე ჭიქაში საოცარი სიზუსტით ესხა არაყი.

— აბა, გაგვიმარჯოს! — მოიმარჯვა ჭიქა აგეევმა, მოგვიჭახუნა და არაყი სულმოუთქმელად დალია. მერე საოცრად დაიმანჭა, დაიკლაკნა, კანფეტი პირში ჩაიდო, პურს უყნოსა და სიმწრით ლამის მაგიდს ქვეშ შეძვრა.

გაგვიმარჯოს-მეთქი, ვთქვი მეც და არაყი შევყლუპე. მართალია, ბევრის მსმელი არც არასოდეს ვყოფილვარ და არც ეხლა ვარ, მაგრამ არაყი, რაც უნდა მაგარი იყოს, პირს არ მიწვავს. ჩემი მეგობრები ამის გამო დამცინოდნენ კიდეც — ხახა მოკალული აქვსო. არც აგეევს გამოჰპარვია ჩემი ინერტულობა არყის დალევისას. სტაცა ჩემს ცარიელ ჭიქას ხელი, ჩაყნოსა, ერთი გემრიელად შეიგინა და მკითხა:

— შენ რა დალიე?

— არაყი, — ვუპასუხე მე.

— შეუძლებელია. „ნუ გრუზინ დაიოტ“, — თქვა და თახლიდარს კიდევ ერთი ბოთლი მოატანინა. ამ შეძახილებზე გვერდითი მაგიდებიდანაც მოგვაქციეს ყურადღება. ყველა ჩვენ გვიყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] აგეევმა უშეცდომოდ [illegible] ჩა-მისხმის [illegible] მე [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ყველას განცვიფრების მიზეზს. ერთი ფიქრი მქონდა მხოლოდ, როგორმე აქ არ ჩავიძუხლო, თვალს მივეფარო და მერე თუგინდ მოვკვდე-მეთქი.

კიდევ გაგვიმარჯოს! — თქვა აგეევ-მა, ჭიქა მომიჭახუნა და არაყი გადაკ-რა. თვალს არ მაშორებს, ისე იმანჭება და იგრიხება. დარბაზის ფოკუსში ვარ, გადავუშვი არაყი. წარბიც არ შემიხრია, არც რამე მიმიყოლებია. ეს ჭიქა უფ-რო ადვილად წავიდა. დაბრაზმა ერთხმად დაიგუგუნა: „ნუ, გრუზინ და-იოტ“. მე სიგარეტი გავაბოლე, სასმე-ლი მომეკიდა, მაგიდას დავეყრდენი და ვცდილობ არ წავბარბაცდე. აგეევი და ჩუკანოვი სიყვარულს მიხსნიან, ლამის გულში ჩამიკრან. თვალები აერიათ. აი-ლეწნენ, საუბარში გინებამ იმატა, ცო-ტაც და, აგეევმა ჩაიმუხლა. ხელი წავა-ტანე და ორივენი, ისიც და ჩუკანოვიც გარეთ გამოვიყვანე. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, აგეევს ტარება ველარ შევძე-ლი და იქვე, ქვაფენილზე მოვაკალათე. ჩუკანოვი ცოტაზე კიდევ გამომყვა, მე-რე მარცხნივ, გამურულ ბალში ამჯობი-ნა დარჩენა. მე ჩქარი ნაბიჯით სახლის-კენ გავუყევი, დავლანდე, ჩუკანოვი როგორ მიერგო გაზონს.

ერთი სული მაქვს, შინ როდის მი-ვალ, ოღონდ გზაში არ წავიქცე, ერთი, ორი სამი... ასი, ვითვლი ნაბიჯებს, მე-რე ღიღინი დავიწყე „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად...“ და შინაც მივედი. არ გა-მიხდია, ისე დავეგდე.

საღამოს საქმაოდ საღად გამეღვიძა. არც თავი მტკიოდა, არც ფეხი, შიმში-ლი მაწუხებდა მხოლოდ. ქვაბშიმე და ქარხნისაკენ გავუყევი.

საამქრო გუგუნებს. ცვლა ჩავიბარე და, ჩვეულებრივ, ჩემს საქმეებს მივხე-დე. საქმე კარგადაა აწყობილი, ნაშუა-ღამევს შეიძლება ჩამოჯდე კიდეც. ყვე-ლანი ჩვენს ბირჟაზე, ლაბორატორიის წინ ვიკრიბებით. აგეევი და ჩუკანოვი [illegible] ამბებს ყვებიან.

— ძალიან კარგი ბიჭია ჩვენი ინჟი-ნერი, ცოდნაც დიდი აქვს და კაცობაც. შევხვდით ერთმანეთს, — ამბობს ჩუკა-ნოვი. — ჯერ ერთი ბოთლი დავლიეთ, მერე მეორე, მერე აღარ მახსოვს, ისე კი ძალიან კარგი დრო გავატარეთ...

ეს ქართველი ვინა ყოფილაო, — და-უმატა აგეევმა, — ეგეთი კარგი ინჟინე-რი, ამ ხნის კაცი ვარ და, არ შემხვედ-რიაო, ნახევარ ლიტრას სულმოუთქმე-ლად სვამს ბოთლიდან და, ვითომც არა-ფერიო.

— ეჰ! შენც ამბობ, რა. ეგენი ჭაჭაზე გაზრდილი ხალხია, წყლის მაგივრად სვამენ ჭაჭას, მაგათთვის ჩვენს არაყს გამოხდილი წყლის ფასი აქვსო, — ამ-ბობს ვიღაც.

დილით შინ ვბრუნდები ღამის ცვლა-ში ნამუშევარი ხალხის მწკრივში.

— მართლა შეგიძლია ლიტრი არაყი ამოუსუნთქავად დალიო? — მეკითხება გვერდით მომავალი ერთი წითური მუ-შა. მართლა შემიძლია, ძმობილო-მეთ-ქი, ვუპასუხე და გუნებაში გამეცინა.

## დარვინიზმი და ზიზოფრენია

მოხუცები ადვილად იტეხენ ფეხს უმეტესად ბარძაყში. ყველა ფიქრობს რომ მოტეხილობა წაქცევის შედეგია. მე კი, ჩემი მოხუცი მშობლების მწარე გამოცდილებიდან ვიცი, რომ ჯერ მა-თი მყიფე ძვლები ტყდება და ამის შე-დეგად ეცემიან საცოდავები.

საწყალმა მამაჩემმა მჯდომარემ მოი-ტეხა ფეხი. მაგიდასთან გაზეთს ჩაჰ-კირკიტებდა, საფერფლისთვის წამოი-წია, შეჰყვირა და სკამიდანაც ჩამოვარ-და. დიაგნოზი — ბარძაყის მოტეხილო-ბა.

არაფრით სააავადმყოფოში არ დარჩა. ექიმებმა რჩევა-დარიგება მოგვცეს და შინ გამოგვისტუმრეს. შესვლას ვერ ვასწრებდი სახლში, ბიჭის ამბავს მკით-ხავდა ხოლმე, ვატყუებდი, — ვნახე, კარგად არის, დღე-დღეზე საქმეს და-ხურავენ-მეთქი, აბა, ხომ არ გავუხეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქავლი გულს და ვეტყოდი — თითქმის თვეა, საგამომძიებლო იზოლატორში ჰყავთ დამწყვდეული, არ ვიცი, ვისთან არის, რას აკეთებს, რაზე ფიქრობს და რა მოელის-მეთქი.

პირველ დღეებში მხნედ იყო, — სიგარეტსაც ეწეოდა, ერთად ვსადილობდით ხოლმე პატარა მაგიდასთან, მაგრამ სულ მალე წოლის შედეგად ბევრი გართულება დაერთო, უცებ მოიწყინა, სასიცოცხლო პირი აღარ მიჩანსო, — მითხრა ერთ საღამოს და იმის შემდეგ ლაპარაკიც აღარ ისურვა, გონი დაკარგა და სამი დღის შემდეგ მშვიდად დალია სული. ძველ ნაახალწლევს დავკრძალეთ, მეორე დღეს სახლს ვალაგებდით, ჩემი მეგობრებიც მეხმარებოდნენ: ბიძინა, მანუჩარი, თემო, დედაჩემიც ფუსფუსებდა. უცებ დედაჩემმა შეჰკივლა და ფეხიც მოიტეხა, იმანაც მჯდომარემ, ისევ ბარძაყში. გავაქანეთ საავადმყოფოში, ბევრს მეხვეწა საწყალი, სახლში წამიყვანეო, მაგრამ არაფრით არ დავთანხმდი, იქვე დავტოვე.

დიდ ოთახში მოათავსეს, ფანჯარასთან. რვა ქალის კვნესა, ტირილი, გმინვა და გოდება ჩაწოლილიყო ამ ერთ ოთახში. თაბაშირის, ოფლისა და წამლის სუნით იყო იქაურობა გაჟღენთილი. ფანჯრები დაგმანული იყო და ჰაერი დერეფნიდან შემოდიოდა მხოლოდ, ოხშივარი ასდიოდა იქაურობას. ფეხზე ტვირთი დაჰკიდეს, აუტანელი ტკივილი აწუხებდა. ვერაფრით ვერ უპოვა ჯანმრთელ ფეხს ადგილი, ბორგავდა, სასთუმალი დაბალზეაო, — ავუწიე, ეხლა მაღალზეაო. სწუხდა საოცრად. საცოდაობით ვიწვოდი, მაგრამ ვერაფრით ვშველოდი. გვერდით გამოცდილი ქალები იწვნენ, ამშვიდებდნენ დედაჩემს, — ორ-სამ დღეში მიეჩვევიო.

დაღამდა. სინათლე ჩააქრეს. ოთახი დერეფნიდან შემოსული შუქითღა ნათდებოდა, დედაჩემის სასთუმალთან მოვკალათდი. ბიჭები არ მომცილდნენ, დერეფნიდან მითვალთვალებდნენ, დედაჩემმა შემომჩივლა შვილო, თავბრუ მეხვევა, სულ მეჩვენება, რომ კედელზე და ჭერზე ლაქები დადისო. ესა-მეთქი? მივუთითე ტარაკანაზე. არ გეჩვენება დედი, ეს ტარაკანები დაცოცავენ-მეთქი. ამან ოდნავ დაამშვიდა. მერე ჩაწყნარდა და მთხოვა, წადი სახლში, უფრო მშვიდად ვიქნები, შენც ხომ გინდა დასვენებაო. თუ გიყვარვარ წადიო. მუდარამ გაჭრა. ნაშუაღამევს ბიძინამ შინ მიმიყვანა.

●

ქალიშვილს ეძინა, მეუღლეს — არა, თავს იმკვდარუნებდა. დავჯექი ჩემთვის და ვფიქრობდი. უკეთ, კი არ ვფიქრობდი, თითქოს ვიღაც მიამბობდა ჩემი უბედურების ამბავს, მე კი ლონეგამოცლილი, გონებამიხდილი არც კი განვიცდიდი. აღარაფერი მინდოდა, ემოციისაგან დავიცალე, ექიმები, ალბათ, ასეთ მდგომარეობას უწოდებენ აპათიურს. მაინც, რა მჭირს, ამ ერთ თვეში ყველა უბედურება ერთად დამატყდა თავს. ჯერ იყო და, 17 წლის ვაჟი დაიჭირეს ჩხუბისათვის, ვერაფრით ვერ დავიხსენი. მერე დეიდა ნელი გარდაიცვალა, ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი და გულშემატკივარი, მარტოხელა იყო და სულ ველარ მივაქციე ყურადღება ბიჭის გადამკიდემ, მარტოობაში ამოსვლია სული საწყალს. ჩქარა მამაჩემის ავადმყოფობა და სიკვდილიც დაერთო ყოველივეს, ეხლა დედაჩემის უბედურება.

კარგა ხანს ვიჯექი ასე, გაოგნებული. მერე მეუღლემ გამომხედა შეშფოთებით, ხომ ვიცოდი, რომ არ ეძინა. ეჭვით დამიწყო ყურება, წამოდგა, ჩაიადუღა. დალიე, დამშვიდდებიო. მომიჯდა გასაცოდავებული, თვალ-ცრემლიანი, ცოცხალ-მკვდარი. წამოწექი. დაისვენეო. თვინიერად გავყევი, მაგრამ არ დამეძინა, ვერაფრით თვალები ვერ დავხუჭე, მერე ზედ ხელები დავიფარე და კარგა ხანს ასე ვიყავი გატრუნული.

უთენია კარზე დარეკეს. ჩემს მეუღლეს აგერ თვეზე მეტია, არ სძინებია, მთელი ღამეები ბორგავს. ან როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლებს? არა, დედები სხვა ქსოვილისაგან არიან ნაკერნი, უცვეთელები არიან და დაუხევლები. ეხლა კი ნამდვილად ეძინა საწყალს. როგორც იქნა, ავიზლაზნე და კარი გავაღე. ბიძინა დამხვდა პირგახეული, ყურებამდე გაღიმებული, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს, ჩიტიც არ ამფრენოდეს.

— თელავში მივდივარ, უნდა წამომყვე. მეგობარმა ხინკალზე დამპატიჟა, თვითონ აკეთებს, ოცდაცამეტ ნაკეციანს, ეგეთს მთელს დუნიაზე ვერავინ აკეთებს, ახალი სასტუმრო გაუხსნიათ „ინტურისტის“, იქ გავათიოთ ღამე, ხვალ დილით დავბრუნდებითო — სხაპასხუპით მომაყარა.

მოსმენის თავიც აღარ მქონდა, არამცთუ ლაპარაკისა და შეპასუხების, ისე კი გავიფიქრე — ერთი ეს რეგვენი გამაგდებინა გარეთ-მეთქი.

— დედაშენს გავუაროთ, ვაშლი და მანდარინი მაქვს მანქანაში, დღეს ეგ სხვა არაფრის მჭამელი არ არისო. — ლაპარაკზე ცოლმაც შეიღვიძა, შეგვეხმიანა, — ჰო, წაიყვანეო, — მუდარით უთხრა ბიძინას. აღარ მახსოვს როგორ ჩავიცვი, გამოვედი, ჩავჯექი მანქანაში. დედაჩემთან გამოვეფხიზლდი. ძალიან დაღლილი მეჩვენა, უძილო, ღონემიხდილი. ჩუმად ვიყავი, სულ ბიძინა ლაპარაკობდა. — კარგი, შვილო, ჩემი დარდი ნუ გექნებათ. აბა, კეთილად იმგზავრეთო, გვითხრა და ჩვენც დავადექით გზას.

●

გამთენიას თოვა დაიწყო. ინათლა და, ქალაქიდანაც გავედით. გადათეთრებულია არემარე, მხოლოდ ასფალტის შავი ზოლი მიგვიძღვება წინ. ბიძინამ დაიწყო ლაპარაკი, სამსახურეობრივ პრობლემებზე, სპორტზე, კულინარიაზე. ვგრძნობ, ძალიან უნდა, რომ ავყვე, მაგრამ ვერ ვუსმენ. არა, ყველაფერი მესმის, მაგრამ ვერ ვაცნობიერებ ნათქვამს, თითქოს უცხო ენაზე მელაპარაკებიან. გატრუნული ვარ, უფრო მეფიქრება, მოგონებები ამეშალა. ძალაუნებურად ზამთარი გამახსენდა, ბაკურიანი, ჩვენი ახალგაზრდობა სუფთა და უცოდველი, მაშინ იქ, ბაკურიანში, მარტო „დინამო“ იყო, სინათლეც მხოლოდ იქ ჰქონდათ, ისიც ავტონომიური. ჩვენი მეგობარი გოგონა, ლინა ცხოვრობდა „დინამოში“. მისი ხათრით ჩვენც იქვე, ახლოს დავბინავდით ერთ ფარღალალა ხის სახლში. მაშინ პროდუქტები და პურიც კი თბილისიდან ჩაგვქონდა. მე დიდი ქვაბით ინდაურის საცივი გამატანა დედამ, ბიძინამ ღორის თავ-ფეხის ლაბა წამოიღო. კარგი რამე იყო მდოგვით.

„დინამოში“ გათბობა იყო, ჩვენს ოთახში კი ღამით ვედრო წყალს ფსკერამდე ყინავდა, დილით ცხვირს ვერ გამოყოფდი საბნიდან. მაინც ჩვენთან გვერჩივნა ყოფნა. მე მცივანა ვიყავი და ძილისგუდა. ბიძინა დილაუთენია შეშას დააპობდა, ცეცხლს ააგუზგუზებდა, წუთში აბანოსავით დათბებოდა. მერე ლინასთან გარბოდა, ამოიყვანდა და ერთად საუზმის თადარიგს დაიჭერდნენ ხოლმე. ამის გაცივება არაფრით არ შეიძლებაო, დედამისმა მე ჩამაბარაო, ამბობდა ბიძინა. მეც ვიფერებდი, გვიან ვდგებოდი და პირდაპირ სუფრას მივუჯდებოდი ხოლმე. ძალიან გვიყვარდა მაშინ სამივეს ერთმანეთი. საღამოობით ამბების თხრობით გვართობდა ბიძინა. კარგი თხრობა იცოდა. ალბათ, ეხლაც კარგად ყვება, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვუსმენ.

თოვამ იმატა. მაინც მოკლეზე, გომბორზე წავედით. ვიცი, ფათერაკებით უნდა მგზავრობა, იქნებ გამომაფხიზლოს. არ შევწინააღმდეგებივარ. არა, ჩვენი გზები ნამდვილად არ ვარგაო, თქვა ბიძინამ და უკვე მერამდენედ შეცვალა თემა. ნამდვილი ნაცარქექიაა, ჭკუით გატენილი, მეოცნებე, ფილოსოფოსი, დასვი ბუხართან და ალაპარაკე. ასეთი იყო, ეხლაც ასეთია. თავის პროექტი გაიხსენა, ბავშვობაში ნაოცნებარი. მშობლიური თემაა, მოსმენა მომინდა, შევძელი კიდეც. თბილისის სატრანსპორტო არტერიების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ის პროექტი. ომის მერე მოიგონა, სკოლაში. ეხლა რომ მონორელსს ვეძახით, ის იდეა მოუვიდა თავში. შეკვეთა მომცა. მე დავუხატე. მაშინ მონორელსის ჭაჭანება არ იყო მსოფლიოში, ტერმინიც კი არ იყო ასეთი. ბიძინამ მოიგონა პირველად. ბიძინას ტრამვაი დავარქვით. ნამდვილად ისეთი წარმოედგინა, დღეს რომ იაპონიაში დაგრიალებს. ბიძინას მონორელსი სვეტებზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი, სახლებს თავს გადაევლებოდა, შეაერთებდა ქალაქის სხვადასხვა უბნებს. ტრამვაი აღარ იქნებოდა. მაშინ ტრამვაიზე შეხტომა-ჩამოხტომა ახალგაზრდების დამღუპველ ჩვევად იქცა, ბევრი ბავშვი შეიწირა და დაასახიჩრა ტრამვაიმ, ბესოს ფეხი მოკვეთა. — რეზოსაც. ბიძინას პროექტი უფრო ჰუმანურობით იყო ნაკარნახევი — ჩემს ტრამვაის ველარ შეახტებიანო, — ამბობდა.

ბიძინა ლაპარაკობს და ლაპარაკობს თავისი მონორელსის პროექტს მთელს საქართველოზე ავრცელებს. თურმე მომავალში გზები ამის პროექტის თანახმად, იარუსებიანი იქნება. სულ ზემოთ, მონორელსზე მატარებელი ირბენს, ქვედა იარუსზე კი საავტომობილო ტრანსპორტი. ქვემოთ იმიტომ, რომ ზაფხულში მგზავრები მზემ არ შეაწუხოს და ზამთარში თოვლმა და წვიმამ. მონორელსი დაიცავს დედა ბუნებას, გზებით ხელოვნურად დაყოფილი ტყე და მინდორი ისევ გაერთიანდება, გამონთავისუფლდება უზარმაზარი ფართობები. ნადირ-ფრინველი აღარ იქნება გამომწყვდეული გზებით შემოსაზღვრულ ჩარჩოებში და სწრაფად გამრავლდება, გამონაბოლქვი აირები უკეთესად განიავდება, აღარ ჩაწვება სმოგი გზის პირას მწვანე ზოლში, აღარ შეაწუხებს ფლორასა და ფაუნას და ვიცხოვრებთ თურმე წალკოტში.

— მონორელსი რომ ყოფილიყო, ეხლა უკვე თელავში ვიქნებოდითო — თქვა ბოლოს.

გადასასვლელს მივუახლოვდით. დაიწყო აღმართები, ასფალტის შავი ზოლიც გაქრა, გათეთრდა. მანქანა ღმუის და სრიალებს. ბიძინა ისევ ლაპარაკობს. მოძრაობა გაჭირდა. მანქანის ჭაჭანება არაა ირგვლივ, ალბათ, დაიკეტა გზა. ცოტაც და, უნაგირზე გავალთ, მერე თავქვეა, მაგრამ მანქანამ გვიმტყუნა წყაროსთან. აღარ უნდა წასვლა, სრიალებს.

— საჭეს მიუჯექი, მე მოგაწვები. — შემომთავაზა ბიძინამ. არ შემეძლო საჭესთან ჯდომა. გარეთ ყოფნა ვარჩიე. ლამაზად თოვდა. ფიფქები სახეზე მადნებოდა, თავი დამისველდა, ფეხებიც. მაინც გავხურდი, სისხლმა მოძრაობა დაიწყო, სილამაზეც ვიგრძენი, არც ვიღლები, ვაწვები და ვაწვები... ბიძინამ ფანჯრიდან გამოყო თავი, ეხლა იქიდან ქაქანებს.

— არა, ძმაო, დარვინიზმი ნამდვილად სისულელეაო, გამომძახა. ადამიანი ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებს და რა ღმერთი გაუწყრა და კუდი რად მოიცილაო. ეხლა შენ, რომ კუდი გქონდეს, ხომ გამოიყენებდი მესამე საყრდენად და მოწოლა გაგიადვილდებოდაო. ველარ შევძელი მიწოლა, გავჩერდი, გამეცინა და იმიტომ. გადმოვიდა ბიძინა და ერთად ვიცინით.

აბა დაუკვირდი, ვთქვათ, საქმიანობ, ორივე ხელი დაკავებული გაქვს და ყური მოგეფხანა, რა, კუდით ვერ მოიფხანდი? ან და, დაიღალე, შე დალოცვილო, ხალხი „ტროსტებს" ატარებს, რომ დაეყრდნოს, შეისვენოს, ფეხებს შეღავათი მისცეს. რა, კუდი მქონოდა და, ვერ დავეყრდნობოდი? დინოზავრმა და იხტიოზავრმა შეძლო კუდის გამოყენება და მე ვერ შევძლებდი? წარმოვიდგინე კუდიანი ბიძინა, კუდზე დაყრდნობილი, ფეხი ფეხზე გადადებული და ისტერიული სიცილი ამივარდა. ისიც ამყვა, ალბათ, იმან მე წარმომიდგინა კუდით!

— კი მაგრამ, კუდზე, რომ შეგცივდებოდა-მეთქი, პირველად ამოვიღე ხმა. შე კაი კაცო, ადამიანმა ყველაფრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის მოიგონა „ჩიხოლი" ვიოლინოსათვის, თოფისათვის, თხილამურისათვის. აგერ მანქანისათვის და კუდისათვის ვერ შეიკერავდა? თანაც „ზმეიკით", ლამაზს. გინდა მოიხსნი, გინდა გაიკეთებ. ეხლა შენ გაკეთებული გექნებოდათ, მითხრა, არც შეგცივდებოდა, არც დაგისველდებოდა და არც დაგესვრებოდათ.

კარგა ხანს ვიცინეთ, ვიდრე არ დავრწმუნდით დარვინიზმის უმეცრებაში. ადამიანს კუდი არასოდეს ქონია, რომ ქონოდა, არ მოიძრობდა, ატავიზმი სისულელეა, გვატყუებენ, ხალხო, გვატყუებენო, ერთხმად ვთქვით და მიწოლა განვაგრძეთ. ჩქარა გავედით თავქვეზე, ნელ-ნელა, სრიალ-სრიალით დავეშვით. ბიძინა ისევ ლაპარაკობს. — შიზოფრენია იცი, რა დაავადება არისო? — მკითხა და თვითონვე გასცა პასუხი, კაცს ნახავ, გული აქვს კამეჩის, წნევა ნორმალური, კუჭი? — რკინა აჭამე თუ გინდა, მოინელებს; კბილები სპილოს ძვლის, მხედველობა არწივის, ერთი სიტყვით, კაცი კი არა, ნადირია, ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ — ამბობს ნაპოლეონი ვარო, არაადექვატურად აღიქვამს სინამდვილეს, სამყაროს, ა, ძმაო, ესაა შიზოფრენია. ჰო და, იცი, რომ საბჭოთა კავშირში 280 მილიონი შიზოფრენიკი ცხოვრობს შენი და ჩემი გამოკლებით. რატომაა შიზოფრენიკი? იმიტომ, რომ სჯერათ, რომ ყველაზე კარგები ქვეყანაზე ჩვენა ვართ, რომ ყველაზე დემოკრატიული წესით ვცხოვრობთ, ჰუმანურები ვართ, ჩიტს არ ავაფრენთ, დიდი მიღწევები გვაქვს, რომ განვითარებად სოციალიზმში შევედით და საცაა კომუნიზმსაც ავაშენებთ.

ქართველებს, ყოველივე სიკეთესთან ერთად, ერთი უბედურება გვჭირს კიდევ — დილა-საღამოს სტალინის სადღეგრძელოსა ვსვამთ.

შენ ჯანმრთელი კაცი ხარ, ამ ავადმყოფ საზოგადოებაში ცხოვრობ და ამიტომ გიჭირს, ვიდრე ხალხი არ გამოჯანმრთელდება შენს ირგვლივ, ეგეთი გაჭირვებული იქნები. ეს უნდა გაიაზრო, ამაში უნდა დარწმუნდე და ცხოვრებაც გაგიადვილდება. მე ვიცი, რომ ჯანმრთელი ვარ, სხვები ავადმყოფები არიან, ვპატიობ როგორც სნეულებს, აბა რა ვქნა, და ცხოვრებაც მიადვილდება. შენც ასე უნდა მოიქცე, ხომ ხარ ჯანმრთელი, ჰოდა, ამაზე დიდი სიმდიდრე ქვეყანაზე არაა. აბა ის გირჩევნია, საბჭოთა შიზოფრენიკი იყო, მაძღარი და კმაყოფილი? ჰოდა, თუ არ გირჩევნია, ნუ ბუზღუნებ. ბედნიერი კაცი ხარ, რომ ჯანმრთელი ხარ, ოჯახიც რომ ჯანმრთელი გყავს ესეც დიდი ბედნიერებაა. აბა, შვილი გყავდეს შიზოფრენიკი, რა ხასიათზე დადგები. შე დალოცვილო, თითის ტოლაა და აქეთ მასწავლის ჭკუას, კომკავშირმა ვერ მოატყუა და ლენინიზმმა, ამაზე მეტი ბედნიერება რაღა გინდა. ღმერთს ნუ სცოდავ და შვილზე ავი აღარა სთქვაო.

●

თელავსაც მივადექით. სასტუმროში შეირბინა, ალბათ, ადგილებისათვის, მერე მანქანა იქვე დავაყენეთ და ფეხით გავყევით გალავაჩოვებისაკენ. ბიძინამ მითხრა, ესენი არიან ჩვენი მასპინძლებიო.

ლამაზია თელავი. დათოვლილიც ძალიან ლამაზია. მივედით გალავაჩოვებთან. დიდ თბილ ოთახში უზარმაზარ მაგიდას სამი გოლიათი უზის, სამი გალავაჩოვი, — მამა და ორი ვაჟი. ხინკლებს აკეთებენ, კი არ აკეთებენ, ძერწავენ, ნაოჭები გამოჰყავთ, ჭიპებს ქნიან. ქალები ფუსფუსებენ, კაცებს ცეცხლფარეშობენ, ბავშვებიც ბლომად არიან. საამო გარემოა. ყველა კახურად უქცევს, კახურად ოხუნჯობს, კახურად იცინის.

ჩქარა მოგვართვეს ხინკალი, სხვა პურ-მარილიც ბევრი იყო: ხაშლამა, ღორის მწვადი, ღვინო, ლუდი, არაყი. მე ხინკალი და არაყი ვამჯობინე. არაყი მაგარი იყო და გემრიელი, გული გამიხსნა. დავილოცეთ საახალწლოდ, ოჯახი ვადღეგრძელეთ, — დიასახლისები და ბავშვები. მერე შევყევით ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული წესით. დიდხანს ვისხედით. გვიან ავედით სასტუმროში. წყნარი, სუფთა და თბილი ოთახი მოგვცეს.

კარგი გათენებული იყო, რომ გამეღვიძა. ბიძინა ამდგარი იყო და თავის ქაღალდებში იქექებოდა. ბორჯომი შემომთავაზა. არ მინდოდა, საღად ვგრძნობდი თავს. გადავიბანე, სულ მთლად გავიმართე წელში. წავისაუზმეთ და დიდი გზით გამოვწიეთ თბილისისაკენ. კარგ გუნებაზე ვიყავი, იმიტომ, რომ კუდიანების შთამომავალი არა ვარ. არც ერთი ჩემი წინაპარი კუდიანი არ ყოფილა, იმიტომ რომ დარვინიზმი სისულელეა. მიხაროდა, რომ შიზოფრენიკი არა ვარ და, მადლობა ღმერთს, არც შვილი მყავს შიზოფრენიკი. სხვა ყველაფერს ეშველება. დეიდა ნელის სასაფლაოს უნდა მივხედო, მამაჩემის უნდა გავაკეთო, დედაჩემი ფეხზე უნდა დავაყენო, ჩემი ბიჭი — ჩემია და ჩემზე კარგი კაცი დადგება. ეს ვიცოდი და ღიღინით მოვდიოდი თბილისში. თოვდა, ლამაზად თოვდა. ბიძინა ისევ ლაპარაკობდა.

## სატირალში

ბავშვობაში ზაფხულობით, ზემო იმერეთში, სოფელ მუჯირეთში წამიყვანდნენ ხოლმე ბაბუაჩემის ძმასთან, გრიშასთან. გრიშა და მისი მეუღლე მარიამი მარტოხელა მოხუცები იყვნენ, უშვილძირონი. იმ დროისათვის შეძლებულად ცხოვრობდნენ. ცხენიც ჰყავდათ, ქათმებიც, ძროხაც ეწველებოდათ, მჭადიც ჰქონდათ და ღვინოც. ოჯახი პატარა იყო და მშრომელი და გამრჯე გრიშა ბაბუა დედაჩემის მამის ძმა, მარჯვედ უძღვებოდა საქმეს. სახლიც დიდებული ჰქონდათ. — წაბლის ძველისძველი ორსართულიანი ოდა, მუხის საძირკვლით, კოჭებითა და სვეტებით გაწყობილი. ბაბუაჩემის საძმო სახლი იყო და მოგვიანებით, მოხუცები რომ დაიხოცნენ, სანათესაომ სოფელს მიჰყიდა ის სახლი. დაშალეს, დუქანთან ჩაიტანეს და იქ გამართეს, მშვენიერი რვაწლიანი სკოლა მოთავსდა შიგ.

ძალიან მიყვარდა მუჯირეთში ყოფნა. გრიშა ბაბუა ცხენს მაძლევდა, თვინიერი იყო და მენდობოდა. მეამაყებოდა ცხენით სიარული, მოვლაც მიყვარდა, დაბანაც, დავარცხნაც სიამოვნებას მგვირიდა მეც და იმასაც. ჩემი ტოლი სოფლის ბიჭებიც ბლომად იყვნენ, ვაჟა, პეტიკო, რეზიკო. მდინარე, ანკარა ძუსა, ბაბუაჩემის ვენახის ბოლოს ჩამოედინებოდა. ისეთ დიდ, ღრმა მორევებს იკეთებდა, ფეხს ვერ ვუწვდენდით ბავშვები, მარტო ვაჟა გვჯობნიდა ყველას დაყვინთავდა, სილასა და კენჭებს ამოიტანდა ხოლმე იმის საბუთად, რომ ფსკერამდე დაუწია.

ძუსაში ბევრი თევზი იყო. ვთევზაობდით, უფრო ვხელაობდით, ავყვებოდით ხოლმე ძუსის ხეობას მუხურამდე, ზემოთ აღარ მივდიოდით. იქით მუხურლების იყო ტყეც, მდინარეც, ყანაცა და თევზიც.

მაშინ ზემო იმერეთში ბაზრობა იმართებოდა ხოლმე, სამშაბათობით სვირში, ოთხშაბათობით — საზანოში, პარასკევს — ჩხარში, შაბათს — ქვაციხეში, კვირაობით — ზესტაფონსა და ჭიათურაში. რატომღაც ჩემი წაყვანა უყვარდათ ბაზრობაზე, გამომაწყობდნენ ხოლმე და წამიყვანდნენ, არც მეკითხებოდნენ, მინდოდა თუ არა.

გრიშა ბაბუას დავყავდი ძირითადად საზანოში ბაზრობაზე. ყველას წარუდგენდა ხოლმე ჩემს თავს — სიმონის შვილიშვილიაო, ეტყოდა. ბაბუაჩემს, სიმონს, ქუთაისის სასულიერო სემინარია დაუმთავრებია წარჩინებით, გაბრიელ ეპისკოპოსის წარდგინებითა და უშუალო დახმარებით თბილისში გაუგრძელებია სწავლა და, მიუხედავად იმისა, რომ მერე, მთელი ცხოვრება საერო საქმეს ემსახურებოდა და თბილისში ცხოვრობდა, ამ მხარეში მაინც ყველა იცნობდა. კარგი რეპუტაცია ჰქონდა, პატიოსანი, წიგნიერი, განსწავლული კაცი იყო და, ალბათ იმიტომ. გრიშა ბაბუა ძალიან ამაყობდა, რომ სიმონის შვილიშვილი ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ის ხალხიც პატივისცემითა და სიყვარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით მეპყრობოდა, მეფერებოდა. რას არ მჩუქნიდნენ — ბილს. კეროჩენებს, [illegible] რიებს. მეც ვართმევდი [illegible], აბა რა მექნა.

როგორც მახსოვს, უფრო ხშირად ასე, ტყუილად მივდიოდით ბაზრობაზე, არც არაფერს ვყიდულობდით და არცა ვყიდდით. ბევრი მოდიოდა ჩვენსავით ტყუილა, მოდიოდნენ, საუბრობდნენ, ამბებს ყვებოდნენ. ხალხი ერთმანეთს ნახულობდა, მოიკითხავდა და ყოველივე ამას ბაზრობა ერქვა. „იარმარკა“.

ბაზრობის მერე ოჯახში სულ ერთი და იგივე მესმოდა: ბათმანი სიმინდი ამდენი ღირსო, ლობიო, ამდენიო. ოყა ყველი ამდენიო. ის ვნახე, ეს ვნახეო, და ასე შემდეგ.

ერთ მშვენიერ საღამოს მარიამ ბებიამ გამოაცხადა: ხვალ სატირალში მივდივარ, დაპატიჟებული ვარ და უნდა წავიყვანოო. მეზობლის ქალი გარდაცვლილა, აგრაფინა. მეზობელი ეთქმოდა, თორემ ისე კი იყო ჩვენგან ორი-სამი კილომეტრით დაშორებული. რა მინდა სატირალში-მეთქი, წამოვაყრანტალე. რას ჰქვია, რა გინდა, ბებიაო,— შეიცხადა მარიამმა, სიმონის შვილიშვილი მაგას უნდა მეკითხებოდეო, აბა რა გინდაო. ძუსაში მინდა-მეთქი, — ვუთხარი. სულ იქ არა ხარ. დაჯექი ერთ დღეს სახლში და წამომყევი სატირალში, ბებია გენაცვალოსო, — შემევედრა. — დამამშვენე, ხალხი დაგინახავს, მეც გამეხარდება და იმათაც გაეხარდებათ, რო გაიგებენ, სიმონის შვილიშვილი ხარო.

დაიწყო სამზადისი. შევატყვე დაბანას მიპირებდა. დიდი სპილენძის ქვაბით წყალი აადუღეს, ტაშტები მოამზადეს. დღეს რვაჯერ ვარ ნაბანი ძუსაში და რად მინდა კიდევ დაბანა-მეთქი. ეს ბავშვი გადამრევს, სიმონის შვილიშვილმა ეს უნდა მითხრაო, — თქვა მარიამმა და წყალი გაანელა. საპონი არ იშოვებოდა, თავსაბანი მიწით დამბანეს. საკვირველი კია, თეთრი მიწა იყო და საპონივით იქაფებოდა. წელს ზემოთ მარიამი მბანდა, ქვემოთ — გრიშა. არა და, იმ დღეს მართლა რვაჯერ ვიყავი ნაბანავები ძუსაში, სულ წყალში ვიყავით, [illegible] მოსული იყავი [illegible] რომ გამეზარდა ამ ერთ საათში საკვირველი [illegible].

დილას გამომაწყეს და შევუყევით მე და მარიამ ბებია აღმართს. ჩვეულებრივად, შინაურულად ჩაცმული მოდიოდა, ფოსტლებში ჰქონდა ფეხი გაკრული და ძველებური დიდი საკვოიაჟი მოჰქონდა. დავეჭიდე, წამოგიღებმეთქი, არაფრით არ დამანება, გამიფუჭებო. — მითხრა. ჩქარა სხვებიც წამოგვეწივნენ მოტირალები. მივდიოდით ნელნელა, ტაატ-ტაატით. საუბრობდნენ უფროსები, ამბებს თქვეს აქეთური, იქეთური.

ამასობაში მივუახლოვდით აგრაფინას სახლს. ბებიაჩემმა ერთი გლეხის ოჯახს მიაშურა. შევედით ეზოში, მასპინძელი გამოგვეგება, გადაგვკოცნა, მოგვიკითხა. მერე მარიამ ბებიამ დაგვტოვა. სახლში შევიდა. ჩქარა გამოვიდა. ვერ ვიცანი, ლოყები აწითლებული ჰქონდა, ტუჩებიც. შავები ეცვა, სულ შავები თავშალიც შავი ჰქონდა. ლაქის პრიალა ფეხსაცმელი აქა-იქ აბრწყინდებოდა ხოლმე გრძელი კაბის ქვეშ. თეთრი საყელო ეკეთა და თეთრი სამაჯურები, კოხტა არშიით გაწყობილი. თავი დარბაისლურად ეჭირა. კარგი სანახავი იყო. ეზოდან გამოვედით და შავი საჩრდილობელიც გაშალა, ქოლგა, მეორე ხელში შავი რედიკული მოიმარჯვა და დინჯად გაუყვა შუკას.

მივადექით მიცვალებულის ეზოს და დაიწყო მარიამმა კივილი. თმა ჩამოიწეწა, ლოყები დაიკაწრა, დაიღადრა და ასე აფორიაქებული მიადგა მიცვალებულს, ჩაეხუტა, დიდხანს იქვითინა, მოთქვამდა და მოთქვამდა, ძლივს მოაშორეს ცხედარს. მე ელდა მეცა, პირველად ვიყავი სატირალში, მარიამ ბებიაც მოქვითინე არასოდეს მყავდა ნანახი, ხოშხოშა ქალი იყო, ღიმებულგაცინებული და ძალიან შევწუხდი მისი წუხილით. სხვებიც ტიროდნენ, მაგრამ ამის ტირილმა განსაკუთრებით შემაღონა. მეც მომერია ცრემლი, ავეკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მარიამს, აილუღლუღდი. — არ მო[illegible] [illegible]-მეთქი, რომ გამოვედით [illegible] მო[illegible] დამწყნარი, ნუ [illegible]. ბე-[illegible]. მითხრა. მე აწი კი უნდა მოვკვდე, მაგრამ შენ უნდა იყო კარგათ. ხო ვაჩვენე ყველას, ტირილი რაფერი უნდაო. ტირილსაც ცოდნა უნდა, ბებია, და გლოვასაცო, ამასაც თავისი დანიშნულება და ელფერი აქვსო. აბა, კაცი რომ მოკვდება, არ უნდა დაიტიროო? რო არ დაიტირო, ხომ არი ცოდვაო. უნდა დაიტირო, გული უნდა დაიკაწრო, სიყვარული უნდა უთხრა და უნდა გაიგოს მკვდარმაც და ცოცხალმაც, რომ ადამიანი მოკვდა და არა პირუტყვიო. მე რომ მოვკვდები, ხომ იტირებ შენცო, — მკითხა და მერე ისევ კარგ გუნებაზე შემდგარი, ხალხში გაერია,

[illegible] გადაიხადა. ასა-[illegible] და [illegible] მეზობელ-ნათესავებ-თან ერთად [illegible] გამოუყო.

[illegible] წვრილ-წვრილად უამბო გრიშა ბაბუას, ვინ [illegible] და [illegible], ვინ გათხოვდა, ვინ ცოლი ითხოვა, ვინ იტირა და როგორ იტირა. მერე თავისი ნატირალი უამბო. გრიშა ბაბუა გულმოდგინედ უსმენდა, როგორც მივხვდი, მოწონდა მარიამის ტირილი, ტირილსაც თავისი ლაზათი აქვს და იმიტომ.

— ნეტა შენ თუ დაგიტირებს მასე ვინმეო, — დასვა საკითხი ბოლოს გრიშამ. არა, ისე მართლაც ვერ დავიტირეთ მარიამი, მაგრამ გარდაცვალების დღეში რომ მოგვივიდა, იმ ღამეს არ მეგონა თუ გადავრჩებოდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩოჩე ადეიშვილი

## ნუ აყვები ცთუნებას...

ამდენ ტკივილს, თავო ჩემო,
სანამ უნდა ითმენდე,
სულ გადი და გამოდი და
მტერ-მოყვარეს მიხედე.

შენს ეზო-კარს მოუარე,
სხვის ეზოში ყურებას,
ემანდ სადმე არ შეცოდო,
ნუ აყვები ცთუნებას.

ბლოს ყველა იქეთ წავალთ
რიგ-რიგობით ყველანი,
ღმერთმა უწყის—მტყუანს, მართალს
ვერ გაარჩევს ვერავინ.

დრო მიდის და კარგად ვიცი,
ქვეყანაზე რაც ხდება,
ჩემს მოცილეს შემახვედრე,
სანამ გული დაცხრება.

თუ ღმერთი გწამს, არ დამტოვო
სხვის უღელში შებმული,
პირში ჩალა, პირში ჩალა,
ჩალაგამოვლებული.

## რა მაქვს გასაყოფი შენთან

ისე როგორც შენს წინაშე,
მართალი ვარ მაღლა ღმერთთან,
თავს ვიტყუებ, თორემ ისე
რა მაქვს გასაყოფი შენთან.

ყველა თავის წესით ცხოვრობს,
ვის რათ უნდა შენი წესი, —
შვილს მამის და მამას შვილის
როცა არაფერი ესმის.

ვინც გიცნობს და ვინც არ გიცნობს,
მაინც დაგივიწყებს მერე,
ერთხელ თუნდაც გაჭირვებულს
ხელი თუ არ შეაშველე.

შენს სიცოცხლეს რით ამართლებ,
რა ფასი აქვს მაშინ იმას,
თვალი თუ არ მიადევნე
ქვეყანაზე ათას წვრილმანს.

სამივე შვილს გეფიცები,
მართალი ვარ მაღლა ღმერთთან,
თავს ვიტყუებ, თორემ ისე
რა მაქვს გასაყოფი შენთან.

## გალაკტიონი

მისი სახე თვალწინ მიდგას —
დღე და ღამე არა მტოვებს,
როგორც ადრე, ახლაც ისე
მხიბლავს მისი სიმარტოვე.

თუნდაც ერთხელ, სიცოცხლეში
რომ ვერ ვნახე, მწყდება გული,
მთელი ქვეყნის სატკივარი
გულში ქონდა დამარხული.

მის თვალებში ცეცხლი ენთო,
მოგიზგიზე ცეცხლის ალი,
სხვაზე მეტი ნიჭი ქონდა
ღმერთთან იყო წილნაყარი.

## ყველა თავისი სიცოცხლით ცოცხლობს

ალბათ ასეთი ბედი მეწერა
უკან ჩამოვრჩი ცხოვრების გზაზე.
გაფრინდი ისე, როგორც პეპელა,
ერთხელაც უცბად გამცვალე სხვაზე.

ეხლა მარტო ვარ საწუთროს მიღმა,
რას იზამ, ზოგჯერ ასედაც ხდება;
ცირკის კლოუნი სხვის გვირგვინს
იდგამს,
ზოგი მაცილი სხვის სკამზე ჯდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასაბამიდან ღვთის ნებით რადგან
კარუსელივით ტრიალებს ბედი,
ამ ქვეყნად ჩემი შვილების გარდა,
ბედნიერება არ მინდა მეტი.

რაც შენ დამტოვე, ჩემს ბედზე
ვტირი,
შენთან შეხვედრა ახლიდან არ
მსურს.
ძველმა ცხოვრებამ მოგჭამა ჭირი,
ძველი ცხოვრება ჩაბარდა წარსულს.

ის რაც მომწონდა, დღეს აღარ
მომწონს,
არ მხიბლავს ის, რაც მხიბლავდა
გუშინ,
ყველა თავისი სიცოცხლით
ცოცხლობს,
ყველას თავისი ცეცხლი აქვს გულში.

## რაც დრო გადის...

რაც დრო გადის, ერთმანეთი
ახლა უფრო გვჭირდება,
სიყმაწვილის დღეებს ვნატრობ
თანდათან რომ მცილდება.

დღე ცისმარე ზოგჯერ თურმე
მზესაც ჩრდილი დაყვება,
შენზე მაინც მეტ-ნაკლებად
გული მეთანაღრება.
შენთვის ულალატო გულის
ვერ შევძელი მოტანა,
სანამ უნდა გეთამაშო
კუკუ-დამალობანა.

## მოწყალეა რადგან ღმერთი

ზღვარზე ვდგავარ, არ მჭირდება
მოწყალება ანი სხვისი.
ჩემს ეზოში მოწყენილი
ჩიტის სტვენაც აღარ ისმის.

ძველ სიმღერას დავიწყებულს
უცხო სონეტივით ვისმენ,
გზაზე ფრთებიც რომ მომტეხონ,
მაინც გავფრინდები ცისკენ.

ბედის ვარსკვლავს შენთან ერთად
სხვა სიკეთე მოაქვს ჩემთვის,
ერთმანეთის სიყვარულში
მოწყალეა რადგან ღმერთი.

## უფრო უკეთეს დღეს მომასწარი

წყეულმა ბედმა სად არ მატარა,
ისე გამტანჯა წუთისოფელმა.
არ შემიძლია მეტის ატანა,
არ შემიძლია მეტის მოთმენა.

ნამით უშენოდ ველარ ვისვენებ,
შენს მოლოდინში ღამე არ მძინავს,
შენზე ვამყარებ იმედს ისევე,
ვერ დაგვაშორა დრომ და მანძილმა.

თუმც შემოდგომა მეწვია მკაცრი,
რა ვქნა, ვერ აღწევს სითბო
გულამდი.
შენთან დავრჩები ყოველდღე ანი
ჩემი დღეების დასასრულამდი.

ვიქნები შენი კარის მოძღვარი,
მცირე საგზალით გუდა ამივსე.
უფრო უკეთეს დღეს მომასწარი —
სიცოცხლით გული გამიხალისე.

## ცეცხლი მიგიზგიზებს გულში

ჩემთვის, ცალკე ოთხ კედელში,
სასჯელს ვიხდი მარტო, დღემდი,
რატომ უნდა ვიყო სხვაზე
ან ნაკლები, ანდა, მეტი.

შინ და გარეთ აქ სიმართლის
ნატამალი სადმე თუა,
ბრუნდს და მართალს რატომ უნდა.
რატომ უნდა ვკითხო ჭკუა.

როგორც ადრე, დღესაც ისე,
ცეცხლი მიგიზგიზებს გულში,
ახლო-მახლო სახლებიდან
აღარ ისმის ტაში-ტუში.

როცა გადაწყვეტილია
ღმერთის მიერ ყველაფერი,
რისთვის უნდა, რისთვის უნდა
ვიბრაგუნო გულზე ხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ელა გოჩიაშვილი

## დედას

დედის გულზე რას არ ჰყვებიან,
რაღა შენმა გულმა ვერ იგრძნო,
რაღა შენ ვერ იგუმანე,
რომ სხეულში ჩემზე ორსულს
ბავშვი კი ხრა,
სევდა გყავდა ჩასახული.
რატომ ვერ მიხვდი,
რომ სასტიკი შეცდომა იყო
ცხრა თვე მუცლით სევდის ტარება.
ან მერე,
როცა საშოს გამოვცდი,
ლარი გადაჭრეს,
სამუდამოდ დაგვაცალკევეს
და დამაგდეს მარტოობაში,
რად მომეფერე,
რად გამათბე,
რად დამაპურე,
რატომ მზრდიდი კაციშვილივით;
სახვევებში მოცახცახე უსასოობა
ბავშვისგან როგორ ვერ განასხვავე.
დედის გუმანზე რას არ ჰყვებიან,
რაღა შენმა გულმა ვერ იგრძნო...
მიწიდან გასაგდებად,
ცაში ჩასახრჩობად,
დაწყევლილი სიყვარულისთვის,
უსიხარულო ყოფნისათვის,
არაფრისათვის, არავისათვის —
რატომ დამბადე...

## ...და გავფრინდები...

რატომ არ გჯერათ, რომ უკვე მოვკვდი,
ნუთუ ვერ მამჩნევთ სილურჯეს სულზე;
მე ახლა ზეცის მზადებას ვუმზერ
და გავფრინდები, როგორც დოროთეა.
ჯერ ვითმენ... თმენა გარდუვალია,
როცა საფეთქელს ეკალი გიმკობს;
მერე კი ვიტყვი: „აქ ძნელი იყო..."
და გავფრინდები, როგორც დოროთეა.
სიცოცხლე განა რას დამაყვედრის,
ერთ უსასრულო სიყვარულს მხოლოდ;
მე ესეც დამღლის ბოლოს და ბოლოს
და გავფრინდები, როგორც დოროთეა.
ლურჯი ბალები უკვე ილევა
და როცა ზეცის დაყვავილებას
გადაჰყვებიან მზეცა და მთვარეც,
სიცარიელით სავსე, დიადი,
როცა ამოვა სუფთა წყვდიადი,
სხეულს დავუგდებ მიწიერ ვალებს,
დავიჩურჩულებ: „მორჩა, დაიწყო..."
სამარადისოდ გავახელ თვალებს
და არყოფნით გაოცებული
მე გავფრინდები, როგორც დოროთეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტარიელ მარწყაშვილი

# ორი მოთხრობა

### მოხუცები

ბუმბერაზ მთებს შორის ჩაკარგული სოფელი თოვლით იყო დახუნძლული. ციოდა. უძალოდ ილიმებოდა მზე და მცირედი სითბოთი მაინც ამხნევებდა თოვლით დაჩაგრულ სოფელს. ღრუბლებს პირი შეეკრათ და მზის სხივებს მიწისკენ არ უშვებდნენ. მოწყენილიყო მზე, მაგრამ სჯეროდა, რომ მისი დროც დადგებოდა — ქარი დაეხმარებოდა ღრუბლებთან ბრძოლაში და მერე კი ლაღად ისრიალებდა ცაზე.

ყველასათვის მოსაბეზრებელია ზამთარი. დღის შემოპარვას უხალისოდ ამცნობს მამალი. დამშეული ბეღურები ქათმების ნარჩენებით იტყუებენ ცარიელ კუჭებს. მობუზული ძაღლები შეყუჟულან სათონეში და მწყრალად უცქერენ თოვლის თავნებობას.

კარებმიკეტილ გომებში უხალისოდ ცოხნის საქონელი წუხანდელ ნაბაგს.

ილვიძებს ხალხი. მამაკაცები ბუხრებს ალვიძებენ. თითქმის ერთდროულად ფეთქდება ყველა სახლის სახურავზე კვამლი. მერე ერთმანეთს ეჭორავებიან ღამენათევი ბუხრები. მარტო მათ უხარიათ ზამთარი, არიან თბილად, უდარდელად, ბედნიერად გრძნობენ თავს, რადგან მათი მეშვეობით თბება კერა — დიდი თუ პატარა...

მიხო ეზოში გავიდა, როდის გამოიდარებს ეს უპატრონოო, — ჩაიბუზღუნა და ნიჩბით თოვლის ხვეტა დაიწყო.

უძალოდ იქნევდა მოხუცი მოცვეთილ ნიჩაბს. გომამდე, საბძლამდე, ეზოს კარებამდე და სათონემდე ბილიკები გაკვალა. დათრთვილა მეთოვლემ. დილამ, მიხოს თექის ქუდი და „ბამბულა“. მორჩა საქმეს ბერიკაცი. მერე გომში შეიხედა. მოულოდნელად შეჭრილმა დილის სუსხმა ბალანი აუშალა საქონელს. პატრონის დანახვაზე ძროხები ზმუილით შეეგება მიხოს. შუქი აანთო. ნიშას ფეხებქვეშ ახლად მოგებული წაბლა ხბო იწვა. ადამიანის დანახვაზე შეცბა თუ შერცხვა და თავი დედის ჯიქანს მოაფარა. დაზმუვლა ალერსით დედამ, ალბათ გააცნო პატრონი ახლად გაჩენილს. მიხო შედგა ხბოს დანახვაზე, გაუკვირდა — „შე ვერანავ, ერთხელ მაინც არ უნდა დაგებღავლა?! — უსაყვედურა ნიშას, რომ დაგეხრჩო. სადღა უნდა გამომეყო თავი? ან რა გაუძლებდა ნუცას საყვედურებსა, — ყურს არ უგდებდი ძროხასაო, გეგონება, მარტო ჩემი საქმე იყოს“, ჩაილაპარაკა და საბძლიდან თივა გამოუტანა. მადლიერი თვალებით უხდიდა მადლობას სამი წყვილი პირუტყვი ბერიკაცს. მიხომ ნეხვი გომის ერთ კუთხეში მიხვეტა და ხბოსთან ჩაცუცქდა. წაბლა ხსენით იყო მთვრალი, ულონოდ იწვა. ხბო გასინჯა მიხომ — სახარეაო. — ჩაიცინა და გამოკეტა გომის კარი, ზედ, რომ თხისა და ცხვრის ტყავი იყო მიკრული ჩასათბუნებლად. მერე გომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავხეზე მიაყუდა კიბე მიხომ, იქიდან ჩული ჩამოიღო და სათონეში შევიდა ძაღლთან. „აბა. არ შეგცივდეს, კუდავ, — მიუალერსა ზღმარტლისფერ ხვადს, — ახლა სალაფავსაც მოგართმევს ნინუცა".

— მიხო, შენ გახარებასა, ბარემ ქათმებსაც დაუყარე; ნუ გამამიყვან გარეთ ამ სიცივეშია! — მოესმა შიგნიდან ცოლის სიბერით გაბზარული ხმა.

ქათმებსაც აჭამა. მამალი ელოლიავებოდა სიმინდით ნასუქ დედლებს და ამაყად უკურკურებდა, ყარყარებდა და ცალ ფეხზე შემდგარი, ხან ერთ დედალს გაუსვამდა მკერდზე მკერდს და ხან მეორეს.

უფრო მეტად გდაათეთრა თოვლიანმა დილამ წლების მიერ დათოვლილი ბერიკაცი. კარის ზღურბლზე შეეგება მოსიყვარულე ცოლი. თავზე ნაქსოვი ნართის შალი მოებურა, ტანზე ბამბაზიის ჭრელი ხალათი ეცვა, ფეხზე — ჭრელი, ხევსურული წინდები, მისთვისაც დაელარა სახე წლებს. თეთრი თმა მოუჩანდა შალის ქვეშიდან.

— უი, დამიდგეს თვალები, კაცო, ქალამნებით გახვეულ მუხლამდე თოვლშია. ქა, თავი კიდე პატარა ბიჭი ჰგონია ამ ჩემი ცოდვით სავსესა. გაგიჟია, ქალამნებით თოვლში სიარული, ადამიანო?! — საყვედურობდა ნუცა და ცოცხით უბერტყავდა თოვლიან წინდებს, — შამო, გამოიცვალე ეგ წინდები და ბუხართან დაჯე.

მიხას ქუდი მოეხადა, ცეცხლისთვის მიეფიცხებინა. ფეხშველა იჯდა პატარა სკამზე და ფეხები ცხვრის ტყავზე ეწყო. ცეცხლს უშტერებდა თვალს მოხუცი. წიფლის შეშა იწვოდა, ნაკვერჩხლდებოდა და ნაცრდებოდა. „ესრეა ჩვენი სიცოცხლეც, — ფიქრობდა მიხო პაპა, — საცაა მიქელ-გაბრიელი დამიკრამს თავსა და წამიპატიჟებს საიქიოში". თავზემოთ დაკიდულ სურათს ახედა, მისი ჯეელობისას იყო გადაღებული, „ჰაი, დედასა, მიხო, დაგევერცხლა გიშრის წარბები და წვერ-ულვაში? სიბერემდე სიქაჩლეო..." მერე მელოტ თავზე მოისვა ხელი. წამლად რომ სძლომებოდა, ერთ ღერსაც ვეღარ იპოვიდა ზედ.

სევდიანად ფშვინავდა ბუხარი, ატირებდა, აშრობდა და მერე ალში ახვევდა წიფლის ნედლ შეშას.

ნუცა მობრუნდა. წინდები მოუტანა მიხოს. ალერსით შეხვდა ორი წყვილი თვალი ერთმანეთს. უხაროდათ ერთმანეთის გვერდით ყოფნა, ალბათ, იმიტომ, რომ ვერ წარმოედგინათ უერთმანეთოდ სიცოცხლე.

— ნუცა, როგორი წაბლა სახარე მოუგია ნიშასა, — ახარა ბერიკაცმა.

— ქაა, არაფერი კი არ ეტყობოდა იმ ჯანდამწვარსა და...

კაცო, ხბო ხო ნახე, საწოვარი ხომ არა აქ გადავარდნილი?

— არა, დედაკაცო, მოუწოვია ხსენი, მისავათებულია ბაგიქვეშა.

— რაზემც მოგუდავდა, ქა დამიდგეს თვალები.

— რავი, კაცო, სამჯერ შავიხედე წუხელა, — თავს იმათრლებდა მიხა, თუმცა საამისო არაფერი სჭირდა, — ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ადგა მიხა და ტახტისკენ გადაჯდა, მაგიდასთან. მერე ფარდაგგადაფარებულ ტახტზე ხავერდისპირიანი მუთაქა გაასწორა და მიწვა. ფეხები ბუხრისკენ ჰქონდა მიშვერილი. სევდასა გრძნობდა, გული რაღაცას ცუდს ეჩურჩულებოდა. ოთახში მოატარა თვალი. მშობლების სურათს მიაჩერდა. ულიმოდა სურათში გაცოცხლებული დედ-მამა. სევდა მოეჭიდა მოხუცის თვალებს. დაკორძილი თითები გადაისვა ულვაშებზე.

ნუცა შემოვიდა წინკარიდან ოთახში და ცეცხლს შეშა დაუმატა.

— რა იყო, ადამიანო, რას ჩაუფიქრებიხარ ამ დილაადრიანად?! ღიმილით შეეკითხა მეუღლეს.

— სიკვდილზე ვფიქრობ.

— რა ვქნა, ადამიანო, რა დაბრეცილი აზრები მოგდის ამ დილის სიფთაზედა! — შეშინებული სახეებით შეხედა ქმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხომ არ უპასუხა. წამოდგა, ისევ ბუხართან ჩაჯდა და ცეცხლს ხელები მიუფიცხა.

ჭიშკართან ვიღაცამ დაიძახა.

— გამოფხიზლდა გამძეხასა[1], მოვიდა, ეტყობა, შენი ჯერია დღესა; ლხინიკო, ღვინისრუტია. მეხი დაგეცა მაგ გამოფიტულ თავზედა, — მიაწყევლა ნუცამ ჭიშკარში თავშემოყოფილ არაყაანთ „ლოთას".

— მიდი, ქალო, გადი, დაუძახე, შემოიყვანე, ნუ სწყევლი, მაგას თავისი უბედურებაც ეყოფა, — დინჯად გადაუგდო სიტყვა მიხომ უკვე კარებში გამავალ ცოლს.

მიხომ ეზოში გაიხედა. „ლოთა" რაღაცას უყვებოდა სახლისკენ მოპატიჟეს. ნუცამ არ იცის, რა ვაჟკაცი იყო გივია ახალგაზრდობაში, მერე აეწეწა გზა-კვალი, ღვინომ აიყოლა, დაჯაბნა...

ოთახში შემოსულმა გივიამ არყის სუნი შემოიყოლა. მიესალმა ერთმანეთს სტუმარ-მასპინძელი. მიხომ ბუხართან მიიპატიჟა გივია. ნუცა სუფრის გაშლას შეუდგა. ბუხართან პატარა მაგიდა დადგა, ზედ მწნილეული დაალაგა — ნივრისა, კომბოსტოსი, წიწაკისა, პამიდვრისა, კიტრისაც — ერთ დიდ ჯამში მოქცეული, პატარა ჯამით ნიგოზიც მოიტანა. მერე ღორის ხორცი — მოხარშული და შებოლილიც, შოთი პურები მოულაგა გვერდით, ხელადით არაყი დადგა და სტუმარი სუფრასთან მოიპატიჟა.

გივია ათი წლით უმცროსი იქნებოდა მიხოზე. ისიც შეჭაღარავებულიყო. თავზე „კეპი" ეხურა, ტანზე „ბამბულა" ეცვა, ჭუჭყისაგან ფერშეცვლილი და გაპოხილი. ფეხები ყელმოჭრილ რეზინის ჩექმებში ჩაეწყო. სევდიანი თვალები ჰქონდა. დარდისა თუ ფიქრისაგან სახე დამწუხრებოდა, მუშის ხელები ჰქონდა, დახეთქილი და დაკოჟრილი. ქვრივი იყო გივია. მთელი ახალგაზრდობა ციხეში გაეტარებინა. მერე, დაბრუნებულმა, ნორმალური ცხოვრება მოისურვა და დაქორწინდა ერთ ღარიბ ქალზე, მაგრამ ბედი კაცს ერთხელ რომ დაიბრიყვებს, მერეც ძნელად თუ მისცემს საშველსა. ასე მოუვიდა გივიასაც. ცოლი მოუკვდა და ისედაც გულჩათხრობილი, კიდევ უფრო დადარდიანდა: სიმთვრალეში ხედავდა სულის სიმშვიდეს და მიეძალა ღვინო-არაყს. კეთილი გული ჰქონდა. მეზობლის სიყვარული იცოდა და ეხმარებოდა ყველას, ვისაც მისი სამსახური დასჭირდებოდა. უყვარდა სოფელს „ლოთა", ალბათ იმიტომ, რომ გრძნობდა თუ რარიგ უყვარდა ყველანი „ლოთას".

საკუთარი მიწაც ჰქონდა, — ვენახიც, მაგრამ შრომით თავს არ იკლავდა. „ცოლი მე არა მყავს და შვილი, და მე არა მყავს და ძმა. მოგვარე რომ მოგვარეა, ისიც არ შემარჩინეს და რისთვის ვიწვალო?! ვის უნდა დავუტოვო ჩემი ოფლით მონაგარი სარჩო-საბადებელი?" იქნებ მართალიც იყო გივია. მართალი იყო იმიტომ, რომ თვითონ ასე სჯეროდა და სწამდა. არც არავის ჰქონდა უფლება დაეძალებინა — იშრომე, იოფლე და ვისაც დარჩება შენი ოფლით ნაშრომი შენ არავინ გკითხავსო.

სუფრას უსხდნენ მიხო და გივია. უკვე შეფაკვლოდათ ლოყები არყისაგან. ტკბილად საუბრობდნენ მეზობლები.

— ერთმანეთი გვიყვარდეს მიხო, მოვეფეროთ ერთმანეთსა, მოვეჯიგროთ. მიწაშიც გვეყოფა დუმილი და გულცივობა, — სადღეგრძელოს შესავალს უკეთებდა „ლოთა".

— ნუცა, ერთი ჩამაარაკრაკე შენებურადა ფანდურზე, ერთი აიცრემლე ლარები, დედაკაცო! — სთხოვდა შემთვრალი მიხო ცოლს.

— დაიცა ერთი, ქა, რაღა დროს ჩემი სიმღერაა. დიდება შენდა, ღმერთო გადაირია ეს კაცი, — ინაზებოდა დედაკაცი.

გივიამ პაპიროსი ამოიღო. ორივემ გააბოლა. მოცისფრო კვამლი კარისკენ მიიზლაზნებოდა.

— მოსწი, ჰო, მოისწრაფე სიცოცხლე, ნეტა რა დევ მაგ ოხერშია, რომ აგრე დაბეჯითებითა ჰქაჩავ, — საყვედურობდა ნუცა მიხოს.

---

[1] მუქთამჭამელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯეილობაში ვიხრუკამდი გულმუცელსა და ეხლა კარგ დროს მაფრთხილებ, რალა დროს ჩემი გაფრთხილებაა, ორი პარასკევი აღარ მიდევს წინა, — ილიმებოდა მიხო და სიბერისაგან ჩაყვითლებულ, მოცვეთილ, მოფამფალებულ კბილს აჩენდა.

შუადღემ მოატანა. გივიამ მადლობა მოუხადა მასპინძლებს და გაბარბაცდა ეზოში. საცოდავი იყო გივია. საცოდავიც და ბედნიერიც. საცოდავი თავისი ყოფით — აწმყოთი და წარსულით... მომავლითაც. ბედნიერი კი იმით იყო, რომ ამ წუთში მას აღარაფერი ახსოვდა თავისი უბედურებისა და მხიარულად ღიღინებდა.

მიხომ გააცილა სტუმარი და შინ შებრუნდა. თოვას გადაეღო, დამთბარიყო კიდეც. ნუცა კი დილიდან ჩამჯდარი, ისევ იჯდა და საწინდე მატყლს ართავდა. საამურად წკრიალებდა თითისტარი, გრეხდა საწინდე ნართს და მორაკუნებდა თავისთვის. ბუხარი უფრო გამხიარულებულიყო და კუნძს ბოროტად სწოვდა სისხლს. მიხო კი ვერ იყო გუნებაზე. გული რაღაც ცუდს უქადდა. ოთახში შესულს მწყრალი თვალები ჩაარჭო ნუცამ.

— შე დასახრაკავო, შენა, რო აჰყე იმ არყის ჭიასა და ისხი და ისხი, წნევა რომ გაქ, დაგავიწყდა?! არ გინდა ცოტა ხანს კიდევ უყურო მზესა. ოთხმოცი წლის კაცსა, ჰკვა როგორ არ უნდა გქონდეს, ქა... ან ის ჯანდამწვარი რასა ფიქრობს, რო გასმევს ამ ბებერ კაცსა?

მიხო არ პასუხობდა ნუცას. იყეფებს, იყეფებს და გაჩუმდებაო, — სიყვარულით შესცქეროდა ბებრუხანას.

— ნუცა, აგე იმ ობობასა ხედამ? დახე, როგორ აბამს ქსელს მსხვერპლისთვინა, ეტყობა, მეც ეგრე მიგებს მიქელ-გაბრიელი მახესა.

— გაჩერდი, მიხო, რა მოგივიდა, ადამიანო, — ახლა უკვე თხოვნით უთხრა ნუცამ.

დაღამდა. ჩაეძინა სოფელს. დაეძინათ მთებს. დაეძინა ტყეს, მინდორს. დაეძინა ნუცას. მიხოს კი რული არ ეკიდებოდა „რა ვქნა, რა ჭირი შამიდგა, სულ სიკვდილი მიდგას თვალწინა“. მერე ჩაეძინა მიხოს სურათიდან სიზმარში გადასახლდნენ მისი მშობლები. „მოვდივარ, მამი, მოვდივარ“, — ამოიძახა მიხომ ძილში.

— რაო, რას ამბობ, ადამიანო, მეორე საწოლიდან შეეხმიანა ქმარს ნუცა, რა თქვი, მიხა, რა?

— არაფერი, ისე სიზმარში ვიყავ სიზმარშია.

გათენდა. ისევ გაიღვიძა სოფელმა, მთამ, ბარმა. ისევ გაიღვიძა — ხალხმა, საქონელმა. ჩიტებმა... ისევ აფეთქდნენ ბუხრები. ისევ თოვდა...

ერთი ეზოდან სიბერისაგან ხმაგაბზარული მოხუცი ქალი მოსთქვამდა მწარედ. ხალხი შეიყარა ამ ეზოში. კაცები ქუდმოხდილნი იდგნენ, ქალები იცრემლებოდნენ.

სახლში, ფარდაგგადაფარებულ ტახტზე გულხელდაკრეფილი იწვა თეთრწვერულვაშა მოხუცი. ოთახში სიკვდილი იდგა. ბუხარი უხალისოდ, უგულოდ, ზლაზვნით ელავდა ხანგამოშვებით.

უხალისოდ სწოვდა ნიშას წაბლა ხბო. უნდილად იცოხნებოდნენ ძროხები. ტირილის ხმაზე საცოდავად მიყუჟულიყვნენ ბეღურები გომის თავხეზე.

ძაღლს ცრემლებით ევსებოდა თვალები. მამალი აღარ ეკურკურებოდა დედლებს.

გივიაც იმ ეზოში იყო და ტიროდა გულწრფელად — „ნეტა, ჩემთან არ დამთვრალიყო გუშინ ის უბედური“.

მოკვდა მიხო — ალალი, კეთილი, მშრომელი, პატიოსანი გლეხი.

დკრძალეს მიხო მამა-პაპათა შორის.

კერიაზე ცეცხლს არ გავაქრობო, — მოსთქვამდა მოხუცი ქალი. ნუცა მარტო იყო, ვეღარ აუდიოდა მოზღვავებულ საქმეს. დარდობდა, კვნესოდა... საბრალო იყო შავოსანი ქალი. ხანდახან „ლოთია“ წააშველებდა ხოლმე ხელს საქმეში...

საბრალონი არიან უშვილძიროდ გადადებულნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასოთხმოცი წუთი ავტობუსში

ორთაჭალის ავტოსადგურიდან ოხვრით გამობარბაცდა მოძველებული, მოფახფახებული, მორყეული „ლაზი" და გეზი თელავისაკენ აიღო. ცხელა. ასეთ ამინდზეა ნათქვამი — მზეზე კვერცხი შეიწვებაო. მგზავრები რეცხვისა და მზისაგან გაწყალებულ ფარდებს აფარებენ ფანჯრებზე. მიიკვნესის ავტობუსი და დამწვარი ბენზინის უსიამო მყრალ სულს ელალება სალონში. უკანა სკამებზე მსხდომნი ოფლად იღვრებიან, იჭვარტლებიან, საწყლად იყურებიან წინ და შურით ივსებიან — „იმ ოხერმა მოლარემ" რაღა ჩვენ გვარგუნა ბოლო ადგილიო. სიცხე ყველას აწუხებს, მძღოლის გარდა. მას მარცხენა გადაუყვია გარეთ და ზედ ლიპზე ატრიალებს საჭეს. პერანგზე საჭისაგან გაცვეთილი ზოლი მოუჩანს. „კარგა მაგრად ნაჭმევია" „ლაზის" მძღოლი, ნამეტნავი სიმსუქნისაგან საწყლად ქშინავს და თვალები გადმოცვენაზე აქვს. პირში სიგარეტგაჩრილი სარკეში უგუნებოდ გასცქერის ავტობუსის სკამებს შორის ერთმანეთში ჩაწყობილ ვედროებს, კალათებს... უკვე გაუყიდიათ ნავენახარში მოწეული ადრეული ატამი „მეზვრეთ" და ვედროებდაცარიელებულნი და ჯიბეგავსებულნი შინ ბრუნდებიან.

უკან ვიღაცამ სიგარეტი აახრჩოლა და ბენზინის სუნსა და მყრალ კვამლს თამბაქოს ბოლიც შეურია. მანდილოსნები უკმაყოფილო მზერით შესთხოვენ მწეველს — გადააგდოს სიგარეტი. თექისქუდიანი მოხუცი აინუნშიაც არ აგდებს მწყრალი თვალების სუსხს და უფრო ბეჯითად აბოლებს სიგარეტს.

მეტრო „ისანთან" ავტობუსი ჩერდება. თელავში მიმავალნი კისრისტეხით აწყდებიან ავტობუსის მონგრეულ კარს, იმის იმედით, რომ ადგილები დახვდებათ და დასხდებიან, მაგრამ უმრავლესობა გაწბილებული შედის სალონში და ვედროებს შორის იხლართება.

— ქა, გასწი-გამოსწით მაინცა, ეს უპატრონო ვედრები, რომ ხალხი ამოვიდეს, — ცხარობს ერთ ამომსვლელთაგანი.

— წესიერად ილაპარაკე, ქალო, დააწმინდავე სიტყვები! — უბღვერის ჩია მოხუცი კაცი, ვედროების პატრონი.

როგორც იქნა, დაშოშმინდა ავტობუსი, მიწყნარდა. მოილიეს წყევლა-კრულვის საბაბი მგზავრებმა, ჩაეკვეხნენ ვედროებსა და კალათებს შორის. მიმკვდარებულმა მანქანამ ამოიხვნეშა და წაბარბაცდა თელავისაკენ.

ნაცნობებმა მასლაათი გააბეს ერთმანეთში. მძღოლი დაღლილი ამთქნარებს და სარკეში ვნებიანი თვალებით უყურებს ერთ სახეგაფერადებულ გოგოს, რომელიც კევს აღლაჭუნებს და ტკაცუნით დროდადრო ძილს უფრთხობს გვერდით მჯდომ მთვლემარე შუახნის კაცს.

უნდა შამოჰკრა პირში ამ მაცოხნარსა და ორტოტად ადინო სისხლი, — გულში ბრაზობს მოხუცი ქალი, რომელიც ფეხზე დგომით ბოღმით ავსილა და თვალებიდან ბრაზის შუშხუნები სცვივა.

ძველი მეგობრები შეხვედრიან ერთმანეთს, წინა სკამზე მოკალათებულან და სიბერემორეული ხმით საუბრობენ.

— შაგვარცხვინა იმ არგასაზრდელმა, მართი შაგვარცხვინა, დედ-მამაცა, პაპა-ბაბუაცა და და-ძმებიცა, — ცხარობს შავხალიანი მანდილოსანი, — გაჰყვა, ქალო, უჩვენოდ გაჰყვა იმ უცხვირპირო ბიჭსა, ქაა! ესეთი აღარა გამიგია რა, მშობლებს აღარასა ჰკითხამენ შვილები. ერთხელ მაინც ეთქო მამითვინა, მიყვარს და უნდა გავყვეო. დაუშლიდა თედუა თუ რა?... დაჰკრა ფეხი და გაჰყვა. ან რა მეეწონა, ქალო, იმისი, თავი ლობეზე ნადებ გოგრას უგავ და შავია, შავია, როგორც შუალამე. ქონება აქო. მეხი დავაყარე ეგეთ ქონებასა, ხალხს არ უნდა ეჯავრებოდე, მართი, მაგათ ისეთი ჯიში აქვთ, ძმას გაჰყიდიან ფულის გულითვინა...

მართა თავს უქნევს გაბრაზებულ მეგობარს და სიჩუმით თანაუგრძნობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილიშვილის საქციელით მიყენებული გულისტკივილის გამო.

სიცხის, ბენზინისა და სიგარეტის კვამლისაგან აუტანელი ხდება მგზავრობა.

ხვატი თამაშობს გზისპირა მინდვრებში, ნაქერალში მწყურვალი მწყერი ქვითქვითებს. აკაციების ძირას თვლემენ დაოფლილი ყაყაჩოები. ასფალტი ოხშივარს აფრქვევს ირგვლივ. „ლაზი" მიიკვნესის, მომაკვდავივით მიხრიალებს...

ყველა მგზავრს თავის საქმე აქვს. ზოგი კითხულობს, ზოგი ჭამს, სვამს, ქსოვს. კვიცლექია, ლოყებგაფერადებული და თვალებჩალურჯებული გოგო ახლა მზესუმზირას აკნატუნებს, გვერდით მჯდომს დაუნანებლად აყრის ჩენჩოს მუხლებზე, უდარდელად ღიღინებს — „ჩემო კარგო ქვეყანავ..."

მძღოლმა ერთხელ კიდევ გააჩერა მანქანა, ამოვიდა შუახნის სანდომიანი დედაკაცი, ხელში ინდაური ეჭირა. ერთი ახალგაზრდა წამოხტა და ადგილი შესთავაზა ქალს.

—იჯე, შვილო, იჯე, ჩემხელა რო გახდები, მაშინაც გეყოფა ფეხზე დგომა. დაჯე.

ახალგაზრდა გაკვირვებით უცქერის ინდაურიანს. ისევ ჯდება და აგრძელებს ვაშლის ჭამას.

— ქალო, ეგ ინდაური იქით მიატრიალე, არაფერი დასცდეს, — აფრთხილებს ლოყებდამკრახული, გაოფლიანებული კაცი.

— არა, ქა რას ამბობ — თავს იმართლებს ინდაურის პატრონი.

— მიატრიალე, მიატრიალე. მე ვერაფერს დავიჯერებ ინდაურისასა. — არ ეშვება ლოყებმწითე კაცი.

— მშიერია, კაცო, მთელი დღის მშიერია, ნუ გეშინიან.

ავტობუსი უცბათ დამუხრუჭდა. ფეხზე მდგომნი შეტორტმანდნენ, ერთმანეთს ეცნენ და მოხდა ის, რისაც ასე ეშინოდა ლოყებწითელ მგზავრს. მიხლა-მოხლისას ინდაურმა ვაშლისლოყება მგზავრის პერანგი სკლინტით მოთხვარა. ამის შემყურე კვიცლექია გოგოს სკამიდან სიცილმა ისკუპა და მთელს ავტობუსში ჩამოირბინა.

— ხომ გითხარი, მიატრიალე-მეთქი ეგ უპატრონო, — აფეთქდა ლოყაწითელა და საშინელი ლანძღვით შეამკო სახეგაფითრებული მანდილოსანი.

კვიცლექია კისკისებდა. მძღოლმა ავტობუსი გააჩერა და მთელი ხმით არახრახდა. ხმაურისაგან გამოღვიძებულთ ვერაფერი გაეგოთ სიცილის მიზეზისა და დიდი ინტერესით ეკითხებოდნენ ერთიმეორეს, რა მოხდაო.

დაძაბულობა თანდათან განიმუხტა. ლოყაწითელა დამშვიდდა. დაღლილი და ნათრევი სიცილი ერთ კუთხეში მიეგდო, სადაც პატარა ბიჭები ისხდნენ.

●

თელავში მძღოლი ავტობუსს ათვალიერებდა, დაცარიელებული ავტობუსი საცოდავი სანახავი იყო: მზესუმზირა, ვაშლის ნაღინჭილები, საჭმლის ნარჩენები, სკლინტი, სიგარეტის ნამწვები, ქაღალდები, ძონძები... მძღოლს გაახსენდა კვიცლექია გოგო, რომელსაც სარკეში ვნებიანი თვალებით შესცქეროდა, ის კი იჯდა და ღიღინებდა — „ჩემო კარგო ქვეყანავ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახლაც არვისი მშურს...

სულ ერთი ფიქრი მწვავდა,
სულ ერთი ფიქრი მწვავს,
ვისიც ოდესღაც მწამდა,
ახლაც იმისი მწამს.
სულ ერთი რამე მსურდა,
სულ ვენდობოდი გულს,
ვინც, თავიდანვე მძულდა,
რატომღაც ახლაც მძულს...
გულს სულ რითმები სურდა,
ლექსით ვითბობდი სულს,
არვისი არა მშურდა,
ახლაც არავისი მშურს.
ჩემი სამშობლო მიყვარს,
მას ვერ ვაცილებ ფიქრს,
ცხოვრება ასე მიმყავს,
ასევე მივალ იქ...

## ცხენი

იმსახურებდი ხოტბას და ქებას,
სამსახურისთვის ცოტას მდომელი,
შინს, ზურგზე ჭედდნენ დიდ
გამარჯვებას,
აქილევისი თუ მაკედონელი.
შენ არ ტოვებდი დაჭრილსაც მარტო
რადგან პატრონი მიგაჩნდა ღმერთად,
მარად ერთგული და ულალატო
შენც ეცემოდი გმირებთან ერთად.
რამდენი ომი, რამდენი დელგმა,
თოვლი და ყინვა ღამე უკუნი,
წინა ტორების მტრის გვამზე შედგმა
და გამარჯვების მძლავრი გუგუნი...
ნგრევა იყო თუ, იყო შენება
ყველგან, ყოველთვის იყავ პირველი,
ხან მაყრიონის იყავ მშვენება,
ხან კი ჯირითში გასაკვირველი.
ჩვენი ბავშვობის იყავ ოცნება,
ზურგს მოგვიშვერდი
თვალებმზიანებს,
გთხოვ, მაპატიო ღვთის საოცრებავ,
მე რომ ეს ლექსი დავაგვიანე.

## ფარდა

ცაზე სხივი კრთება ჩამავალი,
ფიქრი ზეცისკენ მიქრის,
ნეტავ დამანახა ჩემი თვალით,
რაა რკინის ფარდის იქით.

ქრება მზის ნათელი, შუქი ქრება,
ველარ მიმოვდივარ მარდად,
ფარდა მომაცილეთ რა იქნება,
ცხვირწინ ჩამოშლილი ფარდა.

მჯერა ბოლოს ბნელიც ჩაინთქმება,
და ცაც არ იქნება მუქი,
ფარდა გადასწიეთ რა იქნება,
სულს სურს უფრო მეტი შუქი.

## გაჩენილს არწივად

ეს რა დრო დადგა, ველარ ვისვენებ,
საშველი არ ჩანს არსაით მგონი;
დღეს კაცი როგორ არ გაიხსენებ
პოეტის ნათქვამს — „ვაჰ, დრონი,
დრონი!"
ავი ნიავი გვიბერავს ციდან,
დალონებულა ერი და ბერი,
შემოგვსევია ყოველი მხრიდან,
შინაური და გარეშე მტერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ სად გაქრა ის შემართება,
მუდამ რომ გვქონდა არწივთა
მართვეს,
რა მოგვივიდა, რა გვემართება,
გამაგებინეთ ვისი რა გვმართებს!

თუნდაც აგვკუწონ ნაწილ-ნაწილად,
დაჭრილ გულ-მკერდზე ფრთები
ვიფინოთ,
გაჩენილი ვართ რადგან არწივად,
სულ არწივივით უნდა ვიფრინოთ.

## მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნას

ოთახში დამწვარ დენთის სუნია,
ძირს გაშოტილა ლომივით ბიჭი
გარდასულია, გაფრენილია,
ყოველი დარდი, ყოველი იჭვი.

ქარი აწყდება ფანჯრებს ქვითინით,
ტირილით იკლავს იჭვების ჭიას,
შეუნგრევია რწმენის ქვიტკირი,
საკუთარ ხელით გასროლილ
ტყვიას.

ვიღაცას ძირს სცემს ფანდი
ფარული,
არის ღალატი, თავის ქიცინი
და სეიფიდან გულმხიარული,
გამარჯვებული ეშმა იცინის.

იატაკს სწვდება სისხლის ნაკადი,
ფიქრები ქრიან შიშის ფეთებით,
სიმართლე გდია, როგორც
ნაბადი —
გადათელილი ბინძურ ფეხებით.

კალოზე უქმად დადგნენ კევრები,
სწორი და მრუდი არის
გაყრილი —
და განუწყვეტლივ მტკივა
ნერვები,
როგორც ჭრილობა მარილდაყრილი.

ამ დანაშაულს ვიცი რა ჰქვია,
თავს ვეღარ ვუყრი ფიქრის
ნაწილებს —
უსამართლობას ესროლე ტყვია,
ჰაი დედასა, რომ დააცილე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირინე უშვერიძე

●

ლობისძირიდან მოტანილი
მიდევს იები,
უსხია წყალი.
არარა მაქვს მეგობრებო,
საპატიები,
არც სავედრალი.
თქვენ გაღმერთებდით,
გამოდექით ყველანი ყალბი,
გული ვის ენდოს?
ლაწვებზე ახლა სინანულის
ცრემლები დამდის, —
მიყვარდით,
ერთ დროს.

●

აგვისტო,
ღამე
უვარსკვლავო,
უმთვარო,
ბნელი,
კუპრეული...
დაუშვა,
დალბა
დამსკდარი
მიწა,
ეს ღამე
იყოს
კურთხეული.

●

უმშვენიერეს გრძნობათგან
გამორჩეულო,
ლაჟვარდისფერო სიწმინდევ და
გრძნეულთ-გრძნეულო,
გადაეფარე,
როგორც ზეცა,
მთელ დედამიწას
და განუქარვე
შიშის გრძნობა
ადამიანებს,
ფიქრი საფრთხეზე,
სიცივეზე,
შიმშილობაზე,
კაცთა გულებში
განაქარწყლე
ავი ზრახვები...
და გაბატონდი
სიყვარულო,
ყოვლადძლიერო.

## ლექსო...

ჯერ სულში დაბოგინობდე,
მიილვრებ-მოილვრებოდე,
სისხლძარღვებს ააჩქროლებდე
და ყრყოლვად ეფინებოდე.
ათრთოლებ-ალზევდებოდე,
გულში აღარა დგებოდე...
„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკვდებოდე!“

ამ რომანის პერსონაჟთა ცხოვრება ასახავს 30-50-იანი წლების ხანას. იგი დაიწერა 1971-72 წლებში და უკვე კარგა ხანია ელის დღის სინათლეს. 1974 წელს გამომცემლობა „მერანი“ ამ რომანის შეკვეცილ ვარიანტს აქვეყნებდა, მაგრამ ცენზურამ, სკკპ მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, შეაჩერა მისი დასტამბვა. ავტორი და მისი რომანი დაგმეს 1974 წლის სექტემბრის საქ. სსრ რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირზე, როგორც „პათოლოგიის, სადიზმის და შოვინიზმის მქადაგებელი“ (იხ. „ზარია ვოსტოკა“, 1974 წ., 4 ოქტომბერი და სხვა იმ დროის გაზეთები).

რომანის აკრძალვის ნამდვილ მიზეზს თანამედროვე მკითხველი თვით ამოიცნობს, თუმცა თავის დროზე მწერლის მართალი და გაბედული სიტყვა დღეისათვის ბევრს, შესაძლოა, ჩვეულებრივად მოეჩვენოს.

## აკაკი გასაძე

# ყინულის მარწუხებში

### რომანი

#### ნაწილი პირველი

1.

თინათინ ლავრენტის ასული წერომძე — ადრე, პირველი ქმრის გარდაცვალებამდე, დავლიანი, ხოლო დაბადებით მუშკუდიანი, იმ დღეებში მიღებიდან ერთი თვის თავზე სულ მთლად გაჭაღარავდა; მკაცრი სილამაზის სახება და კრიალა, თაფლისფერ თვალებზე ნაღველი მოეფინა, ნაკვთები თითქოს ჩამოუგრძელდა, შემართული ტანი მოეღვენთა; და, საერთოდ, ქალბატონი თინათინის გარეგნობაც და ქცევაც ადრინდელისგან სრულიად განსხვავებული გახდა: რაღაცნაირი უმიზეზოდ მორიდებული, სამსახურეობრივი და საოჯახო საქმიანობის გარეშე ყველანაირი ურთიერთობებისგან განრიდების სურვილით აღბეჭდილი, რაც განსაკუთრებული სიაშკარავით ვლინდებოდა ძველ ნაცნობ-მეგობრებთან და მეზობლებთან შეხვედრისას მის მკრთალ, წამიერ ღიმილში, რომელიც მოსაუბრეს თითქოს შესჩიოდა: „ახლა, ნახვამდის... მაპატიეთ... ცუდად ვარ... გევედრებით... თავი დამანებეთ... უნდა წავიდე“. ნაცნობ-მეგობრებმაც, მეზობლებმაც და კოლეგებმაც თუმცა იცოდნენ თინათინის თავს დატეხილი უბედურების ამბავი, მაინც, ამ „ქირთა გამძლე“, ამ „უტეხი ქალის“ დაძაბუნებას ვერ ეგუებოდნენ და სხვა, შეფარულ მიზეზსაც აწერდნენ მის უზომო სასოწარკვეთას, — ბუნდოვნად გრძნობდნენ და თინათინზე მონაღვლე საუბრებში ჩურჩულით დასძენდნენ, იმ უბედურების გარდა, გულს, ალბათ, სხვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივარიც ულრონისო. თვითონ თინათინის თვალებში ჩანისნულ მწუხარებასაც, დროდადრო, რაღაც სხვა, უეცრად მოვარდნილი შემაშფოთებელი ფიქრი შეამღვრევდა და ჩაქუფრავდა ისე, თითქოს საკუთარ თავს ემართლებაო.

წარსულში არაერთგზის განცდილი ჭირ-ვარამის მიუხედავად, ორმოც წელს ისე გადასცილდა, თმაში თეთრი არ მოსჭარბებია. ჭაღარამ ორივე საფეთქელთან იმ დღეს იფეთქა, როდესაც ის დეპეშა მიიღო. დეპეშა რომ გადაიკითხა, სახეზე ფითრმა გადაჰკრა, სუნთქვა შეეკრა; ლონეწართმეულმა სუსტად ამოიკვნესა; დეპეშა მაგიდაზე დაუვარდა, სკამზე დაჯდა, ხელები კალთაზე დაიწყო და, უცებ, თვალებიდან თქეშად წასკდა ცრემლი. როდესაც ალმასხან წეროძე სამსახურიდან დაბრუნდა და დაინახა სკამზე საწყლად მიყუჟული, ლაწვებაწითლებული და ტირილისგან თვალებშეშუპებული თინათინი, შეშფოთებულმა მიმოიხედა; მაშინვე თვალი ჰკიდა მაგიდაზე ლაქასავით მიკრულ მოყვითალო ქაღალდს. „დეპეშა?“ — უსიამო გრძნობამ აბურძგნა, სასწრაფოდ მოირგო სათვალე მსუქან ფართონესტოებიან ცხვირზე, დეპეშა აიღო და წაიკითხა: „თქვენი შვილი, ლარბი დავლიანი, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპა. ყველანი ულრმესად ვწუხვართ ძვირფასი კოლეგის დაკარგვას და ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას. გეოლოგიური ექსპედიციის კოლექტივი...“

— რაო?! — ალმასხან წეროძემ ისე დააგდო დეპეშა მაგიდაზე, თითქოს ხორკლიანი ქაღალდის მოყვითალო ზედაპირმა ხელები დაუსუსხაო. თითები მოისრისა, სათვალე მოიძრო და განზე გაიხედა, თვალი მოარიდა ცოლის სასოწარკვეთილ მზერას, დასივებულ ტუჩებსა და ულონოდ ჩამოყრილ მხრებს.

ოთახში შესულმა ცოლი ასეთ დღეში რომ დაინახა, რაღაც სამწუხარო ამბის გაგებას კი ელოდა, მაგრამ ეს — ეს აზრადაც არ მოსვლია. „უბედურება... კიდევ ერთი უბედურება ჩვენს თავს!“ — დაბნეულმა ამოიღუღლუღა, ცოტა არ იყოს, უაზროდაც. რადგან ამის მსგავსი უბედურება მის თავს აქამდე არაფერი მომხდარა. „წარმოუდგენელია... არა, ნამდვილად... ღვთის რისხვაო, რომ იტყოდნენ, სწორედ ესაა, აბა, რაა, რომ არ ელი და...“ — წამით დადუმდა, გაბარჯღულ წარბებს ქვემოდან ცერად გახედა თინათინს: „რას არ უნდა მოელოდეს ადამიანი... ჰმ, ვის საიდან, როგორ, რატომ...“. შეეცადა თინათინისთვის რაიმე მანუგეშებელი ეთქვა, საკუთარი შეშფოთებაც მეტი სიმწრით გამოეხატა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ასეთ შემთხვევაში ყოველი სიტყვის უადგილობასაც მიხვდა, შეტრიალდა და, სხვა რომ ვერაფერი ილონა, ხელები აიქნია და ღრმად ამოიოხრა. ოღონდ, ხელების აქნევა ოდნავ ძლიერად, არაბუნებრივადაც გამოუვიდა და, ასე, ხელებგაშლილი და სახემოჭმუხნილი, გაღიზიანებულსა და თმენადაკარგულს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბედურებით თავრეტდასხმულს.

ალმასხან წეროძემ მკლავები დუნედ ჩამოჰყარა. ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს გარშემო ყოველივე გაითოშა, გახევდაო. მხოლოდ მაგიდაზე დადებული დეპეშა ცოცხალი სხეულივით იძვროდა, თრთოდა და ელვისებრი სისწრაფით ედებოდა სივრცეს: ერთდროულად იმყოფებოდა მაგიდაზეც, მარცხენა კედელთან ჭერამდე ატყორცნილ სარკეშიც, მარჯვენა კედელთან მდგარი კარადის სქელ მინაზეც, ბროლის ჭაღზე კი გაასკეცებულიყო და ფერადოვნად ირეკლებოდა; თინათინის სული ხომ მთლად დაეპყრო და, ახლა, ალმასხანის ცნობიერებაშიც სულ უფრო მწვავედ იჭრებოდა.

— დასაფლავებას ვერ მივუსწრებდით? ნეტავ, როდისაა დეპეშა გამოგზავნილი? დროზე თუ მოიტანეს? — ენერგიულად და გადაწყვეტით იკითხა ალმასხანმა, თუმცა სავსებით დარწმუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული იყო, რომ დასაფლავებას ვერანაირად ვერ მიუსწრებდნენ.

— რა ვიცი, აბა, არარაფერი აღარ ვიცი... ღმერთო, ეს რაღატომ, უჰ, უჰ, რა ცეცხლი მედება გულზე... რამდენი წელია, რა ხანია, ერთხელაც არ მინახავს... როგორი იყო, ნეტა... სურათი რაა, სურათიც არ გამოუგზავნია... კინომსახიობი ხომ არ ვარ, ფოტოგრაფებთან ვიკორტაოთ, ასე მომწერა შარშან... ვაი, დედაშენს, ლარბი, კუბოშიც რომ ვერ გნახა, საფლავამდეც რომ ვერ მიგაცილა, ჭირისუფლობაც ვერ გაგიწია... მკვდარი მაინც ენახე შენს დედას, უბედურს... ახლა, საფლავი, საფლავი მაინც... საფლავზე მაინც მივიდე... ხო, სასწრაფოდ, ალმასხან... აუცილებლად... საფლავი მაინც...

— აუცილებლად, თინათინ, რა თქმა უნდა, ყველაფერს მოვაგვარებ, ოღონდ, ოღონდ ცოტა დამშვიდდი...

— რა დამამშვიდებს, ალმასხან, სანამ იქ არ ჩავალ... ხო, სასწრაფოდ... საფლავზე მაინც...

— დღეს იქ წასვლას არაფერი ეშველება, ხვალ თუ ფრენა...

— ხო, ალმასხან, რაც შეიძლება მალე...

— მერმე კიდევ, მე შენ გეტყვი, თბილისიდან პირდაპირი კავშირია, სად ჩვენ და სად სახალინი!.. რით, რა ჰქვია იმ ქალაქს? ქალაქია თუ დაბაა? — ალმასხანმა ისევ აილო დეპეშა, დახედა, — ხო, ასე წერია, ტუნგორი... ტუნგორ... სახალინის მხარე, ოხის რაიონი, ტუნგორი... ოხი, ალბათ, დიდი ქალაქია... არც გამიგია, არც ოხი, არც ტუნგორი... ცხადია, ტრანზიტით მოგვიწევს ფრენა... აქედან ჯერ მოსკოვში, მოსკოვიდან... რამდენიმე ქალაქში მოგვიხდება გადაჯდომა სხვადასხვა თვითმფრინავზე... ალბათ, მატარებლით ან ავტობუსითაც მოგვიწევს მგზავრობა... აუჰ, მძიმე გზა გველის... სად თბილისი და, სად ტუნგორი...

— ვაი დედაშენს უბედურს, ლარბი, ასე შორს რამ გადაგკარგა... რა გინდოდა იქ, რა... საფლავი... საფლავზე მაინც, ალმასხან...

— ხო, ფრენა როდის იქნება, საჭირო რეისი, იმ მარშრუტით... ბილეთებიც საშოვარია... არაფერი, ეგ არაფერი, ყველაფერს მოვაგვარებ, აეროვაგზლის უფროსი ჩემი კარგი ნაცნობია, მარშრუტსაც ის დამიდგენს, რეისსაც და ბილეთებსაც ის მიშოვის, — საათს დახედა, — შვიდი ხდება, გვიანია, თორემ, ახლავე დავურეკავდი სამსახურში... სამწუხაროდ, სახლის ტელეფონი არ ვიცი... ხვალ დილითვე დავურეკავ, არა, პირდაპირ მივალ. ყოველივე მოგვარდება, თინათინ, ოღონდ, უნდა გამაგრდე, ხო, უნდა გამაგრდე... ჰმ, საიდან სად და, სადაურსა სადაო?!

— ჩემი ბიჭი... ღმერთო, თავიდანვე ასე სევდამწყრალი რისთვის მიმყოფე, — შეუჩერებლად ბუტბუტებდა თინათინი და რიგიანად არც ესმოდა ალმასხანის სიტყვები. — აქ მაინც მყოლოდა... სადმე აქ მაინც მიმებარებინა მიწას, საფლავზე მაინც ვივლიდი. ჩემთვის, ჩემთვის, თორემ... მისთვის რაღა მნიშვნელობა აქვს...

— ხო, ახლა, მართლაც... მიწა ხომ ყველგან მიწაა. შენ სიცოცხლე თქვი, თორემ... — უნდოდა ეს სიტყვები სიმწრით წარმოეთქვა, მაგრამ ხმამ უღალატა. მერე, თავისი მოუხერხებლობით გაღიზიანებულმა, მაჯიდას ხელი დაჰკრა, როგორღაც გაურკვევლად ამოიხვნეშასავით და საძინებელ ოთახში გავიდა...

საძილე ოთახში რომ შევიდა და ზურგს უკან კარი მიხურა, სრულად მხოლოდ მაშინ გაისიგრძეგანა, რაც მოხდა. მანამდე თითქოს თინათინის უზომო მწუხარების მოულოდნელად შეგრძნებამ დააბნია, დათრგუნა, შეპოჭა. უცებ, გული მოეწურა, ისე შეებრალა ეს „მუდამ ჯიუტი და დაუდეგარი" ლარბი, რომელიც, თუმცა უგუნური და გულღრძო არ იყო, მაგრამ, თითქმის ყველასთან გაჯიქებული და ყველაფერში თავისი ჭკუით გამხედვარე, უპირატესად შფოთს და უკმაყოფილებას იწვევდა გარშემო. „ბედმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდანვე კი უმუხთლა და გზა-კვალიც გაუმრუდა ამ ბიჭს", — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა და გაყუჩდა.

გულჩვილობა სულაც არ სჩვეოდა ალმასხან წეროძეს და ასეთი თანამლმობი სიბრალულიც მან მხოლოდ ახლა, პირველად იგრძნო გერისადმი. წამით, სინდისის ქენჯნამაც ისე შეაცბუნა, თითქოს ლარბის ბედ-იღბლისა თუ გზა-კვალის გამრუდებაში მისი ხელიც ერია, ვითომ რა, ვითომ ოდნავ მეტი გულისყური, მეტი სიფაქიზე რომ გამოევლინა. ამის გაფიქრებაზე ტუჩები თავისთავად დაემანჭა, რადგან სიფაქიზე კაცისთვის შეუფერებლად მიაჩნდა და არა მარტო მის გამოხატვას, ხსენებასაც თაკილობდა. ოღონდ, მაინც, ვთქვათ, ამის მსგავსი რამ გამოევლინა ლარბისთან, ვითომ რა, ვითომ მაშინ... მაგრამ ალმასხანმა, წამსვე, მტკიცედ მოთოკა გაფაქიზებული გრძნობები და მოკლედ მოჭრა, რომ ყოველივე თვითონ ლარბის ბრალი იყო. ადამიანი თვითონ სჭედს საკუთარ ცხოვრებას, ბედის ჩარხიც თვითონ უნდა იხელთოს. და თუნდაც ასე არ იყოს, განა ყურადღება, განა ცდა და ღონე დააკლო? მართალია, არ ანებივრებდა ფერებითა და უაზრო საჩუქრებით, მაგრამ რასაც წესი და რიგი მოითხოვდა, არაფერი დაუკლია. კი, შეიძლებოდა მეტი სიახლოვეც. სცადა კიდეც, მაგრამ — რა გამოვიდა? ვერასგზით ვერ მოიგო იმისი გული. საიდან არ შემოუარა, რანაირად არ მიუდგა; რა სახარება არ წაუკითხა; და ის კი, მაინც, სულ ტყისკენ იყურებოდა: ერთთავად ჯიბრში ჩამდგარი, რაღაცნაირი შეუთვისებელი იყო. „ჰო, შეუთვისებელი, ზუსტად ასეთი, დიახ, შეუთვისებელი!" მაშ, აბა, ვის არ დაღუპვია მამა, რამდენის დედა გათხოვილა მეორედ... ყველას ჯანყი რომ გამოეცხადებინა და ცხრა მთას იქით გადახვეწილიყო, რა გამოვიდოდა? სად გაგონილა, ან ვის უნახავს... ის კი ვერა და ვერ შეეთვისა. ვის უბრაზდებოდა? მთელ ქვეყანას?! რაზე გარბოდა? ვინ ერჩოდა, რომ გარბოდა? რას გაურბოდა?

ლარბის ბედუკუღმართობაში საკუთარი მონაწილეობის დაბეჯითებული უარყოფის საპირისპიროდ, ალმასხან წეროძის სულში, უნებურად და როგორღაც შემპარავად, იყონებოდა ლარბისთან მისსავე შეუთვისებლობაზე მეტყველი, მისივე მოსაყვედურე სინანული, — რომ თვითონაც ვერ ეგუებოდა ლარბის, მკერდში ალალად და სიხარულით ვერ იკრავდა, რათა საკუთარი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიეღო. მართალია, ლარბი თავიდანვე ეჭვითა და ფარული სიბრაზით, როგორღაც შორიდან, თითქოს თავშესაფრიდანო, უთვალყურებდა ალმასხანს და მისი ნათქვამი სიტყვა, ხშირად, გადაბრუნებულადაც ესმოდა; მაგრამ, იმის მაგიერ, რომ დამთმობი ღიმილით შეხუმრებოდა და მეტის მინდობით გული გადაეხსნა ლარბის წინაშე, პირიქით — ღიზიანდებოდა და, მის უსაქციელობას, ყოვლად უადგილო სერიოზულობით, წყენას და კიცხვას უპირისპირებდა.

იმ სიდინჯეს, ყოველგვარი შეუწონავი ნაბიჯის საწყისშივე აღმკვეთ წინდახედულებას, მკაცრ წესრიგისმოყვარეობას და, საერთოდ, ყოველგვარი ექსცესების გამომრიცხავ იმ კეთილგონივრულ თვისებებს, რომლებიც არათუ ცხოვრების წესად, მისი პიროვნების არსებით მოთხოვნილებადაც ქცეულიყვნენ და უმტკიცებდნენ საკუთარ თავში რწმენის, ღირსების და სიმართლის გრძნობას — ლარბი ბავშვობიდანვე, სულ თავიდან, თითქოს ჯიბრზე უპირისპირდებოდა და, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო თავნება, ფიცხი და ურჯუკი ხდებოდა. ის თითქოს განგებ ცდილობდა, არა მარტო გარეთ, ოჯახშიც დაერღვია თვით ყველაზე ჩვეულებრივი და ყველასთვის სავალდებულო სიმშვიდე და წესრიგი. სადილი რაა — სადილობის წესსა და რიგსაც არას დასდევდა: ხან ფეხზე დგომელა ჩქარ-ჩქარა გადაყლაპავდა მხოლოდ იმას, რაც მოეპრიანებოდა; ხან სასწრაფო სასკოლო დავალებას მოიმიზეზებდა, თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში გაიტანდა საჭმელს და, ერთდროულად, წერდა და ილუკმებოდა: ხან იგვიანებდა; ხან ყველას დაასწრებდა და, მაინცდამაინც სუფრის თავში, ალმასხანის ადგილს დაიკავებდა და არ ადგებოდა მანამ, სანამ თინათინი მავედრებელ და თან მკაცრ მზერას არ შეანათებდა, ისე, თითქოს აფიცებდა — თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, ახლავე ჩემს გვერდით, შენს ადგილას გადმოინაცვლეო. წიგნის კითხვა რაა — ერთხანს წიგნის კითხვაც გაიუცნაურა: სამკითხველო ძველი ვეებერთელა ტანსაცმლის კარადის თავზე მოიწყო და ისლა დააკლდა, ლეიბ-ბალიშიც იქ შემოედო. რას არ მოიგონებდა, რას არ აურევ-დაურევდა. მერედა, რანაირად იცოდა პირდაპირ თვალებში ჩაშტერება, როდესაც დანაშაულისთვის გაკიცხავდნენ: გოროზად ჩაგაშტერდებოდა და მისი შავად მოქუფრული თვალების სიღრმიდან, უძირო ნაპრალის სუნთქვასავით შემოგეხლებოდა სიბრაზე და უთქმელი საყვედური, რომელიც აქეთ გიტევდა და მიუხვედრელის მდგომარეობაში გაყენებდა, რადგან, სინამდვილეშიც, კაცი ვერ გაიგებდა, რა საყვედური იმღვრეოდა მისი ჩაქუფრული თვალების ფსკერზე. ამ „თვალებში ჩაშტერებას“ ლამის წყობიდან გამოჰყავდა ალმასხანი და, სულიერი წონასწორობა რომ არ დაეკარგა, მტკიცედ შეტრიალდებოდა და სასწრაფოდ გაეცლებოდა. ხელი კი, რაც მართალია, მართალია, ერთხელაც არ დაუკარებია და ეს, უთუოდ, ალმასხანის კეთილშობილებაზეც მეტყველებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ხელი რომ დაეკარებინა და, გამწარებულს, ერთი ორჯერ გემოზე რომ მიეტყეპა, ამით, იქნებ, მეტ სიახლოვეს, მეტ გულისწვასაც აგრძნობინებდა. საკუთარი შვილებისთვის, ყველანაირი უწესობისგან გამაფრთხილებელი შუქნიშანივით კედელზე ხომ ჰქონდა დაკიდული კაუჭა შინდის წკეპლა, რომელსაც, თუმცა იშვიათად დასწვდებოდა, მაგრამ, მაინც, შვილების წვრთნაზე დადარაჯებული მამის მრისხანებით, მარჯვედ აზუზუნებდა ჰაერში. ალმასხანის გულიანი წყრომა და ლარბის თუნდაც ბოლმიანი ცრემლი, შესაძლოა, ბეწვის ხიდად გადებულიყო მათ შორის ამოჩენილ უფსკრულზე, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდებოდა. ერთიცაა, უფიქრია და კიდეც უცდია, მამაშვილურად მისდგომოდა, როგორმე თავის რჯულზე მოექცია. მაგრამ თინათინს რომ დაუახლოვდა, ლარბი მაშინაც არ იყო ადვილად მოსაზელ-გამოსაძერწ თიხასავით, ხოლო, როდესაც შეუღლდნენ, ცხრა წლის ლარბი უკვე ძნელად სახედნი კვიცივით ჰყრიდა ტლინკებს. არა, საკუთარ რჯულზე მისი მოქცევა, — ალმასხანმა ეს თავიდანვე იგრძნო და კიდეც გაიაზრა, — თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, ძირითადად, თინათინს შეატოვა ლარბის წრთვნა, მისი დატუქსვაც და წახალისებაც. თვითონ კი შემფასებელი მეთვალყურის, მრჩევლისა და დამხმარეს როლი არჩია, რაც ზედმეტ ოჯახურ დავიდარაბას თავიდან აცილებდა.

საძილე ოთახში განმარტოებული ალმასხან წეროძე იმას კი აღარ უმხელდა თავის თავს, რომ ლარბისადმი არაკეთილგანწყობის მსგავსი დაპირისპირება თავიდანვე ჩასახოდა გულში, — რომ შინაგანად, სულ თავიდანვე, თვითონ გაიუცხოვა და არ შეიგუა ისეთი, როგორიც იყო. საკუთარ თავთან გაბაასების ამგვარ წიაღსვლებსაც მან დროულად დაუდო ზღვარი. „საკმარისია! არა, ეს უკვე მეტისმეტია! ხვალ მძიმე დღე მელის, უამრავი საქმე, გათვალისწინებულიც და გაუთვალისწინებელიც... სხდომა, ლექცია, ორი მაძიებელი მყავს დაბარებული... ხო, აეროვაგზალში უნდა შევიარო... არა, აჯობებს, აეროვაგზალიდან დავიწყო... ნეტავ, რამდენ ხანს მოვუნდებით? გაფრენა, გამოფრენა, იქაც ორი-სამი დღე დაგვჭირდება... მაშასადამე, სულ მცირე, ერთი კვირა... შესაძლოა, ერთიც არ ეყოს..., ათი დღით უნდა გავითავისუფლო თავი...; რამდენი საქმე, რამდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე!“. ალმასხანმა ვალერიანის რამდენიმე აბი გადაყლაპა, ლოგინზე მიწვა, თვალები მილულა; დაღლილი და უბედურების მაუწყებელი დეპეშით გუნებაწამხდარი, ოდნავ მაინც მოვსულიერდებიო; მაგრამ, უეცრად, შუბლი სამართებლივით გადაუსერა იმ ფიქრმა, რომ ის იწვა ლარბის სახლში — დავლიანთა დანატოვარ კედლებში.

აი, უკვე რამდენი წელი იყო, აქ სახლობდა და ამაში არასდროს არაფერი უგრძვნია უცნაური ან საჩოთირო. ახლაც. მოულოდნელი და უხერხული იმის შეგრძნება კი არ იყო. რომ აქ სახლობდა. არამედ. ლარბის სიკვდილის შემდეგ. დავლიანთა ქონების პატრონად რომ დარჩა. როცა ლარბი ცოცხალი იყო — თუნდაც შორს გადაკარგული — ალმასხან წეროძე. მისთვის ჩვეული წესრიგისმოყვარეობით და პატიოსნებით, მუდამ მას თვლიდა სახლის პატრონად და. გულის სიღრმეში, იქითაც ამადლიდა დავლიანთა სამკვიდრებელში დაბინავებას: სწორედ მისი წყალობითაც შეენახა ამხელა აპარტამენტები დავლიანთა ნაშიერს და სწორედ ლარბის გამო იყო. რომ საკუთარი ბინის მიღებისთვის აქამომდე არ უზრუნია. თავიდანვე თინათინის დაჟინებული თხოვნით დაბინავდა აქ, ორგზის რეპრესირებულ, ორგზის ხალხის მტრებად გაცხადებულ დავლიანთა სახლკარში, რაც ალმასხანისთვის, როგორც კომუნისტური პარტიის წევრისთვის. რისკის გაწევასაც ნიშნავდა; ცხადია. სათანადო პირებთან შეათანხმა კიდეც ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მაგრამ — წინასწარი შეთანხმება ყოველთვის როდი განსაზღვრავდა შედეგებს. მართალია. მშობლების სამოთახიან ბინაში, სადაც ადრე ცხოვრობდა, ვიწროდ იქნებოდნენ, რადგან იქ მის შინაბერა უფროს დას ჰქონდა დაკავებული ერთი ოთახი, — ჰო, იმ ბინაში ვერ ექნებოდათ იმის პირობები. რომ ოჯახური ცხოვრება ხალვათად და საკუთარ ჭკუაზე გაემართათ; მაგრამ ცოტა ხანს გაიჭირვებდნენ და, დაოჯახებულ მოწინავე მეცნიერს. ბინის მიცემას დიდხანს არ დაუყოვნებდნენ. ასეც უთხრა თინათინს. თინათინი კი შეევედრა — ლარბის აქ ვერ დავტოვებ მარტოს და. აქედან ყველა რომ ავიყაროთ. ამხელა ბინას რანაირად გამოვკეტავთო. ომის წლებში ევაკუირებული და თვითნებურად ჩამოსახლებული ხალხით ძალზე გამრავალრიცხოვანებულ თბილისში ბინის ფართის დიდი გაჭირვება იყო და, მართლაც. ამხელა ბინის გამოკეტვა და მისი მხოლოდ ლარბის სახელზე დატოვებაც მრავალ გართულებას გამოიწვევდა — მით უმეტეს. დავლიანთა ბინის. ქალაქის ან რაიონის ხელმძღვანელობას შეეძლო, ან გაეყო ან, სულაც ჩამოერთმია ლარბისთვის ამხელა ბინა და რომელიმე გაჭირვებული ოჯახისთვის გადაეცა; უპატრონოდ შთენილ სახლს, სავსებით მოსალოდნელი იყო. თვითნებურადაც დაპატრონებოდა ვინმე და. მერე რაღას გამოაძევებდი იქიდან. ალმასხანის დასახლებით კი ლარბისაც ენახებოდა პაპისეული სახლ-კარი და. სანამ მას ბინით დააკმაყოფილებდნენ, ოჯახი ხალვათად იცხოვრებდა. თინათინის ასეთ მოსაზრებებს ალმასხანი დაეთანხმა. ბინის მიღებაზე განცხადება თუმცა დაწერა. მაგრამ მაინცდამაინც არ გამოსდევნებია ამ საქმეს, — და თუ შემდგომშიც მარიფათიანად აღარ გარჯილა. ესეც, ისევ და ისევ თინათინის და ლარბის მიზეზით: სანამ ლარბი სკოლას არ დაამთავრებს და ცოლს არ მოიყვანს. აქედან ფეხს არ მოვიცვლიო; ლარბის უმეთვალყურეოდ ვერ დავტოვებთ, რამე ცუდ წრეში არ გაერიოსო, ვინმემ არ შეაცდინოსო... ლარბი რომ სკოლას ამთავრებდა, მაშინ კი შეახსენა ალმასხანმა თავისი განცხადება პროფკომსაც და. სულ ზევით, პარტიულ ხელმძღვანელობასაც, — კიდეც დაჰპირდნენ უახლოეს დროში კარგ ბინას, მაგრამ ლარბი სწორედ მაშინ გადაიკარგა და — ისევ წამოიჭრა ამხელა ბინის უპატრონოდ დატოვების საკითხი; თანაც, ლარბი როცა გადაიკარგა, ვილას სახელზე დაეტოვებინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი, თუკი ალმასხანი ოჯახიდან ახალ ბინაში გადაეწერებოდა.

ყველაფერი ეს და მრავალი სხვა წვრილმანი ისე ჩამოთვალა ალმასხანმა, თითქოს ვიღაცას ანგარიშს აბარებდა; და თუმცა, შექმნილ ვითარებაში, ყველაზე ჩაკირკიტებული განმკითხველიც ვერ მოუძებნიდა რაიმე ხვანჯს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩებოდა და ახლა, უნდოდა თუ არ უნდოდა, ოჯახის უფროსობის კვალობაზე, ლარბის სახლ-კარისა და დავლიანთა მემკვიდრეობის პატრონად რჩებოდა. სწორედ ამ შეგრძნების აღმძვრელმა ფიქრმა გადაუსერა შუბლი.

ალმასხანმა თვალები გაახილა, შუბლზე ხელი გადაისვა, კოპები შეიკრა და, უცებ, გაბრაზებით, თითქოს კედლებს მიახალაო: „ლარბის კი არა — თინათინის! მე კი არა — თინათინი!“, ლოგინიდან წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა; მერე თინათინთან გავიდა, ცოტას მაინც დავამშვიდებო; ისევ ვერაფერი გამოუვიდა. მხოლოდ თავზე თანაგრძნობით გადაუსვა ხელი და კვლავ საძილე ოთახში დაბრუნდა. ერთხელაც გადაყლაპა ვალერიანის აბი, გულის წვეთებიც დააყოლა; საწყალი თინათინიო, რამდენჯერმე ჩაიჩურჩულა, ხელმეორედ წამოწვა და, თავის სიმართლეში გულდაჯერებულს, უნებლიედ, რული მოეკიდა.

როგორც ვიოლინოს საშუალო რეგისტრზე მონოტონურად აჟღერებული და, თანდათან, სულ უფრო შენელებული ტემპით, სულ უფრო ხმადაბლა განმეორებადი ბგერები — სოლ, ლა, სი-ბემოლ, ლა, სოლ, ლა, სი-ბემოლ, ლა, სოლ... — ასე, თანაბარი რიტმით, დამაშოშმინებელ ნანასავით ჩაჰყვა ძილში ლარბის ბედ-იღბლის გაუკუღმართებაში მისი მონაწილეობის საბოლოოდ უარმყოფელი კითხვები: „რა შუაშია ყველაფერი ეს?.. რა შუაში ვარ მე?.. ყველაფერი ხომ ჩემამდე დაიწყო?“.

●

თინათინი მადლიერი დარჩა ალმასხანის. ზედმეტად რომ არ გაუგრძელებია ლარბის სიკვდილზე წუხილის სიტყვა და არ შესდგომია მის დამშვიდებას თანაგრძნობის გამოხატვით. მარტო რომ დატოვა, ესეც ეამა. მარტო უნდოდა ყოფნა. როსტომიც და მაიკოც, ალმასხანისგან შეძენილი ქალ-ვაჟი, ისე გაისტუმრა სავახშმოდ და დასაძინებლად, რომ მათთვის არც მიუხედავს. არც ერთს და არც მეორეს კრინტიც არ დაუძრავს, ერთი თხოვნითაც არ შეუწუხებიათ დედა მას შემდეგ, რაც პიონერთა სასახლიდან დაბრუნებულებს მიატირა: „ლარბი დაგველუპა, შვილიკონებო... ხომ გახსოვთ, ლარბი, თქვენი უფროსი ძმა, ხომ გახსოვთ... მოგვიკვდა ლარბი“, — და ცრემლი ღვარებად დაედინა თვალებიდან. განსაკუთრებით ასეთმა დატირებამ შეაცბუნა ბავშვები, რადგან დედის ტირილი აქამდე არ ენახათ. დაწოლის წინ მაიასაც კი არ წაუბუზღუნებია და არ შეხვეწნია, როგორც ყოველთვის, სასთუმალთან გვერდით დაჯდომოდა და, ცოტა ხნით მაინც, თავისი ხელი მისი ლოყის ქვეშ ამოედო. როსტომიც და მაიაც უხმოდ ჩაწვნენ ლოგინებში და დიდხანს არ მიჰკარებიათ ძილი: ორთავე ერთნაირად ცდილობდა, რამდენადაც შეეძლოთ, ცხადად გაეხსენებინათ თავიანთი უფროსი ძმა, რომლის არსებობა და განსაკუთრებით კი მისი სადღაც, ძალიან შორს, შორეულ აღმოსავლეთში ყოფნა, დიდად ეამაყებოდათ, — ამხანაგებში ათასგვარ ზღაპრებსაც იგონებდნენ მასზე და, საერთოდ, ძალიანაც მოსწონდათ, რომ უფროსი და, როგორც ამბობდნენ, „დიდი თავზეხელაღებული“ ძმა ჰყავდათ. ლარბი სახლიდან როცა გადაიკარგა, მაია სულ ოთხი წლისა იყო და სახითაც ვეღარ იგონებდა ლარბის. როსტომს კი ლარბიც და სახლიდან მისი უეცარი გაუჩინარებაც ცხადად ახსოვდა. როსტომი მაშინ შვიდი წლისა იყო და, როდესაც ძმა მოიკითხა და დედამ უთხრა, ლარბი სხვა ქალაქში გაემგზავრა სამუშაოდ, ძალიან დასწყდა გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარაობიდანვე ზომაზე მეტად ჩასუქებული, ბეჯითად მეცადინი და დინჯი როსტომი, რაც დრო გადიოდა, თუმცა სულ უფრო ემსგავსებოდა მამას, მაგრამ, მისგან განსხვავებით, მგრძნობიარე — შეიძლება ითქვას, ჩვილი გულიც ჰქონდა. გულდათუთქული იწვა ჩაბნელებულ ოთახში, პუტკუნა ლოყებზე ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი და მოგონებებში ცოცხლად ესახებოდა, როგორ ჩაჰყავდა ლარბის ეზოში და ასწავლიდა კენწლაობას, მათრახით ჩიკორის აზურებას; როგორ იპარებოდნენ ხოლმე კინოში; ძია მერაბს, მათ ნათესავს, ცირკში რომ მუშაობდა, როგორ დაჰყავდა ისინი ახალ-ახალ ატრაქციონებზე, — ცირკამდე კაიხელა მანძილი იყო გასავლელი და, როცა როსტომს ფეხები ეღლებოდა, ლარბი მას ზურგზე შეისვამდა და მიარბენინებდა. ისიც გაახსენდა, ერთხელ, მეზობლის ბიჭმა როცა დაჯაბნა, ლარბიმ ჯერ ის ბიჭი როგორ დააშინა და მერე თვითონ როსტომიც გაჯორა — თანატოლ ბიჭებთან ქვეშიდან ნუ გამოდიხარ, თავს ნურავის აჩაგვრინებო. ლარბი სულ იმას ცდილობდა, ყოჩაღი გაეხადა როსტომი: აქეთ-იქით აყირავებდა, ახტუნებდა, ატრიალებდა და, როცა როსტომი მძიმე-მძიმედ აქლოშინდებოდა და შეეხვეწებოდა, მეტი აღარ შემიძლიაო, ლარბი ლიპუცაზე წკიპურტს გაჰკრავდა და ბრაზიანად ეტყოდა: „ზანტი ხარ! ნაკლები ჭამე და მეტი გაინძერი!“, როსტომს კი მაინცდამაინც არ იტაცებდა სპორტული ვარჯიში, ეზოში ზედმეტი ხტუნვა-თამაშიც არ უყვარდა, — ბიჭებთან ღრიანცელს სიმყუდროვეში წიგნების კითხვას, მხატვრული ჟურნალების თვალიერებას და ალბომებში საბავშვო ხატულების გაფერადებას ამჯობინებდა. ხატვით და წიგნებით გატაცებას ლარბი თუმცა ძალიანაც უწონებდა, მაგრამ ამასაც ეტყოდა ხოლმე ხუმრობით: მხრები თუ არ გაიმაგრე, მარტო წიგნების კითხვა-თვალიერებით თავი გაგეზრდება, დაგიმძიმდება და კისერიც მოგწყდებაო.

თვალში რომ გამოიხედა, ლარბი იმ დღიდან შეუყვარდა როსტომს — ოღონდ, თავისებურად, როგორღაც თავისთვის, უთქმელად. ხანდახან, აივნის მოაჯირს გადაყუდებული, ალტაცებით ადევნებდა თვალს, ახლეტილ-დაკუნთული ლარბი რა შნოიანად გაივლ-გამოივლიდა უბნის ბიჭებში, რა ილლად ატრიალებდა მძიმე გირებს, რა მარჯვედ ვარჯიშობდა ეზოს შუაგულში მის მიერვე გადებულ ღერძზე და, საერთოდ, რა ლამაზად ყოჩობდა თანატოლებში. მას შემდეგ, რაც ლარბი თბილისიდან გადაიხვეწა, უბნის ბიჭები ხშირად ჰყვებოდნენ მის თავგადასავლებს და „ნაღდი ბიჭობის“ მაგალითად მოჰყავდათ. ტანად მოსულს, მაგრამ ზანტ და მოუქნელ-მოუხერხებელ როსტომს არათუ უფროსი, მისი ტოლი ბიჭებიც იშვიათად გარევდნენ საიდუმლო და სახიფათო თამაშებში; მაგრამ, ლარბის ხათრით, სხვა დოყლაპიებივით „სინჯს არ ულებდნენ“, არ აბითურებდნენ, და თუ როსტომი შემთხვევით დააშავებდა რასმე, მხოლოდ დანანებით განზე გადააწიტავდნენ — ეჰ, ერთი, ლარბის ძმა არ იყოო.

ლარბისადმი ბიჭების ასეთი პატივისცემა ხომ უხაროდა, მაგრამ — ყველაზე მეტად მაინც იმან აღაფრთოვანა, რომ მას სკოლაშიც სიყვარულით იხსენებდნენ მასწავლებლები; ხოლო ისტორიის მასწავლებელმა, როსტომისა და ლარბის ნახევარ ძმობა როცა გაიგო, მისთვის ჩვეული მაღალფარდოვნებით უთხრა: „ო, შენი ძმა კეთილშობილი, გონიერი ახალგაზრდა, ნამდვილი რაინდი იყო! ისტორიაში ხუთზე ნაკლები არ მიუღია. ზოგ მასწავლებელს კი ურევდა და, ზოგჯერ ჩხუბიც უყვარდა, მაგრამ მარტო მუშტი კი არა, გულიც დიდი ჰქონდა“. მასწავლებლებს შორის მხოლოდ „გორილა“ — ზოოლოგიის და ანატომიის პედაგოგი, ბუდუ გორელაშვილი, გლისპად აიმრიზა ლარბის ხსენებაზე და როსტომს დაექადნა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაი დახლი დაგიდგება, შენც თუ იმნაირი თავხედი გამოდექიო; კვირის თავზე გამოიძახა და, თუმცა როსტომმა გაკვეთილი ხუთზე უპასუხა, დღიურში, ჩაკიწკიწებული ხუთიანების რიგში, ვეება სამიანი ჩაუთხაპნა. როსტომისთვის სამიანის მოშორებას არც აპირებდა, სანამ დირექტორი, ალმასხანის თხოვნით, არ გაესაუბრა ბუდუ გორელაშვილს. მეოთხედის ბოლოს მან როსტომი გაიძახა, პასუხი შეუქო, ხუთიანი დაუწერა და გალმექილმა თავზე ხელი გადაუსვა — ვერ მითხარი, ჩემო ბიჭო, მამაშენის შვილი რომ იყავიო? ამაზე მთელი კლასი ახარხარდა, როსტომი კი აილეწა, გაიბუსა და უხმოდ დაჯდა თავის მერხზე.

ბუდუ გორელაშვილი ლარბის გამო კინალამ პირმოუბრუნებლად რომ გადაეკიდა როსტომს, ამან თავდაპირველად კიდეც გააკვირვა და კიდეც დააბნია. სკოლის უფროს ნაცნობ ბიჭებში რომ გაიკითხა, იმათ სიცილ-ხორხოცით უამბეს ლარბის და ბუდუ გორელაშვილის ურთიერთგადამტერების ამბავი, — ბუდუ გორელაშვილს სწორედ ლარბიმ შეარქვა გორილა და მას მერე ეს მეტსახელი აღარც მოშორებიაო. ის ამბავი სკოლის მასწავლებლებსაც ჩარჩენოდათ ხსოვნაში და ჩუმ-ჩუმად ბუდუს „გორილას" ეძახდნენ, რადგან ყველას თითქმის ერთნაირად აღიზიანებდა ეს უემური, ყეყეჩად გაბღენძილი და უცხვირპირო კოლეგა. სამაგიეროდ, ბუდუ გორელაშვილის განათლების დონე და სწავლების მეთოდიკა ძალიანაც მოსწონდა იმ ზემდგომ ინსტანციებს, რომლებიც ქართველ მოსწავლეთა საბჭოური აღზრდა-განათლების საქმეს განაგებდნენ; რაც შეეხება იმ დაწესებულებას, რომლის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა ყველას, მასთან ბუდუ გორელაშვილს, მართალია, არაოფიციალური, მაგრამ უშუალო, შტატგარეშე მსახურებრივი კავშირი ჰქონდა და, ამიტომ, სკოლაში უბატონოდ ვერავინ, თვით დირექტორიც ვერ სცემდა ხმას. ლარბისთან დაკავშირებით კი, აი, რა მოხდა:

ბუდუ გორელაშვილს, მისი მსოფლმხედველობის და, აგრეთვე, პიროვნული წყობის შესაბამისად, დარვინიზმი თავისებურად და ძალიან პრიმიტიულად ჰქონდა ათვისებული, რის გამოც, წლების მანძილზე, დაჟინებით უნერგავდა მოსწავლეებს იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის წინაპარი მაიმუნია, — რომ ის, ოდესღაც მაიმუნი, შრომის შედეგად გადაიქცა ადამიანად და, ამდენად, მთელ ცხოველთა სამყაროში ადამიანისთვის ყველაზე ახლო მონათესავე ცოცხალი არსება არის მაიმუნი. მოსწავლეებისთვის მსგავსი შეხედულებების შთანერგვას ზემდგომი ინსტანციები დიდად უწონებდნენ ბუდუ გორელაშვილს, ასე რომ სკოლის ხელმძღვანელობას მართებულად რომც არ მიეჩნია მისეული ადამიანისმცოდნეობის სწავლების ხასიათიცა და შინაარსიც, მაინც ვერას შებედავდნენ. როდესაც ბუდუ გორელაშვილმა ლარბის კლასშიც ამავე შეგონებებით დაიწყო დარვინიზმის გაკვეთილი და ბავშვებს რამდენჯერმე მკვეთრად ჩაუმარცვლა, ადამიანის წინაპარი მაიმუნიაო, ლარბის, რომელიც კარგა ხანს გაოცებისგან პირდაფჩენილი უსმენდა მასწავლებელს, უნებურად წამოსცდა:

— ვითომ, მართლა ასეა?

— რაო?! — ბუდუ გორელაშვილს აქამდე არც ერთი მოსწავლე არ შეპასუხებია და მოულოდნელობისგან, წამით, დაიბნა კიდეც.

— მე მგონი, ეს ყველაზე არ ითქმის ასე, პატივცემულო.

ბუდუ გორელაშვილმა ლარბის სიტყვები, უკვე, მისდამი მიმართული პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვა და, ამის გამო, ლარბის შეპასუხება კიდევ უფრო აღმაშფოთებელი, მეტიც, სასტიკი გახდა მის თვალში. თმაჯაგარა, დრუნჩა და ყბაწაგდებული, ცხვირმიპლაშული და ფეხებკოტიტა ბუდუ გორელაშვილი, რომელსაც დამრეცი მხრებიდან ჩამოყრილი ბანჯგვლიანი ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები ლამის მუხლებამდე სწვდებოდა, მართლაც ძალიან ჰგავდა მაიმუნს. წამიერად ჩამოწოლილი სიჩუმე, უცებ, აქეთ-იქიდან მოსწავლეების ფხუკუნმა გააპო. ბუდუ გორელაშვილი გაშრა. მერე, კლასს მრისხანე მზერა შეავლო, ლარბისკენ შემობრუნდა, ხელისგულები მოისრისა და იქედნურად ჩაეკითხა:

— რაო, რას ბრძანებთ ყმაწვილო? რა არ ითქმის ყველაზე? — ბუდუ გორელაშვილი სულ უფრო ენთებოდა და თანდათან ემზადებოდა მისებური, სკოლის მოსწავლეებისთვის კარგად ცნობილი, დამნაშავის „ყურების დაზელვით" დასაგვირგვინებელი შეტევისათვის, — რასაც მეცნიერება ბრძანებს, ის ყველაზე ითქმის და, რასაც მე ვამბობ, ამას ამბობს დარვინიზმი და, დარვინიზმი კი, ყმაწვილო, საბჭოთა მეცნიერთა მიერ ჭეშმარიტ საბუნებისმეტყველო მოძღვრებად არის აღიარებული და, მაშ, შენი აზრით, რა არ ითქმის და რატომ არ ითქმის ეს ყველაზე, ლარბი დავლიანო?!

ბუდუ გორელაშვილი ლარბის უახლოვდებოდა და ის იყო უკვე აპირებდა, როგორც სხვა ურჩ მოსწავლეებთან სჩვეოდა, ლარბისთვისაც „დაეზილა ყურები", რომ ლარბი სწრაფად წამოდგა, გაშლილი მკერდით მის წინ აიმართა და სიბრაზისგან დამრგვალებულ თვალებში შესცინა:

— სხვებისა არ ვიცი და, პირადად მე, პატივცემულო, ჩემს შორეულ, ადამისდროინდელ წინაპარსაც ვერ ვაკადრებ იმის თქმას, მაიმუნი იყოო.

ლარბის მოღიმარ თვალებში გაიელვა ისეთმა ნაპერწკალმაც, რომელმაც ბუდუ გორელაშვილს ხელი აალებინა მისთვის ყურების დაზელაზე. ბოლმისგან კრიჭა შეეკრა, მერხებს შორის ხმაურიანი ნაბიჯით გაბრუნდა უკან, დაფისკენ; დაფასთან შედგა და მერხებზე გასუსულ ბავშვებს დაუღრიალა:

— ვინც ისე არ მიპასუხებს გაკვეთილს, როგორიც მე ვასწავლი — ორიანი მას! დავლიანს კი — ორიანი ახლავე, თანაც დიდი ორიანი!

ბუდუ გორელაშვილმა საკლასო ჟურნალი გადაშალა, ლარბის ორიანი ჩაუწერა და — ზარიც დაირეკა. „ამას რომ შეხედავ, კი გეგონება, ადამიანის წინაპარი მაიმუნი იყოო. ნაღდი გორილაა", — ჩაილაპარაკა ლარბიმ და, მას შემდეგ, ბუდუ გორელაშვილი სკოლის დერეფანში რომ გამოჩნდებოდა, მოსწავლეები ხმამაღლა დაიძახებდნენ — „ბიჭებო, გორილა!" ბუდუ გორელაშვილმა ჯავრი იმით იყარა ლარბიზე, რომ მთელი წლის მანძილზე ორიანი არ მოუშორებია და საშემოდგომოდ გააყოლა სავნის ჩაბარება. ცხადია, ჯავრის ამგვარად ამოყრამ მასზე მიკერებული მეტსახელი ვერ წაშალა, — ბუდუ გორელაშვილს ისე მოერგო და კიდეც შეესისხლხორცა ლარბის შერქმეული „გორილა", რომ, დროსთან ერთად, თანდათან, სინამდვილეშიც, სულ ემსგავსებოდა გორილას. ის კი არა, ერთხელ, ბუდუ გორელაშვილის პრეტენზიებით თავგაბეზრებულ გულმოსულ დირექტორსაც, სასწავლო გამგესთან საუბარში, წამოსცდა: — გამაგიჟებს ეს ჩვენი გორილა!

როდესაც როსტომმა ეს ამბავი შეიტყო, ბევრი იცინა და, თავისი შეფასებით, ლარბის მიერ ადამიანის წინაპრად მაიმუნის აღიარების უარყოფაც მართებულად ჩათვალა; ოღონდ, ისიც გაითვალისწინა რომ მასწავლებელთან შეპასუხებას არავითარი აზრი არ ჰქონდა: გამწარებული „გორილა" უწინდელზე მეტის დაბეჯითებით შეაგონებდა მოსწავლეებს მის მიერ ინდივიდუალურად გააზრებულ დარვინის თეორიას მაიმუნისგან ადამიანის წარმოშობაზე და იმ სამოსანს, რომელიც მისი მოთხოვნების შესაბამისი სიზუსტით არ ჩააბარებდა გაკვეთილს, ორიანს უწერდა, ოთხოსანს — სამ მინუსით, ხოლო ხუთოსანს — სამიანს. როსტომმა ასე განსაჯა, რომ გაკვეთილი — გაკვეთილია, მასწავლებელი — მასწავლებელია და, რაც შეეხებოდა საკუთარ მოსაზრებებსა თუ შეხედულებებს, ტვინი იმიტომ არის თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაში ყოველი მხრიდან დაჩმული, რომ, საჭიროების შემთხვევაში, უფროსებისათვის საპირისპირო სათქმელი შიგ უნდა გამოკეტო, რათა ყოველგვარ უსარგებლო დავიდარაბას ასცდეო. ამიტომ, როდესაც მეშვიდე კლასში გადასულს, დარვინიზმის გაკვეთილზე, ბუდუ გორელაშვილი საგანგებოდ ჩაეკითხა — საიდან წარმოიშვა ადამიანიო, როსტომმა ბეჯითად უპასუხა: განსაკუთრებული ჯიშის მაიმუნებისგან, რომლებიც დღეისთვის გაქრნენ, რადგანაც შრომის შედეგად ადამიანებად იქცნენო. როსტომმა ასე იმიტომ უპასუხა, რომ მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო; ხოლო ის, ლარბიმ თავისი შეხედულება პირდაპირ რომ მიახალა მასწავლებელს, თუმცა მოეწონა, მაგრამ — სახიფათოდ მიიჩნია.

„ხო, ხიფათიანი იყო", — გაიფიქრა როსტომმა და, უცებ, ისიც გაახსენდა, სახლის მაღლითა ლავგარდანზე რომ გავიდა ლარბი, რათა ბაწარ-ბლონდებში ფეხებით გაბმული და ჰაერში უმწეოდ აფართქალებული მეკირია-მერცხალი გაეთავისუფლებინა. ცხადია, შეიძლებოდა, გრძელი ჭოკი მონახათ და მესამე სართულის ფანჯრიდან იმ ჭოკით როგორმე ჩამოეხსნათ მეკირია, ლარბი კი მაშინვე ლავგარდანზე გადაცოცდა და, თან ქუჩაში მდგარ ბიჭებს, შიშისგან გაფართოებული თვალებით რომ შესცქეროდნენ, ზემოდან ხელსაც უქნევდა. მერედა, ძველი სახლის ლავგარდანი სადმე რომ ჩამონგრეულიყო ან, კიდევ, ვინმე რომ აჰყოლოდა, დიდგულად გაჯიბრებოდა ლარბის და შემთხვევით ქვაფენილზე დანარცხებულიყო? როსტომიც, სხვა ბიჭებთან ერთად, სულგანაბული შეჰყურებდა ლარბის და თუმცა აღტაცებული იყო მისი გამბედაობით და სიმარჯვით, მაგრამ, თან, შიშისგან სუნთქვა ეკვროდა. ლარბიმ მეკირია რომ გამოათავისუფლა და ძირს უვნებლად ჩამოაღწია, როსტომი ღრიალით მივარდა და მუშტები დაუშინა — ასე რატომ შემაშინეო, ახლაც ლარბიზე ფიქრობს, სისასტიკედ ესახებოდა მისი ასეთი საქციელი.

„ხო, სასტიკი იყო", არა იმდენად სხვების, რამდენადაც საკუთარი თავის მიმართ ჩანდა სასტიკი. და განა სისასტიკე არ იყო თუნდაც ის, სულ უბრალო შეკამათებისა და დანიძლავების გამო, სახლის სახურავიდან, იქვე, ქუჩაში მდგარ ჭადარზე რომ გადახტა, ტოტზე დარწეულს გამარჯვების შეძახილი აღმოხდა და, მერე, ძირს ჩამოსულმა ისეთი დამამცირებელი შენდობის ღიმილით რომ შეხედა მონაძლევეს, თითქოსდა ეს მან აიძულა ხიფათიანი ნახტომის გაკეთება. სინამდვილეში მეზობლის ბიჭი ლარბისთან თავიდანვე ხუმრობით გადავიდა ნიძლავს და, როცა ლარბი სახურავისკენ გაქანდა საკუთარი ნათქვამის ასასრულებლად, ის ხვეწნა-მუდარით დაედევნა — წაგებული მე ვიყოო, ეუბნებოდა მას და ცდილობდა, როგორმე გაეჩერებინა. ლარბი კი არა და არ გაჩერდა და — თავისი გამარჯვებით, არა მარტო ნიძლავი მოიგო, არამედ ის ბიჭი კიდეც დააბეჩავა და სამუდამოდ აალებინა ხელი მასთან უბრალო შეკამათებაზეც. მერედა რისთვის აკეთებდა ყველაფერ ამას? რაში სჭირდებოდა?

როსტომი ვერც ადრე და ვერც ახლა ვერ ხვდებოდა, რა აიძულებდა ლარბის ყოველივე ეს გაეკეთებინა. მხოლოდ ბუნდოვნად გაუელვა იმ აზრმა, რომ არც სანაძლეოს მოგება, არც მეკირია-მერცხალის შებრალება და, მით უმეტეს, არც ბიჭებთან თავის გამოჩენის სურვილი არ ედო სარჩულად მის თავზეხელაღებულ, სახიფათო თავგადასავლებს, — რომ იგი ყოველივე ამას აკეთებდა თითქოს ვიღაცის თუ რაღაცის ჯიბრზე, და აკეთებდა ისე, თითქოს საკუთარ თავს ცდიდა.

როსტომი შინ ხმამაღლა არ ამხელდა, თორემ, ბოლომდე ისიც არ სჯეროდა, რომ ლარბი, როგორც ეს დედამ უთხრა და მამამაც დაუმოწმა, რაღაც საინტერესო სამუშაოს გამო და რაღაც მნიშვნელოვანი პროფესიის დაუფლე-

ბის მიზნით გაემგზავრა სადღაც შორს და სხვა ქალაქში დასახლდა. რა მიზეზითაც და მიზნითაც უნდა გამგზავრებულიყო სახლიდან მისი უეცარი გაუჩინარებაც და ამდენი ხნის უკანმოუბრუნებელი გადაკარგვაც როსტომს სისასტიკედ ესახებოდა. მაშ, განა სისასტიკე არ იყო ეს, თუნდაც როსტომის მიმართ? როსტომს ხომ ძალიან უნდოდა და ძალიანაც სჭირდებოდა, გვერდში ჰყოლოდა უფროსი ძმა. ის კი წავიდა. არც არაფერი უთქვამს როსტომისთვის, ისე გაუჩინარდა; და იქაც, ალბათ, კვლავინდებურად არ ეშვებოდა თავგადასავლებს, კვლავინდებურად ხიფათს ეთამაშებოდა, ისე, რომ არც საკუთარ სიცოცხლეზე ზრუნავდა და არც სხვა ვინმე ენაღვლებოდა — არც როსტომი, არც მაიკო, არც დედა, ვისაც ის ენატრებოდა, უხაროდა; მას კი არც ენატრებოდა; რომ მონატრებოდა, წლების მანძილზე, ერთხელ მაინც ხომ ჩამოვიდოდა, ინახულებდა... წერილებსაც კანტი-კუნტად და მოკლე-მოკლედ თუ მოიწერდა... ახლა კი... რატომ, რატომ მოკვდა და ასე გული რატომ მოუკლა დედასაც, მაიკოსაც, როსტომსაც...

— ხო, სასტიკი იყო, სასტიკი! — გაბუტვით დაასრულა როსტომმა ლარბისადმი, მისი სიკვდილის გამო, გულში ამღერებული მწარე-მწარე საყვედურები. ცრემლი მჯიღით მოიწმინდა და, უცებ, თითქოს საყვედურების დასტურად, „სახრჩობელას ამბავი" გაახსენდა. ლარბის თანატოლი, უკვე კაცობაში შესული მეგობრები, ამ ამბავს მხოლოდ სახუმაროდ, ბოლო ხანს გადიდკაცებული, „სახრჩობელას ამბით" დაზარალებული ბორის ჯინჭველაშვილის გასაჯავრებლად და ლარბის სახოტბოდ თუ გაიხსენებდნენ. მათმა მონაყოლმა თავდაპირველად კი გააცინა როსტომი, მაგრამ, მეორე წამს, შეზარა. სისასტიკედ მიიჩნია ლარბის საქციელი ბორის ჯინჭველაშვილის მიმართ — როგორაც, თურმე, გაუწამებია იგი. მას შემდეგ, ეს ამბავი რაც გაიგო, აქაო და, ჩემმა უფროსმა ძმამ დაამცირა და კინაღამ მოკლა ბორის ჯინჭველაშვილიო, როსტომს დანაშაულის მსგავსი გრძნობა გაუჩნდა მისდამი და აღარც ის უკვირდა, რომ, რაც თავი ახსოვდა, ბორისი ან ნაძალადევად კეთილი ღიმილით ესალმებოდა, ან, უბრალოდ, შეხვედრისას გვერდს უქცევდა.

მართლაც, იყო ამ ამბავში დიდი წილი სისასტიკისა; იყო სახუმაროდ გასახსენებელი სასაცილო ვითარებებიც; მაგრამ იყო კიდევ სხვაც — უფრო მთავარი: მთელი იმ შემთხვევის ყრუდ, უხმოდ განმსჭვალავი ტკივილი. იმ ტკივილს ჯერ კიდევ მაშინ ბევრი ვერ მიუხვდა; ვინც მიუხვდა, წლების მანძილზე, გადაავიწყდა; და, ცხადია, ლარბიზე რულმორეული ფიქრებით, მას ვერას გაუგებდა პატარა როსტომი.

## „ᲡᲐᲮᲠᲩᲝᲑᲔᲚᲐᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ"

„სახრჩობელას ამბით" დაზარალებული ბორის ჯინჭველაშვილი ახლაც იმავე სახლში ცხოვრობდა, უკვე დაცოლშვილებული იყო და, ლარბის გამოისობით, როსტომს დასანახავად ვერ იტანდა. თუმცა, მარტო როსტომს კი არა, ბორის ჯინჭველაშვილი, საერთოდ, მთელ იმ სახლს და, არა მარტო სახლს, მთელ იმ უბანს ვერ იტანდა. კარგა ხანი იყო, სურდა, ქალაქის სხვა უბანში გადასულიყო საცხოვრებლად, მაგრამ, ჯერჯერობით ამ საქმისთვის თავი ვერ მოება. ცოლის მზითევით და გავლენიანი მოყვრებით წელგამაგრებულს, სამსახურეობრივადაც სწორედ ქალაქის მაცხოვრებელთა საბინაო უზრუნველყოფისა და კეთილმოწყობის საქმეში დაწინაურებულს, უკვე ყველა საშუალება ჰქონდა საიმისოდ, რომელიმე ახალ პრესტიჟულ უბანში, და უკეთეს საცხოვრებელ ფართზე ბინა გაეცვალა. ამის თაობაზე სიმამრმაც, თითქოს გულის ნადებს მიუხვდაო, ჩამოუგდო სიტყვა, დახმარებაც შესთავაზა. „არა, ჯერ ამ დავიდარაბის თავი არა მაქვს", — უპასუხა ბორისმა, ხოლო, სინამდვილეში სულ სხვას ფიქრობდა: ნაჩქარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად და სახიფათოდაც ესახებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. გამოცდილი და ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულში ჩახედული, სტალინის დროს შინსახკომის მაიორი, ხრუშჩოვის დროს კი ლუდის ქარხნის დირექტორად ჩამოქვეითებული, ანუ, პირდაპირ ფულის ტომარაში გადასკუპებული სიმამრი, ბორისის პასუხის ქვეაზრს უმალ ჩასწვდა, ჭკვიანი და წინდახედული სიძე მყავხარო, კმაყოფილებით მხარზე ხელი გადახვია და, როგორც ყოველ კვირა დღეს, შვილიშვილის სანახავად და სიძესთან ასი მანეთის წასაგებად სტუმრად მისულმა, ათმანეთიანი დავი-დავბასეთი ნარდის ამღერება შესთავაზა.

ბორის ჯინჭველაშვილი ჯერ ახალგაზრდა იყო, მაგრამ უკვე მტკიცედ მოეკიდა ფეხი საქმიანი ცხოვრების გზაზე; უკვე მოშურნეებიც გასჩენოდა, ისევე, როგორც ყველა ახლად გამოჩეკილ პერსპექტიულ პარტიულ მუშაკს და, როგორც კი შეიტყობდნენ კარგ ბინაში მისი ოჯახის გალაღებას, უთუოდ აფრენდნენ ანონიმურ ბარათებს ცენტრალურ კომიტეტში და სხვა ზემდგომ ინსტანციებშიც. სამსახურეობრივ მდგომარეობას პირადი ცხოვრების მოსაგვარებლად იყენებსო. მოშურნეთა სისინს, სავსებით შესაძლებელი იყო, სამომავლოდ მისი კარიერის არა მარტო შეფერხება, არამედ ალკვეცაც და მასზე სასჯელის დადებაც მოჰყოლოდა. ბორის ჯინჭველაშვილს კი, პატარაობიდანვე, უფრო ზუსტად, „სახრჩობელას ამბის" შემდეგ, მისდამი უმნიშვნელო ბრალდების წამოყენების ვარაუდიც აფრთხობდა. მან ძალიან ადრე, სწორედ „სახრჩობელას ამბით" თავზარდაცემულმა გაიცნობიერა ცდუნებათა წინაშე თავისი მერყევი ხასიათის სისუსტე და, მას მერე, დანაშაულებრივი შეცდომებისგან თავის დამზღვევი, მოშიშარი ზრუნვით ზომავდა ყოველ ნაბიჯს და ერთთავად იმაზე იყო დაყურადებული, მკაცრი კანონიერების ფარგლებში დაეცვა და, რაც მთავარია, უვნებელეყო საკუთარი ცხოვრება.

ბუნებით რაიმე გამორჩეულ უნარს მოკლებული და ჯანით სუსტი, ბავშვური თამაშობებში თანატოლებისგან მრავალგზის განცდილი დამცირების პასუხად და ცხოვრებაში საკუთარი ძალებით წინააღმდეგობათა დაუძლევლობის შიშით, ის სკოლის მერხიდანვე თავს არ იზოგავდა, რომ გარემოებრივი მდგომარეობით როგორმე გაებათილებინა სულიერი თუ ფიზიკური ნაკლოვანებანი: ფრიადოსნობისთვის ჭირის ოფლს ღვრიდა და მასწავლებლებთან ლაქუცობდა, კომკავშირში აქტივისტობდა და მეათე კლასში კი თხოვნავედრებით აღსავსე განცხადება დაწერა კომუნისტური პარტიის რიგებში მისაღებად. ყრმობის მიამიტ ოცნებებში მან კომუნისტური პარტია წარმოისახა ყოველი მხრიდან განმტკიცებულ ისეთ ციხესიმაგრედ, სადაც ლარბისნაირებისგან დაცული, მკაცრი წესრიგის ატმოსფეროში, ანუ, შეცდომებისგან დაზღვეული იქნებოდა, თუკი პირნათლად აღასრულებდა მის მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს და განსაკუთრებით კი ზაფხულის არდადეგებზე, ჩაჰკირკიტებდა ბელადებზე დაწერილ წიგნებს, მთელი არსებით ისისხლხორცებდა კომკავშირის და პარტიის ისტორიას და წესდებებს, მოწიფული კაცის სერიოზულობით ეცნობოდა გაზეთ „კომუნისტში" ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებების ამსახველ წერილებს და, მზის სხივთა ციაგში მშობლიური სტალინის მოალერსე ღიმილის მჭვრეტელი, მომავალში თავს პარტიის წითლად მოელვარე ციხესიმაგრის ერთგულ ჯარისკაცად სახავდა.

მის ცდას და ჯაფას უშედეგოდ არ ჩაუვლია. გამარჯვების პირველი ნამდვილი სიხარული მაშინ იგრძნო, როდესაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სკოლიდან მის საბუთებს დართული კომკავშირული და პარტიული დახასიათება-რეკომენდაციების წყალობით, უკვე კომუნისტური პარტიის წევრი ბორის ჯინჭველაშვილი რიხინ-რიხინით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარიცხეს სამშენებლო ფაკულტეტზე; ხოლო უბანში მისი მქირდავი ყოყლოჩინების უმეტესობა და მათ შორის ლარბიც, რომელმაც, სულ ბოლოს, ბორისის პარტიაში შესვლა რომ გაიგო, წკიპურტიც გაჰკრა და „პარტიის წრუწუნად" მონათლა — პო, ეს ტანადი და ნიჭიერი, „უბნის თვალი" და „სკოლის ჯილა" ლარბი, ზოგიერთი გაკვეთილისთვის დასვენების წუთებში რომ მოემზადებოდა და ბორისისთვის გაუგებარი, რაღაც უცნაური უნარით წამში ითვისებდა საგნებს, უარით გაისტუმრეს უნივერსიტეტიდან. გამარჯვების გრძნობა განსაკუთრებით სწორედ მან გაუმძაფრა, რომ ლარბი ჩაიჭრა უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე და თვითონ კი ჩაირიცხა; და, მერე, როდესაც ლარბი თბილისიდან მოულოდნელად გადაიკარგა, ბორის ჯინჭველაშვილმა მისი ასეთი ნაბიჯი ბრძოლის ველიდან გაქცევად მიიჩნია — იმ ბრძოლის ველიდან, რომელზეც თვითონ, დროსთან ერთად, მძლავრდებოდა. ქედმაღლურად ჩაიცინა კიდეც, როდესაც ლარბის გადაკარგვის ამბავი შეიტყო.

აი, მაშინ ნამდვილად იგრძნო, რომ საჭირო და სწორ გზას დასდგომოდა; და მის მერე, სულ იმის ცდაში იყო, ერთხელ მიგნებული ეს გზა სრულად, მთელი სისავსით გაეთავისებინა.

ინსტიტუტის პირველივე კურსზე გაიაზრა, რომ არ გააჩნდა საიმისო ნიჭი და არც გაქანება, მომავალში სამეცნიერო თუ სამრეწველო სფეროში გამართულად ემოქმედა. ჩვეულებრივ, თანაბარ პირობებში, ბევრნი, უთუოდ, აჯობებდნენ, გაუსწრებდნენ. აქამდე მდგომარეობრივი პრივილეგიებით მოპოვებულმა გამარჯვებებმა კი, თანდათანობით, უფრო და უფრო გაუღვივა რაიმე სახით უფლებამოსილების, სხვების გასწრების, სხვებზე გაძლიერების სურვილი. ხოლო, ინსტიტუტშიც სკოლაში ნაცადი ხერხით ამოქმედდა: კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობაში აქტიურად ჩაება, ორჯერ შუა აზიაში ყამირზე გაემგზავრა სტუდენტური ჯგუფების ხელმძღვანელად, არც ერთ საინსტიტუტო ორგანიზაციულ წამოწყებას არ აკლდებოდა. ამის გამო, მართალია, ვეღარ იცლიდა საგნების ამომწურავად შესწავლისთვის, მაგრამ პედაგოგები, პარტიული კომიტეტის და რექტორატის თხოვნით, შეღავათს უწევდნენ და მაღალ ნიშნებს უწერდნენ. მეოთხე კურსზე, ლენინური სტიპენდიანტიც გახდა. სტუდენტობის წლებშივე, ერთთავად სამომავლო გეგმების გათვლა-გამოზომვაში იყო და ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტში გაძვრა მესამე მდივნად. ამ დროისთვის უკვე დაოჯახებული იყო. ინსტიტუტის თანაკურსელ სწორედ ისეთ ფუშფუშა გოგოს დაადგა თვალი, როგორიც, ტანად გამწლეულს, მუდამ სასურველად ესახებოდა. ცხადია, სასიმამროს გონივრული გაანგარიშებითაც შეირთო ცოლად ლოყებღაჟღაჟა ცირა. შვილიც ეყოლათ, ბიჭი, რომელსაც, სიმამრის პატივსაცემად, გედეონი დაარქვეს. ოჯახმა კიდევ მეტი პასუხისმგებლობა გაუღვივა მომავალი ცხოვრებისადმი, კიდევ მეტად დააძაბვინა გონება შემდგომი ნაბიჯების გასათვლელად. რადგან იყნოსა, კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნობას ვერ მიაღწევდა, სიმამრის დახმარებით, სულ მალე, ქალაქის აღმასკომის საბინაო-სააღრიცხვო განყოფილებაში უფროს ინსპექტორად მოეწყო. აღმასკომის თავმჯდომარემ, სიმამრის ძველმა მეგობარმა და ერთ დროს სიმამრისგან დავალებულმა, თავიდანვე შეიტკბო ყველა მითითების დროულად, კეთილსინდისიერად აღმსრულებელი ბორის ჯინჭველაშვილი და, არ გასულა ხანი, რომ პენსიაზე გასული განყოფილების უფროსის თანამდებობაც გადაულოცა. ასე, რიხინრიხინით გაჩარხა ცხოვრება, რომელიც, დღითიდღე, ახალ-ახალ გამარჯვებებს და პატივს უქადდა.

მხოლოდ ერთხელ, სტალინის სიკვდილმა და მას შემდეგ აღძრულმა პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული ცხოვრების ნირის შემცვლელმა მოვლენებმა, მცირე ხნით დააბნია ბორის ჯინჭველაშვილი და კინაღამ გზიდან ააცდინა. მაგრამ დროულად მოეგო გონს და შეცვლილი ვითარებებიც სალად შეაფასა. უმალ თვითონაც მოიმართა ახალი დროის შესაბამისად, ისე, რომ არც დასჭირვებია თავის ტეხა და ნაცადი გზიდან გადახვევა. მართალია, დრო იმდენად შეიცვალა, რომ უმაღლესი დონის პარტიული მუშაკებიც აკუნტრუშდნენ ოდესღაც მათივე პირით დაგმობილ ბურჟუაზიულ ჯაზურ ჰანგებზე, რომელიც დასავლეთისკენ აწ შეღებული სტალინური რკინის კარიდან მოჰყვებოდა საამო სიოს და, რომ იტყვიან, ფულში ხელის აშკარად გასვრასაც აღარ ერიდებოდნენ; მართალია, ლენინ-სტალინის ნაშენები ქვეყნის ციხესიმაგრის ქონგურები რაღაც უაზროდ, მკაცრ ფერებთან და ხაზებთან მიუსადაგებლად მხიარული, ხელოვნური ყვავილებით მოერთოთ, — მართალია, ყველაფერი ეს იყო და იყო მრავალი სხვაც, ბორის ჯინჭველაშვილის ჰაბუკობისდროინდელ გაგებასთან სრულიად შეუსაბამო, მაგრამ ის მაინც ასე ხედავდა, რომ პარტია იგივე პარტიად რჩებოდა, ხელოვნური ყვავილებიც ვერ ფარავდა თვით არსს ქვეყნის უმკაცრესი ციხე-კოშკისა და ძველი წესებიც, თუმც ფერშეცვლილნი, კვლავაც ძალაში რჩებოდა. იდეურ-პოლიტიკური ჯახი შეცვალა ცხოვრებისეული მოთხოვნილებებით გამძაფრებულმა კოლიზიებმა და, ამ ახლებურ დროში, შეცდომის და დანაშაულის ჩადენის შანსი სრულიად ჩვეულებრივი კორუფციის ფარგლებში გაიზარდა ძველი ციხესიმაგრის აღრეულ დარბაზებში.

თავის წაგებაც, ახლა, არა იმდენად პარტიული წესების და ზნეობის დაუცველობაზე, რამდენადაც შემთხვევაზე, დროით წამოტივტივებულ პარტიულ ბოსთა სიმპატია-ანტიპატიებზე, მათ გუნება-განწყობილებაზე და სხვა ამის მსგავს პირად, ცხოვრებისეულ ურთიერთობებზე იყო დამოკიდებული. მოუნდებოდათ და, დაგაწინაურებდნენ; მოუნდებოდათ და, ჩამოგაქვეითებდნენ. საამისოდ მიზეზების ძებნა და შექმნა არ გაუჭირდებოდათ, თანაც, სრული კანონიერების დაცვით. ჩამოქვეითება და, მით უმეტეს, სასჯელით გასტუმრება — იგივე თავის წაგება იყო. აბა, რაღა ფასი ექნებოდა თანამდებობრივი მდგომარეობის გარეშე? უამისოდ ხომ უბრალო სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებლადაც ვერ ივარგებდა. ბორისს კი საკუთარი თავი ძალიანაც უყვარდა; იმდენად უყვარდა, რომ ყოველი, თვით უმცირესი სიამოვნებაც დიდკაცურად ალაღებდა და სულ უბრალო წარმატება სიამაყის გრძნობით ავსებდა. თავის წახდენა ნამდვილად აშინებდა, მით უმეტეს, რომ დანაშაულზე წასწრების და სასჯელის შიში ძვალ-რბილში ყრმობიდანვე გასჯდომოდა. ამიტომ იყო, ყოველ ცთუნებას საწყისშივე მკაცრად იკვეთდა, ამა თუ იმ საქმეს მხოლოდ კანონიერების ფარგლებში თუ მოაქვარახჭინებდა სიმამრის და ახლად შეძენილ მეგობართა მიერ მოგზავნილი კლიენტებისათვის. კანონიერების ფარგლები კი ისეთი წელადი და ტევადი იყო, რომ ხშირად ბორისი თვითონაც ვერ არკვევდა, სად და რა ზომით ემიჯნებოდა იგი დანაშაულს. გაწეული სამსახურის გასამრჯელოდ, კლიენტებისგან მხოლოდ ძღვენით და საჩუქრით კმაყოფილდებოდა; ყოველ შემთხვევაში, თვითონ არასდროს ადებდა ფასს თავის საქმეს და ქრთამის სახით წინასწარ გარიგებას გაურბოდა.

ბორის ჯინჭველაშვილს თვით დანაშაული მაინცდამაინც არ ადარდებდა; არა, იმდენს კი მიხვდა, რომ ეს ცხოვრება, რომელსაც ხედავდა და იაზრებდა, თავიდან-ბოლომდე დანაშაულებრივი იყო; მას მხოლოდ დანაშაულზე წასწრების და სასჯელის შიში ზარავდა. სწორედ ამ შიშის მიზეზით, ხანდახან სარფიანი საქმე თუ ჩაუვარდებოდა ხელში და სული წასძლევდა, მეტი გაბედულებით ემოქმედა, სამსახურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ დაბრუნებული ელდანაკრავივით მოიცილებდა ყოველნაირ სარისკო საქმეზე ფიქრს. ძველი, ჩვეული ეზო-კარი თითქოს ყრმობაში აბრუნებდა და ყრმობაში განცდილი სასჯელის შიშიც უნებურად იფეთქებდა მის არსებაში. ის სახლი და ეზო, სადაც დაიბადა და გაიზარდა, მისი თვითშეგრძნების და ქცევის შემბოჭველ გარემოდ ქცეულიყო. თუმცა, მარტო წარსულის უსიამო მოგონებები და მათთან დაკავშირებული შებოჭილობის გრძნობა არ იყო მიზეზი იმისა, რომ, დროსთან ერთად, სულ უფრო ულვივდებოდა სხვა უბანში გადასვლა-დაბინავების სურვილი.

ბორის ჯინჭველაშვილს სულ უფრო აწუხებდა, ეჩოთირებოდა კიდეც, რომ ძველუბნელები ბავშვობაში დოყლაპიად იცნობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ხორციც მოისხა, დაცოლშვილდა, საჭირო კაცი გახდა და სანიმუშო მუშაობისთვის საპატიო სიგელებით მისი დაჯილდოება გაზეთებშიც ცხადდებოდა, მათ თვალში, სამუდამოდ ბორიკუნად დარჩენილიყო. ერთხელ, პირველი სიგელის აღსანიშნავად რესტორანში გამართული პურ-მარილის შემდეგ, კარგა ღათაზიანად შექიკჭიკებული და თანამშრომლების გულუხვი ქებით გაგულდიდებული ბორისი სანამ შინ ავიდოდა, სახლის წინ ქედმაღლურად აიჯგიმა, მიაშტერდა ეზოს კუთხეში სალაყბოდ შეკრებილ მეზობლებს და მთელი ხმით დაიყვირა: „არა ვარ, იცოდეთ, აღარა ვარ თქვენი ბორიკუნა!". ამაზე, სიყრმის მეგობრებმა თავისთვის ჩაიფრუტუნეს, ხოლო იმათში ყველაზე მატაოცამ ჭყირტად გასძახა: — აბა, ვინ ხარ, შე კისერწავარდნილო? არ თქვა, არსენა ვარ, ჯორჯიაშვილიო, თორემ, ხო იცი, აქ მაინც არავინ დაგიჯერებს, — და ისე უტიფრად ჩაილინცილა, რომ ბორისს ნირი წაუხდა, უწინდელი თვითკმაყოფილება და ამპარტავნობა უმალ ჩაეღველფა და გინებ-გინებით ავარდა სახლისკენ სადარბაზოს კიბეზე.

ყველგან და ყველასთან ბატონკაცურად ეჭირა თავი ბორის ჯინჭველაშვილს, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულიც სიმკაცრითაც; მაგრამ, აი, თავის უბანში, ძველ ნაცნობსაც რომ შეხვდებოდა, დაიძაბებოდა, წაიგრძელებდა და შეატრიალ-შემოატრიალებდა კისერს, მისალმების ნიშნად სწრაფად დაუკანტურებდა თავს და მრგვალ, გადმოკარკლულ თვალებს ცერად, იჭვნეულად შეანათებდა. მერე, ისე სწრაფად გაშორდებოდა, თითქოს შიშობდა, ნაცნობს ზურგში არ მიეძახა, ჩამოხრჩობილოო.

ბორისის თანატოლებს და, საერთოდ, მეზობლებს, კარგოად ახსოვდათ მისი ჩამოხრჩობის ამბავი. ოღონდ, მათ უკვე მხოლოდ ჩამოხრჩობის ფაქტი, ამ ამბის მხოლოდ გარეგანი გამოვლინება თუღა მოაგონდებოდათ, რაზედაც გაიცინებდნენ და მეტი არაფერი. ბორის ჯინჭველაშვილის ხსოვნის ულრმეს, იდუმალ ფსკერზე კი სამუდამოდ აღბეჭდილიყო არა მარტო კისერზე შემოჭდობილი ბაწარი, არამედ ის მიზეზიც, რისთვისაც მარყუჟში ამოაყოფინეს თავი და, რაც მთავარია, ლარბის მიერ ულმობლად წარმოთქმული განაჩენი. მისი სიტყვები და მთელი ის ვითარება, ბორისმა ვერასგზით ვერ დაივიწყა, თუმცა, თავისთვის, არაერთხელ გაუმეორებია დაყინებით: „კაი, ახლა, ბორის, რა სისულელეა, ბორის! რას მიჰქარავ, ბორის! იყო და, გათავდა. რაღა დროს მაგეებია". მაგრამ ასეთი თვითშეგონებით ვერას ხდებოდა. საზარი მოგონება დროდადრო ხსოვნის სიღრმიდან უნებლიედ იფეთქებდა და მტკივნეულად განაცდევინებდა, რომ, მიუხედავად განვლილი წლების, ჟამთა ცვალებადობის და გარემოში საკუთარი ნების წრთობით, თითქმის სრული პიროვნული გადასხვაფერებისა, სადღაც, გულის კუნჭულში, უწინდებურად ბორიკუნა დარჩენილიყო. სწორედ ის გულის კუნჭული აუკვნესდებოდა ხოლმე და ზოგჯერ საკუთარ თავთან განმარტოებულს, სტანჯავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ეზოში ლარბის სიკვდილის ამბავი დაირხა და ამ ცნობამ, სამსახურიდან შესვენებაზე შინ მიმავალი ბორის ჯინჭველაშვილის ყურამდეც მიაღწია, — როცა ის-ის იყო სახლის ეზოში შესულს, იქვე, ძელსკამთან მოფუსფუსე მეზობელმა მოხუცმა ქალებმა რაღაც უცნაურად, თითქოს ყვედრებით ახედეს და თითქმის ერთხმად შესტირეს, რა უბედურება მოხდა, ჩვენო ბორიკუნა, შენ კარგად გვეყოლე, ყველა ჯანმრთელად გვყავდეს და, ლარბი კი, ჩვენი ლარბი დაგველუპაო, — წამით გაშტერდა. არაფერი უთქვამს, ისევ ისე, გაოგნებული აუყვა სახლისკენ კიბეს და ოთახში ჩაიკეტა. უცებ, წარმოუდგენლად მოეჩვენა ლარბის სიკვდილი. მის ხსოვნაში ლარბი სიცოცხლის უტეხ, უმტკიცეს განსახიერებად ჩარჩენილიყო და, ერთხანს ვერ დაეჯერებინა ამ ცნობის უტყუარობა. „ტყუილია, ტყუილი... ეგებ, შეცდომაა, მისამართი შეეშალათ... არა, სისულელეა... ან, ეგებ, გვამასხარავებს..., ეგებ, იქაც, თავისებური, ძველებური გაიხსენა და იქიდან გვაფეთებს“. შლუდ წამოიძახა; თვალხმიერად წარმოუდგა ლარბის ღონიერი, ასხლეტილი ტანი, მისი ჯიქური გამოხედვა და ამ ცხოველმა ხილვამ ზოზლინა იქვე უფრო გაუღრმავა. თუმცა, მეორე წამს გაიფიქრა, ასეთ რამეზე მასხრობა შეუძლებელიაო და, უცებ, ნაღველმა და მწუხარებამ კი არა, გაოცებამ შეიპყრო. „რაო? მოკვდა? კი, მაგრამ, რანაირად? აბა, როგორ, როგორ მოხდებოდა ეს? რა მოკლავდა? ასეთი რა დაატყდა, რომ იმას მოერია?“ — სრულიად უაზროდ დურდურებდა და, მაინც, ვერასგზით ვერ იმკვიდრებდა, ვერ იგუებდა კუბოში გამომწყვდეული ლარბის სახებას. მერე, უჩუმრად აედევნა ამ ფიქრს; ახლოს მიეპარა; შეეცადა ბოლომდე მისწვდომოდა — ბოლომდე წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ლარბი ჯერ კუბოში და, შემდეგ, მიწაში, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიეპარა ამ ფიქრს, თანდათან დაიმორჩილა, შეითვისა და, როცა ძლივს დაუფლებულმა წარმოსახვამ უნებლიედ შეაძრწუნა, რა უეცრად, რა იდუმალად აუჩქროლდა შიშნეული კმაყოფილება, რომ თვითონ არ იყო მკვდარი. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლებოდა, ბორისი მომკვდარიყო იმ დროს, სახრჩობელაზე; ლარბის კი მისთვის ჩვეული, დაუდევრად ღონიერი ნაბიჯით ევლო. მაგრამ, ახლა, ამ ჩუმმა, შიშნეულმა კმაყოფილებამაც შეაცბუნა; მეტიც, შეაშფოთა: და მან, როგორც ასეთ წუთებში სჩვეოდა, კისერი გამრუდებულ საცობელასავით მიაბრუნ-მოაბრუნა მხრებში, თვალები ააბლატუნა და დაბალთულივით ამოიოხრა: „ჩემმა ცოდვამ უწია საცოდავს“. თითქოს გულწრფელი ნაღველით ამოთქვა ეს სიტყვები, მაგრამ ნიშნისგების ცბიერი კილო მაინც ვერ მოაშორა. ამასთანავე, თვითონაც გაუკვირდა, ლარბის მიმართ სიტყვა „საცოდავი“ რომ იხმარა. გულის სიღრმიდან ის იყო, ისევ ამოიჩქროლა ფრთხილმა, გაუბედავმა კმაყოფილებამ, მაგრამ მან ახლა უკვე ძალით ჩაიხშო მდგომარეობისთვის შეუფერებელი, გარდაცვლილი ლარბის მიმართ აღძრული შეგრძნება იმ უპირატესობისა, რომ თვითონ ცოცხალი იყო. მერე, ისე უეცრად აწრიალდა, ტანში ისე გააზრზოლა, თითქოს ლარბი იმავ ოთახში ზურგს უკან ამოსდგომოდა, ბორისის უხამსად თავხედური ფიქრები ამოეცნო და, გაბრაზებული, შავი თვალების ბასრი მზერით კეფას უბურღავდა. ბორისმა უკან მიხედვაც ვერ გაბედა, კეფაზე მოისვა ხელი; დანაშაულზე წასწრებულივით კედელ-კედელ გავიდა კუთხისკენ და იქ, სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა.

საკუთარმა უხამსმა ფიქრებმა ლამის თავი შეაზარა ბორის ჯინჭველაშვილს. თუმცა, ეს გრძნობა არც თუ უცხო იყო მისთვის. „სახრჩობელას ამბის“ შემდეგ, სხვებისთვის შეუმჩნეველ, უწვრილმანეს დანაშაულსაც თუ ჩაიდენდა, ელდანაკრავივით გაიძურწებოდა, ყველა ამქვეყნიურ საცთუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს წყევლიდა, რადგან, იმავე წამს, უაშკარესად ჩაესმებოდა ლარბის ულმობელი სიტყვები და კისერთან მარყუჟის მოახლოებას შეიგრძნობდა. აი, ახლაც, ლარბისადმი უხამსმა ფიქრებმა რომ გაკენწლა, უმწეოდ, საწყლად მოიბუზა და, უნებურად, მთელი სიცხადით თვალწინ აუთამაშდა ის ხუთი ლოყაწითელი მბზინავი ვაშლი.

...კვირა დღისთვის ბიჭებს უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა დაენიშნათ. საბრძოლო გეგმას დიდხანს საიდუმლოდ ამუშავებდნენ. გეგმა საბოლოოდ პარასკევს ჩამოაყალიბეს და უეჭველ გამარჯვებაში დარწმუნებულები დაიშალნენ.

ხოლო შაბათ დილას, ნავთის რიგში უთენია ჩამდგარი ბორისა, ორი ბიდონით დატვირთული, სიმძიმისაგან მხრებჩამოგლეჯილი, დაღლილი, მშიერი და მწყურვალი შინ ბრუნდებოდა. როდესაც მეტოქე ბიჭების სახლს ჩაუარა, ცერად გაიხედა იქითკენ. უცებ დაინახა, რომ ისინი ეზოს ჭიშკართან იდგნენ და, თითქოს მის გამოჩენას ელოდნენო, თითქოს მასში მოწინააღმდეგე კი არა, თანამებრძოლი შეიცნესო, მეტისმეტად გულკეთილად გაუღიმეს, ბიდონებიც ფაქიზად ჩამოართვეს, — ე, ბიჭო, მკლავები ჩამოგაწყდება, მოგეხმარებით, შეისვენეო, — და მეგობრულად შემოეხვივნენ. ბორისისთვის რაღაც უზომოდ მიმზიდველი და ტკბილი იხატებოდა მათ მაფერებელ სიტყვებშიც, მათ მეგობრულ მზრუნველობაშიც. ხუთნი იყვნენ და, უცებ, ხუთივეს ხელში, საიდანღაც, ხუთი ლოყაწითელი, მბზინავი ვაშლი გაუჩნდა. დამტკბარი ენით, სასხვათაშორისოდ, ვითომც აქ არაფერიო, ისე ებაასებოდნენ; მაგრამ ხელისგულზე კი გამომწვევად, გამაღიზიანებლად ათამაშებდნენ დიდ, ხრაჭუნა ვაშლებს. ბორისს ნერწყვი მოადგა. ხარბად გადაყლაპა. როგორ ცდილობდა, ვაშლებისთვის არ შეეხედა, მაგრამ თვალი თავისთავად გაურბოდა მათი წითელი, გლუვი, კრიალა ზედაპირისკენ. მთელი პირის ღრუ მომჟავო ნერწყვით ამოევსო ბორისს, ყურები დაუგუბდა, სუნთქვა შეეკრა; ისე გაბრუვდა, რომ აღარც იმათი და აღარც საკუთარი კითხვა-პასუხი არ ესმოდა, მერე ხუთივე ვაშლი, როგორღაც მისი მაისურის უბეში გაჩნდა და ბორისა ქურდულად, სწრაფი ნაბიჯით გასუსუნდა სახლისაკენ. გზად კი თავის თავს ბიჩვერივით უმეორებდა: „არაფერია, მაინც მოვიგებთ ბრძოლას. ბრძოლის გეგმა? სისულელეა! მაინც ვაჯობებთ!" ჩურჩულებდა და თან, დროდადრო ჩაიხითხითებდა, რადგან სირბილის დროს მუცელთან ათამაშებული ვაშლები უღიტინებდა...

— ვიღაცამ გაგვყიდა! — კბილების ღრჭენით, გაშმაგებით წამოიყვირა ლარბიმ, როდესაც კვირა დღეს, ბრძოლის დაწყებისთანავე მოულოდნელად ალყაში მოემწყვდნენ და, რადგან სხვა გზა არ იყო, ტყვედ ჩაბარდნენ.

ათასგვარი დამცინავი და დამამცირებელი ოინბაზობის შემდეგ, იარაღაყრილი ტყვეები უკანვე გამოაბრუნეს. რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ. ტყვეობიდან დასახსნელად დამარცხებულებმა სამი ტყავის ბურთი, ათი საუკეთესო ჩიკორი, ამდენივე სალახტე ქამარი და ოცი ჯილა კოჭი გადაუთვალეს. მთელი ეს ხარკი ლარბიმ ტომრით წაუღო მეზობელ ეზოს ბიჭებს და, როცა დაბრუნდა, ბიჭების წრეში მორიდებულად მდგარმა ბორისა ჯინჭველაშვილმა, ისე რომ ლარბისკენ არც გაუხედავს, თავიც არ აუწევია, აშკარად შეიგრძნო — ლარბი შორიდანვე გამიზნულად მისკენ მოემართებოდა.

— ის კრაჭუნა ხუთი ვაშლი სადაა, ბორისიკუნა? მარტოკამ შეხანხლე? — კბილებში გლისპად გამოსცრა ლარბიმ, გარშემო შემოკრებილ ბიჭებს ნიშნის მოგებით თვალი ჩაუკრა და მერე ისევ ბორისას შეაშტერდა, — ორიოდე მაინც შემოგენახა, ამ გამწარებულზე პირს ჩავიტკბარუნებდით.

ტანად ისედაც ჩია, გამხდარი ბორისა სულ დაპატარავდა და მიილია, ფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკრთალი მოყვითალო სახე კიბორჩხალასავით წამოეჭრხა. დააპირა მოეშადიშალივით. მაგრამ ხახა ისე ამოუშრა, რომ ენა ძლივს დაატრიალა, შიშისა და დაბნეულობისაგან ამობურცული მრგვალი თვალები უფრო დაუმრგვალდა და აქეთ-იქით გაიცეცა.

— ახლა ეგრე ე, იქ დადექი, შუბლი კედელს მიადე და არ გაინძრე, სანამ მოვითათბირებდეთ, — თქვა ლარბიმ და ეზოს კუთხისკენ მიანიშნა.

ბორისა მორჩილად შებრუნდა, კუთხისკენ გასწია. გზად სიმწრის ცრემლი ღაპალუპით წამოსცვივდა. შუბლი კედელს მიადო კი არა, აჭარხალებული გახურებული სახე ხორკლიან კედელს მიაჰყლიტა და გამშრალი ენით ალოშნა ცრემლისგან დასველებული აგური. ის ახლა არაფერზე არ ფიქრობდა, — არც თავის დანაშაულზე და არც მომავალ სასჯელზე. მხოლოდ გამომფიტავ უსუსურობას და საკუთარი თავისადმი ზიზღნარევ სიბრალულს გრძნობდა. ეს შეგრძნება ღლიდა, თანდათან აცლიდა ღონეს. განზე შეჯგუფებულ ბიჭებს კი ბჭობა გაუგრძელდათ, გაცხარებით კამათობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ლარბის ხმა მოესმა:

— ბორისა ჯინჭველაშვილო! შემობრუნდი და მოისმინე ჩვენი გადაწყვეტილება.

ბირისმა სახე ძლივს მოაშორა კედელს. აგურის ხორკლები კანსა და ხორცში ჩასობოდა და თითქოს ჩასწებებოდა. როგორც იქნა, შეტრიალდა და, გამოცარიელებული, ბნდე მზერით მიაჩერდა სახემოღუშულ ბიჭებს, რომლებისაც რატომღაც აღარ ეშინოდა და აღარც ერიდებოდა.

— რომ გვიღალატე და გაგვყიდე, ამას თვითონაც ვერ იუარებ...

დაიწყო ლარბიმ და ერთხანს შეჩერდა, გამომცდელად შეათვალიერა ბორისის გამწლეული ტანი და ცრემლით შეზელილი მტვერით გაზუმპლული სახე, საიდანაც ტირილისგან ამღვრეული, მოყვითალო მუშის ორ ბურთულასაით, გრძელი ტალღები, თითქოს არსაით ეჩქარებოდა, თუმცა, ნამდვილად მისკენ იყო მიპყრობილი.

ბორისი დუმდა.

— საშინელი და თაღლითური ღალატი ჩაიდინე, რაც ნამდვილ ქართველ კაცს არ ეპატიება, — უფრო ბრაზიანად განაგრძო ლარბიმ, რადგან ბორისას უმეტყველო მზერა სულ უფრო აღიზიანებდა. — ძევრი რომ არ გავაგრძელოთ, საველე სასამართლომ სიკვდილი მოგისაჯა. ეინაიდან დავმარცხდით და მტერმა იარაღი აგვყარა, ყველაზე იოლი საშუალება, დახვრეტა, გამორიცხულია. დარჩა სიკვდილით დასჯის ერთადერთი საშუალება — ჩამოხრჩობა! მარტო მე რომ მეკითხებოდეს, სწორედაც ჩამოხრჩობის ღირსი ბრძანდები. მაგრამ საველე სასამართლოს რამდენიმე წევრმა მოითხოვა, ნება მოგეცეს დანაშაული გამოისყიდო: უნდა წახვიდე და, ჩვენს თვალწინ, ხიდიდან მდინარეში გადახტე. თუ გადახტი, ხომ კარგი ჩვენ გადავმხტარვართ იმ ხიდიდან...

ხიდიდან თუ გადახტებით? ბორისს ელდა ეცა. ხიდიდან მდინარის ზედაპირამდე ათი-ხუთმეტი მეტრი მაინც იქნებოდა. ეზოს ბიჭებიდან ლარბი და კიდევ ორი-სამი თავზეხელაღებული ხტებოდა ხოლმე, — ეზოდანვე ფეხშიშველები, უპერანგოები გავარდებოდნენ ხიდისკენ და შეუჩერებლივ გადაეშვებოდნენ შერჩეული ადგილისკენ. სადაც წყალი ღრმა იყო. მშობლები უჯავრდებოდნენ, ტუქსავდნენ, სჯიდნენ, აშინებდნენ, მაგალითად მოჰყავდათ ვიღაც ონავარი, რომელიც, ოდესღაც, ამავე ხიდიდან გადამხტარა, ცუდად დაცემულა ტალღებზე და დაღუპულა. ესენი კი არ იჯერებდნენ და არც არაფრად აგდებდნენ მშობლების ჩიჩინს. როდესაც ბორისი შორიდან თვალს გაადევნებდა ხიდიდან წყლის ზედაპირამდე ჰაერში მათ დაშვებას, შიშისგან სუნთქვა ეკვროდა. ახლაც, სისხლი თითქოს გაეთოშა ძარღვებში ლარბის შემოთავაზებულ არჩევანზე — თუ გადახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები, აღარ ჩამოგახრჩობთ, რომ გა-[illegible] და გადახტეს [illegible] [illegible] ჭანჭიკებზე, ჰაერში წონასწორო-ბის შენარჩუნებას? რომ ვერ შეინარჩუ-ნებს წონასწორობა, მაშინ, ხომ მორ-ჩა — ისე დაეხლართება ტალღებზე, რომ ნაწილ-ნაწილ ასაკრეფი გახდება. მერე, კიდევ, ხომ შეიძლება, ჰაერში სუნთქვაშეკრულს გული გაუსკდეს? არა, არა, ნაღდ სიკვდილზე წავიდეს?! სჯობია, ჩამოახრჩონ. რას ჩამოახრჩო-ბენ? გიჟები არიან? რისთვის უნდა ჩა-მოახრჩონ? ხუთი ვაშლისთვის?

— რისთვის, ბიჭებო, ხუთი ვაშლის-თვის? — შებღავლა ბორისმა და უკან-უკან დაიხია.

— ხუთი ვაშლისთვის კი არა, ლა-ლატისთვის. შტერო! ხუთი ვაშლისთვის საქმე გაფუჭე, გაგვყიდე, შე მსუნაგო! ამისთვის!

ბორისი გაშტერდა.

— მაშ, არ ხტები?

ბორისს თითქოს საიდანღაც, შორი-დან ჩაესმოდა ლარბის სიტყვები. გარს შეკრებილი ბიჭების სახეებიც ფერმკრ-თალ ლანდებად გადაქცეულიყო. შლუ-სავით თვალებდაჭყეტილი მისჩერებო-და ყველას ერთად. აბა, სად შეეძლო, რაიმე გადაეწყვიტა? სრულიად დაცა-რიელებულიყო და აღარც არაფერი ეს-მოდა. გაუნძრევლად იდგა მხრებჩამო-ყრილი, განზე თავწაგდებული. უცებ, ცრემლისგან დასველებული მისი თვა-ლები ლარბის გაღეღილ, ღონიერ მკერდს მიეჯაჭვა; ბორისას კისერი გა-უსწორდა, მოდუნებული ტანი დაეძაბა, სახეზე თანალმობის მხმობი ღიმილი გაუკრთა და, მოულოდნელად მოუნდა, ამ ფართო მკერდს მიყრდნობოდა, მია-ლერსებოდა. რიდით შესცინა და თვა-ლებში ახედა. მცირე ხანს ასე თვალებ-ში შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბორი-სის გასაცოდავებულმა უმწეობამ კიდევ უფრო გააღიზიანა ლარბი, აიმრიზა, თითქოს რაღაც ბილწმა უბიძგაო, ხე-ლი აიქნია და მტკიცედ თქვა:

— ხელები შეუკარით!

რამდენიმე ბიჭი მანჭვა-ღმეჭით მი-ვარდა ბორისს, ხელები უკან გადაუ-წიეს და თოკით შეუკრეს. ისინ [illegible]-თებოდნენ, მაგრამ ბორისს არც სწყენია მათი დაცინვა და არც თვითონ ეცი-ნებოდა, არ იცინოდა ლარბიც. უწინ-დებურად თვალებში მისჩერებოდნენ ერთმანეთს და სრულიად არ ეხუმრე-ბოდათ. სინამდვილეში, ამ ორის გარდა, ყველასთვის თანდათან ხუმრობად გა-დაიქცა ეს ამბავი. როდესაც ეზოში თუ-თის ხის ბორჯალზე სახრჩობელა გაამ-ზადეს, ლარბიმ ბორისას მკლავში ხის-ქიდა ხელი და ძალით წაათრია; თუმ-ცა, რომ ეთქვა, ის თვითონაც მორჩი-ლად გაჰყვებოდა.

ბორისა ჯერ გაოგნებულივით მიჰყ-ვებოდა ლარბის, თითქოს ყველაფერ ამას შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს. შიში მხოლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც ლარბიმ სკამზე აიყვანა და მარყუჟში თავი გააყოფინა. თოკი მოკლე გამოდგა და ბორისა თითის წვერებზე აიწია. მაგრამ მარყუჟი მაინც მჭიდროდ შე-მოეჭდო ყელზე, — ყურებს ქვემოთ ჯირკვლებზე აწვებოდა, სუნთქვას უშ-ლიდა და თითის წვერებზე დგომაც კი უჭირდა.

— მეყოფა! ჩამომიყვანეთ! აღარ მინ-და! — ძლივს ამოიხრიალა ბორისმა. გამწარებულმა ჩამოხედა სკამთან მდგარ ლარბის.

— მართლა არ დაიხრჩოს, ბიჭო!

— ეყოფა, ჩამოიყვანე!

— უყურეთ, უყურეთ, თვალები არ გადმოეკარკლა?

სახრჩობელას გარშემო შემოკრები-ლი ბიჭები ხორხოცობდნენ და გადამე-ტებული სიცილისგან იგუდებოდნენ.

ბორისმა ახლა მათ გადახედა და, უცებ, უსაზღვროდ შეჯავრდა, მეტიც, შეეზიზღა თითოეული მათგანი.

— ვირებო! სინდისგარეცხილებო! იცინით, ხო?! — ხრიალებდა ბორისი და ცდილობდა, ზურგს უკან შეკრული ხელები გაეთავისუფლებინა. მერე ისევ ლარბის ჩახედა. უნდოდა, ისიც ზიზ-ღიანად მიელანძღა, მაგრამ ენა დაება. ლარბი უწინდებურად არც იცინოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც ხუმრობდა. პირიქით, მის თვალებში იმაზე მეტი მძულვარება და სიბრაზე იხატებოდა, რაც ახლა ბორისს უდუღდა გულში. და ბორისა გაშრა. შიში ხელახლა დაეუფლა. ტანში გააჟრჟოლა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— გეყოფა, რა... მეტს აღარ ვიზამ! — მუდარით ამოიხრიალა ბორისმა.

— კარგი, მართლა ეყოფა...

— ეყოფა კი არა! ის კარგი იყო, ხუთი ვაშლი რომ შეახრამუნა!

— დაგვიბრუნოს ჩვენი ბურთები.

— ქასრები?

— ჩიკორები?

— კოჭები?

— მერე, რა ჯილა კოჭები!

— მიდი, მიდი, ვნახოთ, ერთი, ფეხებს როგორ ააფართხალებს!

ბორისის მორჩილმა, სასოწარკვეთით აღსავსე მზერამ, ლარბი წამით შეაყოყმანა. შუბლი მოეჭმუხნა. ოდნავ უკან დაიხია კიდეც. სახეზე აშკარად დაეტყო მერყეობა. ეზოში მეზობელი ქალის კივილი მოისმა. პირველს მეორე ქალის ხმა შეუერთდა, მეორისას — მესამე... ეზო ახმაურდა. აჩოჩქოლდნენ ბიჭებიც. ლარბი და ბორისი კი ისევ ისე მიშტერებოდნენ ერთმანეთს. უცებ ბორისი აიჭიმა, აკანკალდა, — მან დაინახა, როგორ მტკიცედ გადმოდგა ნაბიჯი ლარბიმ, როგორ ჯიუტად ახედა და რა გამეტებით მოუქნია სკამს ფეხი.

— დედააა! — ამოიკვნესა ბორისმა.

— გაგიჟდი, ბიჭო?!

— რა შვრები, რას, თუ იცი?!

— შვილოოო! მიკლავენ, ხალხო, შვილს მიკლავენ! მიშველეეეთ!

ბორისის დედა შორშოფით შემოვარდა ეზოში და შვილის აფართხალებულ ფეხებს შემოეგო, შემოეშველა. ყველა მეზობელი, ვინც კი იმ დროს შინ იყო, ეზოში გამოვარდა.

— დანა! ჩქარა, დანა! თოკი გადაჭერით!

და მერე, როდესაც ძლივს მოსულიერებული, გონს მოსული ბორისი ფეხზე დააყენეს, და მერე, როდესაც, როგორც იქნა, დააშოშმინეს აკრჩხიალებული დედამისი; და მერე, როდესაც ამ საქმეში წამქეზებელი მეგობრები ლარბისკენ განზე გაიწ-გამოიწიეს; და მერე, როდესაც ბორისმა ულონოდ შემოატრიალა კისერი და თავის დამსჯელს სიმწრით და, მაინც შიშით ახედა, — ლარბიმ კოპები შეიკრა და, უწინდებურად, ბრაზიანად, მტკიცედ წარმოთქვა:

— მაშ, აბა, ხუთი ვაშლისთვის მოლალატე სიცოცხლის ღირსია?!

— უყურეთ, ერთი, რაებს მიჭქრავს?! კი მარა, მეგობრები არა ხართ? მართლა ომი ხომ არ გქონდათ... დასწყევლა ეს ომი ღმერთმა, ბალღებიც რომ გადაგვირია... ხო თამაშობდით, არა? — გაფოთებით შეეპასუხნენ მეზობლები, დატუქსეს კიდეც, ჭაუა დაარიგეს.

ლარბიმ კი ჯიუტად, შმაგადაც მიახალა:

— მერე რა, რომ ვთამაშობდით? მერე ხომ ნამდვილი იქნება?! — მის თვალებში უცებ იფეთქა ცრემლმა. კურცხალი კი არ წამოსცვივდა, არა, ცრემლმა შიგ თვალებში ერთბაშად იფეთქა და მზერა აუმღვრია. მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი, ისე, თითქოს ყელში მოწოლილი ბოლმა უკან ჩაიბრუნაო და გამჭახებული ხმით დასძინა: — მამაჩემი ხომ ნამდვილად ველარ დაბრუნდება... იქნებ, იმიტომ ველარ დაბრუნდება, რომ ლაჩრები და გამყიდველები იქაც, ჯარშიც არიან.

მისმა ნათქვამმა და, კიდევ უფრო მეტად, იმ მოუთოკავმა სიბრაზემ, შეუპოვრობამ თუ მძულვარებამ — იმ იქნებ უხეშმაც, იქნებ გაუსაძლისმა, მაგრამ მაინც, განუხრელმა სიმართლემ, რომელიც მის ნათქვამში სჭვიოდა; იმ ტკივილმაც, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა თვით მეზობლების ცხოვრებაში, ომში მავანი და მავანი ახლობლის, მოყვრის, ნათესავის, მამის, შვილის თუ ძმის დაკარგვის გამო; და, რაც მთავარია, ლარბის მიერ მამის ხსენებამ, რომლის დაღუპვის ნამდვილი ამბავიც, თვითონ ლარბის და მისი თანატოლების გარდა, იმ ეზოს ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცხოვრებელმა კარგად იცოდა და იმის გახსენებაც კი ყველას ერთბაშად თავზარსა სცემდა. — ყელაფერმა ამან მეზობლები გაახევა და მთელ ეზოში სამარისებრი სიჩუმე ჩამოაყენა. მხოლოდ ბორისის დედას ისევ კივილ-წივილით აჰყავდა შინ თავისი გატარული შვილი და სადარბაზოდან მოდენილი მისი კრჩხიალი ეზოში დასადგურებულ სიჩუმეს კიდევ უფრო ამძაფრებდა.

ახლაც, ოთახში გამოკეტილ და მოგონებებით აფორიაქებულ ბორის ჯინჭველაშვილს უცხადესაც ჩაესმა ლარბის ყოველი სიტყვა, მაგრამ, ახლა, როდესაც ლარბი სადღაც, შორეულ აღმოსავლეთში გარდაცვლილი ეგულებოდა — როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დაიჯერა, რომ ლარბი მოკვდა, წყევლა-კრულვა აღარ შეუთვლია მისი ულმობელი მსაჯულისათვის, ისე, როგორც წინათ, „სახრჩობელას ამბის“ ყოველგახსენებაზე... მოულოდნელად, თითქოს არსაიდან, ყოველგვარი განსჯის გარეშე, ჩანისლულ ხევში უეცრად გადმოტყორცნილი მზის სხივივით, მას იმ აზრმა გაუელვა, რომ ლარბი არც შეიძლებოდა არ მომკვდარიყო. ამ აზრს კი ისეთი ჭვრეტაც მოება, რომ ლარბი, თავისი მეობით სიცოცხლის უდრეკობის და მძლეველობის გამომსახველი, სინამდვილეში, ყოველი მხრიდან დაუცველი, არსებული გარემო-პირობებისთვის მიუღებელი და საკუთარი თავის ამარა შთენილი იყო. ამის მსგავსი ფიქრები ერთდროულად დაუტრიალდა თავში — ბუნდოვანი, ბოლომდე გაუცნობიერებელი, ლარბის ბედზე რაღაც უცნაური, ბორისისთვის სრულიად უჩვეულო მონაღვლე განცდით მფეთქავი. და, უცებ, ბორის ჯინჭველაშვილმა სიბრალული, უფრო სწორად, თანალმობა იგრძნო მისდამი; ეს შეგრძნება თბილად, მომთენთავად, თავბრუდამხვევად გაეღვარა ძარღვებში, თითქოს უმძიმესი, სულისშემხუთველი, აქამდე მთელი მისი არსების შემბოჭველი ტვირთისგან გათავისუფლდაო, ისე ამოისუნთქა; კი არ ამოისუნთქა, ამოიოხრა; სავარძელში ჩაცურდა, გადაწვა, თვალები მილულა და სიმწრით, ცრემლისგან ჩაგუდული ხმით ამოილუღლუღა:

— შენ რატომ უნდა მომკვდარიყავი, ბიჭო?

## ᲗᲔᲝᲜᲐ

— გაიგე, თეო, გაიგე?

თეონა ზამბახიძეს სკოლიდან შინ მიჰყავდა უმცროსი ვაჟიშვილი, როდესაც ბორის ჯინჭველაშვილი ქუჩაში შეეფეთა. თეონამ შორიდანვე მოლანდა ბორისი, სახეზე ეშმაკურად მოალერსე ღიმილი აუთამაშდა, შედგა და დაელოდა, როდის გაუსწორდებოდა ოდესღაც მისი მეზობელი, ბორიკუნა-დოყლაპია, როგორაც პატარობისას ეზოს გოგო-ბიჭები აჯავრებდნენ. თუმცა, რაღა დოყლაპია — უკვე დაკაცებულიყო, საქმეში გამოსადეგი ფხიანი კაცის სახელიც გავარდნოდა ქალაქში. მაგრამ თეონამ შორიდანაც, მისი იერში, სიარულისას მის ტეხილ და ჩქარ მიხვრა-მოხვრაში, ისევ ის ძველი ბორიკუნა შეიცნო. ამიტომაც აუთამაშდა ეშმაკურად მოალერსე ღიმილი სახეზე. რაც გათხოვდა და ქმრის ბინაში, ვარციხის ქუჩაზე მოიწყო ოჯახი, უწინდელ მეზობლებს სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდა. მართალია, ვარციხის ქუჩა იმავე უბანში, მის ადრინდელ საცხოვრებლიდან არც თუ შორს იმყოფებოდა, მაგრამ ცხოვრებამ ბავშვობისდროინდელი თანატოლი მეზობლების ერთი ნაწილი სხვადასხვა უბნებში, სხვადასხვა ქალაქებში მიმოფანტა, სხვები — სამსახურით და საოჯახო საზრუნავით განაცალკევა და ახალი ნაცნობ-მეგობრების და მეზობლების წრე გაუჩინა. და მაინც, ძველი მეზობლებიდან რომელიმეს თუ სადმე შეხვდებოდა, სიხარულით შეეფრქვეოდა, — ბუნებით მგრძნობიარეს და სასიამოვნო განცდებისკენ მიდრეკილს, ბავშვობისა და ყმაწვილქალობის მოგონებები უმალ სიხარულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუჩქროლებდა ხოლმე გულს. ბორისთან ხალისიანი შეხვედრისთვის მოემზადა თეონა, ხელიც დაუქნია შორიდან. ბორისი კი უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც თეონა იდგა და მაინც ვერ ამჩნევდა. ანკი რანაირად შენიშნავდა, როდესაც სახეარეული, დაგეშილივით მოაბიჯებდა.

სამსახურში აგვიანდებოდა ბორისს. საკუთარ ოთახში ლარბიზე ფიქრებით თავრეტდასხმულმა, შესვენების საათს ძალზე გადააცილა და, ახლა, ჩვეულებრივზე მეტად აგზნებული, ტეხილი და ჩქარი მოძრაობით, გაფოთებულივით მიიკვლევდა გზას ხალხში. მხოლოდ პირისპირ მიმდგარმა იცნო თეონა. კინაღამ შეეჯახა. მის დანახვაზე, უცებ სახე მოეღრიშა, განზე გაიწია და, თითქოს დაამუნათაო, ისე მიახალა:

— გაიგე, თეო, გაიგე?!

— რა უნდა გამეგო, რას ამბობ, ბორის?

თეონას ბავშვობიდან აცინებდა ბორისის იერი, როდესაც, რამეზე შეშფოთებული, მრგვალ თვალებს, აი, ზუსტად ასე გადმოკარკლავდა; მაგრამ ამჯერად მისმა გამომეტყველებამ შეაკრთო, უთუოდ უსიამოვნო ამბავი შეემთხვაო, გაიფიქრა და თანაგრძნობით დასძინა:

— რა მოხდა, ბორის...

— თუმცა, შენ საიდან უნდა გაგეგო. მე თვითონ ახლახან მითხრეს...

— რა გითხრეს, აღარ იტყვი, რა შეგემთხვა, ბიჭო?

— მე არა... ლარბი... — ბორისმა კისერი დაიგრძელა და თვალები დააბლატუნა.

— ლარბი?

თეონას დიდი ხანი იყო ლარბის სახელი არა თუ წარმოეთქვა, არც გახსენებოდა. ახლაც, მისი სახელის წარმოთქმისას, თითქოს ენაზე იკბინაო, ისე დადუმდა.

— ჰო, მომკვდარა ლარბი.

— რაო?

— ამ დილას ფოსტალიონს უთქვამს მეზობლებისთვის. იმათ კი მე მომახალეს. სამსახურიდან შესვენებაზე რომ მივედი შინ, აი, ახლახან... სახალინიდან თუ კამჩატკიდან, თუ რაღაც ჯანდაბიდან მოსულა ტელეგრამა... დაღუპულაო... ჰო... წავედი მე... მაპატიე... მეჩქარება.

ამ სიტყვებზე, ისე რომ რიგიანად არც გამომშვიდობებია თეონას, ბორისი სამსახურისკენ გაქანდა.

თეონამ მას დაბნეული მზერა გაადევნა. მერე ბავშვს დახედა, თავისკენ ახლოს მოიზიდა, ჯერ კოხტად თმაშეკრეჭილ თავზე მზრუნველად მოეალერსა, სკოლის ფორმის საყელოც შეუსწორა და სახლისკენ სწრაფი ნაბიჯით წაიყოლია, ისე, თითქოს სიკვდილის ხსენების ადგილიდანაც იფარავსო.

— რა თქვა ბიძიამ? ვინ მოკვდაო? — გზად რამდენჯერმე შეეკითხა ბიჭი.

— ვინ და... როგორ გითხრა... ჩვენი ბავშვობის ნაცნობი, მეგობარი... მეზობელი იყო.

— რატომ მოკვდა, დე? — არ მოეშვა ბიჭი.

— არ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ ისევ ისეთი გაუგონარი დარჩა, როგორიც პატარობისას იყო. არ უჯერებდა არავის და, იმიტომ. ჰოდა, იცოდე, დამჯერე და წინდახედული უნდა იყო.

— რატომ არ უჯერებდა არავის, დე? ცუდი იყო?

— გეყო, ნუ ჩამაცივდი სულელური შეკითხვებით. დაღლილობისგან ისედაც ტვინი მიდუღს, თავი დამანებე. დადუმდი და ცოტა სწრაფად გადმოადგი ნაბიჯი.

პლეხანოვის პროსპექტზე ტროლეიბუსში ჩასხდნენ; ორი გაჩერების შემდეგ ჩამოვიდნენ და ვარციხის ქუჩაზე აუხვიეს.

— რატომ ჩქარობ, დე, ცოტა ნელა წავიდეთ, დამცხა.

— რატომ ჩქარობ, რატომ ჩქარობ... იმიტომ ვჩქარობ, რომ ათასი საქმე მაქვს, კარგი, ცოტა ნელა წავიდეთ, — გაღიზიანებით შეუტია თეონამ, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თვითონაც ვერ იაზრებდა, ელდანაკრავივით რა მიარბენინებდა. ნელა წავიდეთო, კი დათანხმდა შვილს, მაგრამ ნაბიჯისთვის თითქმის არ მოუკლია. როგორც იქნა, სახლს მიადგა; მთელი ჩანთა გადაქექა გასაღების ძებნაში; ბოლოს, ჯიბეში აღმოაჩინა გასაღები და კარი გააღო.

— დიმიტრი, ჩვენ მოვედით. ისევ წევხარ?

— არა, ავდექი.

— სიცხე გაიზომე?

— არა, აღარ უნდა მქონდეს. მთავარია, ჯანში აღარ ვგრძნობ სიცხეს. ყელის ტკივილმაც სულ გამიარა. მგონი, უკვე გამოვძვერი.

დიმიტრი მელქაძე, თეონას ქმარი, უკვე მეხუთე დღე იყო გრიპს იშუშებდა. მართალია, წინა საღამოს სიცხეს აღარ აუწევია, მაგრამ, სამსახურში მაინც არ გასულა, არ შემიბრუნდესო.

თეონამ ჯერ სასტუმრო ოთახში შეიხედა, მერე საწოლ ოთახში და ქმარს ფერებით გასძახა:

— მიტიკო, სად ხარ?

დიმიტრი ლოჯიაში, ტახტზე მიწოლილი გაზეთს კითხულობდა. წვერი გაეპარსა, მოსვენებულ-გამოძინებულს სახე გაპიტკინებოდა, სპორტულ პიჟამოში კოხტად გამოწყობილი უკვე მართლაც ჯანსაღად გამოიყურებოდა. თეონა მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა და, თითქმის ისევე, როგორც ქუჩაში თავის ბიჭს, შეშფოთებული მზრუნველობით მიეალერსა. მიალერსებისას დიმიტრის სათვალის წვეტიანი კიდე შემთხვევით წამოედო საფეთქელთან და ლოყაზეც უხეშად გაეხახუნა, რამაც თეონას გუნება შეუცვალა, თითქოს გააბრაზა კიდეც. ხუმრობით აკოცა პატარა, სწორ ცხვირზე და ზემოდან გაბუტვით ჩააშტერდა. მერე, ხმამაღლა გაიცინა.

— რა იყო, რამე ხომ არ მოხდა? — გაკვირვებით ახედა დიმიტრიმ და ნიკაპზე აკოცა.

—რა უნდა მომხდარიყო. უბრალოდ, მიხარია, რომ გამოჯანსაღდი, რომ ყველანი მყავხართ, კარგები და ჭკვიანები. ხო, ჩემი გოგო სად არის?

— მუსიკაზე გაიქცა, — მოკლედ მოუჭრა და კითხვა განაგრძო.

სათვალეს ასე გამუდმებით რომ არ ატარებდეს, გაცილებით უკეთესი იქნებოდაო, გაიფიქრა თეონამ. მისთვის ეს იყო დიმიტრის ერთადერთი ნაკლი, რომელსაც აღარც არაფერი ეშველებოდა. ბავშვობიდან დაჰყვა ცუდი მხედველობა და სათვალეს მხოლოდ ლოგინში თუ მოიხსნიდა. სათვალე სიმკაცრის იერს მატებდა მის ისედაც სერიოზულ სახეს. ასეთი იერის და მისთვის დამახასიათებელი ერთგვარი პედანტიზმის მიზეზითაც, არა თუ სამსახურეობრივ საქმიან ურთიერთობებში, თვით სამოყვრო-სანათესაოშიც, ბევრზე ბევრს გულცივი და უკარება კაცის შთაბეჭდილება ექმნებოდა მასზე. სინამდვილეში კი დიმიტრი სრულიადაც არ იყო მკაცრი, არც უკარება. პირიქით, ახლობლობაში ზომაზე მეტადაც მოსიყვარულე, მიამიტი და ბუნჩულაც იყო. თუმცა, სულ პირველად, თეონა მან სწორედაც სერიოზული იერით მიიზიდა. თეონა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როცა დიმიტრი უკვე პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. სამი წლით უფროსი, მოწონების გარდა, მოკრძალებასაც იწვევდა თეონაში, ქცევითაც და საუბრითაც. საუბრის დროს სათქმელს ზუსტად განმსაზღვრელ სიტყვებს უსადაგებდა დინჯი მეტყველებით, ისე, რომ ტუჩებს ზედმეტად არც აამოძრავებდა. დიმიტრი არაფრით არ ჰგავდა კინოფილმებიდან ჩამოსულ გმირს, როგორზეც გიჟდებიან ახლად მოწიფული გოგონები. დაქალებიც უწუნებდნენ არჩევანს, ლარიბისთან შედარებით ეს ბრუტიანი რამ მოგაწონაო და სცინებდნენ ხოლმე ქცევასა და ლაპარაკში. თეონას კი, თითქოს ჯიბრზეო, სწორედ ნაკლოვანი მხარეებისა თუ თვისებების გამო კიდევ უფრო უმტკიცდებოდა არჩევანის მართებულობის შეგრძნება. მართალია, როცა დაუახლოვდა დიმიტრი, ზოგჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვურად მიამიტ ცუღლუტობებს ავლენდა. ზოგჯერაც უადგილოდ იბნეოდა და დროულად ვერ იაზრებდა, როდის უნდა მიფერებოდა და ეკოცნა. თეონას ესეც მოსწონდა. მისი სიყვარულის სინაზეს აწერდა დიმიტრის ერთგვარ მოუხერხებლობასაც და გულუბრყვილობასაც. მერეც, მარტოკები რომ რჩებოდნენ საწოლ ოთახში, პატარასავით ხან ტუქსავდა, ხან სათვალეს დაუმალავდა და აჯავრებდა, ბრუტიანოო. ხალხში ყოფნისას კი სწორედაც მოსწონდა მისი სათვალეც, მკაცრი იერიც და გამოზომილი, ზუსტი სიტყვებით საუბარიც. თეონა ქალური ალღოთი თავიდანვე მიხვდა, რომ დიმიტრი მომავალში ოჯახისთვის საიმედო, თავისი საქმის რესპექტაბელურად გამტან კაცად ჩამოყალიბდებოდა. აქი არც შემცდარა. ოცდათორმეტი წლის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი უკვე განათლების მინისტრის, მართალია, მეოთხე, მაგრამ მაინც პერსპექტიული მოადგილე იყო. რაც დრო გადიოდა, თეონას სულ უფრო ახარებდა მისი არჩევანი; მხოლოდ იშვიათად, შემთხვევით, უნებლიედ თუ შეაწუხებდა რაიმე წვრილმანი მასთან ურთიერთობაში, ზუსტად ისევე, როგორც ახლა მისმა სათვალემ გუნება გაუფუჭა. სულ მთლად რომ გაექარწყლებინა დიმიტრის სათვალის უხეში შეხებით გამოწვეული გაღიზიანება, პიჟამაში ხელი შეუცურა და მკერდზე ნაზად გაუსვა. დიმიტრი ძველი მოცურავე იყო, ჯერაც დაიარებოდა საცურაო აუზზე სავარჯიშოდ და ამობურცული, კუნთმაგარი მკერდი ჰქონდა; მუცელიც თითქმის არ მოდებოდა; უწინდებურად კოხტა ტანი შენარჩუნებოდა. თეონამ გახუმრება დააპირა: მთელი ძალით მოჯმუგნა დიმიტრის მკერდი, ალერსითაც მოუთათუნა, მუცლისკენაც ჩააცურა ხელი და, უცებ, სრულიად მოულოდნელად, გაახსენდა, რომ ლარბის ასეთივე დაკუნთული, ოღონდ უფრო ფართო, ბრტყელი და ბალნით ნაკლებად დაფარული მკერდი ჰქონდა და რომ მისი ხელი ლარბის მკერდზე შეშინებული ჩიტივით თრთოდა ხოლმე და ვერასდროს ვერ უბედავდა ხუმრობით ტყაპუნს.

მაშინვე, თითქოს ხელი გაუქვავდაო, ისე გამოაცურა დიმიტრის სპორტული პიჟამადან. გასწორდა, თავი რამდენჯერმე გაიქნ-გამოიქნია, მხრებზე დაფენილი თმა მიმოაფრიალა. დიმიტრიმ იგრძნო მისი გუნების უეცარი შეცვლა, ცნობისწადილით ახედა და ჰკითხა:

— მოხდა რამე? რაღაც უცნაურად ხარ.

— არა, არაფერი. რა უნდა მომხდარიყო, საქმე გამახსენდა. ჩემი ყოველდღიური საზრუნავი... მშივრებს ხომ არ დავტოვებთ.

წამოდგა. საწოლ ოთახში შევიდა. კაბა გაიხადა და, სანამ საშინაო ტანსაცმელს გადაიცვამდა, პერანგის ამარამ, სარკეში საკუთარ თავს თვალი შეავლო. თითქოს პირველად ჩაეხედოს ძველ, დიდ სარკეში, მან ისე უცხოსავით არეკლა თეონას სხეული: ისე გულგრილად გამოუჩინა ლამაზი კანჭები, სრული თეძოები, ზომიერად სავსე, ქათქათა მკერდი და გლუვი მხრებიდან ნაზად აღერილი კისერი, თითქოს ყველაფერი ეს სხვისი, უფრო სწორად, არავისი, თითქოს ხელოვნური იყო. უცებ, შეაჟრჟოლა. მთელ ტანზე კანი ისე აებურძგლა, თითქოს კარის ღრიჭოში ბორის ჯინჭველაშვილს შემოეჭყიტა, მრგვალი თვალებით მიშტერებოდა და უჩიოდა: გაიგე, თეო, გაიგე... ლარბი... მომკვდარა ლარბი.

სარკიდან მისკენ აქამდე ცივად მოპყრობილი თვალები ჯერ წუხილით აიმღვრა, მერე ნაღველით გაკრთა, მერე ცრემლით ალიცლიცდა. არა, ის კი არა, ვითომ თეონა ზამბახიძე უკიდურესად შეეშფოთებინა ამ ამბავს. უბრალოდ, გული ტკივილმა მოულოდნელად მოუწურა, რაღაც სინანულის მსგავსმა წუხილმა შეიპყრო — დაკარგულის დაუბრუნებლობისა და ფარული უკმაყოფილების მსგავსმა გრძნობამ — ჩათბუნებულ ოთახში გაყუჩებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო სტუმრის გარედან შემოყოლილი ზამთრის სუსხი რომ შეაწუხებს ადამიანს, აი, ისე შეწუხდა.

სარკეს მოშორდა, ხალათი გადაიცვა და სამზარეულოსკენ გაემართა. ჰო, ჯობდა სადილისთვის მიეხედა, თორემ, მალე ქმარ-შვილი აბუზღუნდებოდა, გვაჭამეო. დიმიტრიმაც ხომ ბავშვივით ბუზღუნი იცოდა ხოლმე, ჭირვეული ბავშვივით. მის თანამშრომლებს ოჯახში ამგვარად აბუზღუნებული რომ დაენახათ, გაკვირვებისგან სახეები დაებრიცებოდათ... ღმერთო, რამდენი საქმე: ბაზარი, სადილი, ბავშვებთან სკოლაში სიარული, სახლის დალაგება, ნათესავები, მეგობრები, დიმიტრისთან საქმეზე მოსული თანამშრომლები, მათი გამასპინძლება და კიდევ რამდენი, რამდენი საქმე, რამდენი საზრუნავი... თეონამ მაცივრიდან ქათამი გადმოიღო და ნიჟარაში წყლის ქვეშ დასდო. კედლის კარადიდან ჩახოხბილის დასამზადებლად საჭირო ხახვი, პამიდორი, ნიორი და მწვანილი გადმოალაგა მაგიდაზე. როცა დამზრალი ქათამი შელბა, საქმიანად შეუდგა გამოშიგვნას და წმენდას. შეუჩერებლად, სწრაფად ირჯებოდა. ცდილობდა, სადილის მზადებაში უხიაგი ფიქრები განექარვებინა; მაგრამ, დროდადრო, მაინც გაუელვებდა ლარბის სიკვდილი. ქათამი ფიცარზე რომ გააპრტყელა და დააპირა ნაჭრებად დაეჭრა, უცებ, უსიამო გრძნობამ შეაყრყოლა. ქათმიანი ფიცარი განზე ზიზღიანად მისწია, ხელები გადაიბანა, გაიმშრალა; სამზარეულოს კარი მიხურა და ზედა თაროზე გადამალულ სიგარეტს მისწვდა. სიგარეტის მოკიდებისას თვალები აუცრემლდა.

„გაიგე, მოკვდაო... საიდან უნდა გამეგო... რა შეწუხებული სახე ჰქონდა ბორისს... როგორ ვერ იტანდა და, მისმა სიკვდილმა კი, ჩანს, ძალიან იმოქმედა. ყველა ყველა და, ბორისისგან ამას ვერც წარმოვიდგენდი... რა უცნაურია, ცოცხალი ეჯავრებოდა, მკვდარი შეებრალა", — თუ აქამდე გაურბოდა ლარბიზე ფიქრს, ახლა, მთელი არსებით აჰყვა და გული მოეწურა. „რამ მოკლა, ნეტავ, ასეთი რა შეემთხვა იმ... იმ გადარეულს". მოუსვენრად აწრიალდა. მოუნდა, ლარბის სიკვდილის ამბავზე ვინმეს გამოლაპარაკებოდა. ტელეფონს ეცა და რამდენიმე ძველ მეზობელ მეგობარს დაურეკა. არც ერთი შინ არ დახვდა. ერთი პირობა, გადაწყვიტა, დიმიტრისთან გასულიყო და მისთვის შეეჩივლა ლარბის სიკვდილი. გადაიფიქრა. სხვაგვარად არ გამიგოსო. ისიც გაითვალისწინა, რომ დიმიტრისთვის მაინცდამაინც გულთან ახლოს მისატანი, მაინცდამაინც საწუხარი არ აღმოჩნდებოდა ეს ცნობა. ზედიზედ რამდენჯერმე მოქაჩა სიგარეტი, ოდნავ თავბრუ დაეხვა. ცხოვრების სამდურავი სიტყვები აეჩხორა გონებაში. რაღაცნაირი უმწეობის, სიცარიელის, სიმარტოვის და გარიყულობის შეგრძნება მოეძალა. ყრუდ ამოიზლუქუნა და ტუჩები აუთრთოლდა. უზომო სიბრალულთან ერთად, რაღაც უცნაურმა სინანულმაც განმსჭვალა. ლარბისთან ერთად, საკუთარი თავიც შეებრალა და შეენანა. სიგარეტი საფერფლეში მისრისა, ხელისგულები მიიდო წამოჭეხილ, გახურებულ ლაწვებზე.

როგორღაც ერთბაშად და სრული სიცხადით წარმოესახა ლარბი: გაახსენდა მისი სახე, მისი ტანი, მისი თვალები, მისი ქცევა, — გაახსენდა არა ცალკე-ცალკე, არა რომელიმე გარკვეულ დროს, არამედ მთლიანად, ბავშვობიდან დაკაცებამდე მომხდარი უმნიშვნელო ცვლილებების სრული ერთობლიობით. ის ცვლილებები სწორედაც რომ უმნიშვნელო იყო, რადგან ლარბი, წლების მანძილზე, თითქოს არც იცვლებოდა; თვრამეტი წლის ასაკშიც თითქმის იგივე იერი დაჰკრავდა, თითქმის იგივე ხასიათი შერჩა, როგორიც ბავშვობისას ჰქონდა. ისიც გაახსენდა, რა წრფელად უყვარდა ლარბის და თავისი სიყვარულიც გაახსენდა, თუკი შეიძლებოდა ლარბისადმი მის დამოკიდებულებას სიყვარული დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმეოდა. არა, რა თქმა უნდა, ის არ იყო სიყვარული. უბრალოდ, ეამაყებოდა და მოწონდა. მოწონდა მაშინაც, როდესაც ლარბი თავგამეტებით ეზოში ბურთაობდა; მაშინაც, როდესაც ჭიდაობაში და ჩხუბში სჯაბნიდა ყველას; მაშინაც, როდესაც სკოლაში მჟარჯელობდა და მისი რიდით, ყველაზე თავგასული იონბაზებიც ზედმეტ სიტყვას ვერ უბედავდნენ; მოწონდა, რომ ყველა გასაოცარ თუ საშინელ ამბავს, რაც კი სკოლაში ან ეზოში ხდებოდა, მას აწერდნენ და რომ ყველას, ავად თუ კარგად, პირზე ეკერა მისი სახელი; მოწონდა მისი გარეგნობაც, მისი გონებაგამჭრიახობაც, მისი თვალების ფერიც, მისი ხელებიც... ჰო, ძალიან მოწონდა და ეამაყებოდა ყველაფერი ეს, მაგრამ, გულის სიღრმეში, აფრთხობდა, თითქოს აშინებდა კიდეც მისი სიყვარული. ამიტომაც, ხან არაფრის დამდევი ალტაცებით იპარებოდა მასთან ერთად გაკვეთილებიდან და მიჰყვებოდა ყველგან, სადაც კი ის შესთავაზებდა „გაიხიზვნას"; ხანაც გაურბოდა; ხან ზმანებებში იწვევდა მისი ტანის შეხებას, მისი ტუჩების სიახლოვეს, ხანაც დაფეთებულივით იცილებდა მასზე მოძალებულ ფიქრს. მასთან ერთად „გახიზნულსაც", მისი ალერსით თავბრუდახვეულსაც, უჩუმრად, შიგნიშიგან უთრთოდა ხიფათის განცდა, ხიფათის შიში.

თეონა ასე ალიქვამდა, რომ ლარბი არ ჰგავდა მკვიდრ ბინადარს იმ ცხოვრებისა, რომლითაც თეონას უნდა ეცხოვრა ისევე, როგორც სხვები ცხოვრობდნენ. მასთან ერთად თითქოს სულ ასე „გახიზვნაში", თავდავიწყებულ ქროლვაში უნდა ყოფილიყო. თეონაც რაღაც უცნაურად, საკუთარი თავისთვის კი არა, რაღაცნაირად თავისთავად უყვარდა, მაშინაც, როცა კუს ტბაზე, ან ლისზე, ან მთაწმინდას კალთებზე ავიდოდნენ და ბალახებში წამოწვებოდნენ, ლარბი ხან ჩიტებზე უყვებოდა უცნაურ ამბებს, ხან ხეებზე, ხან მგლებზე და, ხანაც ლამაზ ლექსებს უკითხავდა; მაგრამ ოჯახზე, დედაზე, მამაზე, მათ მომავალ ცხოვრებაზე და, საერთოდ, რაიმე ცხოვრებისეულზე არასდროს სიტყვასაც არ დასძრავდა. არც იმაზე წაიოცნებებდა, მომავალში როგორ წარმართავდა საკუთარ ბედს. როდესაც თეონა რაიმე სამომავლო ცხოვრებისეულ საკითხზე გაანდობდა თავის ზრახვას, სიტყვას ბანზე აუგდებდა, გაიცინებდა და ეტყოდა: — თეო, ხომ ხედავ, ყველაფერი ასეთია; არის ცა, არის მიწა, არის ყვავილი, წყალი, მცენარე, ცხოველი, ადამიანი; ჩვენც ვართ და ყველაფერი იცოცხლებს; იქნება სიხარულიც და იქნება ტკივილიც; და ჩვენც, მთავარია, ვიყოთ; მთავარია, ვიყოთ ერთმანეთთან და გვიყვარდეს, როგორც ცას უყვარს მიწა, მიწას — მცენარე, მცენარე — ცხოველს, ცხოველს — ცხოველი, და ყველას — წყალი, სითბო, ჰაერი. მე შენთან ვარ და მიხარია და მიყვარს და ჩვენში ღალატი არ არსებობს. არავის შეუძლია ღალატი. ეს ღალატი კი არ არის, გაწირვაა, როცა მიწას წყალი უნდა და ცა კი წვიმას არ აწვდის, როცა შველს ბალახი უნდა და ბალახი კი არ იზრდება, როცა ბალახს მიწა უნდა და მიწა კი იფიტება, შრება, ხმება.

ასეთ წამებში ლარბი ბანგმორეულივით ლაპარაკობდა და სახეზე ნეტარება ეხატებოდა. სულ სხვანაირი იყო მასთან; ასეთი არავისთან არ იყო — რაღაცნაირად თავისუფალი, გუნებააფრენილი, ენაწყლიანი, შუბლგახსნილი. საოცრად კარგი იყო, ალერსიანი, მოღიმარი; და მაინც, წლებთან ერთად, რაც ქალობაში შედიოდა და პრაქტიკული განსჯა უმტკიცდებოდა, თეონა სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ლარბი არ იყო ისეთი, როგორიც მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილეში სჭირდებოდა და სურდა ცხოვრებისათვის. იმავ დროს, იმდენად იყო ლარბით დატყვევებული, რომ გარკვეულად ვერც იაზრებდა, როგორი კაცი სჭირდებოდა და სურდა სამომავლოდ. ამას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როდესაც, მეათე კლასის დამასრულებელი გამოცდების შემდეგ, თანაკლასელი მეგობარი გოგოს დაბადების დღეზე დიმიტრი მელქაძეს, იმ გოგოს ბიძაშვილს შეხვდა. დაინახა და გაესაუბრა თუ არა, თითქმის მაშინვე მიხვდა, რომ ის სწორედ ისეთი იყო, როგორიც მას სურდა და სჭირდებოდა.

დიმიტრისგან როგორღაც თავისთავად მოეფინებოდა მისკენ კეთილსაიმედო, მყარი ცხოვრების შემქმნელის სამოდ დამამშვიდებელი სუნთქვა. იმავ საღამოს, სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი განსაკუთრებული მცდელობის გარეშე, დიმიტრისთან ურთიერთობაში ისეთი სინაზე და გონიერება, მასთან ცეკვისას ისეთი მომხიბვლელი სიმსუბუქე და ზომიერი თავდაჭერილობა გამოავლინა, რომ მას, ძალიან სერიოზული გარეგნობის პირველი კურსის სტუდენტს, მეორე შაბათისთვის დაჟინებით დააპატიჟებინა თავი ახალ ფილმზე და ბინის ტელეფონის ნომერიც გაუბედავად ათხოვნინა. მალე მათ შორის სრულიად გარკვეული, ცხოვრებისეულ შეხედულებათა თანაზიარებით და სამომავლო გეგმების ერთობლივი გააზრებით განმტკიცებული ურთიერთობა დამყარდა. მიუხედავად ამისა, თეონას თხოვნით, ისინი კარგა ხანს — თითქმის მთელ წელიწადს, სანამ თეონამ მეთერთმეტე კლასიც არ დახურა და სკოლის შემდეგ სამედიცინო ტექნიკუმში ჩააბარა გამოცდები — ყველასგან ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. სხვადასხვა მიზეზი აბრკოლებდა თეონას, რომ დიმიტრისთან კავშირი არ გაეხმაურებინა. ერთ-ერთი მიზეზი ლარბიც იყო. განა მარტო ერიდებოდა ან ეშინოდა მისი, — უფრო ის აბრკოლებდა, რომ დიმიტრისთან დაახლოების შემდეგაც არ გაქრობოდა ლარბისადმი ლტოლვა. ამიტომ, ზოგჯერ ასეც ფიქრობდა: ვნახოთ, რას იზამს, სკოლას რომ დაამთავრებს; ეგებ, რაღაც შეიცვალოს, ცხოვრებაზე უფრო დაკვირვებული გახდეს; როგორ ჩააბარებს უმაღლესში; მომავალში რა საქმეს ეწევა; რაც მთავარია, თხოვს კია ცოლობას და, თუ თხოვს, რა პირობით, რა პირობებში, რა პერსპექტივით. ზაფხულში დიმიტრი სტუდენტური შრომითი ბრიგადით კახეთში წავიდა სამუშაოდ და თეონა, დროდადრო, უწინდებური თავდავიწყებით მიჰყვებოდა ლარბის ყველგან, სადაც კი ის „გახიზნავდა". „გავიხიზნოთ", — ეტყოდა ხოლმე ლარბი, ალერსიანად ჩახედავდა თვალებში, ხელს ჩასჭიდებდა და მათ ჩვეულ ადგილებში — ან კუს ტბაზე, ან ლისზე ან ფუნიკულიორის პლატოზე აიყვანდა.

ჰო, იმის მაგიერ, რომ დიმიტრისთან დამყარებულ სერიოზულ ურთიერთობას ლარბისადმი ლტოლვა გაენელებინა, პირიქით — ლარბისთან სიახლოვის ნდომა კიდევ უფრო გაუმძაფრდა თეონას. ასე გაგრძელდა გაზაფხულის დამდეგამდე. გაზაფხულის დამდეგს, მეთერთმეტე კლასის მეოთხე მეოთხედი რომ დაეწყოთ, თეონამ ლარბის ქცევაში, მისდამი დამოკიდებულებაში ერთგვარი ცვლილება შენიშნა; თითქოს გაურბოდაო, თითქოს იჭვნეულად შეათვალიერებდა ხოლმე; ზოგჯერ, წარბებს ქვემოდან, როგორც რამეზე განაწყენებულს სჩვეოდა, ჯიქურ მიაჩერდებოდა. თეონას გუმანმა უკარნახა, რომ ლარბის ყური ექნებოდა მოკრული დიმიტრისთან მისი კეთილნაცნობობის შესახებ; შესაძლოა, თვითონ ლარბიმ დაინახა სადმე დიმიტრისთან სეირნობისას; ისიც შეიძლებოდა, ვინმე გოგოს ენა მიეტანა. ამისთვის კარგა ხანია მზად იყო თეონა. პასუხიც მოფიქრებული ჰქონდა. მაგრამ ლარბი არაფერს ეუბნებოდა; არც რაიმე განსაკუთრებულს ავლენდა ურთიერთობაში. თეონასაც ამაზე ტვინის ჭყლეტის დრო მაინცდამაინც არ ჰქონდა—სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლო წელი იწურებოდა, ერთთავად ნიშნების გამოსწორებაზე და სკოლიდან კარგი ატესტატის გატანაზე ფიქრში იყო. ბევრს მეცადინობდა. გაკვეთილების გაცდენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. კვირა დღეებშიც გაკვეთილებს იმეორებდა. ლარბისთან „გახიზვნა“ აიკრძალა; დიმიტრისთან უპირატესად ტელეფონით საუბრობდა და მხოლოდ იშვიათად, ხუთიოდე წუთით თუ შეხვდებოდა სადმე მიყრუებულ შუკებში. ლარბიმ, ერთი ორჯერ კი თხოვა, გავიხიზნოთო, მაგრამ თეონამ შუბლზე თითი დაუკაკუნა — ნიშნებზე და ატესტატზე იფიქრეო. ლარბიმ წყენა არც შეიმჩნია, არც გაბრაზებია, თუმცა, რაღაც ნაღვლიანად და, თან ფიქრიანად ჩაიცინა. ყველაფერი ასე გრძელდებოდა იმ ღამემდე. იმ ღამით კი, — იმ ღამით, როდესაც ლარბიმ უკანასკნელად მიაცილა თეონა თავიანთ სახლამდე, — იმ ღამით, ლარბისადმი ადრინდელი ლტოლვა, მისი მოწონება, სიძულვილად თუ არა, საშინელ სიბრაზედ და, შემდეგ გულგრილობად შეეცვალა.

იმ ღამის გახსენებაზე თეონა შეიშმუშნა; მივიწყებულმა ტკივილმა გაიღვიძა მასში; ცხადად წარმოესახა გაზაფხულის ის ღამე, როდესაც დიმიტრისთან ერთად მოსეირნობდა და ბაღთან მოულოდნელად შეეჩეხა ლარბის.

...ლარბი ბაღის კიბესთან ბიჭების წრეში იდგა და, როდესაც თვალი მოჰკრა დიმიტრისთან მომავალ თეონას, ამხანაგებს გამოეყო და პირდაპირ მათკენ წამოვიდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო, რის გამოც ფართო, ღონიერი მხრები ვიწრო სვიტრში უფრო დიდი მოუჩანდა; ტანით წინ გადმოქანებული, რიოშა ღიმილით მიუახლოვდა თეონას ისე, რომ დიმიტრისკენ არც გაუხედავს.

— სახლისკენ, თეო?

როგორც ყოველთვის, ნაზად ჰკითხა, ოღონდ სახე ოდნავ მოჰმუხნოდა და თვალებს, რომლებიც ტუჩებზე აღბეჭდილი ღიმილისაგან განსხვავებით, არავად უკრთოდა, ჩვეულებრივზე ხშირად ახამხამებდა.

მის გამოჩენაზე თეონა, ცოტა არ იყოს, შეცბა.

— ჰო, შინ მივდივარ.

ლარბის აღარაფერი უკითხავს, უწინდებურად მათ წინ აღმართულიყო იმგვარად მხრებაჩხორილი, თითქოს შეამცივნაო, და მეტისმეტი გაოცებით მისჩერებოდა. წამით, უხერხული დუმილი ჩამოვარდა და თეონამ უთხრა:

— გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია, დიმიტრი მელქაძე.

— ესე იგი, უბრალოდ რომ მივმართოთ მომავალში, ჩვენებურად დიტო ან მიტო, არა?

ამ სიტყვებზე ლარბი გადაჭარბებული თავაზიანობით მიესალმა დიმიტრის. ოღონდ ხელები ჯიბიდან არ ამოუღია, მხოლოდ მიუბრუნდა და მერე ისევ თეონას შეაცქერდა ისე, როგორც იცოდა თვალებში ჩაშტერება — პირდაპირ და ჯიუტად.

ახლა უკვე აშკარად შეშფოთდა თეონა.

— ჰო, რა თქმა უნდა, მიტო, ახლობლები დიტოსაც ვეძახით, — ნაძალადევად ხმამაღლა გაიცინა და სასწრაფოდ მიმართა დიმიტრის: — ლარბი ჩემი მეზობელია და მეტს აღარ შეგაწუხებ, ისედაც დაგღალე, ფეხით გამოგატარე ამხელა გზა. მადლობთ, ხვალ დამირეკე...

დიმიტრი აიბუზა, გამგუნებით ახედა მის წინ აღმართულ ღონიერ ტანს. უსიამო შეგრძნებამ და იჭვმა გაკენწლა, მაგრამ მისთვის ჩვეული წინდახედულობით აწონ-დაწონა უეცრად შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა და უფრო არასახარბიელოდ რომ არ გადაექცია, დადუმება არჩია. თეონაც დროზე შეეშველა, მკლავზე თითები მოუჭირა, სათნოდ გაუღიმა და დასძინა:

— იმ საკითხზე კი ხვალ მოვილაპარაკებთ, რომ დარეკავ, მაშინ.

დიმიტრიმ თანხმობის ნიშნად რაღაც ჩაიდუდღუნა. თეონა კი მაშინვე შეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალდა, სახლისკენ სწრაფად გაემართა და თან ლარბიც წაიყოლა.

მცირე მანძილი რომ გაიარეს, თეონამ ნაბიჯი შეანელა, ღრმად ამოისუნთქა. ტუჩებმოკუმულმა ჩაიფხუკუნა და ლარბის ჩასჩურჩულა:

— უი, დედა, გული კინაღამ გამიხეთქე.

— რატომ?

— უუჰ, რა ვიცი, თავს ისე წამომადექი რომ... იმასაც ისე გადახედე...

თეონა ყველაფერ ამას სიცილით ამბობდა. თუმცა შეშფოთება ჯერაც არ გაქრობოდა. იმასაც ხედავდა, ლარბი უწინდებურად ამრეზილი იყო, და სახეზე იმგვარი იერი გადაჰკრავდა, თითქოს ცდილობდა რაღაც მოეფიქრებინა თუ მიმხვდარიყო. თეონამ ისიც იგრძნო, რაზედაც ახლა ფიქრობდა ლარბი და უნებურად გაყუჩდა, გაიტრუნა.

— სად იყავი? — მოულოდნელად უკმეხად წამოსცდა ლარბის.

— ისე, გამოვისეირნეთ.

ლარბი ისევ დადუმდა. მერე, ფიქრში გართულმა დასძინა:

— ჰო, მართლაც, სულ შინ ხომ არ იჯდები. მე აქამდე ამას ყურადღებაც ვერ მივაქციე...

— რას?

— უბრალოდ, ვერ შევნიშნე, რომ გაიზარდე, ესე იგი, რომ გავიზარდეთ, შენც და მეც. და პატარები რომ აღარ ვართ.

— რა სასაცილოდ ლაპარაკობ, ლარბი?

— ეს შენთან. შენთან ყოველთვის სასაცილოდ გამომივა... მაგრამ მე მართლა ვერ შევამჩნიე ეს და, როგორც წინათ, ისე გიყურებდი.

— მერედა, ამაში რა არის ცუდი?

— არა, ცუდი არაფერი, მაგრამ... სხვა რამეც გამომრჩა.

ლარბი ერთხანს თვალს არიდებდა, თითქოს ვერ ბედავდა მისკენ მიეხედა. თეონას კი ჩუმი კმაყოფილებით ავსებდა ლარბის ასეთი მორიდებულობა და, თანდათან, თამამდებოდა:

— რა გამოგრჩა, ლარბი?

— წესით, ჩემზე უკეთ უნდა იცოდე.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, შენ რა გამოგრჩა? — თამაშით ჩაეკითხა თეონა.

ლარბი შეჩერდა, მიუბრუნდა და თვალებში ჩააცქერდა.

— ეგებ, თქმადაც არ ღირს. თან, მეძნელება. ერთია, უფრო ახლობელი მეგონე, უფრო ჩემი. ეგებ, შეუძლებელიც მინდოდა, მაგრამ, მქ შენ ყველაზე და ყველაფერზე ჩემად მინდოდი, ესე იგი, ჩემთვის. შენ ხომ შენ ხარ და მაინც ჩემთვის რომ ხარ, აი, ასე. მე ასეთი ახლობელი მეგონე. როგორც ჩანს, შევცდი. რაღაცნაირი შორებელ-ახლობლობა გამოგვივიდა, — ლარბი წამით დადუმდა და ნაღვლიანად, ყვედრებითაც დასძინა, — გეთქვა მაინც.

ლარბის გულწრფელობამ თეონას გულის ძარღვს გამოჰკრა, გააბრუა და უნებლიედ აიყოლია:

— ხო, უნდა მეთქვა, მაგრამ... ვერ მოვახერხე. ათასი მიზეზია. ყველაფერს ვერ იტყვი. ჩემი ბრალია, უნდა მეთქვა. მართალი ხარ, შორებელ-ახლობლობა გამოვიდა, რაღაცნაირი გაურკვევლობა...

— მაგრამ მე ხომ შენთვის ახლობელი ვიყავი, მეტი რომ არავისთვის არ ვყოფილვარ და რომ არც მინდოდა ვინმე სხვისთვის ვყოფილიყავი, ისეთი. მე ასე ვგრძნობდი, ასე მინდოდა, ასე მესმოდა...

— ვიცი.

— იცი?

— ხო, ვიცი. ადრეც ვიცოდი, რომ შენ შენი მხრიდან და შენი გაგებით გიყვარდი...

— იცოდი და, მაინც?! — ბრაზიანად მიახალა ლარბიმ.

— დამაცადე, ნუ ღრინები. ეს კი ასე იყო შენი მხრიდან, შენი გაგებით. ადრე, მეც ასე ვიყავი, მაგრამ, რაღაც მოხდა. დაზუსტებით ვერც ვიტყვი. რაღაც მოხდა ისეთი, რომ ჩემი გაგებით ვეღარ იქნებოდი ჩემთვის. სხვანაირად დავინახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი მესმის, მიკიბულ-მოკიბულად მებაასები, რაღაცას ურევ...

— ლარბი, ხომ არის რაღაც ისეთი, რასაც ვერ იტყვი. უბრალოდ, ვერ გამოთქვამ, რაც შენში უნებურად ხდება... ხოდა მოხდა-მეთქი ასე და ასე დავინახე, რომ შენ არა ხარ ის, ვინც ჩემთვის იქნება. განა იმიტომ, ცუდი ხარ ან შემჯავრდი, უბრალოდ, ასე დავინახე.

— გასაგებია, რომ რაღაც მოხდა. არც ის არის ძნელი მისახვედრი, რა მოხდა და რატომ მოხდა, ფაქტი სახეზეა, არა? სხვა დაინახე, რომელიც შენთვის იქნება, ხომ? ის ბრუტიანი, არა? სახლამდე შენი მიცილების შნო არ ეყო, ჩემს დანახვაზე ქვეშაფსიასავით გაბრუნდა და, ის იქნება შენთვის, არა?! ვნახოთ, ვნახოთ...

— არა, არ გინდა, გეხვეწები, ის არაფერ შუაშია. ყველაფერი როგორღაც თავისთავად მოხდა, ამ ზაფხულს, ზღვაზე, — იცრუა თეონამ, რათა ის კლასელი მეგობარი გოგონა, ვისთანაც დღეობაზე დიმიტრი გაიცნო, შარში არ გაეხვია, — მიტოს ბრალი არ არის, ის არაფერ შუაშია. თუმცა, რა სისულელეს ვროშავ. ნუ იღრინები, თორემ, დავიბენი და საერთოდ აღარაფერს გეტყვი... ხოდა, რაღაც მოხდა ისეთი, ჩემში, თვითონ ჩემში, რომ მე, მე ასე ვიგრძენი. გევედრები, იმას ნუ გადაეკიდები, ის შენისთანა ჩხუბის თავი არ არის, სულ სხვანაირია, ძალიან წყნარია, თავდაჭერილია, მორიდებულია. ჩემთანაც ისე თავდაჭერილია,—თეონამ, უცებ, გადიკისკისა და ეშმაკურად ახედა ლარბის, — შენ ნამდვილად არაფერში არ გგავს.

თეონას ხუმრობით ნათქვამის სარჩულს თითქოს ვერ მიუხვდაო, ლარბის წარბიც არ შერხევია. რა ეხუმრებოდა. ის ახლა ცდილობდა, როგორმე ნათლად, ძირისძირში გაეაზრებინა მისთვის ეს მოულოდნელი ამბავი და ფიქრში წასულმა ჩაილაპარაკა:

— მაშ, შენ ამბობ, ის არაფერ შუაშია... უნებურად მოხდა.. ზღვაზე... მაშ, შენ დაინახე, რომ ის ისეთია, რომელიც შენთვის იქნება... ესე იგი, ისეთია როგორიც გინდა, არა?

— ხო, ეს მე დავინახე ასე, მე გადავწყვიტე ასე, თორემ, აბა, მიტო რას მოახერხებდა... მაგრამ, თვითონაც არ ვიცი, რატომ დავინახე ასე, რატომ მოხდა ასე, — თეონა თითქოს თავს იმართლებდა და, თან, ლარბის ქიშპისგან დიმიტრის დაზღვევასაც ცდილობდა სამომავლოდ, — თვითონაც არ ვიცი, რატომ გეუბნები ამას, რასაც ჩემს სიცოცხლეში არავის, მშობლებსაც კი არ ვეტყვი. ოღონდ, უნდა გამიგო... არ უნდა გამიბრაზდე... ეს შენი ბრალი არ არის, მაგრამ, არც ჩემი ბრალია. ასე მოხდა. მართალია, მიტო შენზე სუსტია, ბრუტიანიცაა, მაგრამ... რაღაცნაირი მყარია, მოწესრიგებულია, მერმე კიდევ, საკმაოდ სიმპატიურია... ყოველ შემთხვევაში, მისი სათვალე, პირადად მე, სულაც არ მეჩოთირება და არ მაწუხებს...

ლარბიმ ხელის აქნევით ანიშნა, გეყოფაო; სახეზე ფითრმა გადაკრა და, თუმცა დამცინავად ჩაიღიმა, უზომოდ გულმოკლული, ნირწამხდარი ჩანდა. არა, თეონას ასეთი არასდროს უნახავს იგი. შიში, რომელიც აქამდე უთრთოდა, უეცრად სულ სხვა, საპირისპირო გრძნობამ შეცვალა: რაღაცნაირი ყინიანი სიხარული შემპარავად ჩაეღვარა ძარღვებში. ნუთუ ამის შემდეგ უცხოებივით უნდა ყოფილიყვნენ, ისე, ვითომც მეზობლობის და თანასკოლელობის მეტი არაფერი აკავშირებდათ. ნუთუ ცივად, მტრულადაც უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს. არა, მას ესეც არ სურდა, მით უმეტეს ახლა. ახლა ის ისეთი კარგი იყო, ისეთი შეწუხებული, ისეთი ნაზი. თეონას, ახლა, ისე არ უნდოდა მისი სიყვარულის, მისი მორჩილების დაკარგვა. ალერსიანი მზერა შეანათა. მისი მოფერების სურვილმა ერთიანად აიტანა. მიუახლოვდა, მხარზე ხელი ფრთხილად ჩამოადო, მკერდზე ჩამოუცურა; თავს ძლივს იმაგრებდა, მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანით არ აკვროდა; და მერე, როცა კარგა ხანს უსიტყვოდ მიჩერებოდნენ ერთმანეთს, როცა მოლოდინი მისთვის აუტანელი გახდა, თმენადაკარგულის სისწრაფით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წასჩურჩულა:

— ნუ გამებუტები, გთხოვ, ძალიან გთხოვ... შენ არც კი იცი, როგორ მინდა, კარგად ვიყოთ... სულ მთლად ავირიე... განა შენთან ყოფნა არ მინდა... იცი, როგორ მინდა... უცნაურია, არა? თვითონაც არ ვიცი, რა მჭირს, რა მემართება... არ მინდა, წამეჩხუბო, უცხოსავით გახდე... როცა კი მეტყვი, გავისეირნოთო, განა არ წამოვალ, პირიქით, გამეხარდება, ძალიან გამეხარდება, ოღონდ, ეს მარტო ჩვენ ორმა უნდა ვიცოდეთ, ეს ჩვენი ჩუმი სიგიჟე იყოს, მარტო ჩვენი... ხომ გესმის... ისე არ გამიგო, თითქოს დიმიტრი არ მიყვარს... არა, მე იმას ვერ დავკარგავ... ოღონდ, შენთანაც კარგად ვგრძნობ თავს, იცი, რა კარგად... შენც მიყვარხარ, გეფიცები, როგორღაც უცნაურად, სულ სხვანაირად... რაღაც სიგიჟეა... იყოს... იცი, მე ახლა ისიც მინდა, მაკოცო... მოდი, გათენებამდე შინ ნუ წავალთ, ერთად ვიყოთ, წავიდეთ სადმე... დავრეკავ დედასთან და რაღაცას მოვიგონებ... ხო, ჩემს სიცოცხლეში გათენებამდე პირველად არ მივიდე შინ და შენთან ერთად ვიყო... ახლა ასე მინდა, ძალიან მინდა, რომ შენ არასოდეს...

სამზარეულოში ბავშვები შემოცვივდნენ და გვშია-გვშიას ძახილით მეხივით თავს დაატყდნენ მოგონებებში ბანგმორეულივით ჩაფლულ, სკამზე უკან გადაქანებულ და ჭერს მიშტერებულ თეონას, რომელსაც ლოყებზე წებოსავით შეშრობოდა ცრემლის ღარები. და როდესაც სამზარეულოში დიმიტრიმაც შეიხედა და ბავშვებს თამაშით მხარი აუბა გვშია-გვშიას ძახილით, თეონამ ველარ მოითმინა და წამოიყვირა:

— რა, აღარ მომასვენებთ?! წუთითაც არ დამანებებთ თავს?! სამზარეულოშიც არ მამყოფებთ ჩემს ჭკუაზე?! რა მოხდა, რა ასეთი შიმშილი დაგემართათ! ნუთუ არ შეიძლება სადილი მშვიდად, ჩემთვის, მარტოკამ გავაკეთო?!

დიმიტრიმ ჯერ გაოცებით ახედ-დახედა, რაღაც თავისთვის ჩაიბუზღუნა, ბავშვები სამზარეულოდან გარეკა და თვითონაც გავიდა.

თეონამ მეორე სიგარეტს მოუკიდა. უეცარი გამოფხიზლების შემდეგ აღარ უნდოდა უწინდელ ფიქრებს დაბრუნებოდა. მაგრამ ლარბის უკანასკნელი სიტყვები, უკვე აღკვეცილი ხსოვნის სივრციდან, მცხუნვარე სუნთქვასავით შემოეხალა — მონუსხულივით გააშეშა.

— გასაყოფი არაფერი არ მიყვარს, თეო. მე შენ უფრო მეტად მიყვარხარ... ასე არ შემიძლია, — ჯერ შეწუხებულმა, თითქოსდა მობოდიშებით უთხრა ლარბიმ, როდესაც უკვე ეზოს ჭიშკარს მიადგნენ; შემდეგ, უეცრად, სახე ჩამოუგრძელდა და თვალები გაეყინა, როგორც ეს მძაფრი მღელვარებისას სჩვეოდა, — ვითომ არც გითქვამს და არც მე გამიგია შენი შემოთავაზება, გესმის?! შენ, ალბათ, საკუთარ თავს ვერც ხედავ, ვერც იაზრებ, რას მეუბნები... გიყურებ და, თითქოს შენ არ ახარ. უცნაურია, უცნობივით გახდი. არა, აღარაფერი მესმის, თითქოს გამოვშტერდი... გასაშტერებელია! — ეს ბოლო სიტყვა გაშმაგებით წამოიყვირა და, იმის მაგიერ, შინ ასულიყო, უკან გაბრუნდა და სწრაფად, როგორღაც თავგამეტებით გაუყვა ჩაბნელებულ ქუჩას.

თეონას ახლაც ისევე აელეწა სახე, როგორც იმ ღამეს, ეზოში შესასვლელთან, ლარბის პირისპირ მდგარს. ოღონდ, თუ მაშინ შეურაცხყოფილის გაბოროტებით, ახლა სინდისის ქენჯნით თითქოს ცეცხლი მოედოო მთელ ტანზე. ლარბის სიტყვები სილასავით გაეწნა და ის სილა არასდროს აღარ დავიწყებია, ლარბი დაავიწყდა, სილა კი არასდროს... იმ ღამეს შინ რომ დაბრუნდა, სასწრაფოდ დიმიტრის დაურეკა; განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარვა ყოველგვარი იჭვი გზაში ლარბისთან იმ უცნაური შეხვედრის გამო — ჩემი მეზობელია და, ხომ იცი, ბიჭები რა გადაჭარბებული სიმკაცრით პატრონობენ მეზობელ გოგოებსო, და უთხრა: „შენ ხარ და იქნები ჩემთვის ერთადერთი, ვინც მეყვარება და ვისაც არასდროს არ ვუღალატებ“. დიმიტრიმ სიხარულით შესძახა: მაშ, შემოდგომაზე დავქორწინდეთო. შემოდგომაზე დაქორწინდნენ. სექტემბრის მიწურულს თეონას მშობლებმა დიდი საქორწილო სუფრა გაშალეს, ყველა მეზობელი მოიპატიჟეს. ყველა ახლობელი დაესწრო თეონას ქორწილს. ყველა, ლარბის გარდა. ლარბი თბილისში აღარ იყო. ის უკვე ქალაქიდან გადაკარგულიყო. „მამა არ ედგა თავზე, მამა და, ამიტომაც აერია გზა-კვალი“, — ალმასხანის და თინათინის ზურგს უკან ჩურჩულებდნენ ლარბის ბედზე შეწუხებული მეზობლის მოხუცი ქალები. — „თუმცა, იმანაც ვერ მოუარა თავს, ჭკუა ვერ იხმარა... აუჰ, რა ბიჭი იყო“.

თეონამ ღრმად ამოიოხრა და დაბუჟებული სახის ნაკვთები მოისრისა. უცებ ლარბისადმი სიყვარულით და მადლიერებით მოეწურა გული; უცებ უზომოდ შეებრალა; უცებ შერცხვა და დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი. წამით მოუნდა დიმიტრისთან გასულიყო და ლარბიზე დალაპარაკებოდა, ეთქვა ლარბის სიკვდილის ამბავი; გადაიფიქრა; მოერიდა; ისიც გაითვალისწინა, ზედმეტ მღელვარებას შემნიშნავსო. არა, არავისთან ლაპარაკი არ იყო საჭირო. რაც იყო, მხოლოდ მანღა იცოდა და მასში უნდა ჩაგმანულიყო სამუდამოდ. რაც იყო, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. ახლა კი სადილისთვის უნდა მიეხედა, ოჯახისთვის უნდა ეზრუნა. ახლა, აქ იყო და უნდა გაემართლებინა თავისი ყოფნა. მის გარშემო არავის არ უნდა არეოდა გზა-კვალი.

თეონამ თავს ძალა დაატანა, რომ სადილის კეთება განეგრძო; ფიცარზე დადებული ქათამი მოიწია, სამზარეულოს დიდი დანა აიღო, პირი მოუსინჯა, მჭრელი თუაო და, უცებ, ფიქრებში ლარბის სიტყვებმა გაუელვა: „ღალატი არაფერია, გაწირვა რომ არ იყოს. ღალატი გაწირვაა, იმიტომაა საშინელი“. არა, თეონას არავინ ჰყავდა გასაწირი. არა, მას არც არავინ გაუწირავს, არც არავისთვის უღალატნია... არც ლარბისთვის!.. უბრალოდ, ძალიან ახალგაზრდა იყო, ვერ ხვდებოდა, ვერ იაზრებდა.

და მაინც, სამზარეულოში საქმიანად მოფუსფუსეს, უჩუმრად აედევნა ის შეგრძნება, რომ მთელი ცხოვრება, საზღაურივით გაჰქონდა ერთგული ცოლის და ოჯახისთვის მტლად დადებული დედის ტვირთი.

2.

ალმასხანსაც და ბავშვებსაც უკვე დიდი ხანი იყო ეძინათ. შუაღამე გადასულიყო. თინათინი კი ისე ფეხმოუცვლელად იჯდა მაგიდასთან, თითქოს იქ ლარბის ცხედარი ესვენა. ხან დეპეშას შეაცივდებოდა და ხანაც, სიმწრით მოხუჭავდა თვალებს. პირველად ახლა გრძნობდა მთელი სისავსით, თუ რამდენ ძვირფასი იყო ლარბის, თვით შორეულ აღმოსავლეთში გადაკარგულის არსებობა. „მაპატიე, შვილო“, — დროდადრო ამოიკვნესებდა; ეს სიტყვები ისე აღმოხდებოდა, რომ თვითონაც არ ესმოდა, რისთვის თხოვდა პატიებას. ზოგჯერ, მისი სიკვდილი იმის ნაცვალგებად ეჩვენებოდა, რასაც გარკვეულად ვერც იაზრებდა და ვერც სახელს უძებნიდა. ზოგჯერაც ჰკიცხავდა, ისედაც გადაკარგული, მოუბრუნებლად რომ მოშორდა და მისი ოდესმე ნახვის იმედიც გადაუწურა.

უცებ ლევანი გაახსენდა და ისე შეაშტერდა დეპეშას, თითქოს მის ნაცვლად ის — ლევანის განაჩენის შეტყობინება იდო. ის ბარათიც მაშინ ზუსტად ამავე მაგიდაზე იდო; მაშინაც ასევე სასოწარკვეთილი მისჩერებოდა და მთელი დღე და მთელი ღამე უაზროდ კითხულობდა ერთსა და იმავე სიტყვებს: „...მისჯილი აქვს ათი წლით გადასახლებაში პატიმრობა, ნახვისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოწერის უფლების ალკვეთით“. რასაც ნიშნავდა ასეთი შინაარსის განაჩენი, თინათინს გაგონილი ჰქონდა იმ ნაცნობ-მეგობრებისგან, მოყვრებისა თუ ნათესავებისგან, რომელთა ოჯახის წევრებიც ოცდაათიანი წლების რეპრესიებში მოჰყვნენ — პატიმრობის ან გადასახლების შეტყობინებაში „ნახვისა და მიმოწერის უფლების ალკვეთა“ თუ იყო მიწერილი, ეს ნიშნავდა სიკვდილის განაჩენის შეფარული გზით გაცხადებას. ადრე, როდესაც ამგვარ შეტყობინებას სხვა ოჯახები ღებულობდნენ, თინათინი მასში ერთგვარ გულისხმიერებას, ერთგვარ თავაზიანობასაც ხედავდა, —ასეც თვლიდა, სიკვდილის განაჩენის პირდაპირ თქმას მსჯავრდებულის ოჯახის შებრალების გამო ეკრძალებიანო, — ვერ ჭვრეტდა მსჯავრმდებელთა მწვალებლური სულის ირონიას, რომლითაც ეს იგავურად აგებული შეტყობინება იყო განმსჭვალული. ხოლო თვითონაც რომ მოუვიდა ლევანზე ასეთივე შეტყობინება, უცებ მიხვდა, რომ მისი შენიღბული ფორმა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ძველი დროის ჯალათთა თავსაბურველისგან და გაოგნებულმა შეჰკივლა: — ჯალათები!

და როგორც მაშინ, ლევანის განაჩენის შეტყობინებით თავრეტდასხმულს, ახლაც, ლარბის დაღუპვის მაუწყებელი ბარათით სასოწარკვეთილს, ზედ ყურთან ჩაესმა დედის გაფრთხილება: „ნენა, მეშინია, ლევან დავლიანის უღელში ჩაბმამ, მისი ბედ-იღბლის გაზიარებამ, ცხოვრება მეტად არ გაგირთულოს“.

თინათინმა, როგორღაც უნებურად, თვითონ რომ არც უფიქრია, ისე, ლარბის დაღუპვაც დედის იმ გაფრთხილებას დაუკავშირა; მაშინვე თვალწინ აელანდა ლევანი და, იქვე, ქალბატონი ელისაბედის, ლევანის დედის ჩვენებამაც გაიქროლა. „აკი ამიხდა! მერამდენედ!“ — ყრუდ აღმოხდა და თვალებზე ხელი ისე აიკრა, თითქოს წარსულიდან ქარივით ავარდნილი ლანდების დანახვა არ სურდა, განსაკუთრებით ლევანის. ლარბის გადაკარგვის შემდეგ, ლევანის სახელიცა და სახეც მან თითქმის ერთთავად ჩაგმანა გულის სიღრმეში; მისი ხსოვნა მანამდეც მიმკრთალი იყო ალმასხან წეროძესთან შექმნილი და ალმასხანის პიროვნებით აღბეჭდილი ოჯახის საზრუნავით; მაგრამ, ახლა, ლარბის სიკვდილმა უცხადესად გაახსენა ლევან დავლიანი და მისი ბედიც ხელახლა და თითქოს უწინდელზე უფრო მტკივნეულად, განაცდევინა. რაღაც კავშირიც კი ენიშნა, სულ ბუნდოვნად, მათ სიკვდილს შორის. წამით, მათი მოღიმარი სახეებიც, როგორც ფოტოსურათში, გვერდიგვერდ მოლანდა. თურმე, როგორ დამსგავსებოდა ლევანს, წლოვანებითაც თითქმის თანატოლები იყვნენ, ლარბის ღიმილში თითქოს გაოცება, თითქოს დაბნეულობა იხატებოდა; ლევანი კი ნაღვლიანი ალერსით შეჰღიმოდა. მოულოდნელად ლევანმა თინათინისკენ მოაბრუნა სახე, თვალებში ნაღველი ჩაეღვარა და ქვედა ტუჩზე სიმწრით იკბინა. თინათინმა ორივე ხელი პირზე აიფარა, რომ ხმამაღლა არ დაეყვირა: — რა გინდოდა, ლევან?! რა გინდოდა ჩემგან, ლევან?!

წინათ, სანამ ხელმეორედ გათხოვდებოდა და ალმასხან წეროძესთან შეუღლებით, მასთან შეძენილი როსტომით და მაიკოთი, საბოლოოდ დაიბრუნებდა სულის სიმშვიდეს და ცხოვრების ფერხულში საკუთარ ადგილს გაიმყარებდა — გამძვინვარებული ომის ქარცეცხლში ყველანაირი ხიფათისგან დაუცველი ქვრივის მდგომარეობით, მცირეწლოვან ლარბიზე მოშიშარი ზრუნვით, შიმშილით და ათასგვარი გაჭირვებით შეძრწუნებულს, არაერთხელ წამოსცდენია ლევანის სამდურავი. იყო წამები, როდესაც ბედსაც წყევლიდა, ლევანთან რომ შეახვედრა; თუმცა, მეორე წამს, პატიებას თხოვდა მის ხსოვნას და საკუთარ თავს კიცხავდა. რა საამაყო, რა შესაშური მომავალი ესახებოდა ლევან დავლიანთან სიახლოვით, მისი ცოლობით; რა ბედნიერებად მიითვლიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ყურადღებას, მის სითბოს, ზრუნვას, ალერსს. ეგონენი სიყვარული და — მის კვალად, რა უსაშველო ტკივილი: ეგონენი აღფრთოვანება და — რა სულისშემხუთველი სასოწარკვეთა; და ყოველივე ეს რა ერთბაშად. რას წარმოიდგენდა მაშინ, სიცოცხლის სიხარულით აღსავსე და ლევან დავლიანის ნიჭით, გონებით და შემართებით აღტაცებული, უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი თინათინ მუშკუდიანი, რომ მის ოცნებას ასეთი აღსასრული ელოდა, — რას წარმოიდგენდა, რომ ასე წინასწარმეტყველურად აუხდებოდა დედის გაფრთხილება, ლევან დავლიანის ბედ-იღბლის გაზიარებამ ცხოვრება არ გაგირთულოსო.

დედამ ეს მაშინ უთხრა, როდესაც თინათინმა მშობლებს გაანდო ლევან დავლიანთან დაახლოება და მასზე ცოლად გაყოლის სურვილი. მამამ ალერსით ახედა უკვე მოწიფულ ქალიშვილს და ნაღვლიანად ჩაეკითხა:

— უღელში შესაბმელი ქედი, ვითომ, მოგიმაგრდა უკვე?

დედამ კი, თან მიკიბულ-მოკიბულად და თან დაბეჯითებით მიუგო:

— შვილო, მე და მამაშენს რა უნდა გვქონდეს ლევანის საწინააღმდეგო. პატივიცაა ჩვენთვის დავლიანთა, მოდგმითაც და ზნითაც ამ კეთილშობილ გვართან დანათესავება. მაგისი მამა, დიდი ლევანი, დიდად განათლებული, ქვეყნის საქმეზე გადაგებული, საზოგადოებაში წარმოჩენილი კაცი იყო — რა წარმოსადეგი, რა მჭერმეტყველი. ოფიცერი იყო, პოლკოვნიკი თუ პოდპოლკოვნიკი, მაშინდელ ჩვენს ქართულ სამხედრო სასწავლებელში მოღვაწეობდა, იუნკრებს ზრდიდა და წვრთნიდა. წერილებსაც ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში, საჯარო სიტყვითაც ხშირად გამოდიოდა. დიდი ლევანი ცხენით რომ მიჯირითობდა ქუჩებში, მწყობრში კოხტად მდგარი იუნკრების წინ — მართლა ერთ ნახვად ღირდა. ვინ, ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ ხალხს დახოცავდნენ. შენ არ იცი და, რომც ვეღარ ნახავ, ისეთი ვაჟკაცები დახოცეს, ზოგი ოცდაერთშივე, ზოგი ოცდაორში, მერე ოცდათოხში, მერე...

— ჩუ, ქალო! — უცებ დაიყვირა მამამ და, რადგან მათ გარდა შინ სხვა არავინ ეგულებოდა, კედლები შეათვალიერა. ოციანი წლების დასაწყისში, ვილაცის მიერ ხუმრობით თქმული — ახლა კედლებიც ყურებს იბამენ და ჩეკისტებთან ენას იდგამენო — დასმენებითა და რეპრესიებით დაზაფრული ხალხის ცნობიერებაში სრულიად შესაძლებელ მოვლენად ისახებოდა და, თუკი ვინმეს, ვიწრო ოჯახურ წრეშიც, ცხოვრებისა თუ დროის სამდურავი წამოსცდებოდა, როგორღაც უნებურად მიმოიხედავდა და შიშით შეათვალიერებდა კედლებს. ბევრს ჩვევად ქცეოდა ასეთი სიფრთხილე და, ახლაც, მამამ სრულიად უნებურად მიმოიხედა. მერე, დატუქსვით გახედა ცოლს, შენი ლათაიების მოსმენა აღარ მინდაო, უთხრა და თინათინს ამ სიტყვებით მიუბრუნდა.

— შვილო, შენი მომავალი ბედი თვითონ უნდა განჭვრიტო და, რასაც შენ მიითვლი შენს ბედნიერებად, ჩემი სიხარულიც და სიცოცხლის ძალაც ის იქნება; ხოლო, რასაც დედაშენთან გადაწყვეტ, ჩემი გადაწყვეტილებაც ის იყოს, — თქვა და გარეთ გავიდა, როგორც იტყოდა ხოლმე, ჰაერის ჩასაყლაპად.

თინამ ნიშნისმოგებით მიახალა დედას:

— აი, ხომ ხედავ, მამა თანახმაა და შენ კი რაღაც ათა-პაპისდროინდელ ამბებს იხსენებ...

— ნენა, ეს შენთვისაა ათა-პაპისდროინდელი ამბავი, თორემ, ჩემთვის გუშინდელი დღეა. შენ, ახლა, ორი-სამი წელია თვალში გამოიხედე, ჯერ ამ ცხოვრების სიმწარე არ გიწვნია და ნუმც გეწვნიოს. იცოცხლე, ბედნიერებაა ლევანისთანა ვაჟკაცის სიყვარული, მარა — უბედურებაც ხშირად იცის მასეთნაირების ცხოვრების გაზიარებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცნაირი სხვანაირია. რომ მოგაცილა ამასწინათ და შემოვიდა ჩვენსას, რომ დავინახე, თითქოს შემომეფეთაო, ისეთი სხვანაირია. ხოდა, ძველადაც და ახლა კიდევ უფრო მეტად, ცხოვრება ასეთ ვაჟკაცებს უხირდება, ზოგს ხაფანგს უგებს და ზოგს სამანსაც უდებს. მით უმეტეს, ამ დროში, ხალხის მტრად აღიარებული და არც რომ არავინ ვიცოდით, ისე გაქრობილი დიდი ლევანის...

— დედა, რას ჩააცივდი ამ დიდ ლევანს. დღეს ვიღას ახსოვს ის ძველი ამბები. ჩემი ლევანი უკვე ასპირანტურისთვის ემზადება, მის თარგმანებს, მეცნიერულ წერილებს, ლექსებს და მოთხრობებს რა ხანია ბეჭდავენ და გზასაც არავინ უხშობს. პირიქით, ასპირანტურაში ჩაბარება იქით შესთავაზეს, პროფესორ-მასწავლებლები სულ მის ქებაში არიან. ჩემი ამბავიც მოგეხსენება, ხუთოსნის სტიპენდია მაქვს. ცოტას ჩვენ გავიჭირვებთ, ცოტას აქეთ-იქიდან მოგვეხმარებით... ხომ მოგვეხმარებით? ხოდა, როგორც ყველა ჩვენი ნაცნობი თუ ნათესავი, მე და ლევანიც შევქმნით ჩვენს ოჯახს. ყველაფერი კარგად იქნება, დედა. დიდი ლევანი კი, როგორც ამბობენ, ოცდაოთხი წლის შეთქმულებაში იყო გარეული და, იმასაც ამბობენ, ძველი ცოდვებიც გაუხსენესო. ჩემს ლევანს კი, აბა, რა ცოდვა აქვს. მას ის უნდა მხოლოდ, ნამდვილი ლიტერატორი დადგეს და თავისი მამულიშვილობა ჩვენს სინამდვილეში, მართალი და ღირსეული ცხოვრებით ალასრულოს...

— ვაი რომ, სწორედ მართალს და ღირსეულს ვერ იტანს ეს ცხოვრება...

— დედა, მაშ, აბა, რას მირჩევ... თვითონ თუ გესმის, რას მიჩივი?!

— მე ჩემს წუხილს და შიშს გიჩივი. ჩემი ხარ და ჩემი მეწვის. ის მინდა, ცოტა მაინც გაიხარო...

— მე უკვე ვხარობ, დედა! განა ვერ ხედავ, რომ უკვე ბედნიერი ვარ და, შენ რომ გაშინებს, ის დრო წავიდა...

— შვილო, ვერ ხედავ, ამ ცხოვრებამ რა ნაადრევად გამაჭაღარა? მამაჩემს ჩემს თვალწინ ტანზე ანაფორა შემოაფხრიწეს და წვერით ტალახში ათრიეს. მის საშველად მივარდნილ ჩემს ძმას ცემით ამოხადეს სული... რა ხანია, მივჯახირობ ამ ცხოვრების გზაზე და, ჯერჯერობით, ასე ვხედავ, სულ ის დროა. ხან ნაციონალისტებით, ხან უკლონისტებით, ხან თეთრი ოფიცრებით, ხან მენშევიკებით, ხან კულაკებით, ხან ტროცკისტებით... ერთხანს ამოასუნთქებენ ხალხს და, მერე, თავში ისევ ჩასცხებენ უროს...

— დედა! მე ამაზე აღარაფერი აღარ მინდა ვიცოდე. მე ლევანი მიყვარს, მე ლევანთან მაქვს საქმე და ლევანი არც კულაკობიასთან, არც მენშევიკებთან, არც ტროცკისტებთან და არც ყველა ამ უბედურებასთან არავითარ კავშირში არ არის. შენ ის მითხარი, ლევანის მიმართ თუ გაქვს რამე ავუგი სათქმელი...

— რას ამბობ, შვილო. აკი გითხარი, სანატრელი ვაჟკაცია. მე ჩემს ფიქრებს განდობ, ჩემს სატკივარს გიმხელ, თორემ, სიკვდილის შიშით გულხელი წინასწარ ვის დაუკრეფია... ის მინდა, ფრთხილად რომ იყო და ლევანსაც გაუფრთხილდე. თუ ღმერთი დაგაცლით, განა არ ვხედავ, განა არა ვგრძნობ, კაი ოჯახსაც შექმნით და მარჯვედაც გაუძღვებით თქვენ თქვენს საქმეს. მე ის მინდა, შენ მრთლად და ცოტათი მაინც გახარებული მყავდე, თინიკო, ჩემო ერთადერთო, ჩემო ლამაზო გოგო...

დედასთან ეს საუბარი თინათინს პირველად ოცდაჩვიდმეტში გაახსენდა, როდესაც ხელახლა გამძვინვარდა რეპრესიები. შიშისგან გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ლევანს, რომელიც ღამღამობით ოთახში ბოლთასა სცემდა და, დროდადრო ყრუდ ამოიგმინებდა „ხალხის მტრის" ნიშნით დევნილ მეცნიერთა, ხელოვანთა და მწერალთა სახელებს. „ახლა გიორგიც, ჩვენი გიორგი წერეთელიც, ჩვენი ბრძენი და კეთილშობილი მოხუციც, თინიკო?! სანამდე? რა გვეშველება, ასე ხომ ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სულსაც, გულსაც და გონებასაც ჩაკლავენ?!“ — უნივერსიტეტიდან დაბრუნებულმა, ლამის ქვითინით შესჩივლა და ლოგინზე პირდაღმა დაენარცხა. „ჩუ, გევედრები, ლევან... თავი შეიკავე. როგორმე... სადმე გადაბრუნებული სიტყვა არ წამოგცდეს, ლევან, არ დაგვღუპო... ჩემი თავი ჯანდაბას... ამას რა ვუყოთ, ლევან?!“ — შეშფოთებით მიუგებდა თინიკო და ლევანის ოდნავ ხმამაღალ წამოძახილზეც გაღვიძებულ ლარბის აკვანს დაურწევდა.

ოცდათვრამეტი იწურებოდა.

მთელი იმ ხნის მანძილზე თინათინი თუმცა ერთთავად დაძაბული, ერთთავად შეძრწუნებული იყო, მაგრამ ლევანის გამო მაინცდამაინც არ შიშობდა: სხვებისგანაც გაეგონა და თვითონაც ხედავდა, რომ ამჯერად მსახვრელი ხელი, უპირატესად, სხვადასხვა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ხასიათის დაჯგუფებებში მყოფ და მათთან დაახლოებულ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, სახელოვან მეცნიერებზე და მწერლებზე, სამეურნეო-სამრეწველო და სამართლებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებზე და ოციანი წლების რეპრესიებს გადარჩენილ, ეროვნული პოზიციების დაცვისთვის ადრევე შავ სიებში შეტანილ პირებზე იყო მიმართული. ცხადია, შინსახკომის თანამშრომელთა თვითნებობისა და პირადი ანგარიშსწორებისგან არავინ იყო დაზღვეული, მაგრამ, მაინც, ლევანი, ჯერაც უნივერსიტეტის ასპირანტი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, არავითარ საზოგადო საქმეში არ იყო გარეული, არც თავისი მდგომარეობით ექიშპებოდა და აწუხებდა ვისმეს, რომ მასზე საგანგებოდ დაეგეშათ მოდარაჯე თვალი. უნივერსიტეტში წასვლის წინ, თინათინი მაინც შეევედრებოდა — საქმის გარდა არაფერზე კრინტი არ დაეძრა, საორჭოფო საუბრებში არავისთან გარეულიყო. თუმცა, ლევანს არც სჭირდებოდა მისი გაფრთხილება, — კათედრის გამგემ, სიკეთით აღსავსე და ყველა სტუდენტის საფიცარმა პროფესორმა ერეკლე ძიძიშვილმა, ლევანი და მისი სამი მეგობარი, პირველივე კურსიდან მისი ნაფერებ-ნაამაგდარი ახალგაზრდები, თავის კაბინეტში ჩაკეტა და ყოველგვარი წინასწარი ახსნა-განმარტების გარეშე (ასეთი რამ მათ შორის აღარ იყო საჭირო, რადგან ერთმანეთისა არა მარტო ესმოდათ, არამედ უსაზღვროდ სწამდათ) სიტყვა ჩამოართვა — არც შიდა-საუნივერსიტეტო და არც გარეთ, საქვეყნო-საზოგადოებრივ რაგინდარა აღმაშფოთებელ ვითარებებზე არავითარი რეაგირება არ მოეხდინათ არც საჯაროდ და არც კულუარულ დებატებში, მაშინაც კი, თუ სახელმწიფო დამნაშავეთა სიაში თვითონ ერეკლე ძიძიშვილიც აღმოჩნდებოდა. ბოლოს დასძინა: „ისეთმა ქარმა დაჰბერა, ყველაფერია მოსალოდნელი და, ხიფათისგან დაზღვეული, კაცი კი არა, ძაღლი აღარ არის; მაგრამ ყველას მაინც ვერ გასწვდებიან. თქვენ ახალგაზრდები ხართ და, უბრალოდ, ვალდებულები ხართ, თავი შეინახოთ, რომ მომავალში ქვეყანა ერთთავად გარეწრების ხელთ არ აღმოჩნდეს — რომ დარჩნენ მამულიშვილები, რომლებიც საქმეს სინდისიერად და გონივრულად წაუძღვებიან. შენ კი, ლევან, განსაკუთრებით ფრთხილად იყავი და ენას კბილი მაგრად დააჭირე, ხომ გესმის?“ ბოლოს, თითოეულს უამრავი სასწრაფოდ აღსასრულებელი სამეცნიერო სამუშაო და უცხო ენიდან სათარგმნელი მასალა მისცა და ამ სიტყვებით გამოემშვიდობა: „შრომა, მხოლოდ თავაუღებელი შრომა დაგეხმარებათ, რომ თავი შეიმაგროთ და შეინარჩუნოთ სიცოცხლე. შრომა არა მარტო საკუთარი თავის გადასარჩენად, საქვეყნოდაც, სამომავლოდაც... ამ ვითარებაში სხვა ხსნას ვერ ვხედავ. ხსნის გზა ჩვენვე დავთმეთ, ჩვენი ბედოვლათობით, როდესაც ვენდეთ, რა სისხლსაც უთავბოლო რეპრესიებით აღვრევინებ ქართველ ხალხს, ჯობდა, ერთბაშად და პირისპირ ომში დაგვენთხია — ეგოდენიც არ იქნებოდა საჭირო... მაგრამ ის დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავუშვით ხელიდან და, ახლა, სხვა დროს უნდა დაველოდოთ. დრო ყველაზე უძლეველი ძალაა, ის უმძლავრეს ტირანებზეც მეფობს და მათაც აქრობს თავის უსაზღვრო სივრცეში. სხვა დროც უსათუოდ დადგება და სწორედ იმ დროისთვის, როგორმე, კაცებიც უნდა შერჩნენ ჩვენს ქვეყანას, რადგან ეს ისეთი წყეული მანქანა შექმნეს, რომელიც ღირსეულს ამუშავებს და ულირსს გამოჰყოფს. რამენაირად ღირსეულნიც უნდა გადაურჩნენ ამ მანქანის კბილანებს. დრო დადგება და თითო კაცი ათას ბედოვლათს გადასწონის. ასე იყო და ასე იქნება. ქართველ კაცს თმენა არ ესწავლება. თმენის დროა, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო. აბა, თქვენ იცით".

ერეკლე ძიძიშვილთან ყოფნა და საუბარი ლევანმა თინათინს ჩურჩულით გაანდო და გააფრთხილა, არავისთან სიტყვა არ წამოსცდენოდა ამის შესახებ. თინათინი შეაურვა პროფესორის ნათქვამზე და გაიფიქრა: „დაიჭერენ".

ის დღე იყო და, ლევანი საგანგებოდ ჩაუჯდა მაგიდას: აქეთ საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობას შეუდგა, იქით — თარგმანებზე. იმ ხანად ლექსებისა და მოთხრობების წერას წინასწარგანზრახულად შეეშვა. „ლექსი და მოთხრობა გაიძულებს მძაფრად განიცადო სინამდვილე და ინდივიდუალური შეფასება მისცე მას, მაშინაც კი, როდესაც ისტორიულ თემას ეჭიდები. ახლა კი, თვითონაც გესმის, ინდივიდუალური შეფასების დრო არ არის", — უთხრა თინას და ყველა დასამთავრებელი თუ დასამუშავებელი მხატვრული მასალა ცალკე უჯრაში ჩაკეტა, — „ჩვენ უკვე მარტო ჩვენს თავზე აღარ უნდა ვიზრუნოთ, არა, თინიკო? ჩვენ უკვე ამ ბომბორიკაზეც უნდა ვიფიქროთ".

ლარბის უკვე ფეხი აედგა, ოთახებში დაბაჯბაჯებდა, მძლავრი ხმით გაჰკიოდა და ჯიუტად მოითხოვდა მათგან სიცოცხლეზე და მომავალზე დაყურადებას.

ერეკლე ძიძიშვილი 1939 წლის მიწურულს უეცრად გარდაიცვალა. ის მოკვდა თავისი სიკვდილით. უკვე ჭარმაგ პროფესორს გული ისედაც დაუძლურებულ-დაავადებული ჰქონდა ხანგრძლივი შრომით და ათეული წლების მანძილზე გადატანილი პირადი თუ საქვეყნო სატკივარით. ამჯერად კი ველარ გაუძლო გულში უსიტყვოდ ჩახშულ წუხილს, მრავალი მისი ძველი მეგობრის თუ ნაცნობის დევნას, გადასახლებას, დახვრეტას; ვერ გაუძლო „უფროსებთან" პერიოდულ გამოძახებებს და სხვადასხვა ზემდგომ ორგანოებში სიტყვიერი თუ წერილობითი ჩვენებების მიცემას; და როგორც მისმა მეუღლემ თქვა, „ტვინში სისხლი ჩაექცა და სრულიად უგონოდ მყოფი გარდაიცვალა".

როდესაც ვერის სასაფლაოზე კუბოს ხაროში უშვებდნენ, ლევანმა თინათინს ჩასჩურჩულა: „ესეც მსხვერპლია, გულს მარტო ტყვია არ კლავს, ზოგჯერაც, საზარის განცდა ჰყოფნის".

მიუხედავად ერეკლე ძიძიშვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილისა, ის ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი და ომის წინა ორი წელიწადი თინათინისთვის ყველაზე ბედნიერი და, შეიძლება ითქვას, დღესასწაულებრივი სიხარულით აღსავსე იყო. ლევანმა საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობა თითქმის დაასრულა; მწერალთა კავშირის პოეზიის სექციაზე ტაშის გრიალში ჩატარდა მისი ლექსების განხილვა; გამომცემლობა „ფედერაციამ" მოიწონა მისი ლექსების კრებული და უახლოეს წლებში გამოსაქვეყნებელ წიგნთა სიაში შეიტანა; ლევანის სამეცნიერო და სამწერლო უნარზე საზოგადოება ალაპარაკდა და პრესაშიც დაიბეჭდა რამდენიმე საქებარი რეცენზია; რაც მთავარია, ლევანს უნივერსიტეტში ლექციების კითხვა მიანდეს; 1940 წლის ზაფხულს, მწერალთა კავშირიდან, გაგრაში დასასვენებლად, ორი საგზურითაც კი დააჯილდოვეს ლევანი, — პატარა ლარბი ქალბატონმა ელისაბედმა, ლევანის დედამ დაიტოვა და თინათინი ლევანთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრა.

რა ბედნიერი იყო, რა მხიარული. როგორ უყვარდა და ეამაყებოდა ლევანი. რარიგ სჯეროდა, რომ სულ ასე მხნედ და გულლაღად გაატარებდნენ სიცოცხლეს. ქვეყნად ყველაზე კარგი, ყველაზე ნათელი რომ ეჩვენებოდა იმხანად, რადგან ბედნიერების წყურვილს წარსულის მწუხარება თითქმის უკვალოდ განექრო თინათინის თვალთახედვიდან. ლარბი უკვე სამი წლისა იყო და თინათინს, ახლა, ქალიშვილი უნდოდა; ლევანს კი ისევ ბიჭი ჰყავდა დაჩემებული. კარგი, გასჩენოდათ ერთი ვაჟიც, — ასე გაგრძელებულიყო მათი ცხოვრება და, თუნდაც კიდევ ორი ვაჟი გასჩენოდათ; ოღონდ გოგოც, თინათინს გოგოც აუცილებლად უნდოდა. ცხოვრების პირობები დღითიდღე უმჯობესდებოდა, მალე თინათინიც დაიწყებდა მუშაობას და შვილებისთვის ლუკმაპურის შოვნა არ ექნებოდათ სადარდებელი. არა, შვილები ლევანს სულაც არ შებორკავდნენ, — თინათინი არც დაასაქმებდა ლევანს ოჯახის წვრილმანი საზრუნავით, რადგან ლევანი სხვა იყო, ლევანს უნდა ემუშავა თავის თავზე, უნდა ეწერა, უნდა გამოევლინა თავისი ნიჭი, თავისი სწრაფვა; თინათინისთვის მთავარი ეს იყო, რომ ლევანს გაემარჯვა, რომ ლევანს თავისი მეობა განემტკიცებინა მწერლობაშიც და მეცნიერებაშიც, რომ ლევანი სულ მუდამ ასე შემართული და წინმსწრაფი ყოფილიყო; ოჯახის საქმეს კი თვითონ გაუძღვებოდა, ქალბატონი ელისაბედიც დაეხმარებოდა. მისი საკუთარი მშობლებიც წაეხიდებოდნენ...

და სწორედ მაშინ, სულში ბედნიერების განცდა სულ უფრო რომ ეზრდებოდა — როცა არც ერთი მხრიდან აღარ ელოდა ავსა და ხიფათს — სწორედ მაშინ აუხდა თინათინს დედის სიტყვები.

ჯერ იყო და, ომი დაიწყო, — საბჭოთა კავშირს თავს დაესხნენ ფაშისტთა ჯარები და ქვეყანა ომის საშინელებამ მოიცვა. იძალა შიშმა, გაჭირვებამ, შიმშილმა, ცრემლმა; ქმრებსა და მამებს, ძმებსა და ვაჟიშვილებს ომში აცილებდნენ დები და რძლები, დედები და ქალიშვილები; საქართველოს თითქმის ნახევარმა საკაცეთმა აისხა იარაღი; ლევანიც გაიწვიეს ჯარში; სიკვდილ-სიცოცხლის კითხვა შანთავდა გულებს; ვინ გადაურჩება ომის ქარცეცხლს? შინ მშვიდობით ვინ დაბრუნდება? თინათინიც ომიდან ლევანის ცოცხლად დაბრუნებას ევედრებოდა განგებას. ეს ერთი უჩნდა გულის მომწყვლელ წუხილად.

მაგრამ ღრუბლებს, სულ რომ არ ელი, ხშირად, იქიდან დაჰბერავს ქარი.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უილიამ შექსპირი

# ლუკრეცია

ბრბო უმეცარი სილამაზეს აშთობს იოლად,
სისხლის წვიმებით შესჩუხჩუხებს მზეს და ალიონს,
მოკლულ დედა-შვილს წაადგება მაროდიორად,
რომ ყოველნაირ ცოდო-ბრალში ხელი ჩარიოს, —
ტარკვინიუსიც ამდაგვარად კაციჭამიობს:
თითქოს ბრბოს მოძღვრავს: თადარიგი თუ არ დაგებნათ,
შეემზადეთო მშვენებასთან შესატაკებლად!

გული თვალს სთხოვდა, — ბაგუნებდა გული დოლივით, —
თვალმა ბრძანა და ნებელობას წამოეშველა,
ხოლო მარჯვენა — მედიდური, დინჯი რონინით
ბნელს შერეოდა სიჩუმეში ღვარძლის მთესველად
და გაშიშვლებულ ძუძუებზე ურცხვად ესვენა,
სადინარში კი ვარდისფერი სისხლი მოჩქეფდა
და მკრთალდებოდა შემცივნებულ ციხე-კოშკებთან...

...წევს ბანოვანი სამეუფო თეთრ აკლდამაში,
სისხლის ტალღა კი დათარეშობს და დახალვათობს,
ჰა, დაიხუვლა, დაივიწყა რიდი, თავაზი
და შემზარავი ალტყინებით წართქვა: ალბათო
გულს შეუღონებს განსაცდელი ძვირფას ქალბატონს, —
თვალს რომ შეასწრებს საგანგაშო წრიალს და სრბოლას
და კვარს, რომელიც უსაშველოდ ხრჩოლავს და ბოლავს.

ახსოვს ქალბატონს ბევრი ჟამი, ბევრი დროება
და თვალთა მისთა — მრავლის მომსწრეთ, მრავლის მნახველთა —
დასიზმრებიათ ათასგვარი უმსგავსოება,
რომ მიაქცევდა არარსებულ წარმოსახვებთან
და ჯოჯოხეთურ ნება-სურვილს თავზე ახვევდა.
ეს კი რაღაა: მოჩვენება მოუხეშავი
წინ წარუდგა და შეაძრწუნა ჭირის დღესავით...

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეფრთხიალდა, როგორც ჩიტი, — თითქოს შფოთობს
ამ ყიამეთში უძნელდება ღამის გათევა,
თან სიბნელეში აჩრდილები მიდი-მოდიან, —
დაფეთებულმა წარმოსახვით ნაუცბათევად
გზა რომ მისცა და მყუდროება ფეხქვეშ გათელა,
თვალი განელტვის მოლანდებებს — ბნელს და უკადრისს —
გონი ბრაზობს და მომეტებულ საფრთხეს უქადის.

ჰა, შეცურდება ძუძუებში ხელი ანგარი
და სპილოსძვლისგან ამოძერწილ ციხე-გალავანს
დააცხრება და და-ცა-ლეწავს რკინის მანქანით
და უმანკო გულს სასიკვდილოდ მოწყლავს, განაღამც
შეიბრალებს და აარიდებს სასტიკ სანახავს!.. —
გააფთრებული გააფხავებს ხმალს და ჯევარდენს,
რომ ჩამორღვეულ გალავანში ზათქით შევარდეს.

არც თვალთმაქცობა მიაჩნია, რომ ვთქვათ, ერესად, —
ბუკს რომ დაჰკრავს და ხმალშემართულს ჟინი ერევა,
მტრის გამოხედვას წააწყდება უპირველესად
და დაატყვევებს ფერმიხდილი მისი მშვენება,
თუმც გულგრილობას იშველიებს მოსაჩვენებლად.
მანდილოსანს კი, — დაკვირვებამ როგორც გვაჩვენა, —
დიდად არ მოსწონს ამისთანა თავის აშვება.

„— შენი ბრალია!“ — ენა უსწრებს ჩვენს ცრუ ჰერკულესს:
„ვარდმა შენს გამო სილამაზის დასთმო სამეფო
და საკუთარი უმწეობა აუხერხულებს...
მშვენიერების ხელთუქმნელო ციხე-ქავებო,
მე მოგელტვოდით, გალავანი უნდა გამეპო,
მალე კარიბჭეს და-ცა-ვლეწავ, დავანაპრალებ,
რასაც შენს თვალებს, მოღალატე თვალებს ვაბრალებ...

მე რომ მყვედრი და ალშფოთებამ აგაქაქანა,
რად გავიწყდება საკუთარი თავის მხილება:
შენ ხომ შენივე სილამაზე გიგებს კაკანათს,
რომ დამყაბულდე, — ბედისწერამ ასე ინება, —
და მიითვალო ჩემეული გულაღტკინება:
მას აოკებდა ნებისყოფა, მაგრამ ნახვისას
შენმა მშვენებამ ხელმეორედ გამოაღვიძა.

ო, რა ჯვარცმაა, ცდუნებაო, — რას შევესწარი:
ვარდი ეკლების თანადგომას იხდენს მეფურად,
თაფლის მოსურნეს იგერიებს ფუტკრის ნესტარი,
სურვილები კი თავკერძობის ჟინმა შებურა
და განუსჯელი ახირებით დაუნჯებულა,
თან ოცნებათა ტყვეობაში ისე ეფლობა,
დავიწყებია ყოველგვარი კანონმდებლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ სინდისი: — შეჩერდიო! — კვლავ მედავება,
მაბრალდებულებს, სახელს მიტეხს, მიდგენს სარჩელებს,
ვნების სიშლეგეს ელოდება თავშეკავება,
რასაც ცრემლი და სინანული ამრავალჯერებს,
მაგრამ ეს ცრემლი, სამწუხაროდ, ველარ მაჩერებს:
    შემართე ხელი, თავო ჩემო, მკლავი დაძაგრე,
    რომ ჩაიხვიო ეს სირცხვილი და სისაძაგლე!"

და ხმალს იშიშვლებს, — დამიხედეთ მკლავის სისხარტეს! —
ვით შევარდენი, ფრთებაწვდილი, გნოლს რომ ეწია
და სადაცაა სასიკვდილოდ ჩაუნისკარტებს...
ხმლის დანახვაზე, — ბანოვანთა როგორც წესია, —
უკუიქცა და ფერწასული კრთის ლუკრეცია,
    კრთის იადონი, — სისხლიანი ღამის ფრთოსანი
    ზარს უწკარუნებს დაგეშილი მიმინოსავით.

„— სჯობს დამნებდეო!" — დაბლვერილი ლამის აგინებს:
„ჩემს შეგონებას ამთავითვე თუ არ ირწმუნებ,
წესს აგიგებ და თავწაკვეთილ მოჯამაგირეს
მაგ საწოლშივე იმდაგვარად შემოგიცურებ,
რომ, შელანძღული, ხელმეორე სიკვდილს ისურვებ;
    მერე ფიცი და მისი ჯანი: „ორთავ დავხოცე,
    რომ ამეკვეთა არნახული ეს სიავხორცე!.."

შენი ქმარი კი დარცხვენილი გამოვა ღამ-ღამ
და, როგორც წყევლა, გაოგნება, როგორც შეცდომა,
სამარადისოდ დაეჭდევა სირცხვილის დამღა...
ნათესაობა რასაც იზამს, — ალბათ გეცნობა,
შთამომავლობას შეაძრწუნებს ეს გარეწრობა
    და სალანძღავად გამზადებულ ბრტყელ-ბრტყელ ციტატებს
    ხელს შეაშველებს წვრილფეხობა და აიტატებს...

მაგრამ შეგიტკბობ, სიტკბოება შენც თუ გენება,
დიდ მიზანს ახლავს მცირე მარცხი, — მე რას გასწავლით! —
უთქმელი ცოდვა არცოდვაა, მოგეხსენება,
ხორცს ვერ შეისხამს უშედეგო განზრახვასავით.
ზოგჯერ წმინდა ხსნარს ამაგრებენ გესლის ნაზავით,
    ხოლო საწამლავს, — რაიმეთი თუ არ შეფერხდი, —
    მოუხდენია უებარი წამლის ეფექტი.

ეჰ, დამყოლოდი უნდობლობის უარსაყოფად,
შენს საწყალ ქმარ-შვილს სავალალოდ რომ არ ჰქონოდა
ცოდვა, რომელიც შეარყევდა შენს ბნელ სარკოფაგს,
ბიწი, რომელშიც ჩაკირული უკანონობა
თვით მონობასაც დაჩრდილავდა, თუმცა მონობა
    თანდაყოლილი სასჯელია, — გვერდს ვერ აუვლი, —
    და არა ვინმეს პიროვნული დანაშაული".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვერპლს აჩერდება ბასილისკო უკუღმართულად,
ვროის ლუკრეცია სათნოების მშვენიერ ხატად,
თითქოს არწივი ირემლალის ძიძგნით გართულა
ამ უკაცრიელ უდაბნოში, — ჯიქურ და ცხადად
განუკითხავი გულქვაობა ბატონობს სადაც
და მოსამართლის ჩირაღდანიც და კვეს-აბედიც
ემორჩილება გველეშაპის ჟინს და აპეტიტს.

ცა რომ გრგვინავს და ქვესკნელიდან გრიგალს იზიდავს
და ბორგნეული ალტყინებით, როგორც აფთარი,
ჯანღს ერეკება ზენაართა საცხოვრისიდან,
რომ პოსეიდონს დაუოკოს გულისფართქალი, —
სწორედ ასევე — ლუკრეციას ტკბილი ნათქვამი
კაცს უჩვეულო გრძნეულებით ათილისმებდა, —
თითქოს პლუტონი ორფეოსის ძახილს ისმენდა...

მაგრამ ეს კატა, — თაგუნაზე თავის ონავარ
ჟინს რომ იკლავს და ათამაშებს ასე ლიზღურად, —
ქალის სიტყვებმა ერთიანად დაიმონავა:
მე შენ გეტყვი და, პირისწყალი უმალ ისხურა,
ან განწირულ სულს რაიმეთი უგულისყურა! —
ქვასაც მოალბობს ქალის ცრემლი, მას კი კაცობა
მთლად აუმძუვნა, — გააშმაგა და გააცოფა.

უმზერს ქალი და ებინდება ისევ თვალები,
ამ გულქვაობით შეძრწუნებულს ცრემლი ერევა,
მოკრძალებულ ტონს ანგელოზის სევდანარევი
ოხვრით ამკობს და ალამაზებს მისი მშვენება,
თან ლაპარაკში პაუზებიც წაეშველება,
რომ მეტყველებაა მიანიჭოს მეტი მჭევრობა
და ხმას მიაგოს სათანადო თანმიმდევრობა.

აფიცებს ცას და სიყვარულის ყოვლისმძლეობას,
ძმადნაფიცობას, მეგობრობას, რაც თვით ინდომა,
გვარიშვილობას, წარჩინებას, იმ ძველ ზნეობას, —
ბეჭდად რომ აზის ვაჟკაცობა და რაინდობა, —
ალთქმას, — ლოცვის ჟამს სასოებით რომ გაინდობა, —
უფალს ნუ სცოდავს, მიუბრუნდეს თავის სარეცელს,
ჭკუას უხმოს და დაეთხოვოს ამ სიგარეწრეს.

— ასე უხდიო — ეკითხება — სამაგიეროს
წყაროს, რომელმაც თავანკარა წყალი გასმია?
თუ სიკეთის მქნელს საზღაურად უნდა მიეგოს,
რაც კი ამქვეყნად ბოროტება და სარკაზმია!
ვხედავ — მშვილდია მოზიდული, მაგრამ საზრიან
კაცს შეუძლია ისულგრძელოს, იდარბაისლოს,
მყვირალობის ჟამს ფურირემი რომ არ დაისროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენს მახეში მოტყუებით რატომ გავება,
შენი მეგობრის ცოლი მქვია, — ნადი, შემეშვი!
რიდი გმართებს და რაინდული თავშეკავება...
ეჰ, შემძლებოდა, — ხალმობათა ამონთხევებში
ერთი სულთქმით და ამოოხვრით ბანზე შემესვი!
ზოგჯერ ცრემლითაც მოარჯულებს ვაჟკაცს დიაცი,
შენ კი რად მითრევ ამისთანა ტრაგედიაში?

ცრემლების ზღვა კი ეხეთქება მთებს და ქარაფებს,
რომ პიტალო კლდე წამოაგოს თავის ანკესებს,
ხან ბნელ ნაკადებს მლოცველივით ალაპარაკებს,
ხან ნაპირისკენ გააფთრებულ ტალღებს ამწესებს
და კლდის ჯებირებს ანაპრალებს და ანამცეცებს...
თუ მობაძვაა, დალოცვილო, ამ კლდეს მობაძე,
მისებრ რომ მოლბე განწირულის თანალმობაზე.

სხვას ვფიქრობდი და სხვა ყოფილხარ: მაგ შენს მხეცობას
შენ ტარკვინიუსს მიაწერდი, მივხვდი გვიანღა;
ვფიცავ ზეცას და ზენაართა ზესთა-ზესობას,
რომ შენ უნდო და უსირცხვილო თვითმარქვია ხარ...
მეფე მეგონე, მეფედ გრაცხდი, — შენში, დიახაც,
მეფის საკადრი საქციელი მსურდა მეპოვა,
მაგრამ ვინა სთქვა ავაზაკის მეფეთ-მეფობა?

ეგ გაზაფხულის მღვრიე თესლი, დღეს რომ დაგცოფა,
ვერც სიბერეში დაგიხვავებს ოქროს საზოდეს,
უფლისწულობის უტიფრობა და თვალთმაქცობა
ვერ განელდება მეფობისას ველარასოდეს,
მაშ, განერიდე ბოროტებას: უნდა გახსოვდეს —
ქვეყნის განმგებელს საუკუნო დამღად ეყოფა
ხელქვეითების სითავხედე და უკმეხობა.

შიში შეიქმსო სიყვარულსა! — ამგვარ იერიშს
სჯობდა, პირიქით, სიყვარულით შიში გეშობა,
ვით შეგაძრწუნებს გულმანკობა გულმანკიერის,
თავად თუ გბოჭავს საქციელის უარესობა
და ათასგვარი ცოდო-ბრალი გულზე გესობა?..
ან განვედ, განვედ: შენ მეფე ხარ! — და ჩვენ სარკისებრ
ვირეკლავთ ყოველს, რასაც იხვეჭ თუ ისაკლისებ.

ნუთუ ვნებათა საბულრაოდ თავი გეთმობა,
თუ, როგორ ფიქრობ, ბოროტებას აუთავდები,
რომ აირეკლო თვალთმაქცობა და იქედნობა —
ცოდო-ბრალის და ათასგვარი ბიწის თავდები?
ან — თავი მიტომ დაიმდაბლე, რათა ამდენი
უსინდისობით ამაღლებულ სულთან გეომა
და შუამავლად მოგეწვია სულმოკლეობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სარდალი ხარ, დაამტკიცე შენი სარდლობა,
ვიდრე ვნებათა აზვირთება და აჯანყება
და მახვილივით შემართული უსამართლობა
მაგ დამძიმებულ გულისგულში მთლად არ ჩალღვება.
თუმც გამარჯვება რანაირად გაიჩალხება,
    როცა დღის ნათელს ადუხჭირებს მზის სიცოტავე
    და მანკიერი სურვილები ურცხვად სცოდავენ.

ეს რომ სხვას ექნა, დაუსტვენდი ამ ცრუ სპექტაკლებს,
ასეა, ასე: ჩვენს ბნელ ზრახვებს, ჩვენს ბნელ დინებებს
ვასურათხატებთ ვით სიწმინდეს და სისპეტაკეს
და მხოლოდ იმ ხენს წარმოვაჩენთ, სხვებს რომ ინელებს —
ვით შეცოდებას უსასტიკესს, მომაკვდინებელს.
სხვებს რომ კილავენ, იმათ სულში, — მე რომ ჩავხედე,
სულმოკლეობა მეცნაურა და სითა ხედე.

აწ ხელაწვდილი შეგავედრებ ცას და ბუნებას, —
დასთმე ჟინი და ავხორცობა, რაც სულს ევნება,
კვლავ ჩაეჭიდე უკუქცეულ დიდებულებას,
რომ მოახერხო მეფობაზე თვალის შევლება
და მიითვალო უსულგულო ფარისევლებად
    ვნება, წადილი, დაბნედილი თვალის სიბეცე
    და შემოიქცე სულისმიერ სინატიფეზე!.."

„ვერა, ვერ დაშრეტ, — ამბობს კაცი— ცეცხლს ამალამდელს.
ზღვას რომ შებოჭავ, გაშმაგდება, მეტ ცოფს გაურევს,
სანთელს ანელებს ქარიშხალი, ცეცხლს კი აღანთებს,
ხოლო მდინარე ოკეანის ბნელ საწყაულებს
საზრდოს უწყავს და საზღაურსაც უნაზღაურებს,
    წყალს მოაგელვებს, მობუღრაობს, ბორგავს, არ ცხრება,
    ზღვა კი კვლავ ზღვაობს მარილების გაუქარწყლებლად".

„შენ მართლაც ზღვა ხარ, — ეუბნება ქალი ალალად, —
და მთელი შენი სიწრფოება, შენი სიკეთე
ბნელ ნაკადულებს შეატოვე შესაბღალავად;
სისხლი მიეც და უხამსობის სისასტიკეზე
სიკეთისა და სათნოების კარი მიკეტე...
    უნდა მოგეშთო გუბის წყალი, მან კი, პირიქით,
    გადაგძალა და გადაგევლო სიცილ-ქილიკით...

თვით აღზევდება, შენ კი დაგცემს და მოგაოთხებს,
შენ დაგიმონებს, გამეფებას თავად ეცდება,
შენ გეჰენიას დაგიმკვიდრებს, თვით კი სამოთხეს,
როგორც ჰკარნახობს მდაბიორის ტლანქი წესდება,
მაგრამ კნინია ულირსობა, ვერ ასკეცდება:
    ბუჩქი ალვას რომ ეტოქება, რწყილი — აქილევსს,
    დამარცხდება და დამარცხებას ნუ ითაკილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ, მოგეშთო საწადელი!“ — „მორჩი, გეყოფა:
დამყევ, არა და — მომიცია აღთქმა სამკეცი,
კოცნის მაგიერ დაგატყდება მეხთატეხობა,
ბორგნეულივით მოგისროლის ხელი — ანკესი
და შენს ლამაზ თავს — ავხორცობის ამ სიტლანქეში —
ვინმე ბოგანო მეჯინიბეს მივგვრი საძილედ,
სხვა კი თქვენ იცით — სარეცელი გაინაწილეთ!..“

კვარს ფეხი გაჰკრა, — ეზიზღება ავსულს სინათლე —
და, როს შავბნელმა სურვილებმა ბნელში შესტოპეს,
მსხვერპლს დაეძგერა, როგორც მგელი, და მაშინათვე
გზა გადაუხსნა ჯერარნახულ ამ სიდესპოტეს
და კივილის ხმა ძეხორციელს რომ არ ესმოდეს, —
ამოუქოლავს ყველა სარკმელს, ყველა საყუდარს
და კრავის ძახილს კრავისავე ყელში ჩაგუდავს.

ქალს დაითრევს და სალამური თეთრი სამოსლით
პირთ ჩაუჩურთავს თავისივე ტკივილს და ვარამს,
თავს არ იტკიებს დიალოგზე გასვლა-გამოსვლით,
არც ალტკინებას ისაკლისებს არამც და არამც
და ავხორცული საწადელით სარეცელს ბღალავს...
უმანკო ცრემლო, ბიწისაგან კაცს რომ იცავდე,
არ დაცხრებოდი უკუნითი უკუნისამდე!..

ჩაქრა სიწმინდე ტყვეობაში ამ სოდომისტის,
კაცსაც ჩაუცხრა ვნებათღელვა და გაფიცხება
და, ნაომარი, ემზადება სულ სხვა ომისთვის,
რადგან ფიქრი და სინანული მერე იწყება
ყინდაშრეტილი მხურვალების შესაზიზღებლად:
ღარიბი იყო, სიღარიბე უფრო მოება,
თუმც სალაროდან წარიტაცა უბიწოება.

როგორც მელია დასუნსულებს სამუხანათოდ,
შევარდენი კი ნანადირევს კორტნის უძლებად,
ბოლოს ძღება და, მოდუნებულს, გეში ღალატობს,
მსხვერპლის წადილიც უნელდება და ჩაუცხრება, —
ტარკვინიუსიც თავის საქმეს ასე უძღვება:
ნუგბარი კერძი ენა-პირმა, — როგორც ენებათ, —
ამოთქვლიფეს და ჩაუძახეს მოსანელებლად.

უსაშველოა მისი ტანჯვა: თვალს რომ აკვესებს,
რა ამოხაპავს ამოდენა ცოდვის ნახელავს?
და ამოარწყევს დატაცებულ დელიკატესებს
და თავისივე სისაძაგლეს ზიზღით დახედავს,
მაგრამ ვინ შეძლებს ქედმაღლობის დაარტახებას,
თუმც, რახანია, ჩაიჩოქა ვნების ულაყმა
და გახრეკილი ჯაგლაგივით გდია გულაღმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გატანჯეს სურვილებმა და გადაქანცეს,
თქვან დაწრეტილმა სახეპირმა, მკრთალმა ღაწვებმა,
მაინც მიელტვის ალტკინება იმ ძველ საგანძეს,
თუმც, გაკოტრებულს, უმწეობის ბოლმა აწვება
და უნელდება უნიათო ზეალტაცება:
ჩამცხრალა ჯანყი, ცეცხლი ქრება, ვნება წყალდება
და ხორცი ითხოვს — აპატიონ ცოდვა-ბრალდება...

ეს დაემართა ტარკვინიუსს: ბედმა ინება,
ავხორცობისთვის ალეტკინა ვნების ხანძარი
და თავისათვის დაედგინა, ვით განჩინება,
სასჯელი რამე — სამარცხვინო და შემლანძლავი;
შელახულია მშვენიერი სულის ტაძარი
და ნანგრევებში ოინბაზობს ბრბო უბილწესად —
რა განწყობაზე ბრძანდებაო ჩვენი პრინცესა?

პასუხობს სული: „სათნოება ჩალად შეფასდა,
ბჭე ჩამომექცა, გალავნები ფეხქვეშ მომებნა,
წილს რომ ვიყრიდი ანგელოსურ უკვდავებასთან,
მოკვდაობაზე მომაქციეს ქვეშევრდომებმა
და რა ვიცოდი — ბედისწერა ბნელში მტოვებდა!..
თუმცა გუმანი მაფრთხილებდა, ეჭვი მარკვევდა, —
ვერ ავიცილე დღევანდელი სასოწარკვეთა".

მიდის ღამეში, მპარავივით მიილანდება —
მონაც, ბატონიც, დაძლეულიც და მძლეც იმავ დროს,
ჭრილობასავით დაჭდევია მძიმე ბრალდება
და საპყარივით ღონემიხდილს და უსინათლოს
არ უწერია განკურნება, ბევრიც ინატროს.
თავს შეატოვა შეცოდება, ქალს კი ორჭოფად
შექანებული წარმოსახვა და ავხორცობა.

კაცი მგელს ჰბაძავს, ესეც კმარა ალბათ მიზეზად —
ქალი კრავს ჰგავდეს, წამდაუწუმ მგლის რომ ეშინის,
კაცი შუბლს იკრავს, დედაკაცი გულ-მკერდს იწეწავს —
თვითგვემისათვის შემართული და დაგეშილი,
კაცს სიმწრის ოფლი სახეპირზე ასხამს თქეშივით,
დედაკაცი კი მიანიშნებს ბინძურ დამღაზე, —
რად მომკვეთეო ცხოვრებიდან და გადამხაზე!

და გადის კაცი დამთრგუნველი ფერისცვალებით,
ქალს კი ავს უგრძნობს უსიამო ფიქრი მისნური,
კაცი მზის ნათელს შეჰფოფინებს ხარბი თვალებით,
ქალი ბნელს ელტვის მწუხარებით გულდაისრული:
თუ განთიადი წარმოჩნდაო მთელი სისრულით,
ვით შეიძლოსო თვალთმაქცობამ თავაშვებულმა
უმანკოების საბურველში ჩემი შებურვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, ჩალღვეს, ჩალღვეს სიბნელეში გრძნობა უღირსი,
რომ შეცოდება — მარტოხელა და ცალუღელა
დარჩეს თავისთვის გამოუთქმელ მოთქმა-წუხილში,
ვიდრე ღამეულ საიდუმლოს მზემ არ უყელა
და სათითაოდ გაამჟღავნა მწიკვლი სუყველა,
რაც ქვებუდანმა ჩააფრქვია ჩემს სულს უტიფრად
და სამუდამოდ ჩაუძერწა და ჩაუტვიფრა.

სიმშვიდისა და სასოების ვერლა მჭვრეტელი —
ველარაოდეს ვეწევიო სასიამო დღეს!
გულს განუმზადა მტკივნეული განსაწმედელი,
ვინძლო ეს გული, ფენიქსივით, ციმციმ წამოდგეს
და ხელმეორედ მიაშუროს ცას და სამოთხეს...
და ცრემლიანი აღტყინებით, ბედს რომ ემდურის,
ღამის სიბნელეს დააწია ხმა საყვედურის:

„ღამევ, იმედის დამთრგუნველო, ხატო ბნელეთის,
ღვარძლის გრაგნილო, გულს რომ გვიკლავ და რომ გვაოსებ,
წყევლის არენავ, ასპარეზო საშინელების,
ბნელში რომ ითრევ ცოდო-ბრალის მღვრიე ქაოსებს
და დაუნდობლად მიგვაქროლებ სასაკლაოზე, —
სიკვდილის ბუდევ, ქვებუდანო წარუბაძველო,
მოღალატევ და მოძალადევ, სულ რომ მძარცველობ,

ბინდის მესიტყვევ, უკუნეთის მემატიანევ,
შემზავებელო უხამსობის მღვრიე საზავით, —
ჰელიოსისკენ მიაქროლებ ბნელს და ყიამეთს,
რომ სვლა ჟამისა შეაფერხო უკუსვლასავით,
მაგრამ თუ მაინც გამოიხმობ დისკოს აღსავლით, —
ოქროს ჯილაზე მოეხვევი ღრუბლის თავთავად
და დააცხრები მწუხარების მოსაბლანდავად.

მაშ, შეარწყიე სიბინძურე შენი კათხების
სადაფიონოდ შეღერებულ მზეს და საფირონს,
რომ მოქანცული შარავანდი ნაშუადღევის
მზეს შეეჩეხოს უბოლოოს, უსანაპიროს
და საკუთარი სილამაზე მტვერში ჩაფინოს,
და, სადაც სხივთა სამარეა უაკლდამებო,
დააკანონე მარადისი ბინდის სამეფო.

რომ დაჰყოლოდა ტარკვინიუსს ძალა ღამისა,
წაიშლებოდა სამუდამოდ ცისკრის სახელი
და განთიადის სეფექალებს, შესაბამისად,
შეაჭირვებდა უმზეობის შავი ნაღველი
და მწუხარების მირიადი თანამზრახველი
მომიფონებდა, მომიკლავდა ტკივილს ტკივილით
პილიგრიმებთან განდობილი პილიგრიმივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარტო ვზი აიბნელეში და ვიწყევლები,
ვის შეუძლია უნუგეშო ცეცხლის ჩაქრობა,
ვის შეუძლია გამინელოს ცხარე ცრემლები,
რაც დედამიწის დასალტობად გულმა აგროვა, —
და განბილება, სიავხორცე და საძაგლობა
ამ მწუხარების საუფლოში ერთურთს შევტირით
მარადისობის მგლოვიარე მონუმენტივით.

ღამევ — ღუმელო ჭვარტლიანო, ბილწო მაცილო,
მაგ უნაპირო წყვდიადიდან, — ცას რომ ეცობა, —
დღის სინათლეზე არასოდეს წარმოაჩინო
კადნიერებით აღჭურვილი უბილწესობა
და — რომ გაჭირდეს მავანთათვის მისი შეცნობა, —
ცოდვა, რომელიც დაცულია შენი საცავით,
შავი კალთის ქვეშ ჩაიხვიე აკლდამასავით.

დღის შუქს არ მისცე საჭორაო, სამუსაიფო,
თორემ, — ცისკარი კუნაპეტმა თუ არ დანისლა,
ყველა გაიგებს — ძალადობით როგორ გაიპო
ხელუხლებლობა საქორწინო ზენაარისა
და სათნოება უხამსობამ როგორ დარისხა...
მერე მოდგეს და — ყველა ხეპრემ, ყველა უვიცმა
გააქილიკოს შელანძღული ჩემი გულისთქმა.

ტარკვინიუსით დააშინებს ბალღებს გამდელი,
ორატორებს კი ტრაგედია, — მე რომ ვეაწრები, —
და ლუკრეციას გაბახება ამაღამდელი
დასაგესლავად შემორჩებათ, როგორც ნესტრები
და დაამღერებს ვინმე ბარდი და მენესტრელი —
ტარკვინიუსი ვნებისაგან როგორ ატირდა,
როგორ შესცოდა მან ჩემთან და მე — კოლატინთან.

ან გევედრებით, ღვთაებებო, — ვინძლო ინებოთ,
რომ ჩვენს სიყვარულს დაებედოს ხინჯი ნაკლებად,
ვიცი — ვერ გაძლებს სამართალი უგანჩინებოდ,
თუმცა ხანდახან უცოდველი ყლორტიც ჩაქრება
და მიზეზ-მიზეზ ისეთები დაიჩაგრება,
ვისაც მოსდგამდა ურყეობა ქვის და ფოლადის, —
როგორც გვიყვარდა ერთმანეთი მე და კოლატინს.

სირცხვილის ლანდო, მოარულო აღმა და დაღმა,
წყლულო, რომელშიც ცოდო-ბრალი ომს არ მიუძღვის, —
დაჭდეულია კოლატინზე წყეული დამღა,
რასაც კვერს უკრავს თვალთახედვა ტარკვინიუსის
და არკი იცის — მოსამართლე ვის რას მიუსჯის:
მომხდარა ხშირად: განაჩენზე საქმე მიდგება,
ჩვენ კი ცოდვების არაფერი მოგვეკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღირსს ღირსება გაუთხვრია და გაუზანგავს,
მე კი, კოლატინ, დამითმია ჩემი წარსული
და საფუტკრეში ვაპარპაშებ ბზიკს და ბუზანკალს,
რომ შემოდგომის კვირაძალზე, როგორც ჯვარცმული,
ვდგე სიტკბოება-დაწრეტილი და განძარცული,
სკა კი ობლად დგას — გარუჯული და ნათუთქარი,
თაფლში ბანაობს მუქთახორა მამა ფუტკარი.

ვიცი, — ბრალი მაქვს, დაგიმძიმე ზნე და გუნება,
მაგრამ მე შენგნით შევიტკბობდი შლეგს და უბირსაც,
ესეც არ იყოს — სახლიკაცის გამობრუნება
მესახებოდა ოჯახისთვის ცოტა უღირსად,
თან გავურბოდი უმიზეზო ღელვა-დუღილსაც...
მაგრამ, ვაი რომ, თვალთმაქცები თავს გაბეზრებენ
და თავი მოაქვს ანგელოზად ქაჯს და ბელზებელს.

თუმცა რა უნდა ჭიალუას ვარდის კოკორთან,
რად ძალმომრეობს ბეღურასთან გულქვა გუგული,
წყაროს რად შეჰყეფს ბაყაყების მთელი კოჰორტა,
რას ემართლება სათნოებას ღამის უკუნი,
ან ტირანია — ტყუილებში გამოხუხული?
ან ცოდო-ბრალის პაექრობა რად არ ილევა, —
მაგრამ სად არის სრულყოფილი სრულყოფილება?

ინგლისურიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლევ ტროცკი

# სტალინი

●

თვითონ სტალინი ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება წინ გადაეწია ბოლშევიკად გახდომის თარიღი. იგი არ კმაყოფილდება იმის მტკიცებით, რომ ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას მიემხრო ბოლშევიკებს და 1924 წელს კრემლის სამხედრო კურსანტების მიერ მოწყობილ საღამოზე ყვება, რომ ლენინთან კავშირი პირველი გადასახლებისას დაამყარა.

„ამხ. ლენინი 1903 წელს გავიცანი, თუმცა არა პირადად, არამედ დაუსწრებლად, მიმოწერით. მიუხედავად ამისა, მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომელსაც არ დევუტოვებივარ პარტიაში მთელი ჩემი შემდგომი მუშაობის მანძილზე. მაშინ მე ციმბირში გადასახლებაში ვიყავი. ამხ. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის გაცნობამ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით 1901 წელს ჩატარებულმა მუშაობამ, როცა გაზეთი „ისკრა" დაარსდა, მიმიყვანა დასკვნამდე, რომ ამხ. ლენინის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად არაჩვეულებრივ პიროვნებასთან. მაშინ ის ჩემს თვალში პარტიის უბრალო ხელმძღვანელი კი არ იყო, არამედ მისი ფაქტობრივი შემქმნელი, რამდენადაც მას ერთადერთს ესმოდა ბოლომდე პარტიის შინაგანი არსი და გადაუდებელი ამოცანები. როცა მას ჩვენი პარტიის სხვა ხელმძღვანელებს ვადარებდი, სულ მეჩვენებოდა, რომ ამხ. ლენინის თანამებრძოლები — პლეხანოვი, მარტოვი, აქსელროდი და სხვები მასზე მთელი თავით დაბლა იდგნენ, რომ ამხ. ლენინი უბრალოდ ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი არ არის, არამედ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელია, მთის არწივი, რომელმაც ბრძოლის დროს არ იცის, რა არის შიში და გაბედულად მიჰყავს პარტია წინ, რუსული რევოლუციური მოძრაობის გაუკვალავი გზებით.

ეს შთაბეჭდილება იმდენად ღრმად აღიბეჭდა ჩემს სულში, რომ გამიჩნდა მოთხოვნილება, ყოველ [illegible] მიმეწერა მის შესახებ ჩემი ერთი ახლო მეგობრისათვის, რომელიც ემიგრაციაში იმყოფებოდა, ამასთან, მეგობარს ვთხოვდი, გამომხმაურებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მე უკვე ციმბირში ვიყავი გადასახლებული, — ეს იყო 1903 წლის ბოლოს, — მივიღე ჩემი მეგობრის აღფრთოვანებული პასუხი და უბრალო, მაგრამ ღრმაშინაარსიანი წერილი ამხ. ლენინისა, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩემმა მეგობარმა აჩვენა ჩემი ბარათი. ამხ. ლენინის მოცულობით პატარა წერილში მოცემული იყო ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედული კრიტიკა და უახლოეს ხანებში მის მიერ ჩასატარებელი სამუშაოების ზუსტი, ამომწურავი მოხაზულობა. მხოლოდ ლენინს შეეძლო ეწერა ყველაზე ბუნდოვან და აბურდულ საკითხებზე ასე ნათლად და გასაგებად, მოკლედ და გაბედულად, როცა თითოეული ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ისვრის. ამ უბრალო და გაბედულმა წერილმა კიდევ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ ლენინის სახით ჩვენს პარტიას მყავს მთის არწივი. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ ლენინის ეს წერილი, როგორც მრავალი სხვაც, ძველი იატაკქვეშელის ჩვეულებისამებრ, დასაწვავად გავიმეტე. აი, ამ დროიდან იწყება ჩემი ნაცნობობა ამხ. ლენინთან".

ამ ამბავში, რომელიც თავისი ფსიქოლოგიური და სტილისტური პრიმიტიულობით ასე დამახასიათებელია სტალინისათვის, ქრონოლოგიაც კი არეულია. კობა 1903 წელს გადაასახლეს. ძნელი გასაგებია, საიდან და როგორ გაუგზავნა მან წერილი „ერთ-ერთ ახლო მეგობარს" საზღვარგარეთ, რადგან გადასახლებამდე მთელი წელიწადნახევარი ციხეში იყო. გადასახლებულებმა წინასწარ არასოდეს იცოდნენ, რომელ ადგილზე გაამწესებდნენ, ასე რომ, კობა ვერ შეძლებდა, ეცნობებინა ციმბირის მისამართი თავისი საზღვარგარეთ მყოფი მეგობრისათვის და მოეხწრო

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ამ ნიადაგზე, რადგან იქ [illegible].

[illegible] სტალინის ბიოგრაფიის მიხედვით, ლენინის წერილი არ იყო კერძო ხასიათისა, იგი [illegible] გაეგზავნათ. ამ ხანის წერილებს კი კრუპსკაია აგზავნიდა და ორიგინალებს საზღვარგარეთის არქივში ინახავდა. არა მგონია, რომ ახალგაზრდა კავკასიელის მიმართ გამონაკლისი დაეშვათ, არქივში კი არ არის ამ წერილის ორიგინალი, რომლის ასლიც, „ძველი იატაკქვეშელის ჩვენებებიდან“ (ამ დროისათვის ის ზუსტად 24 წლისაა), კობამ დაწვა. ყველაზე საოცარი მაინც ის არის, რომ სტალინი არსად არ ახსენებს ლენინისადმი გაგზავნილ საპასუხო ბარათს. მისი სიტყვით, გაღმერთებული ბელადისაგან წერილის მიღების შემდეგ კობა, რასაკვირველია, მაშინვე [illegible] მას. სტალინი კი ამის შესახებ დუმს და ეს დუმილი არ არის შემთხვევითი. ლენინის და კრუპსკაიას არქივში [illegible], თუ დავუშვებთ, რომ წერილი პოლიციამ ჩაიგდო ხელთ, მისი ასლი [illegible] უნდა ეყოს პოლიციის დეპარტამენტის საქაღალდეებში, საბჭოთა ბეჭდვითი ორგანოები კი დიდი ხნის წინ გამოაქვეყნებდნენ მას. და ბოლოს, შეუძლებელია მიმოწერა ამით დამთავრებულიყო. ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდა პარტიის ბელადთან, „მთის არწივთან“ მიღწეულ ურთიერთობას. თავის მხრივ, ლენინი ძალზე აფასებდა რუსეთთან ყოველი სახის კავშირს და აკურატულად პასუხობდა თითოეულ წერილს. არადა, ლენინსა და კობას შორის იმ წლებში, როგორც ვხედავთ, არავითარი მიმოწერა არ გაჩაღებულა. ამ ამბავში ყველაფერი გაუგებარია, გარდა მისი მიზნისა.

თუ ბოლო, ავადმყოფობის წლებს არ ჩავთვლით, ლენინის ცხოვრებაში უმძიმესია 1904 წელი. საკუთარი სურვილის მიუხედავად, ლენინმა კავშირი გაწყვიტა რუსული სოციალ-დემოკრატიის ყველა გამოჩენილ მოღვაწესთან და [illegible] ვერ შეხვდა ვინმე ისეთს, მის გუშინდელ თანამოაზრეებს რომ შეეცვალა. თანდათანობით იკრიბებოდნენ ბოლშევიკი ლიტერატორები, მაგრამ ისინი „ისკრის“ რედაქტორებს დიდად ჩამოუვარდებოდნენ. ლიადოვი, ამ დროის ერთ-ერთი აქტიური ბოლშევიკი, რომელიც 1904 წელს ლენინთან, ჟენევაში იმყოფებოდა, 20 წლის შემდეგ უყვებოდა: „ჩამოვიდნენ ოლმინსკი, ვოროვსკი, ბოგდანოვი... ველოდით ლუნაჩარსკისაც. ბოგდანოვი არწმუნებდა, რომ ეს უკანასკნელი ჩამოსვლისთანავე შემოგვიერთდებოდა“.

ყველა ისინი გადასახლებიდან ბრუნდებოდნენ. მათ შესახებ წინასწარ იცოდნენ და, როგორც ვხედავთ, ელოდნენ კიდეც. კობა კი ფრაქციული გაზეთის მომზადებისას არავის უხსენებია, არადა, მას ახლა იმ დროისათვის უკვე ცნობილ ბოლშევიკ მოღვაწედ ხატავენ.

22 დეკემბერს, როგორც იქნა, ჟენევაში გამოდის გაზეთ „ვპერიოდ“-ის პირველი ნომერი. [illegible] არავითარი საერთო არ ჰქონია და არც რედაქციის [illegible]. გაზეთში არც მისი სტატიებია, არც კორესპონდენციები, ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, კობა რომ ნამდვილად ყოფილიყო კავკასიელი ბოლშევიკების ბელადი.

და ბოლოს, არაპირდაპირი საბუთებით მიღებული ჩვენი დასკვნის სასარგებლოდ მოგვეპოვება პირდაპირი დოკუმენტური ცნობაც. 1911 წელს იოსებ ჯუღაშვილის შესახებ დაწერილ ვრცელ და ძალზე საინტერესო ცნობაში თბილისის ოხრანკის განყოფილების უფროსი კარპოვი — ჩვენ მას კიდევ შევხვდებით — აღნიშნავს: „1903 წლიდან იგი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობს, ჯერ როგორც მენშევიკი, შემდეგ კი ბოლშევიკი“. კარპოვის ცნობა ერთადერთი დოკუმენტია, რომლითაც მტკიცდება, რომ განხეთქილების შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე სტალინი მენშევიკი იყო. 1925 წლის 23 დეკემბრის თბილისის გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წინდაუხედავად აქვეყნებს ამ ცნობას და ვერ ახერხებს ან ვერ ბედავს, დაურთოს მას რაიმე კომენტარი. ეჭვი არ შევეპაროთ, რედაქტორს ამისათვის გვარიანად მიეზღვებოდა. ჩვენთვის კი დიდად მნიშვნელოვანია, რომ თვით სტალინმა ვერ შეძლო ამ ფაქტის უარყოფა. შემდგომში პარტიის არც ერთი ბიოგრაფი ან ისტორიკოსი ამ ცნობას აღარ დაბრუნებია, მაშინ, როცა უსასრულოდ ხდებოდა ბევრად უფრო უმნიშვნელო საბუთების აღდგენა, ციტირება თუ ფოტოგრაფირება.

წუთით დავუშვათ, რომ თბილისის ჟანდარმერიამ, რომლის პირდაპირი მოვალეობა გახლდათ, ამ საქმეში სხვებზე უკეთ ყოფილიყო გარკვეული, მცდარი ცნობა გასცა. მაშინ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ მოხდა ასეთი გაუგებრობა? განა შეიძლებოდა ოხრანკის განყოფილებას არ სცოდნოდა, რომ, როგორც ახლა გვიმტკიცებენ, კობა კავკასიელი ბოლშევიკების მეთაური იყო? ასეთი შეცდომა კიდევ დასაშვები იქნებოდა, რომელიმე მწვანე ახალბედას ან მესამეხარისხოვანი მოღვაწის პოლიტიკური დახასიათებისას და არავითარ შემთხვევაში — „ბელადთან“ დაკავშირებით. აი, ასე ანგრევს ბეჭდვით ორგანოში შემთხვევით გაპარული ერთადერთი საბუთი დიდი წვალებით აღმართულ ოფიციალურ მითს. არადა, რამდენი ასეთი დოკუმენტია მზრუნველად ჩაკეტილი ცეცხლგამძლე კარადებში ანდა, პირიქით, უკვე მისცეს ცეცხლს.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ერთობ დიდი დრო და ძალა შევალიეთ ამ უბრალო დასკვნის საფუძვლიანობის დამტკიცებას: ბოლოს და ბოლოს, განა სულ ერთი არ არის, 1903 წელს მიემხრო კობა ბოლშევიკებს თუ 1905-ში? საქმე ის გახლავთ, რომ ამ უბრალო დასკვნას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ჩვენს წინაშე ამხელს კრემლის ისტორიოგრაფიისა და იკონოგრაფიის მექანიზმს, სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება სტალინის პოლიტიკური პორტრეტის დადგენისას.

იმათი უმეტესობა, ვინც მასზე წერს, კობას ბოლშევიზმის მხარეზე გადასვლას მიიჩნევს მისი ხასიათიდან გამომდინარე ბუნებრივ ქმედებად, რომელიც ამ ბუნების გათვალისწინებით, ასე ვთქვათ, თავისთავად იგულისხმება. შეუძლებელია, არ ვაღიაროთ ამ შეხედულების ცალმხრივობა. სიმტკიცე და გაბედულება განაპირობებს ბოლშევიკური მეთოდების მიღებას, მაგრამ ეს თვისებები სულაც არ არის საკმარისი. ძლიერი ხასიათის ადამიანები ჩვენ საკმაოდ გვხვდებიან მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს შორისაც. ამასთან, არცთუ ისე ცოტა რბილი ხასიათის ადამიანი იყო ბოლშევიკთა რიგებშიც. ბოლშევიზმი სულაც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფსიქოლოგიითა და ხასიათით, იგი, უპირველესად, ისტორიულ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ კონცეფციას წარმოადგენს. მუშები ხასიათის სიმტკიცისა და სირბილისაგან სრულიად დამოუკიდებლად, მთელი მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე — გარკვეული ისტორიული სიტუაციის შესაბამისად — ადგებიან ბოლშევიზმის გზას. რაც შეეხება ინტელიგენციას, მას ესაჭიროებოდა უნაკლო პოლიტიკური ალღო და თეორიული ცოდნა, ისტორიული პროცესის დიალექტიკისა და მშრომელი კლასის რევოლუციური თვისებების განსაკუთრებული ნდობა, რათა მტკიცედ დაეკავშირებინა თავისი ბედი ბოლშევიკური პარტიისათვის იმ დროს, როცა ბოლშევიზმი მხოლოდ ისტორიულ ანტიციპაციას წარმოადგენდა. ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, რომელიც ბოლშევიზმს რევოლუციური აღმავლობის ჟამს მიემხრო, მომდევნო წლებში დატოვა მისი რიგები.

კობას მიმხრობაც გაუჭირდა და კავშირის გაწყვეტაც. მას არ გააჩნდა არც თეორიული წარმოსახვა, არც ისტორიული ალღო და არც განჭვრეტის უნარი ისევე, როგორც მეორე მხრივ, მისი ბუნებისათვის სრულიად უცხო იყო ფუქსავატობა და დაუფიქრებლობა. კობას ინტელექტი ჩამოუვარდებოდა მისსავე ნებისყოფას. რთულ სიტუაციებში, ახალ ფაქტორებთან შეჯახებისას იგი ყოველთვის არჩევს მოითმინოს, მიუჩრდეს ან უკან დაიხიოს. ყველა იმ შემთხვევაში, სადაც მას მოუწევს არჩევანის გაკეთება იდეასა და აპარატს შორის, კობა უცვლელად გადაიხრება აპარატისაკენ. პროგრამამ თავისი ბიუროკრატიის შექმნა უნდა მოასწროს მანამ, სანამ იგი მისდამი პატივისცემით განიმსჭვალება. კობას ნატურა დაფუძნებულია როგორც მასების, ისე ცალკეული ადამიანებისადმი უნდობლობაზე, მასში ჩაბუდებული ემპირიზმი კი ყოველთვის ექაჩება იმ გზაზე, სადაც ნაკლები წინააღმდეგობაა. ამის გამოა, რომ ეს რევოლუციონერი, რომელსაც ასე მოკლე თვალთახედვა აქვს, ისტორიის ყველა დიდ მოსახვევში, როგორც წესი, ოპორტუნისტულ პოზიციას იჭერს, რომელიც არათუ ახლოებს მენშევიკებთან, ზოგჯერ მათგან მარჯვნივაც კი მიუჩენს ადგილს. ამასთან, მასზე მინდობილი ამოცანის გადასაჭრელად იგი უცვლელად იხრება ყველაზე გაბედული მოქმედებისაკენ. კარგად ორგანიზებული ძალადობა კობას ყველა სიტუაციაში მიაჩნია ორ წერტილს შორის უმოკლეს მანძილად. აქ ჩნდება ანალოგია. რუსი ტერორისტები, პირველ ყოვლისა, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები იყვნენ, მაგრამ მეტისმეტად გაბედულნი და შეუპოვარნი. თვითონ მარქსისტები იხსენიებენ მათ, როგორც „ყუმბარიან ლიბერალებს“. სტალინი იყო და რჩება „ოქროს შუალედის — პოლიტიკოსად, რომელიც, ამასთან, არასოდეს არავითარ უკიდურეს საშუალებებზე არ ამბობდა უარს, სტრატეგიულად იგი ოპორტუნისტია, ტაქტიკურად — „რევოლუციონერი“, ერთგვარი „ყუმბარიანი ოპორტუნისტი“. ჩვენ კიდევ ბევრჯერ მოგვეცემა საშუალება, მისი შემდგომი ცხოვრების გზის შესწავლით შევამოწმოთ ამ ფორმულის სისწორე.

სემინარიიდან წამოსული კობა მუშაობას იწყებს თბილისის ობსერვატორიაში, რაღაც ბუჰჰალტრის მსგავს მუშაკად. ძალზე დაბალი ხელფასის მიუხედავად, ეს ადგილი, ირემაშვილს თუ დავუჯერებთ, სოსოს მოსწონდა, რადგან საკმაო დრო რჩებოდა რევოლუციური მუშაობისათვის. „საკუთარ თავზე ყოველთვის ნაკლებად ზრუნავდა. მას არ გააჩნდა არავითარი მოთხოვნები ცხოვრებისადმი და მათ სოციალისტურ პრინციპებთან შეუთავსებლად მიიჩნევდა. საკმაოდ პატიოსანი იყო იმისათვის, რათა იდეისათვის შეეწირა ყოველივე პირადული“. კობა რჩებოდა სილატაკისადმი მიცემული იმ ფიცის ერთგული, რომელსაც უხმოდ და დაუფიქრებლად დებდნენ რევოლუციურ იატაკქვეშეთში მიმავალი ახალგაზრდები. ამასთან, ბავშვობას არ გაუნებივრებია იგი, როგორც ბევრი სხვა.

„მე რამდენჯერმე ვესტუმრე მის პატარა, ღატაკურად მოწყობილ ბინას მიხაილოვის ქუჩაზე, — ყვება შეუცვლელი „მეორე სოსო“. — კობას ყოველდღიურად უბრალო, შავი რუსული ბლუზა ეცვა და ეკეთა ყველა სოციალ-დემოკრატისათვის დამახასიათებელი წითელი ყელსახვევი. ზამთარში ყავისფერ ლაბადას მოიცვამდა ხოლმე, თავზე რუსული „კარტუზი“ ეხურა. მართალია, სემინარიიდან წამოსვლისას კობა ახალგაზრდა სემინარიელი მარქსისტების მეგობარი არ ყოფილა, მაგრამ ისინი დროდადრო ფულს და ნივთებს გადაინახავდნენ ხოლმე, რათა გაჭირვებისას გვერდში ამოდგომოდნენ მას“.

ბარბიუსი გვაცნობებს, რომ სემინარიიდან წამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, 1900 წლის იოსები სრულიად უსახსროდ დარჩა, „ამხანაგები საჭმლის შოვნაში ეხმარებოდნენ“. პოლიცი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კობა ობსერვატორიაში მუშაობდა 1901 წლის მარტამდე, ვიდრე იძულებული გახდებოდა, დამალულიყო. მაგრამ სამსახურიც, როგორც მოვისმინეთ, გაჭირვებით არჩენდა. „შემოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ კარგად ჩაცმის საშუალება არ ჰქონდა, — განაგრძობს ირემაშვილი. — მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რაც ებადა, იმ ტანსაცმლის მოწესრიგებისა და სუფთად შენახვის სურვილიც არ გააჩნდა, თითქმის ყოველთვის ჭუჭყიანი ფეხსაცმელი და ბლუზა ეცვა. ყველაფერი, რაც ბურჟუაზიას მოაგონებდა, მას სულის სიღრმემდე სძულდა". ჭუჭყიანი ჩალათი, გაუწმენდავი ფეხსაცმელი და დაუვარცხნელი თმა იყო ახალგაზრდა რევოლუციონერების საერთო ნიშანი, განსაკუთრებით პროვინციებში.

1901 წლის მარტში,, არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ, კობა საბოლოოდ გადაიქცა პროფესიონალ რევოლუციონერად; ამიერიდან მას აღარა აქვს სახელი, რამდენადაც უამრავი სახელი აქვს. სხვადასხვა დროს, ზოგჯერ კი ერთდროულად, მას ჰქვია: „დავითი", „კობა", „ნიჟარაძე", „ჩიჟიკოვი", „ივანოვიჩი", „სტალინი". ამ სახელის პარალელურად, თავის მხრივ, ჟანდარმებიც არ იშურებდნენ მეტსახელებს: მათგან ყველაზე გამძლე გამოდგა „ჩოფურა", რომელიც ნაყვავილარი სახის წყალობით შეარქვეს. ლეგალურ მდგომარეობას კობა ამიერიდან უბრუნდება მხოლოდ საპატიმროში ან გადასახლებაში, ე. ი. იატაკქვეშა მოღვაწეობის ორი სხვადასხვა პერიოდის შუალედებში.

„ერთდროულად ბევრ საქმეს არასოდეს ეპოტინებოდა, — იგონებს ახალგაზრდა სტალინს თავის შესწორებულ მოგონებებში ენუქიძე, — ყველა მისი ქმედება, შეხვედრები, მეგობრული კავშირები მიემართებოდა ერთი განსაზღვრული მიზნისაკენ... სტალინს არასოდეს უძებნია პოპულარობა". ეს მოტივი, რომელიც მეორდება მრავალ ოფიციალურ მოგონებაში, მიზნად ისახავს, ახსნას, რატომ იყო სტალინი ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე ხალხთა მასებისა და თვით პარტიის ფართო წრისათვისაც კი უცნობი. სიმართლეს არ შეეფერება, თითქოს სტალინი არ ეძებდა პოპულარობას, იგი ხარბად ეძებდა მას, მაგრამ ვერ იპოვა. პოპულარობის უქონლობამ ადრევე დაიწყო მისი სულის ღრღნა და, რადგან უნარი არ შესწევდა პირდაპირი შეტევით მოეპოვებინა დიდება, ეს აიძულებდა მის ძლიერ ნატურას, მოეძიებინა შემოვლითი და ოლროჩოლრო გზები.

კობა ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან ესწრაფოდა ადამიანებზე ზემოქმედების მიღწევას, რომელთა უმრავლესობა საკუთარ თავზე სუსტი ეჩვენებოდა. მაგრამ თვითონ იგი არ ყოფილა სხვებზე მეტად ჭკვიანი, განათლებული და მჭევრმეტყველი. მას არ გააჩნდა არც ერთი ის თვისება, რომლებიც ადამიანთა სიმპათიას იწვევენ. სამაგიეროდ, სხვებზე მდიდარი იყო ცივი სიჯიუტითა და პრაქტიკული გამჭრიახობით. იგი არ ემორჩილებოდა იმპულსებს, პირიქით, ყოველთვის უმორჩილებდა მათ ანგარიშიანობას და ეს თვისება ჯერ კიდევ სკოლის მერხზე გამოავლინა. „იოსები კითხვებზე, ჩვეულებრივ, დინჯად პასუხობდა, — წერს გლურჯიძე — საკითხი თუ ყოველმხრივ მოფიქრებული ჰქონდა, პასუხს იძლეოდა, თუ არა და, როგორღაც გააპიანურებდა ხოლმე". თუ ყურადღებას არ მივაქცევთ პასუხის „ყოველმხრივ მოფიქრებულობის" გადაჭარბებას, ამ სიტყვებით გადმოცემულია ახალგაზრდა სტალინის ერთობ დამახასიათებელი თვისება, რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა ახალგაზრდა რევოლუციონერთა წრეში. ამ წრის წევრების უმრავლესობა ხომ გულუბრყვილო, დიდსულოვანი და სულსწრაფი იყო.

უკვე ამ ადრეულ პერიოდში კობა ერთმანეთს უმხედრებს თავის მოწინააღმდეგეებს; სახელს უტეხს და ათასგვარ ინტრიგებში ხვევს იმათ, ვინც რაიმეთი აღემატება ან ეჩვენება, რომ დაბრკოლებას უქმნის მის წინსვლას. ახალგაზრდა სტალინის ზნეობრივი განურჩევლობა ქმნის ეჭვის ატმოსფეროს და ბოროტ ხმებს ავრცელებს მის შესახებ. სტალინს მიაწერენ ბევრ ისეთ რამეს, რაშიც დამნაშავე არ არის.

სოციალისტ-რევოლუციონერი ვერეშაკი, რომელთანაც კობას ციხეში მოუწია შეხვედრამ, 1928 წელს ემიგრაციაში წერდა, თითქოს იოსებ ჯუღაშვილმა სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ სასწავლებლის დირექტორს გაუგზავნა დასმენა, რომელშიც რევოლუციურ წრეში გაერთიანებულ მის სემინარიელ ამხანაგებზე იყო საუბარი. როცა იოსები იძულებული შეიქმნა, ეპასუხა თბილისის ორგანიზაციისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით, მან თურმე არათუ აღიარა, რომ დასმენის ავტორი ნამდვილად თვითონ იყო, არამედ ეს დამსახურებადაც მიითვალა და აღნიშნა: ასე უკეთესია, იმის ნაცვლად, რომ მასწავლებლები ან მღვდლები გახდნენ, სემინარიიდან გარიცხულები რევოლუციონერები დადგებიანო.

მთელი ეს ეპიზოდი, რომელიც მისმა მალემრწმენმა ბიოგრაფებმა დაუფიქრებლად აიტაცეს, აშკარა გამოგონებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. რევოლუციურ ორგანიზაციას შეუძლია იარსებოს მხოლოდ შეუბრალებელი სიმკაცრის გამოჩენით ყველაფრისადმი, რასაც თუნდაც შორეულად ასდის დასმენის, პროვოკაციისა თუ გამცემლობის სუნი. ამ მხრივ სულ მცირეოდენი დათმობაც კი მისთვის განგრენის დაწყებას მოასწავებს. ამ ნაბიჯის გადადგმა, რომელშიც მაკიაველის ერთ მესამედზე იუდას ორი მესამედი მოდის, სოსოს იქნებ კიდევაც შეძლებოდა, მაგრამ აბსოლუტურად გამორიცხულია, დავუშვათ, რომ პარტია მოითმენდა ასეთ წევრს თავის რიგებში. ირემაშვილმა, რომელიც სემინარიის იმავე წრეში იყო გაერთიანებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც კობა, არაფერი იცის ამ ეპიზოდის შესახებ. მან წარმატებით დაამთავრა სემინარია და მასწავლებელი გახდა. ეს კია, გასაკვირი სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ეს ბოროტი გამონაგონი სწორედ სტალინის სახელს უკავშირდება. მსგავს რამეს არც ერთ სხვა ძველ რევოლუციონერზე არავინ არასოდეს მოყოლილა.

სტალინის ბიოგრაფებიდან ყველაზე დოკუმენტირებული სუვარინი ცდილობს, მისი ზნეობრივი პიროვნება „პროფესიონალი რევოლუციონერების“ ავბედით ორდენთან მისი მიკუთვნებით ახსნას.

ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა დროსაც, სუვარინის განზოგადებები ძალზე ზედაპირულია.

პროფესიონალ რევოლუციონერებს სწამდათ, რასაც ასწავლიდნენ: სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა გოლგოთას გზაზე დადგომა. დევნილთა შორის სოლიდარობა არ იყო ფუჭი სიტყვა, მას ავსებდა დესპოტიზმისა და სულმოკლეობის სიძულვილი.

იოსებ ჯუღაშვილი ამ ორდენს ეკუთვნოდა და მისი ბევრი თვისება ახასიათებდა — ბევრი, მაგრამ არა ყველა. თავისი ცხოვრების მიზანს იგი ხედავდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა დამხობაში. მის სულში გაცილებით მძაფრი იყო მათდამი სიძულვილი, ვიდრე ჩაგრულთადმი სიმპათია — ციხე, გადასახლება, მსხვერპლი, სულმოკლეობა ვერ აშინებდა, შეეძლო უშიშრად ჩაეხედა თვალებში საფრთხისათვის. ამასთან, მწვავედ განიცდიდა თავისი ხასიათის ისეთ თვისებებს, როგორიცაა ინტელექტის ნაკლებობა, ფიზიკური და ზნეობრივი სახის საერთოდ დაბალი დონე. მისი დაძაბული პატივმოყვარეობა შეფერადებული იყო შურით და არაკეთილმოსურნეობით, მისი სიჯიუტე ხელისხელჩაკიდებული მიჰყვებოდა შურისგებას, მისი თვალების მოყვითალო ელვარება აიძულებდა მგრძნობიარე ადამიანებს, ფრთხილად ყოფილიყვნენ. კობამ ჯერ კიდევ სკოლის კედლებში გამოიმუშავა უნარი, ჩაევლო ადამიანის სუსტი მხარისათვის და შემდეგ დაუნდობლად ეთამაშა მის ამ ნაკლზე. მისი ნატურის ამ ორგანული თვისებების განსავითარებლად კავკასიის გარემო ზედმიწევნით ხელსაყრელი აღმოჩნდა. ეს გახლდათ კაცი, რომელსაც უნარი შესწევდა, ყოფილიყო აღფრთოვანებულთა შორის და ოდნავადაც არ გადასდებოდა მათი განწყობილება, ყოფილიყო აღგზნებულთა შორის (რომელნიც, სხვათა შორის, მალევე ჩაიფერფლებიან ხოლმე) და შეენარჩუნებინა სიმშვიდე. აი, ამ კაცმა ადრევე გაიგო ცივი თავდაჭერის, სიფრთხილისა და განსაკუთრებით, ეშმაკობის ფასი, რომელიც მის ხასიათში შეუმჩნევლად გადადიოდა ვერაგობაში. საჭირო იყო მხოლოდ შესაფერისი ისტორიული სიტუაცია, რათა ამ, თავისი ხასიათით მეორეხარისხოვან, თვისებებს პირველხარისხოვნება მოეპოვებინათ.

## პირველი რევოლუცია

ზემოთ ჩვენ გამოთქვით ვარაუდი, რომ კობა მიემხრო ბოლშევიკებს თბილისის ნოემბრის კონფერენციის შემდეგ, რომელმაც დაადგინა, მონაწილეობა მიეღოთ ახალი ყრილობის მომზადებაში. ჩვენ, აგრეთვე, უყოყმანოდ მივიღეთ ბერიას მტკიცებები იმის თაობაზე, რომ კობა დეკემბრის თვეში ბაქოს გაემგზავრა ყრილობისათვის აგიტაციის გაწევის მიზნით. ეს შესაძლებლად მიგვაჩნია: განხეთქილება მოხდა, ბოლშევიკურმა ფრაქციამ ამ დროისათვის უკვე მოასწრო, წარმოეჩინა თავისი ორგანიზაციული უპირატესობანი, კობა არჩევანის წინაშე დადგა. მაგრამ გაგვიჭირდება იმის მტკიცება, რომ იგი ბოლშევიკებს უფრო გვიან კი არა, სწორედ 1904 წელს მიემხრო. ბერია იმოწმებს იმ პერიოდის რამდენიმე პროკლამაციას, მაგრამ არსად არ ამტკიცებს, რომ მათი ავტორი კობა იყო. ეს დუმილი ყოველგვარ სიტყვიერ მტკიცებაზე უფრო დამაჯერებელია. სხვების დაწერილი პროკლამაციებიდან მოხმობილი ციტატები აშკარად ისახავენ ერთ მიზანს — შეავსონ სტალინის ბიოგრაფიის ხარვეზები.

ორი ძველი ბოლშევიკი, სტოპანი და ლემანი, გულდაგულ დამუშავებულ მოგონებებში ჩამოთვლიან იმ რევოლუციონერებს, რომლებთანაც მათ 1904 წლის ბოლოსა და 1905 წლის დამდეგს ბაქოსა და თბილისში უხდებოდათ საქმიანობა. კობა იმ სიაში არ არის. ლემანს მოჰყავს იმ ხალხის სახელები, რომლებიც „სათავეში ედგნენ“ კავკასიის კავშირს. მათ რიცხვში კობა არ შედის. სტოპანი ასახელებს იმ ბოლშევიკებს, რომლებიც მენშევიკებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ 1904 წლის დეკემბრის ცნობილ გაფიცვას ბაქოში. კობას სახელი კვლავ არ გვხვდება, არადა, სტოპანიმ უნდა იცოდეს ის, რაზედაც წერს — იგი თვითონ შედიოდა საგაფიცვო კომიტეტში. კავკასიის ორგანიზაციასთან ლენინისა და კრუპსკაიას მიმოწერის კომენტარების 50 გვერდზე არც ერთხელ არ გვხვდება კობას სახელი. დავამატებ, რომ ორივე ავტორი ამ მოგონებებისა, რომელიც ოფიციალურ ისტორიულ ჟურნალში გამოქვეყნდა, „ხალხის მტრები“ კი არა, სტალინელები არიან. მაგრამ საიდუმლოს ახსნა იმაში უნდა ვეძებოთ, რომ სამუშაო შესრულებულია 1925 წელს, როცა ზემოდან მოცემული პროგრამით გათვალისწინებული ფალსიფიკაციები ჯერ კიდევ არ იყო სისტემამდე აყვანილი. ტარატუტა, ბოლშევიკური ცკ-ის ყოფილი წევრი, 1926 წელს დაწერილ სტატიაში, რომელიც მიეძღვნა „1905 წლის რევოლუციის დასაწყისს კავკასიაში“ — ჩვენ უკვე ვისარგებლეთ ამ სტატიით — ასევე არ ასახელებს სტალინს. არც 1904 წლის ბოლოს, არც 1905 წლის დასაწყისში არა ჩანს იმის შესაძლებლობა, რომ აღმოვაჩინოთ ამ კაცის მოღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწეობის კვალი, ვისაც ახლა კავკასიური ბოლშევიზმის ბელადად სახავენ.

უსახლესი მონოტონური მტკიცებები მენშევიზმის წინააღმდეგ სტალინის შეურიგებელი ბრძოლის თაობაზე ძირითადად არ ეწინააღმდეგება ჩვენს დასკვნას. ამ ბრძოლის ორი წლით წინ გადაწევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რამდენადაც არავინ გაძალებს, დოკუმენტებს დაეყრდნო და არც ის გაშინებს, რომ ვინმე გამოგედავება. ეხეცაა, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ, რადგან არჩევანი გააკეთა, კობა მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას მისცემდა მძაფრ ხასიათს და არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა. კულისებს მიღმა მოქმედებისა და ინტრიგების სხლართვისადმი იმ მიდრეკილებამ, რომელშიც მას ადანაშაულებდნენ, როცა ჯერ კიდევ სემინარიის წრის წევრი თუ თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტი და ბათუმის ჯგუფის წევრი იყო, ფრაქციულ ბრძოლაში გაცილებით ფართო და გაბედული გამოხატულება ჰპოვა.

ბევრი ასაზელებს თბილისს, ბათუმს, ჭიათურას, ქუთაისს, ფოთს, როგორც იმ პუნქტებს, სადაც კობა მონაწილეობდა ნ. ჟორდანიას, ი. წერეთლის, ნ. რამიშვილის და მენშევიკების სხვა ბელადების, აგრეთვე, ანარქისტებისა და ფედერალისტების წინააღმდეგ პაექრობაში, ოლონდ, ბერია გულდაგულ, და არცთუ შემთხვევით, ერიდება თარიღის დასახელებას. პირველი ასეთი კამათი, რომელსაც ის შედარებით ზუსტად განსაზღვრავს, შედგა 1905 წლის მაისში. ზუსტად იგივე მდგომარეობაა, როცა საქმე ეხება კობას მიერ თავისი შეხედულებების ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით გადმოცემას. მისი პირველი ბოლშევიკური ნაშრომი 1905 წლის მაისში გამოიცა. ამ პატარა ბროშურას უცნაური სათაური ჰქონდა: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებებზე“. ბერია მიიჩნევს, რომ ბროშურა დაიწერა „1905 წლის დასაწყისში“ და ამით კიდევ ერთხელ აშკარად ამჟღავნებს მისწრაფებას, შეავსოს ორწლიანი ხარვეზი. ერთ-ერთი კორესპონდენტი, როგორც ჩანს, მომავალი ლიტვინოვი, რომელმაც ქართული არ იცოდა, საზღვარგარეთ აცნობებს თბილისში გამოსული ბროშურის შესახებ და აღნიშნავს, რომ მან „მოახდინა სენსაცია“. „სენსაციის“ ახსნა, ალბათ, იმით შეიძლება, რომ ქართულ აუდიტორიას აქამდე მხოლოდ მენშევიკების ხმა ესმოდა. არსებითად კი ბროშურა წარმოადგენს ლენინის შრომების მოწაფეურ რეზიუმეს. სავსებით ბუნებრივია, რომ იგი მეტად აღარ გამოცემულა. ბერიას მოჰყავს ამ ბროშურიდან გაულდასმით ამოკრებილი ციტატები, რომელთა გაცნობაც იოლად მიგვახვედრებს თუ რატომ ჩამოაფარა დავიწყების ფარდა ამ ნაშრომს თვით ავტორმა ისევე, როგორც იმ პერიოდის ბევრ საკუთარ ლიტერატურულ ნაღვაწსაც.

1905 წლის აგვისტოში სტალინს გადააქვს ლენინის წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ის თავი, რომელიც ცდილობს, ახსნას ურთიერთობა მუშათა სტიქიურ მოძრაობასა და სოციალისტურ შეგნებულობას შორის. ლენინის გამოთქმით, თავის ნებაზე მიშვებული მუშათა მოძრაობა გარდაუვალად მიექანება ოპორტუნიზმისაკენ, რევოლუციური შეგნება კი პროლეტარიატში მარქსისტული ინტელიგენციის დახმარებით ვრცელდება. ახლა უადგილოდ გვეჩვენება ამ კონცეფციის კრიტიკა, რომელიც მთლიანად განეკუთვნება არა სტალინის, არამედ ლენინის ბიოგრაფიას. თვითონ წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ავტორმა მოგვიანებით აღიარა ცალმხრივობა და, ამრიგად, მცდარობა თავისი ამ თეორიისა, რომელიც მან „ეკონომიზმთან“ და მუშათა მოძრაობის სტიქიურობისადმი მისი თაყვანისცემის წინააღმდეგ ბრძოლაში ეპიზოდურად წამოაყენა, ერთგვარი მუხტის სახით. ლენინთან მომხდარი განხეთქილების შემდეგ პლეხანოვმა მოგვიანებით, მაგრამ ძალზე მკაცრად გააკრიტიკა „რა ვაკეთოთ?“ პროლეტარიატში რევოლუციური შეგნების „გარედან“ შეტანის საკითხმა კვლავ შეიძინა აქტუალობა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ ქართული გაზეთის ანონიმურ სტატიაში „საკითხის შესანიშნავი დასმა“ აღნიშნა შეგნებულობის „გარედან“ შეტანის თაობაზე. ეს ქება-დიდება დღეისათვის ციტირებულია, როგორც კობას თეორიული სიმწიფის ერთგვარი მოწმობა. სინამდვილეში, საქმე ეხებოდა საზღვარგარეთული ცენტრის ერთ ჩვეულებრივ შემაგულიანებელ გამოხმაურებას ნებისმიერი პროვინციული გამოცემისადმი, რომელიც იცავდა თავისი ფრაქციის იდეას ან ბელადს. სტატიის შარისზე საკმაო წარმოდგენას იძლევა ბერიას მიერ თარგმნილი ციტატა: „თანამედროვე ცხოვრება კაპიტალისტურია. აქ ორი დიდი კლასი არსებობს: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. პირველს მისი ცხოვრებისეული მდგომარეობა აიძულებს, განამტკიცოს კაპიტალისტური წესები; იგივე მდგომარეობა მეორე კლასს უბიძგებს დაშალოს და გაანადგუროს ეს წესები. ამის შესაბამისად შეგნებაც ორგვარია: ბურჟუაზიული და სოციალისტური. პროლეტარიატის მდგომარეობას შეესაბამება სოციალისტური შეგნება... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სოციალისტურ შეგნებას, თუ იგი არ გავრცელდა პროლეტარიატში? ის ოდენ ფუჭ ფრაზად რჩება და მეტი არაფერი! საქმე სულ სხვაგვარად შემობრუნდება, თუ ეს შეგნება გაწვდენას ჰპოვებს პროლეტარიატში: პროლეტარიატი შეიგნებს თავის მდგომარეობას და აჩქარებული ნაბიჯით მიესწრაფება სოციალისტურ ცხოვრებას“ და ა. შ. მსგავსი სტატიები დამსახურებული დავიწყებისაგან მხოლოდ მათი ავტორის შემდგომმა ბედმა იხსნა. მაგრამ სრულიად აშკარაა, თვითონ სტატიები ვერ აზრჩებენ ამ ბედის ახსნას. პირიქით, კიდევ უფრო ამოუცნობს ხდიან მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი 1906 წლის მანძილზე კობა ძველებურად არ ირიცხება ლენინისა და კრუპსკაიას კავკასიელ კორესპონდენტთა რიცხვში. 8 მარტს ვინმე ტარი მათ თბილისიდან აცნობებს კავკასიელ მენშევიკთა გამოხმაურებებს: „ლენინმა იგრძნო დრო სხვებზე ადრე და სხვებზე უკეთ". იგივე ტარი წერს: „ლენინს მიიჩნევენ ამ არკადი ნიკოლაევიჩებს შორის გამოჩენილ ერთგვარ ბაზაროვად". ლაპარაკია ტურგენევის გმირებზე: ბაზაროვი პრაქტიკული რეალისტის ტიპია; არკადი ნიკოლაევიჩი — იდეალისტი და ფრაზიორი. ტარის სახელის ქვეშ ისტორიული ჟურნალის რედაქცია ურთავს შენიშვნას: „ავტორი უცნობია".

ერთი ზუსტი ლიტერატურული მოწმობაც საკმარისია, დავასკვნათ, რომ წერილების ავტორი არ შეიძლება იყოს სტალინი. ლენინის 1905 წლის მეორე ნახევრის სტატიებსა და წერილებში, რომლებიც დღემდე გამოქვეყნებულა, დასახელებულია 30-ზე მეტი რუსეთში მომუშავე სოციალ-დემოკრატი, მათგან 19 ლენინის ახლოსაა, 12 — სტალინის. თვით სტალინი ამ მიმოწერაში არც პირდაპირი მონაწილის, არც მესამე პირს სახით არ ჩანს. ამგვარად, შეგვიძლია მტკიცედ დავიცვათ ჩვენს მიერ უკვე გაკეთებული დასკვნა იმის თაობაზე, რომ 1903 წელს ლენინისაგან წერილის მიღების ეპიზოდი სტალინმა გამოიგონა.

●

რაც უფრო დიდია მესამე ყრილობის მნიშვნელობა, მით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კობა მას არ ესწრებოდა. ამ დროისათვის მას უკან ჰქონდა მოტოვებული რევოლუციური მუშაობის 7 წელი: ციხე, გადასახლება, გაქცევა. ყველაფერს ამას, თუ ბოლშევიკების რიგებში მეტნაკლებად შესამჩნევ როლს თამაშობდა, კობასთვის ხელი უნდა შეეწყო დელეგატობის კანდიდატად წამოყენებაში. მთელი 1905 წლის მანძილზე იგი თავისუფალია. ბერია ამტკიცებს, რომ ის „ღებულობდა ძალზე აქტიურ მონაწილეობას ბოლშევიკების მესამე ყრილობის ორგანიზებაში". თუ ასეა, მაშინ იგი სათვეში უნდა ჩადგომოდა კავკასიის დელეგაციას. მაშ, რა მოხდა? ავადმყოფობამ ან რაიმე განსაკუთრებულ მიზეზს რომ შეეშალა ხელი მისი უცხოეთში გამგზავრებისათვის, ლაპარაკი არ უნდა, მისი ოფიციალური ბიოგრაფიები არ დააყოვნებდნენ ამის აღნიშვნას. დუმილი შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ არ აღმოაჩნდათ საბუთი, რომელიც გამართლებას მოუძებნიდა ისტორიული მნიშვნელობის მქონე ყრილობაზე „კავკასიელი ბოლშევიკების ბელადის" არყოფნას. ბერიას მტკიცება ყრილობის მომზადებაში კობას „ძალზე აქტიური" მონაწილეობის თაობაზე ერთ-ერთი იმ შიშველ ფრაზათაგანია, რომლებითაც სავსეა ოფიციალური ისტორიოგრაფია.

მესამე ყრილობის ოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სტატიაში ამ საკითხში კარგად გარკვეული ო. პიატნიცკი არაფერს ამბობს ყრილობის მომზადებაში სტალინის მონაწილეობაზე, ხოლო კარის ისტორიკოსი იაროსლავსკი იძულებულია შემოიფარგლოს არაფრისმთქმელი ფრაზით, რომ კავკასიაში სტალინის მუშაობას „უეჭველია, ვეებერთელა მნიშვნელობა ჰქონდა" ყრილობისათვის, მაგრამ ავიწყდება მიუთითოს, კერძოდ, რაში გამოიხატა ეს მნიშვნელობა.

ყველაფრიდან, რისი გაგებაც აქამდე შევიძელით, ვითარება სავსებით ნათელი ხდება: დიდი ხნის ლოდინის შემდეგ კობა სწორედ ყრილობის წინა ხანებში მიემხრო ბოლშევიზმს, იგი არ მონაწილეობდა კავკასიის ნოემბრის კონფერენციაში, არ შესულა მის მიერ შექმნილ ბიუროში და, როგორც ჩანს, არც შეიძლებოდა რაიმე პრეტენზია ჰქონოდა მანდატზე. დელეგაციაში შედიოდნენ: კამენევი, ნევსკი, ცხაკაია და ჯაფარიძე. სწორედ ისინი მეთაურობდნენ მაშინდელ კავკასიურ ბოლშევიზმს. ჩვენი მოთხრობისათვის სრულიადაც არ იქნება ზედმეტი, გავცნობოთ მათი შემდგომი ბედის შესახებ: ჯაფარიძე 1918 წელს დახვრიტეს ინგლისელებმა, კამენევი დახვრიტა სტალინმა, მანვე „ხალხის მტრად" გამოაცხადა და უგზო-უკვლოდ გააქრო ნევსკი, გადარჩა მხოლოდ მოხუცი ცხაკაია.

ბოლშევიზმის ცენტრალისტურმა ტენდენციებმა მესამე ყრილობაზევე მოახწრო თავისი უარყოფითი თვისებების წარმოჩენაც. უკვე იატაკქვეშეთში მოხერხდა „აპარატული" ჩვევების გამომუშავება. ყალიბდებოდა ახალგაზრდა ბიუროკრატის ტიპი, თუმცა კონსპირაციის პირობები ფორმალურ დემოკრატიას (არჩევნები, ანგარიშვალდებულება, კონტროლი) ვიწრო ჩარჩოებით ზღუდავდა. ეჭვგარეშეა, რომ „კომიტეტჩიკები" იმაზე მეტად ავიწროებდნენ ამ საზღვრებს, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვდა და მუშა-რევოლუციონერებს გაცილებით უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებდნენ, ვიდრე საკუთარ თავს. ისინი ამჯობინებდნენ განკარგულება გაეცათ მაშინაც კი, როცა საჭირო იყო, ყურადღებით ესმინათ მასებისათვის.

კრუპსკაია აღნიშნავს, რომ როგორც ბოლშევიკურ კომიტეტებში, ისე თვით ყრილობაზე თითქმის არ იყვნენ მუშები, ბატონობდნენ ინტელიგენტები. „კომიტეტჩიკი", — წერს კრუპსკაია — როგორც წესი, თავის თავში დაჯერებული ადამიანი იყო. იგი ხედავდა, რა უზარმაზარი გავლენა ჰქონდა მასებზე კომიტეტის საქმიანობას. „კომიტეტჩიკი", ჩვეულებრივ, არ ცნობდა შიდაპარტიულ დემოკრატიზმს. მას გულის სიღრმეში ყოველთვის სძულდა „უცხოეთი", რომელიც ვერ ჩატეულა საკუთარ ტყავში და ათასგვარ კინკლაობას აწყობს. „ერთნი რუსულ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებში იყვნენ..." ამასთან, მას ხელს არ აძლევდა არავითარი სიახლე. სწრაფად ცვალებად პირობებთან შეგუება „კომიტეტჩიკს" არ შეეძლო და არც სურდა.

ესაა კობას ფრთხილი, მაგრამ ზუსტი დახასიათება.

ჯერ კიდევ 1901 წელს, თავისი რევოლუციური მუშაობის გარიჟრაჟზე თბილისში, იგი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა კომიტეტში მუშების მიზიდვისათვის. როგორც „პრაქტიკოსი", ე. ი. პოლიტიკური ემპირიკოსი, იგი უგულოდ, მოგვიანებით კი სიძულვილით ეპყრობოდა ემიგრაციას, „უცხოეთს". ამასთან, მასებზე უშუალო ზემოქმედების უნარს მოკლებული, გაორმაგებული ძალით ებღაუჭებოდა აპარატს. მისთვის სამყაროს ღერძი იყო კომიტეტი, ჯერ თბილისის, ბაქოს, კავკასიის კომიტეტი, შემდეგ კი ამ ღერძად იქცა ცენტრალური კომიტეტი. პარტიული მანქანისადმი მისი ეს თავდადება არაჩვეულებრივი ძალით გაქარწყლდება შემდგომში—„კომიტეტჩიკი" „ზეაპარატჩიკად", „გენერალურ მდივნად", ბიუროკრატიის პერსონიფიცირებად და ბელადად იქცევა.

ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ლენინის გარდა შევიდნენ: ინჟინერი კლასინი და ბუნებისმეტყველი, ექიმი და ფილოსოფოსი ბოგდანოვი, — ორივე ლენინის თანატოლი; პოსტალოვსკი, რომელიც მალე გაწუდგა პარტიას, და რიკოვი, კანდიდატებად დაასახელეს ლიტერატორი რუმიანცევი და ორი „პრაქტიკოსი" — გუსევი და ბური, რა თქმა უნდა, არავის არ უფიქრია პირველ ბოლშევიკურ ცკ-ში კობას შეყვანაზე.

1934 წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობამ, ბერიას მოხსენებიდან გამომდინარე, გამოაცხადა, რომ „ის, რაც აქამდე დაწერილია, არ ასახავს სტალინის ჭეშმარიტ, ნამდვილ როლს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლის ფაქტობრივი ხელმძღვანელი". რატომ მოხდა ასე, ყრილობას არ განუმარტავს, მაგრამ ყველა მემუარისტი და ისტორიკოსი გაკიცხეს, რამდენიმე მათგანი მოგვიანებით მაუზერის მსხვერპლიც გახდა. გადაწყდა, წარსულის ყველა უსამართლობის გამოსასწორებლად ჩამოყალიბებულიყო „სტალინის ინსტიტუტი". ამ დროიდან ფართო მასშტაბით იწყება ძველი პერგამენტების ფხეკა, რომლებიც მაშინვე ივსებიან ახალი შინაარსით. ცისქვეშეთს არ ახსოვს სიცრუის ასეთი გრანდიოზული მანუფაქტურა. მიუხედავად ამისა, ბიოგრაფის მდგომარეობა მთლად უიმედო არ არის — ჭეშმარიტება იბადება არა მარტო აზრთა ჭიდილში, როგორც ფრანგები ამბობენ, არამედ სიცრუის შინაგან წინააღმდეგობაშიც.

„1904-1907 წლების განმავლობაში, — წერს ბერია, — ამხ. სტალინი, რომელიც კავკასიელი ბოლშევიკების მესაჭეა, ატარებს უზარმაზარ თეორიულ-ორგანიზაციულ მუშაობას". სამწუხაროდ, არც ისე იოლია, გავარკვიოთ, რაში მდგომარეობდა ეს მუშაობა ანდა, კერძოდ, სად ვითარდებოდა იგი. ამის თაობაზე ჯერ თვითონ სტალინს მოვუსმინოთ. „ამის შემდეგ ვიხსენებ 1905-1907 წლებს, — აღნიშნავდა იგი ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ავტობიოგრაფიულ გამოსვლაში 1926 წელს, თბილისში, — როცა მე, პარტიის მითითებით, გამგზავნეს ბაქოში. ნავთობის მრეწველობის მუშათა შორის რევოლუციური მოღვაწეობის ორმა წელმა გამომაწრთო, როგორც მებრძოლი-პრაქტიკოსი და ერთ-ერთი პრაქტიკული ხელმძღვანელი... ამგვარად, იქ, ბაქოში, მოხდა ჩემი მეორე საბრძოლო-რევოლუციური ნათლობა. აქ გავხდი რევოლუციის ქარგალი..." „პირველი რევოლუციური ნათლობა" სტალინმა, როგორც უკვე ვიცით, თბილისში მიიღო, სადაც სახწავლო სტაჟირებას გადიოდა. „ოსტატად" იგი 1917 წელს მოგვევლინება პეტერბურგში.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალვა მარკოზაშვილი

# აკაკი წერეთელი ბაქოში

1908 წელს საქართველოში ზეიმით აღინიშნა აკაკი წერეთლის სამწერლო-ლიტერატურული მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, რომელიც ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

ზეიმში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელებმაც, რომელთაც გულთბილი სიტყვებით მიმართეს ქართველ პოეტს.

იმხანად აზერბაიჯანულ პრესაში თვალსაჩინო ადგილი დაეთმო ლიტერატურის მკვლევარის ფ. კოჩარლის სტატიას, რომელიც დაისტამბა სათაურით „ნაციონალური დღესასწაული". ავტორი დიდ შეფასებას აძლევდა აკაკის ღვაწლსა და ამაგს: „ორმოცდაათი წელი ემსახურო ხალხს, ზრდიდე და აღვივებდე მასში წრფელ და მაღალ გრძნობებს, პოეტურად ასახავდე ხალხის მომავალს, თავისუფლებასა და ბედნიერებას, ემსახურო ხალხის აღზრდას, სწავლასა და სულიერ განვითარებას, — ეს რსაკვირველია, — წერდა იგი, — დიდი საქმეა".

იმავე წერილში ავტორი მოუწოდებდა აზერბაიჯანელ ინტელიგენციას ისეთივე სარგებლობა გაეწია თავისი ხალხისათვის, როგორც აკაკი წერეთელი ემსახურება თავის ხალხს.

მომდევნო წერილში კოჩარლი ერთგვარ პარალელს ავლებს აკაკისა და აზერბაიჯანელი მწერლის სეიდ აზიმ შირვანის შემოქმედებას შორის და გაზეთ „ტარაგგში" აქვეყნებს წერილს, რომელშიც წერდა: „...აკაკი წერეთელი გვაგონებს ჩვენს პოეტს ს.ა. შირვანს მათი ფიქრები და ოცნებაა მთელი კაცობრიობის ბედნიერება, და არა მხოლოდ ერთი ერისა."

თბილისში აკაკის საიუბილეო ღონისძიებაზე სპეციალურად ჩამოვიდა აზერბაიჯანელ ხალხთა დელეგაცია, რომლის მეთაური იყო მწერალი-პუბლიცისტი ჯალილ მამედყულიზადე. მალე გაზეთ „დროშაში" დაისტამბა აზერბაიჯანის დელეგაციის მიერ აკაკისადმი მიძღვნილი წერილი: „კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისგან პატივცემულ მგოსან აკაკი წერეთელს".

მრავალი საუკუნის განმავლობაში მხარდამხარ ცხოვრობს სამი მეზობელი ხალხი: — წერდნენ ავტორები — ქართველი, მაჰმადიანი და სომეხი. ბედმა ისინი საუკუნოდ შეაერთა, მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ, არა ცდილან, რომ ისინი მეზობლები ყოფილიყვნენ არა მარტო ადგილ მდებარეობით, არამედ სულიერად და ნათესაურად. ამას ვამბობ იმიტომ რომ თვალწინ გვიდგას სომეხ-თათართა შეტაკების ის მწვავე დღეები და სისხლის ღვრა, რომელსაც სამსავე მეზობელ ხალხისათვის მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა.

ჩვენ, სამივე ხალხი, ახლა მაინც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ იგი აღარ განმეორდება, რომ შური და უთანხმოება სამსავე ხალხისათვის საზარალოა და დამღუპველი. ამ სამსავე მეზობელი ხალხისათვის უფრო სასარგებლოა და ნაყოფიერი, შეერთდეს და ხელიხელჩაკიდებულ მიესწრაფოს განათლებას, სინათლესა და კულტურას."

აკაკის საიუბილეო დღეებში ბაქოდან მილებული იქნა მრავალი დეპეშა, ერთ-ერთ მათგანს ხელს აწერდნენ რევოლუციონერი მ. აზიზბეკოვი და ცნობილი მწერალი ნ. ნარიმანოვი.

1908 წელსვე გაზეთი „დროება" (№28) თავის მკითხველებს აუწყებდა, რომ ბაქოში მცხოვრები ქართველი საზოგადოების მიწვევით, აკაკი აზერბაიჯანის დედაქალაქში უნდა გამგზავრებულიყო: „გუშინ აკაკი ბაქოში წავიდა. დღასასწაულს ბაქოელები გამართავენ ხვალ, 21 დეკემბერს. დღესასწაულს ხელმძღვანელობს ბაქოს ქართველი საზოგადოების გამგეობა."

აზერბაიჯანის მხრივ, საიუბილეო დღესასწაულს ხელმძღვანელობდა ცნობილი რევოლუციონერი მეშადი იზიზბეკოვი.

ბაქოში ჩასვლისთანავე სახელგანთქმულ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველ პოეტს გულთბილად შეხვდნენ კულტურული დაწესებულებებისა და ქალაქის მუშათა წარმომადგენლები.

აკაკიმ მადლობა მოახსენა ქართველ და აზერბაიჯანელ მასპინძლებს ახლობლური მიღებისათვის და განაცხადა: „...უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის ხანდახან გაუგებრობა ხდებოდა. ახლა მე ძალზე მოხარული ვარ, რადგან, როგორც თქვენი სიტყვებიდან გამოირკვა, ეს ცეცხლი ჩამქრალია და ჩვენს შორის მეგობრობა მტკიცდება."

ისე, როგორც თბილისში, აზერბაიჯანის დედაქალაქშიც აკაკის საიუბილეო საღამოს სხვადასხვა ერების წარმომადგენლები დაესწრნენ, ისინი სიყვარულით მიესალმებოდნენ პოეტს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი უკრაინელების გამოსვლა. მათ სიყვარულით მიულოცეს პოეტს საიუბილეო თარიღი და პატივისცემის ნიშნად საჩუქრად მიართვეს ტარას შევჩენკოს სურათი. პოეტმა სურათი გულთან ახლოს მიიტანა და სამადლობელო რუსულ ენაზე მოახსენა: „...მე მუსიკაზე მწყრალად ვარ, არ მწყალობს ამ მხრივ ბუნება და ნაკლს მივსებდა ყოველთვის შევჩენკო. მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატვრა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე. მას უკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში მეყოლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდე იცხოვრებს ჩემთან".

იმხანად ბაქოში ბევრი ქართველი ცხოვრობდა. აკაკი დაინტერესდა მათი საქმიანობითა და საყოფაცხოვრებო პირობებით. გამოირკვა რომ ქართველების ნაწილი ნავთის მოპოვებაზე მუშაობდა, ნაწილი ვაჭრობდა და ზოგიც ხელოსანი იყო.

ნავთის ქარხნის ტერიტორიაზე, ბალახანაში პოეტს შეხვდნენ ექიმი ალექსანდრე მალალაშვილი და მწერალი ნიკოლოზ დეკანოზიშვილი. ამ უკანასკნელს თან ახლდა მეუღლე, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, მშვენიერი გარეგნობის ქალი, ნინო ხერხეულიძე. მათ პოეტსა და მის თანმხლებ პირებს დაათვალიერებინეს ბალახანა, უჩვენეს თუ როგორ მიმდინარეობდა ნავთის მოპოვება. პოეტის ყურადღება მიიქცია ქოხმახებმა, ისიც შეიტყო, რომ მათში საქართველოდან ჩამოსული მუშებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახებით და გაჭირვებით არჩენდნენ ცოლშვილს.

აქ, ალბათ, ჩვენი პატარების განათლების არავითარი პირობები არ იქნებაო? — იკითხა აკაკიმ.

ბატონო აკაკი, — მოახსენა პოეტს ქალბატონმა ნინომ, — ბავშვების მდგომარეობა ჩვენც გავითვალისწინეთ, მე და ჩემმა მეუღლემ მათთვის შინაური სკოლა და საბავშვო ბაღი გავხსენით, ჩვენივე სახსრებით ვუძლვებით მის მუშაობას...

აკაკის ამ სიტყვებზე თვალები გაუბრწყინდა, მადლობა მოახსენა ცოლ-ქმარს კეთილშობილური საქმისათვის და პატივისცემის ნიშნად ნინოს ხელზე ეამბორა, მერე კი განაცხადა: აქ მარტო შინაური სკოლა კი არა, მთვრობის მიერ ოფიციალურად დამტკიცებული და კურთხეული სასწავლებელი უნდა ჰქონდეთ ჩვენს პატარებს. მე რომ თბილისში დავბრუნდები, ამ საკითხზე მოველაპარაკები იაკობ გოგებაშვილსა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებს, ვვარაუდობ, რომ მიზანსაც მივაღწევთ.

როგორც ნ. ხერხეულიძე იგონებს, პოეტი შეხვდა რამდენიმე მუშას, შინაურულად მოიკითხა და როცა მათ უსიხარულო ცხოვრების პირობებზე ნაამბობი მოისმინა, გაამხნევა, სიძნელეებსა და სიდარიბეს ნუ შეუშინდებითო, მალე ყველაფერი გამოსწორდებაო.

1909 წელს დეკემბერში აკაკის თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე შეხვდა პედაგოგი რაჟდენ ნაცვლიშვილი, მიესალმა და შეახსენა ბაქოში მისი სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამახსოვრო საღამო და მერე სიამოვნებით აუწყა: ჩვენ, ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა წლეულს დიდად გავიხარეთ იმით, რომ ჩვენი პატარებისათვის დაწყებითი სკოლა გაიხსნა და ამ კეთილშობილურ საქმეში უთუოდ თქვენი დამსახურებაც იქნებაო.

აკაკის მის ნათქვამზე კმაყოფილებით გაეღიმა, თავის დამსახურებაზე არაფერი უთქვამს, მხოლოდ რაჟდენს უთხრა: ახლა მე ზუბალაშვილის სახლში მელოდებიან, იქ მივიჩქარი და გთხოვ, წერილობით მაცნობო, თუ როგორ პირობებში უხდება მუშაობა ბაქოში ახლადგახსნილ ქართულ სკოლასაო.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში აკაკიმ რ. ნაცვლიშვილის წერილი მიიღო, რომელშიც მოკლედ იყო აღნიშნული, რომ ბაქოში ქართული სკოლა გაიხსნა 1908 წლის 4 ოქტომბერს, გამგე-მასწავლებელი იყო მ. ი. რამიშვილი, სკოლაში ირიცხებოდა 45 ბავშვი, რომელთა შორის 22 ვაჟი და 23 გოგონა იყო, სწავლა უფასოდ მიმდინარეობდა.

რ. ნაცვლიშვილი განსაკუთრებით კმაყოფილებით აცნობებდა პოეტს, რომ აზერბაიჯანული საზოგადოება მზრუნველობას არ გვაკლებსო, ქებით იხსენებდა გაზეთ „კასპის" რედაქტორს და მის მეუღლეს, აზერბაიჯანული სკოლის გამგეს ხონა ხანუმს, სკოლის ინსპექტორებს სულთან მეჯიდ განიევს ალი ჯამბარ ორუჯაევს.

აკაკის საპასუხო წერილმაც არ დააგვიანა. პოეტი მადლობას უცხადებდა მ. ნაცვლიშვილს მისთვის საინტერესო ცნობების მიწვდისათვის.

1912 წლის 1 აპრილს აკაკი წერეთელი, მეგობარი ექიმის ივანე ელიაშვილის მიწვევით, კვლავ ბაქოში გაემგზავრა. ეს იყო პოეტის უკანასკნელი მოგზაურობა აზერბაიჯანის დედაქალაქში.

კეთილმა მასპინძელმა აკაკის შესახვედრად წინასწარ შეკრიბა ბაქოს კულტურული საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოების წარმომადგენლები. პოეტი დაესწრო ადგილობრივი ქართული დრამატული დასის წარმოდგენას, მისივე პიესის „პატარა კახის“ დადგმას. სპექტაკლის დაწყებამდე ფეხზე ამდგარი საზოგადოება ტაშით შეხვდა ღვაწლმოსილ პოეტს.

წარმოდგენის დასასრულს მაყურებელთა თხოვნით აკაკი სცენაზე გამოიყვანეს და სთხოვეს წაეკითხა ლექსი.

აკაკიმ მადლობა მოახსენა საზოგადოებას „პატარა კახის“ დადგმისათვის, შეაქო მსახიობები და მერე „განთიადი“ და რამდენიმე სხვა ლექსი წაიკითხა.

მეორე დღეს აკაკიმ ი. ელიაშვილთან ერთად ინახულა ქართული სკოლა, დაათვალიერა საკლასო ოთახები, ესაუბრა გამგესა და მასწავლებლებს, სკოლის ბიბლიოთეკას რამდენიმე საბავშვო წიგნი გადასცა.

პოეტმა მოისურვა კასპიის ზღვის სანაპიროზე გავლა, ნავთის მომპოვებელ მუშებთან შეხვედრა. იქ სამწუხაროდ, 1908 წლის შემდეგ სიახლე თითქმის არ იგრძნობოდა. ისევ ძველებური ქოხმახები დახვდა, უსუფთაობა და სასმელი წყლის ნაკლებობა, რომელიც აკაკიმ ასახა იმავე დღეს დაწერილ ლექსში „ბაქო“.

1916 წელს აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული ქართველი ხალხის მწუხარება აზერბაიჯანლებმაც გაიზიარეს, მოვიდა მრავალი სამგლოვიარო დეპეშა.

პოეტის დაკრძალვაში მონაწილე აზერბაიჯანელმა პედაგოგმა რაჰიმ ბეკ ეფენდიევმა თავისი ხალხის სახელით ასე მიმართა მგლოვიარე ქართველებს:

„ო, ჩვენო გულითადო და კეთილშობილო მეგობარო ქართველებო, იამაყეთ ისეთი შვილით, რომელმაც თავისი უკვდავი ნაწარმოებებით აღამაღლა ქართველი ხალხი და თუ სტირით მის დაკრძალვაზე, თქვენი მწუხარება გაუზომელია. იცოდეთ და გწამდეთ, რომ თქვენს მწუხარებას იზიარებს როგორც კავკასიის, ისე მთელი რუსეთის ყველა მუსლიმანი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა



როსტომ ჩხეიძე

# ამირანის თამაშობის ბარიერი

საიდან დავიწყოთ?..

ვთქვათ, მართლდება თუ არა ბიბლიურ პატრიარქ იაკობსა და ამირანს შორის შემჩნეული მსგავსება, ღმერთთან ბრძოლის საერთო იდეის მიხედვით რომ ანათესავებდნენ?

როგორც ჩანს, არ მართლდება, რადგანაც ღმერთთან ბრძოლის იდეა — ჩვენი დღევანდელი აღქმით — უცნობი ყოფილა იაკობისა და უფლის ანგელოზის შერკინების სცენისათვის, როგორც ცხადყოფს ამ ბიბლიური პასაჟის ზურაბ კიკნაძისეული ანალიზი:

„მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას კაცი ვინმე გათენებამდე. როცა შეატყო, რომ ვერ ერეოდა, შეეხო იგი მის თეძოს ხასხარს, და ეღრძო იაკობს თეძოს ხასხარი მასთან შერკინებისას. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი. უთხრა: ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე. ჰკითხა იაკობმა: მითხარი შენი სახელი. უთხრა: რისთვის მეკითხები სახელს? და იქვე აკურთხა. უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელად ფენუელი, რადგან თქვა: პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი. ამოვიდა მზე, როგორც კი ფენუელს გასცდა, და კოჭლობდა იგი ცალი თეძოთი“.

ოღონდ ვიდრე მკვლევარისეულ განმარტებას გავეცნობოდეთ, ამ ბიბლიური სცენის გადაკითხვა უნებლიედ ამოატივტივებს „დიდოსტატის მარჯვენაში“ ლაიტმოტივადქცეულ ამ სურათს იაკობისა და ღმერთის (სინამდვილეში ხომ ღვთის ანგელოზია და არა უშუალოდ ღმერთი) შერკინებისა, ასეთი სიმბოლური იერით რომ შემოსა ხელოვანისა და ღმერთის მეტოქეობის მხატვრულ-ალეგორიული ჩანაფიქრი: „...საპატიო ვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქედ“.

მთლიანად ამ სიმბოლურ გააზრებაშია მოქცეული და ღმერთთან ბრძოლის იდეითაა განმსჭვალული სვეტიცხოვლის აშენებლის სულიერი სწრაფვა ამაღლებულსა და მიუწვდომელთან მისაახლოებლად, უკვდავებასთან ზიარების დაუოკებელი ვნება: „ხელოვნებაა თავად უკვდავება... მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.

როცა კონსტანტინე გამსახურდია თავისი მხატვრული მიზანდასახულების გამო ამ ბიბლიურ სცენას ღმერთთან (და სიკვდილთანაც) ბრძოლის იდეის გამოსახატად იყენებს, რომანში ამას თავისი მხატვრული გამართლება შეიძლება მოეძებნოს.

ისე ცალკე, მთლიანობიდან მოწყვეტით თუ შევხედავთ ამ ბიბლიურ პასაჟს, იქნებ არავითარი გამართლების ძიება არც დაგვჭირდეს და კიდეც ვირწმუნოთ ყველა იმათი, ვინც ამ ღირსშესანიშნავ ადგილს ღმერთმებრძოლობის ერთ-ერთ უძველეს დადასტურებად მიიჩნევს, ოღონდ ძველი აღთქმის თეოლოგიის, მისი ღვთისშემეცნებითი იდეოლოგიის გათვალისწინება — სწორედ ამ ფართო თვალთახედვით გაიაზრა ეს სცენა ზურაბ კიკნაძემ — ვითარებას სულ სხვაგვარად წარმოგვადგენინებს.

„ამ ეპიზოდის ავტორს, ან იმას, ვინც ეს თქმულება ხალხის პატრიარქზე ერის ისტორიაში შეიტანა, — წერს მკვლევარი, — არ ამოძრავებდა ეს იდეა. იაკობი აქ გადის გამოცდას, ის იცდება როგორც ხალხის მამამთავარი. აქ ჩანს იაკობის უშიშარობა, „ვითარცა უხორცოსი“ (ის ხომ უხორცო ანგელოზს ებრძოდა), შეუპოვრობა, რომლის ბადალი სულიერ-ზნეობრივ სფეროში გამოიჩინა მრავალტანჯულმა იობმა, როდესაც მან ღმერთს გაუმართა სასამართლო და გამართლდა. ეს მომენტი გამომდინარეობს ძველი აღთქმის თეოლოგიიდან, მისი საერთო ღვთისშემეცნებითი იდეოლოგიიდან, ისევე როგორც იაკობის სიტყვები ბრძოლის ადგილის სახელდების შემდეგ: „პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი“.

აი, თურმე როგორ უნდა განიმარტოს უფლის

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგელოზთან იაკობის შერკინების სცენა, გამომხატველი მხოლოდდამხოლოდ პატრიარქის სულიერი სახეცვალების აქტისა, მისი პიროვნული გარდატეხის მაჩვენებელი, რაც მოწმობს, რომ ძველი აღთქმის შემოქმედს რომელიმე ხალხური თქმულება კი არ გამოუყენებია გადასამუშავებლად — თქმულება, რაც ღმერთთან ბრძოლის იდეას შეიცავდა — არამედ თავის თეოლოგიურ შეხედულებებზე დაყრდნობით გაუაზრებია იაკობის ცხოვრების ყოველი შემთხვევა და, კერძოდ, ეს მომენტიც. სწორედ ამ სულიერ მომენტთა ერთგვარობის მიხედვით დაუკავშირდა იაკობის ქმედება იობის ხაზს. როგორც გამოჩნდა, ღრმა შინაგანი ნათესაობა არსებულა ამ ორ ბიბლიურ პიროვნებას შორის და ისიც მკაფიოა, რაოდენ გარეგნული ყოფილა იაკობსა და ამირანს შორის დანახული მსგავსება.

ამირანსა და გილგამეშს შორის მსგავსების პოვნა, მათ შორის რეალური ურთიერთკავშირის ძიება თუ მაინცაა გამართლებული?

დაე ეს კითხვაც წამოვჭრათ და ნუ მივხედავთ იმას, რომ ძიებათა ამ კუთხით წარმართვის ჭეშმარიტება არა ერთსა და ორ მკვლევარს ურწმუნია.

ამირანის ეპოსისაგან გილგამეშის აქადური ეპოსის წარმოშობის მტკიცება — დაფუძნებული ცივად ჭედვის საწარმოო პროცესის ბრძოლაზე ცხელად ჭედვის საწარმოო პროცესთან — ადრევე უარყვეს (დემნა შენგელაია, ოთარ ჩხეიძე), როგორც მოკლებული ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს, რადგან საწარმოო ფილოსოფია მართლაც ასე იოლად არ გადაიტანება მითოლოგიის ხანაში.

დემნა შენგელაია ასეთ გადამეტებას კი უარყოფდა, მაგრამ, როგორც ითქვა, ამირანიანსა და გილგამეშის ეპოსს შორის თვალსაჩინო მსგავსებას ისიც ხედავდა და რადგანაც ამ მსგავსების დამადასტურებელ მაგალითებს ეძიებდა, თავისთავად ცხადია, ამ მიმართებით კვლევის გაგრძელება საკმაოდ მნიშვნელოვნად მიაჩნდა. მართალია მის მიერ პარალელური მაგალითის ნიმუშად გამოყენებული — ტაბუირების მომენტის არსებობა ორივე ძეგლში — ხელოვნურია და ძნელად სარწმუნო, რადგანაც ქართული თქმულების დღევანდელ ვერსიებში კი შეიმჩნევა ეს მომენტი და აშკარადაც, მაგრამ აქადურ ეპოსში ენქიდუს განკაცების პროცესი სულ სხვა რიგის მოვლენაა — აქ ერთი კერძო კაცის მაგალითზე ნაჩვენებია კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი პროცესი და არაფერი აქვს საერთო ტაბუიზმთან... დიახ, მართალია ეს პარალელი დაუჯერებელია, მაგრამ ცალკეულ მაგალითთა მცდარობა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს და სულაც არ არის საკმარისი მთლიანი კონცეფციის გასაბათილებლად, ბოლოსდაბოლოს იქნებ ინტუიციამ უფრო სწორად განჭვრიტა რეალური ვითარება.

ამ კონცეფციის შემოწმების ერთგვარ სახინჯქვად კი — რათა ძალიან შორს აღარ გავყვეთ ყველა ცალკეულ პარალელის ხელახლა განხილვას — შესაძლოა გამოვიყენოთ მიხეილ შენგელიას გამოკვლევიდან რამდენიმე ტიპიური ნიმუში. ეს გამოკვლევა ხომ ამ მიმართებით ყველაზე ვრცელია და კონცეფციის მართებულობა-უმართებულობის შეფასებაც მის ფონზე უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება.

მართალია, ზოგადი თვალსაზრისით მთელი ეს კონცეფცია უარყოფილია და ამ მიმართებით კვლევის გაგრძელება არასასურველადაა მიჩნეული (ზურაბ კიკნაძე), მაგრამ რათა ყველაფერი თვალსაჩინო ყოფილიყო, ზედმეტი არ უნდა იყოს იმ შთაბეჭდილებათა გამოთქმაც, რასაც მსგავსებათა დასაბუთების ცდა აღძრავს.

გამოკვლევის გაცნობისას უპირველესად თვალშისაცემია ის, რომ ამირანის თქმულება არ არის პლასტების სიძველე-გვიანდელობის მიხედვით შესწავლილი, არ არის დადგენილი ცალკეული, თუნდაც თავისი არსით ნამდვილად უძველესი მოტივი რამდენად ბუნებრივად ერწყმის ჩვენს ეროვნულ თქმულებას და პირვანდელი ხანიდან მოჰყვება თუ ახალ დროში მიეტმასნა შემთხვევით; საერთოდ, ცდაც კი არაა თქმულების პირვანდელი სახის აღდგენისა, როცა მთლიანი სისტემა არ არის გააზრებული, ვერაფერს უშველის ზოგიერთი ეპიზოდის ხანიერების გასარკვევად არჩეული თავისთავად საეჭვო გზა. ეს ეპიზოდები ხომ მთლიანი სისტემის ნაწილია...

ყოველივე ამის გამო, დღევანდელი ვერსიების მიხედვით ნებისმიერადაა მოხმობილი მკვლევარისათვის გამოსადეგი, მისი შეხედულების დამადასტურებელი ადგილები თუ დეტალები და არ არის გათვალისწინებული, რომ ეს ვერსიები მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებისა და შემდეგდროინდელია და მათი სახით უშალოდ უძველესი ხანის ჩანაწერები არ გვიპყრია ხელთ. გამოსადეგი ადგილების ასეთის ნებისმიერი (და არცთუ იშვიათად: ძალდატანებითი) თავმოყრით გარკვეული ილუზია მაინც იქმნება და ჩვენი ეროვნული გრძნობებისათვის ფრიად სასურველი სურათიც იხატება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მართლაც მხოლოდ ილუზიაა და არც სურათია რეალური, ამიტომაც იფანტება ასე იოლად და შედარებისას თითქოს გამოვლენილ მსგავსებათა ნაძალადეობაც შიშვლდება.

მსგავსების ძიება ამირანისა და გილგამეშის პიროვნებებს შორის, როგორც წარმოშობის, ისე ინდივიდუალური თვისებების მხრივ — ის, რომ ორივე ღმერთ-კაცია, დედა ღმერთი ჰყავთ, მამა კი ადამიანი და ორივეში დედის თვისებები ჭარბობს — რაიმე ნიშანდობლივ საერთოს ვერ გვიჩვენებს და, არსებითად ტიპოლოგიური მსგავსების ფარგლებს არა სცილდება.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი და იმას დავუკვირდეთ, თუ რამდენად მართებულია ორი პასაჟის მსგავსებაზე მითითება.

მკვლევარი ყურადღებას მიგვაქცევინებს იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტს, რომ მიუხედავად მათი პიროვნული ხიკეთისა, როგორც გილგამეშის, ისე ამირანის ბუნებაში არსებობს ისეთი ელემენტები, რაც ხალხის შემაწუხებელია.

გილგამეში ახეთნაირად წარმოგვიდგება ეპოსის დასაწყისში: „მოზვერივით დადის ქედმაღალი... იდუმალ დრტვინვენ ურუქის მოყმენი: „არ უშვებს გილგამეშ ძეს თავის მამასთან, დღედაღამ ლალობს მისი ხხეული... არ უშვებს გილგამეშ ქალწულს დედასთან, ახულს გმირისას, სახძლოს მოყმისას".

და ამ პასაჟსაა შედარებული ქართული თქმულების კახური და ხვანური ვერსიების თითო ვარიანტიდან ეს ადგილები:

„პატარობითვე საშინელ ღონეს იჩენდა და ბოლოს ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ყველამ შიშით დაუწყო ყურება, ნათლიამაც ყურადღება მიაქცია და რადგან მისი მომავალიც არასაიმედო იყო, მოინდომა ხალხისათვის მისი მოშორება" (კახური ვარიანტი).

ამირანსა და მის ძმებს „მთელი სოფელი მობეზრებაზე ჰყავდათ მიმდგარი... სოფელს ძალიან მოეწყინა მათი ქცევისაგან... ადამიანი კოლოს ოდენად არ მიაჩნდათ და თავის თავი კი ღმერთი ჰგონიათ... ყველა თავის ფეხქვეშა ჰყავთ... თავის თქმაზედ არიან, ცუდს გარდა, კარგს არაფერს აკეთებენ" (სვანური ვარიანტი).

გარეგნულად მსგავსება თითქოს მართლაც შეიმჩნევა, მაგრამ მკვლევარი, როგორც ყველა სხვა შემხთვევაშიც, აქაც არაფერს გვეუბნება, რატომ, რა მიზეზითაა შერჩეული ამირანის თქმულების არაერთ ვერსიათაგან მაინცდამაინც ეს ორი ვარიანტი. არადა, განა კახური ვარიანტი გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ამირანი გილგამეშივით თავიდან ხალხის შემაწუხებელია? ეს ვარიანტი ხომ ერთი მცირე ფრაგმენტია, რომელშიც ამირანის დაბადებისა და მიჯაჭვის გარდა სხვა ეპიზოდები არა გვხვდება, ამიტომ ეს მომენტი — ამირანი პატარობიდანვე რომ საშინელ ღონეს იჩენს და ყველა შიშით უყურებს — რასაც მოჰყვება ღმერთის განრისხება და ამირანის დასჯა, წარმოგვიდგება როგორც ნაშთი ამ ვითარებისა, გამარჯვებებისაგან (ბაყბაყდევისა და სხვა დევთა შემუსვრა, ზეციური კოშკიდან ყამარის მოტაცება, ღრუბელთ-ბატონისა და მისი ლაშქრის დამარცხება) გაამაყებული გმირი ღმერთსაც რომ არ შეეპუება და საჰიდაოდ გამოიწვევს; ანუ ნაშთი არა ამირანი ბიოგრაფიის დასაწყისის, არამედ დასასრულის.

საერთოდაც, ეს ვითარება — კეთილი გმირი ხალხის შემაწუხებლად რომ იქცევა — ვერსიებში ყველგან მიჯაჭვის ეპიზოდის წინ იქმნება და თხრობის მდინარებით, ყოველნაირი ლოგიკით სწორედ აქ არის გამართლებული მისი არსებობა.

სვანური ვერსიის ამ ვარიანტის მიხედვით, როგორც დამოწმებული ციტატა გვარწმუნებს, გმირი ასეთ უსიამო ზნეს საგმირო საქმეთა ჩადენამდეც იჩენს. მაგრამ თუ დაკვირვებას აქ არ შევწყვეტთ და თხრობას ბოლომდე გავყვებით, მკაფიოდ გამოჩნდება, რომ ამირანის პიროვნულ ბუნებაში — განსხვავებით გილგამეშისაგან, რომელსაც სულიერი ფერისცვალება უსიამოვნო თვისებებისაგან განკურნავს და ზნეობრივ ღირებულებებს აზიარებს — არავითარი ცვლილება არ მოხდება და ოდინდელი ზნე გამარჯვებათა შემდეგაც კვლავ იჩენს თავს მის არსებაში. ის, რასაც სხვა ვერსიების მიხედვით ერთხელ ვეცნობით, ამ ვარიანტში ორჯერ მეორდება.

ასეა თუ ისე, სვანურ ვარიანტს კიდევ რომ მივანიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, ამით გილგამეშთან საერთო მაინც ვერ დგინდება და მკვლევარის მტკიცებას საყრდენი ეცლება. მითუმეტეს, რომ ვერავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ, რადგან დამოწმებული ადგილი აშკარად ქრისტიანობის გავლენითაა გაჩენილი: რათა მთქმელმა თუ გარკვეულმა წრემ ამირანის სამუდამო ტანჯვის მიზეზი და მოტივირება ყოველმხრივ საფუძვლიანი გახადონ, მსმენელები დაარწმუნონ, ამირანს დიდგულობა და ხალხის შეწუხება ბავშვობიდანვე სჩვეოდაო... სხვათა შორის, ამავე მიზეზით, ქრისტიანობის გავლენითაა გამოწვეული ამ სვანურ ვარიანტში ამირანის მიერ ღვთისადმი მიცემული ფიცის რამდენჯერმე გატეხვა... ერთი სიტყვით, დამოწმებულ პასაჟს თუ კიდეც გამოვრიცხავთ მისი აშკარა გვიანდელობის გამო, თქმულების ვერსიათა საერთო ზოგადი სტრუქტურის გათვალისწინება მკაფიოდ დაგვანახვებს, რომ მკვლევარის მიერ მითითებული პარალელის მხრივ გილგამეში და ამირანი არამცთუ მსგავსნი, ერთმანეთის სრულიად საპირისპირონი ყოფილან: ის, რაც ერთის მოღვაწეობის დასაწყისია, დასასრულია მეორის მოღვაწეობისა.

პარალელებად სახელდებულ ცალკეულ მაგალითებს ნუღარ გავყვებით (თუმცა მაგალითები საკმაოდ მრავლადაა, მაგრამ ანალიზისას ყველგან ეს ტიპიური ვითარება ვრცელდება) და ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ გამოკვლევაში ელემენტარული ერთიანი პრინციპიც კი არ აპის დაცული.

ამირანი ხომ ყოველნაირი წესითა და კანონით მხოლოდ გილგამეშთან უნდა იყოს შედარებული.

აქ კი რა ხდება?..

თურმე „ხშირად ის, რაც ენქიდუზე არის ნათქვამი გილგამეშიანში, ქართულ ეპოსში ამირანს მიეკუთვნება".

თანაც მკვლევარს ენქიდუსა და შამხათის ურთიერთობა, ერთი მხრივ, თუ ამირანისა და ყამარის ურთიერთობას აგონებს, მეორე მხრივ, მისივე ერთი ეპიზოდი ამირანის მამის, სულკალმახისა, და დალის ერთ-ერთი ვარიანტისეულ შეხვედრის სცენას ახსენებს.

ენქიდუ არამარტო მამასთან და შვილთან არის შედარებული ერთდროულად, არამედ ამირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ძმა უსუპთანაც... ის კი არა, ცამცუმთანაცაა შედარებული.

ეს ამდენი პარალელი სხვადასხვა პერსონაჟებთან თავისთავადაც ეჭვს ჰბადებს და თუ ვიკითხავთ — რანაირად, რის საფუძველზე ხდება ეს შედარება, რა აუცილებლობამ გამოიწვიათ — პასუხი ერთი იქნება: „გილგამეშიანის" რომელიღაც სიტყვა თუ დეტალი ქართული თქმულების ასევე რომელიღაც სიტყვასა თუ დეტალს რამენაირად დაემთხვეს. ასეთ დროს კი რაიმე ერთიანი პრინციპის დაცვა, ბუნებრივია, ვერ მოხერხდება.

ალბათ, შეიძლება უკვე ითქვას, რომ მკვლევარის მტკიცებათა არადამაჯერებლობის გამომჟღავნება კიდევ ერთხელ და თვალსაჩინოდ ადასტურებს იმ ზოგად დებულებას, იმ მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომ ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება გაუმართლებელია და, ამდენად, შეუძლებელია ჩვენთვის სასურველი ნაყოფი გამოიღოს.

გილგამეშისა და ამირანის ეპოსთა შედარების უმართებულობა ზურაბ კიკნაძემ გამოთქვა მეთოდოლოგიური პრინციპის საფუძველზე („გილგამეშიანის" მისეულ თარგმანთან დაკავშირებული დიალოგისას), მართალია მხოლოდ თეზისურად გამოთქვა — რადგან ლიტერატურული დიალოგის ჟანრული კანონები ამ შემთხვევაში არც აძლევდა ვრცელი მსჯელობის საშუალებას, მაგრამ თავისთავად ეს თეზისური აზრიც სავსებით მკაფიო და გასაგებია.

გილგამეშის აქადური ეპოსი ხომ პიროვნული შემოქმედების ნაყოფია, რაც, ცხადია, ეყრდნობა და ითვალისწინებს გილგამეშის თქმულების სხვადასხვა ვერსიებს, მათ შორის, უპირველესად, შუმერულ ეპიკურ თქმულებებს — ჩვენთვის კარგად ცნობილ ციკლს გილგამეშზე — მაგრამ ეს ყველაფერი აქადელ ეპიკოსს საკუთარ შემოქედებით ქურაში გაუტარებია და სრულიად სხვა მხატვრული გააზრებანი მიუნიჭებია.

ჯერ მარტო გილგამეშის შუმერული ეპიკური თქმულებებისა და აქადური ეპოსის შეპირისპირებითი განხილვა ამ კუთხით (ვთქვათ, როცა შუმერული თვალთახედვით, გილგამეში და ინანა, იგივე იშთარი, დაძმანი არიან, აქადურით კი იშთარი ვერაგი ქალღმერთია, რომლის სიყვარულსაც უარყოფს გილგამეში; ანდა ენქიდუ, ვინც შუმერულ თქმულებაში გილგამეშის მონაა, აქადურ ეპოსში კი მისი მეგობარი; ანდა სრულიად სხვადასხვაგვარი მოთხრობა კედარის ტყის დალაშქვრის ერთი და იმავე ამბისა...), იოლად ცხადყოფს, რაოდენ განსხვავდება გილგამეშის სახისა და თავგადასავლის შუმერული და აქადური მხატვრულ-სიმბოლური გააზრებანი.

და, რადგანაც „გილგამეშიანი" პიროვნული შემოქმედების ნაყოფია, მისი შედარება — ჟანრული თვალსაზრისით სავსებით გამართლებული — შეიძლება მხოლოდ ეპოსთან, ვთქვათ, „ვეფხისტყაოსანთან", და არა ამირანის თქმულების დღევანდელ ვერსიებთან.

ერთი სიტყვით, თუ რაოდენ ხელოვნურია გილგამეშისა და ამირანის ამბებს შორის საერთოს ძიება, იმ შეპირისპირებითი განხილვითაც ნათლად გამოჩნდება, რომ შუმერული ეპიკური თქმულებანი — რომელთან შედარებაც თითქოს უფრო გამართლებული ჩანს, ვიდრე აქადურ ეპოსთან — არავითარ ნიშანდობლივ მსგავსებას არ ამჟღავნებს ჩვენს ეროვნულ თქმულებასთან.

ოღონდ, როცა ამირანის თქმულებასა და გილგამეშის ეპოსს შორის მსგავსი ფრაგმენტული და სიუჟეტური რეალიების არსებობას საბოლოოდ გამოვრიცხავთ, ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს მათი ერთად ხსენებაც არ შეიძლებოდეს, როგორც, გარკვეული აზრით, სულიერად ერთმანეთის მონათესავე გმირებისა, სხვა ფაუსტურ გმირთა რიგში რომ დგანან. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა, ფილოსოფიური ასპექტით გააზრებაა.

ხოლო, რაც შეხება იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ამირანის ამბავი წარმართულ ეპოქაში არამარტო თქმულების სახით არსებულა, არამედ საგმირო ეპოსადაც ყოფილა ჩამოყალიბებული, დღევანდელი ვერსიები კი უშუალოდ ამ ეპოსის ნაშთი უნდა იყოსო, ესეც ხომ იმ ერთიანი კონცეფციის ნაწილია, იმ საერთო იდეის გამომხატველი, ამირანის ამბის უძველესობას რომ ამტკიცებს; და თუმცა თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია ძიება იმის გასარკვევად, ამირანის თქმულებამ ეპოსის სახე შეიძინა თუ არა, ზოგადი აზრით, როგორც თქმულების, ისევე ეპოსის არსებობის მტკიცებას ერთნაირად ეცლება სამი საყრდენი, როცა ქრისტიანობამდელი ეპოქის ნივთიერი კულტურის ძეგლებიც, იაკობისა და უფლის ანგელოზის შერკინების ბიბლიური სცენაცა და გილგამეშის აქადური ეპოსიც ამირანული პრობლემატიკის მიღმა რჩება.

და ასევე ერთნაირად მიადგებათ დაეჭვებული მზერა, როცა ეს მზერა ახლა სხვა პრობლემებზეც გადაინაცვლებს — ამირანისა და პრომეთეს თქმულებათა ურთიერთმიმართებისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრიივ, ქართული თქმულების მითოლოგიური შრეების გამოცალკევების პრობლემებზე — და ლოგიკური აუცილებლობა მათ რკალში შემოიტანს ჩვენი შუა საუკუნეების საგმირო-სათავგადასავლო რომანს — მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს".

თითქოს არც ისე იოლია, რომ სწორედ ობიექტური თვალთახედვით იქცეს სადავოდ პრომეთეს მითის ქართული თქმულებისაგან წარმომავლობა ანდა სადავო გახდეს თქმულებაში სავსებით ნათლად გამჟღავნებული მითოლოგემები და, ამდენად, ამირანის ამბის იმ უშორეს ეპოქაში არსებობა; თითქოს ნამდვილად არ უნდა იყოს იოლი, ისე საგულისხმო და სარწმუნო ჩანს ის საბუთები, რისი მხოლოდ ნაწილი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხსენეთ, მაგრამ რაკი ერთი გადავწყვიტეთ ყველაფრის ბოლომდე გულდასმით გაჩხრეკა და გათვალისწინება, დაწყებულ გზას ნუღარ გადავუხვევთ.

თანაც შუა საუკუნეში „ამირანდარეჯანიანის" არსებობა და მისი მიმართება ამირანის თქმულების დღევანდელ ვერსიებთან, საკმაოდ დამაფიქრებელ პრობლემას წამოჭრის, ისე დამაფიქრებელს, რომ, გვინდა თუ არ გვინდა, რამდენადმე საჭოჭმანოს ხდის ამ ვერსიების პირველწყაროს — ერთი მთლიანი თქმულებისა თუ ეპოსის — ძიებას უშორეს წარსულში.

საჭოჭმანოს, თუ ერთ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას:

ერთ-ერთი ფოლკლორული ნიმუში, ტარიელიანი, როგორც ითქვა, „ვეფხისტყაოსნის" გახალხურებულ ვერსიას წარმოადგენს.

აბესალომ და ეთერის ფოლკლორული ამბავიც — როგორც პავლე ინგოროყვას აქვს გამოთქმული ვარაუდი — „ამირანდარეჯანიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" თანადროული ეპიკური თხზულების, „ეთერიანის", გახალხურებული ვერსია უნდა იყოს.

ხალხური „როსტომიანი" კი (ეს უკვე მოგვიანო, რამდენიმე საუკუნის შემდგომი ხანაა) დიდი ირანელი ეპიკოსის ფირდოუსის „შაჰნამეს" ქართული თარგმანის ფოლკლორული ვერსიაა.

და აი, ამ ფონზე წამოიჭრება „ამირანდარეჯანიანისა" და ამირანის თქმულების დღევანდელი ვერსიების ურთიერთმიმართების საკითხი. ბოლოსდაბოლოს აქაც ის ერთიანი კანონზომიერება ხომ არ მოქმედებს და თქმულების ვერსიები ლიტერატურული თხზულების გახალხურებული ვარიანტი ხომ არ არის? დაე, დავსვათ ასეთი კითხვაც.

აქ, უნდა ითქვას — თუ საკითხის კვლევის ისტორიას გადავხედავთ — ტარიელიანის, აბესალომ და ეთერისა და როსტომიანის მიმართება თავიანთ ლიტერატურულ პირველწყაროებთან ხელაღებით არავის გაუვრცელებია ამირანის ციკლზეც; და როცა ამ შემთხვევაში ლიტერატურულ და ფოლკლორულ თხზულებათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე მათ შორის პირველადობის გარკვევა სცადეს, მკვლევარებმა ის საერთო დასკვნა გაიაზიარეს, რომ: ერთი მხრივ, ზეპირმა თქმულებებმა მოახდინა გავლენა მწერლობაზე და მოსე ხონელის საფალავნო რომანი ამირანის ზეპირსიტყვიერი ციკლის გადამუშავების შედეგად შეიქმნა; და მეორე მხრივ, უძველესმა ეროვნულმა თქმულებამ „ამირანდარეჯანიანის" გავლენით მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა.

ვთქვათ, კორნელი კეკელიძემ ერთმანეთს რომ შეუდარა რომანისა და ფოლკლორული ციკლის პარალელური ეპიზოდები თუ მომენტები, უეჭველად აღიარა, რომ ამ შემთხვევაში ლიტერატურულ თხზულებას აშკარა უპირატესობა ენიჭებოდა, ოღონდ ეს უპირატესობა ამგვარად განმარტა:

თქმულების ის ეპიზოდები, რაც ლიტერატურულად დამუშავდა „ამირანდარეჯანიანში", ამ რომანის გავრცელების გამო დაიკარგა და დავიწყებას მიეცა. სამაგიეროდ, საუკუნეთა მანძილზე თვითონ რომანმა წარმოშვა ის ახალი თქმულებანი, რომლებიც დღეს ხალხში ტრიალებს. იმ ძველი, პირველადი თქმულებებიდან კი გადარჩა მხოლოდ ის, რაც თავის დროზე „ამირანდარეჯანიანში" არ შესულა. და ეს უნდა იყოს თქმულება ამირანის ცხოვრება-მოღვაწეობის პირველი და უკანასკნელი ხანის შესახებ, რასაც ლიტერატურაში პირველწყაროს ვერ მოვუძებნით.

ამას რომ ამტკიცებდა, კორნელი კეკელიძე „შაჰ-ნამეს" ხალხურ ვერსიებთან დაკავშირებულ ანალოგიურ ფაქტს იშველიებდა. „ეს ეპიზოდებით, — უშუალოდ ირანული ეპოსის ეპიზოდებს გულისხმობს მკვლევარი, — ზოგიერთი მაინც უძველესი დროიდან დადიოდა ჩვენში, ამას, სხვა არა იყოს, ადასტურებს ზღაპარი „ტრიითინო". მას შემდეგ, რაც „შაჰ-ნამე" ქართულად ითარგმნა, ეს თქმულებები დავიწყებას მიეცა, სამაგიეროდ „როსტომიანმა" წარმოშვა ის ხალხური თქმულებანი როსტომისა და სხვა პერსონაჟების შესახებ, რომელნიც დღეს ცნობილი არიან ჩვენში „ხალხური როსტომიანის" სახელითო".

„შაჰ-ნამეს" გახალხურებულ ვერსიებთან უაღრესად ზუსტი ანალოგიის გამოძებნით და ამით არამარტო ზოგადი მსგავსების, არამედ ნიუანსობრივი თავისებურების შემჩნევით კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ამირანის თქმულების ვერსიათა მართლაც საკმაოდ ღრმა კავშირი საფალავნო რომანთან.

ანალოგიას კი კიდევ ერთი დამაფიქრებელი თვალსაზრისი მოსდევს: „ამირანდარეჯანიანის" ხალხური ვარიანტების წარმოშობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მისმა გალექსვამ XVII საუკუნეში, რომელიც ეკუთვნის ძმებ თანიაშვილებს".

მკვლევარი მხოლოდ ამას ამბობს, „განსაკუთრებით შეუწყო ხელიო" და უფრო შორს, ბუნებრივია, აღარ მიდის. ისე კი ანალიზის პროცესში XVII საუკუნისდროინდელი გალექსილი „ამირანდარეჯანიანის" გამოჩენამ როგორ ერთბაშად და უკიდურესად შემოზღუდა კვლევის არეალი და უშორესი ეპოქებისაკენ მიპყრობილი ჩვენი თვალთახედვა რაოდენ მახლობელ საუკუნემდე ჩამოიტანა. თითქოს ამ ძეგლის მარტოდენ გამოჩენას ასეთი რადიკალური განცდები არ უნდა გამოეწვია, მითუმეტეს, კორნელი კეკელიძე ხომ გარკვევით ირწმუნება, გალექსილმა ლიტერატურულმა თხზულებამ ფოლკლორული ვერსიების წარმოშობას მხოლოდ ხელი შეუწყო, მარტო თვითონ კი არ წარმოუშვიაო; მაგრამ აქ უთუოდ ჩნდება საფიქრალი. ერთად განვსაჯოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირანის ეპოსის არსებობას რომ ვარაუდობდნენ წარმართულ ხანაში, ამ ვარაუდის უპირველესი საყრდენი ხომ დღევანდელი ვერსიების ლექსითი ნაწილი გახლდათ. ის პოეტური პასაჟები, რაც პროზაულ თხრობას ენაცვლება შიგადაშიგ, ლექსს აღიქვამდნენ უძველესი ეპოსის ნაშთად, პროზაული ნაწილი კი თითქოს დაკარგული პოეტური სტრიქონების მაგივრად ავსებდა მთლიან თხრობას.

მაგრამ თუ ხალხური პოეტური ეპიზოდების პირველწყარო, უფრო ზუსტად: პირველი ბიძგი თანიაშვილების „ამირანდარეჯანიანია"?..

ამ თვალით თუ შევხედავთ, ადვილი შესაძლებელია, რომ ის ფაქტიც (ქრისტიანული სარწმუნოების ელემენტები შესულია ვერსიათა არა გალექსილ, არამედ მხოლოდ პროზაულ ნაწილში) მარტოდენ ისე კი აღარ ავხსნათ — პოეტური სტრიქონები დროთა ვითარებაში დაიკარგა და პროზაული თხრობა იმიტომაც შეენაცვლა, ხოლო ქრისტიანული ელემენტები, როგორც მერმინდელი ჩანართი, ბუნებრივია, პროზაულ ნაწილში გაჩნდაო; არამედ ასეც: ეს ელემენტები იმიტომაც არ გვხვდება ვერსიათა პოეტურ ნაწილში, რომ გალექსილი „ამირანდარეჯანიანისათვის" (ისევე, როგორც მისი ლიტერატურული პირველწყაროსათვის) ისინი სავსებით უცნობია და ამ პოემის ფოლკლორში გადასვლისას და ხალხური თუ სხვა მოტივებით შევსებისას შეუძლებელი ჩანს, რომ ქრისტიანული ელემენტები პოეტურ ნაწილში შეჭრილიყო. ისინი ბუნებრივად დარჩებოდნენ იმ პროზაულ ნაწილში, რომელთან ერთადაც დაუკავშირდა „ამირანდარეჯანიანის" პოეტურ ფოლკლორულ ვარიანტებს, მითუფრო, რომ არაპერიოკულობის გამო ამ ადგილების გალექსვა მაინცდამაინც შესაფერისი ვერ გამოჩნდებოდა.

ასე რომ, პროზაული ნაწილი ამ თვალთახედვითაც მერმინდელ ცვლილებად და დამატებად კი წარმოგვიდგება, მაგრამ ეს „მერმინდელი" უკვე სრულიად საპირისპირო შინაარსს იძენს და ცდილობს დაგვარწმუნოს, შორეული სივრცეებისაკენ ცქერა რა საჭიროა, ვერსიათა პირველწყარო, აგერ, ხელისგაწვდენაზეაო.

და ეს მეორე მოსაზრება არაფრით არ გამოიყურება უფრო ნაკლებ დამაჯერებლად, ვიდრე პირველი.

ოღონდ ერთი კია — უძველესი ეპოქებისადმი ასეთი სკეპსისის მალიმალ შეხსენებით თოლად და ერთბაშად ხომ არ ვუაბუჩდებით თვალგაუწვდენელი საკვლევი არეალის ასეთ უკიდურეს შემოზღუდვას? არადა, თითქოს შუა საუკუნეებიც კი შორეული მოგვეჩვენა და მიჯნა კიდევ უფრო აქეთ გადმოვიტანეთ...

კაცმა რომ თქვას, ვითომ მართლა ისეთი ხანგრძლივი და დიდი კულტურის ერი ვართ, როგორც თავი მოგვაქვს და ძალიან გვწყინს, როცა ამას არ გვიჯერებენ?

იქნებ იმ ნამცეცებს, რასაც ძველი მარგალიტებიდან ვაკოწიწებთ, ჩვენი სურვილის მიხედვით ვალაგებთ და ვავსებთ ისე, რომ ამ ილუზიას, რაც შეიძლება, გარეგნულად მომხიბლავი და დამაჯერებელი სახე მიეცეს?.. ჩვენ კი ეს ილუზია საბურველივით გადავიფაროთ, მყუდროდ მოვკალათდეთ და გავტვრინდეთ... ანდა დროშად ვაფრიალოთ, მაგრამ მის ფრიალს არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნდეს...

ნუ, ნურავინ შეკრთება.

ეს მართლა სკეპსისის გამჟღავნება ხომ არ არის, პირიქით, ეს სწორედ იმ უზომო წარსულის დიდი რწმენაა, რამაც ყოველგვარი ეჭვი უნდა გააბათილოს.

ამ იმედით გრძელდება კვლევა, როგორც არ უნდა შემოგვეპაროს ახალ-ახალი ეჭვები და როგორც არ უნდა შეგვაჭოჭმანოს ვერსიებისეულ პოეტურ პასაჟებზე დაკვირვებამაც და თუ გულდასმით დაუკვირდებით ლექსის გამომხატველობით მხარეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ადგილები ნამდვილად არა ჩანს ისეთი ძველი, რომ მისი წარმომავლობა უშორეს ხანაში ვივარაუდოთ. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე სტრიქონის დამოწმებაც საკმარისია, ვთქვათ:

ბადრი, უსუპ და ამირან ობლები
მოვიზარდებით,
დევების დაშინებულნი ჩაბალხებს
ჩავიყარენით.

ან —

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი
მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი
ალგეთისნი.
მინდორს კვალი მოეკვლიეს, ლანაჯლიკი
ეშმაკისი.
მთას ირემი წამოეწიათ, ოქრო იყო რქანი
მისნი,
ტყეში მთაზე კოშკი ნახეს ანაგები ბროლის
ქვისი...

ანდა —

ნუ მომკლეთ დარეჯანისძეს, ხელი გაუშვით
ხმლიანი,
მანდილი დედოფლისა, თავლი ოქროიანი,
ზღვას გაღმა ქალი გასწავლოთ სახელად
ყამარ ქაჯიანი...
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გახდება
გვიანი,
მოყვარული ხარ ამისა გზა იქ გექნება
მტრიანი...

და სხვა და სხვა. პოეტური ენა არსად არ იცვლება... განა ეს სტრიქონები საერთო პოეტური სტილით „არსენას ლექსს" რომ მოგვაგონებს, რაიმე სიძველეზე მეტყველებს? მართალია, „უძველესი საგმირო ეპოსის ნაშთს" რომ ვეძებთ, ეს „ნაშთი" გარკვეულად ამართლებს მხატვრული ფორმის სიახლეს, რადგან უფლებას გვიტოვებს ვიფიქროთ, რომ დროთა განმავლობაში ლექსმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივად განიცადა ცვლილებანი და გარეგნული ფორმით ჩვენს ეპოქას ამიტომაც დაუახლოვდა; მაგრამ იმის ფიქრის უფლებასაც ხომ ვერავინ წაგვართმევს, რომ ინქებ დასაახლოებელი არც არაფერი იყო და ამირანის ციკლის ლექსები კიდევ უფრო მეტი ბუნებრიობით მომდინარეობს XVII საუკუნის პოეტური მეტყველებიდან. მაგრამ ამას რომ ვამბობთ, ხელახლა გაგვახსენდება ერთხელ უკვე დამოწმებული ორიოდე თვალსაზრისი, რომელთა მიხედვითაც, გარკვეული მომენტები ამ ლექსებში მათი ფორმის სიძველეზე უნდა მიგვანიშნებდეს. რა მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ ამ თვალსაზრისებს?

რაჭულ ფერხისულ სიმღერებში ჩართულ ამირანის ლექსებს მიხეილ ჩიქოვანი ადრინდელი ფოლკლორული სინკრეტიზმის საფეხურს რომ უკავშირებდა, ამ მტკიცების ნაძალადეობა არც ისე ძნელი დასანახია, რადგანს ის უფრო სარწმუნო ჩანს, რომ ფერხისულ სიმღერებში ამირანის ციკლის ცალკეული პოეტური პასაჟები ჩაერთოთ თქმულების მთავარი გმირის განსაკუთრებული პოპულარობის გამო, ვიდრე ის, თითქოს ამ ფერხისული სიმღერების სახით ხელთ გვქონდეს თქმულების უპირველესი, საწყისი ვერსია.

ამასთან, როგორც გაირკვა, ბადრის „ხმა მშვენიერია"-ც (რასაც მკვლევარი გარკვეულ საბუთად იყენებს) სრულებით არ ნიშნავს ხმის მელოდიურობას და, თუნდ უძველეს რეალიად მივიჩნიოთ, ძალზე შორეულადაც არაფრით უკავშირდება გუნდურ შესრულებას, არც ეპიკური განმეორებანი უნდა იყოს გუნდური შესრულების ნაშთი, რადგან ამ კუთხით ძიება აშკარად ნაძალადევი გამოდგა, და უფრო სარწმუნო იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს განმეორებანი ზეპირსიტყვიერებისათვის კარგად ცნობილი პირწმინდად პოეტური ხერხია.

მაგრამ ეს ხერხი თავისი ბუნებით უძველეს პოეტურ ტრადიციას რომ უკავშირდება, ვითომ არც ამას აქვს რაიმე მნიშვნელობა? ალბათ, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნაკლებად აქვს, რადგან ეპიკურ განმეორებათა ტრადიცია კი ძველია, ოღონდ საქმე ისაა, რომ ამ ხერხმა სხვა პოეტური ხერხებივით ყოველთვის შეიძლება იჩინოს თავი, თვით ახალ დროშიც კი.

ასეთივე შთაბეჭდილებას იწვევს პავლე ინგოროყვასეული დაკვირვება, ყამარის მოტაცების ეპიზოდში გამოვლენილ პარალელიზმის ხერხს უძველესი ხანის რაფსოდების პოეტურ სტილთან რომ ანათესავებდა. თავისთავად, რაოდენ მართებულიც არ უნდა იყოს ეს დაკვირვება, პოეტური პარალელიზმიც სწორედ ერთ-ერთი იმ ხერხთაგანია, ჩვენს დროშიც რომ შეიძლება იჩინოს თავი.

ასე რომ, თქმულების დღევანდელ ვერსიებში ჩართული ლექსების ფორმა, არც საერთო ენობრივი სტილისა და არც ცალკეული პოეტური ხერხების მიხედვით, არ ამჟღავნებს რაიმე ისეთ თავისებურებას, რაც ამ ლექსების მაინცდამაინც წარმართულ ხანაში შექმნაზე მიგვანიშნებდა. და თუ მაინც უძველესი საგმირო ეპოსის ნაშთად მივიჩნევთ, ასეთი განსაზღვრება უკვე ვეღარ გამოჩნდება მთლად დამაჯერებელი.

ამ ურწმუნობას თავის მხრივ უთუოდ უმაგრებს საყრდენს ვერსიებისეული ონომასტიკა (იამანი, ბადრი, უსუპი, ყამარი, ამბრი...) და ტოპონიმი „ბალხეთი" (ვარიანტული სხვაობით: ჩაბალხეთი). ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ყველა ეს სახელი სპარსულ-არაბული ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა და რადგანაც უშუალო საერთოს ამჟღავნებენ „ამირანდარეჯანიანთან", ბუნებრივია, მკვლევარები ამ ძეგლიდან მომდინარედ აღიქვამენ.

და, რაც განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, არსებობს თვალსაზრისი, რომ თვითონ სახელი ამირანისა, და, ამასთან, სახელი მისი დედისაც — დარეჯანი, იმავე სპარსულ სამყაროშია შექმნილი (ნიკო მარი); მართალია, საპირისპირო თვალსაზრისს — რომ „ამირანი" უძველესი ქართული სახელია, რასაც ადასტურებს ძველბერძნული სიტყვის „ამარანტოს" ეტიმოლოგია, „ამირანის მთას" რომ ნიშნავს და, ამდენად, სახელი „ამირანი" ანტიკურ ხანაში უკვე არსებულა — არაერთი მკვლევარი იზიარებს (აკაკი წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე, მიხეილ ჩიქოვანი, აკაკი ურუშაძე), მაგრამ როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, ნიკო მარის თვალსაზრისი უფრო ახლოსაა რეალობასთან. „უფრო ახლოს" იმას ნიშნავს, რომ „ამირანი" მთლად სპარსული წარმომავლობის სახელი არ აღმოჩნდება და, როგორც ჩანს, გარეგნულად სპარსულ გაფორმებას უძველესი ქართული სახელის ხსოვნა შემოუნახავს. თუმცა ხსოვნა რომ შემოუნახავს, ეს მხოლოდ ვარაუდია, დაფუძნებული გარკვეულ საბუთებზე, მაგრამ მაინც ვარაუდი, თვალშისაცემი კი ის არის, რომ „ამირანის" გაფორმების მხრივ სპარსულიდან მომდინარე სახელია და ვინც თქმულების ვერსიათა ლიტერატურული წარმოშობის თვალსაზრისს გაიზიარებს, მისთვის სახელის ამ გარეგნული ფორმის არაქართულობა და არაუძველესობა, ცხადია, არცთუ უმნიშვნელო საბუთი იქნება.

დარეჯანიც, თავისი გარეგნული ფორმით, ამირანივით სპარსულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის. თუმცა, კვლავ ამირანისა არ იყოს, აქაც ცდილობენ, რომ სპარსული გაფორმების მიღმა უძველესი ქართული სახელის — სახელდობრ, დალის — ხსოვნას თუ გარკვეულ ანარეკლს მიაგნონ.

ახლებური გაფორმების ქვეშ უძველესი სახელის ანარეკლისა თუ ნაშთის ძიება მარტო ამირანისა და დარეჯანის სახელთა ანალიზით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოფარგლულა და ამიტომაც იყო, რომ ზემოთჩამოთვლილი ონომასტიკიდან ზოგიერთი სახელის სპარსულ-არაბული გარეგნული ფორმის გადაფხეკასაც (თუკი შეიძლება ასე ითქვას) შეეცადნენ.

ასე დაუკავშირდა კამარ-ქეთუ ელამურ ღვთაება ლაგამარს (ივანე ჯავახიშვილი), იამანი — იახსარს, ბადრი — ბარდოსს, თარგამოსის ერთ-ერთი ძის სახელს (მიხეილ ჩიქოვანი) იგივე ბადრი — არდსაც, მზის ძველქართულ სახელწოდებას, უსუპი კი სუბარულ-ხურიტულ თეშუბს (დემნა შენგელაია). აქ ყველგან კავშირი ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე გაიბა.

ამას გარდა, პირვანდელი სახელის აღსადგენად სხვა გარემოებასაც მიექცა ყურადღება. ივანე ჯავახიშვილმა ფშაური ვერსიის ამ სტრიქონთა მოშველიებით, უსუპს რომ შეეხება — „ერთმა პ ი რ ქ უ შ მ ა ვაჟ-კაცმა მხარმარჯვნივ ჩამოგვიარა, გუთნეულს ხელი გაგვიკრა, წყალ გაღმით გაგვისრიალა" — ივარაუდა: აქ „პირქუში" უსუპის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ შეიძლება თავდაპირველი სახელიც იყოს, პირვანდელი თქმულებიდან შერჩენილიო. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა იმას, რო ფშაველებსა და ხევსურებს „პირქუშნი" ერთ-ერთ ძლიერ გმირთაგანად, ღმერთადაც კი მიაჩნდათ და ხევსურეთში „პირქუში" ძლიერ ხატად ითვლება.

მაგრამ რამდენად დამაჯერებელია ასეთი დაკვირვება პირქუშის ხატსა და ამირანის თქმულების ერთ-ერთ პერსონაჟს შორის? განა პირქუშის ხატის ანდრეზი რაიმეთი მოგვაგონებს უსუპის პიროვნებას? თქმულების ერთ-ერთ დღევანდელ ვერსიაში შემთხვევით ნახსენები სიტყვა ასეთი განზოგადების საშუალებას ნამდვილად ვერ მოგვცემს, უფრო სარწმუნო მონაცემი კი არ არსებობს.

ანდა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების მიხედვით — როცა სხვა არაფერი საერთო არ შეიმჩნევა — რაიმეს მტკიცება მოხერხდება? რად უნდა იყოს იამანი იახსარი, ან ბადრი ბარდოსი თუ არდი, ან უსუპი რაღად უნდა იყოს თეშუბი? როგორც კი ეს კითხვები დაგვებადება, მაშინვე აშკარა გახდება მთელ ამ დაკავშირებათა ხელოვნურობა.

რაც შეეხება ყამარის (სვანური ვერსიით: ქეთუ) პირვანდელი სახელის ძიებისას ელამელთა ღვთაება ლაგამარის ამოტივტივებას, მთელი ეს ანალიზიც — რაც ზემოთ უკვე დავიმოწმე — ვერ არის დამაჯერებელი და თითქოსდა უფრო მეტი საბუთიანობის მიუხედავად, ამ ორ სახელს შორის საერთოს არსებობაც გარეგნულ, მხოლოდ ფონეტიკურ, მსგავსებას არა სცილდება. სხვა რეალური საბუთი კი არა ჩანს. და რეალური საბუთის გარეშე ძნელია გავიზიაროთ, რომ, რადგანაც არსებულა ორნაწილიანი სიტყვა „კედორლაომერ" (სიტყვა, რომელშიც შედის სახელი ლაგამარ თავსართ „ლა"-ს გარეშე), თითქოს ამის გამო „გამარს" რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს „კედორთან", მათმა ამ ჩვენთვის აუხსნელმა კავშირმა კი წარმოშვა სვანურ გარემოში სახელი „ქეთუ", ხოლო ქართლურ-ფშაურ არეალში სახელი „ყამარი". ამ და ასეთ მეტად შორეული ძიების ხელოვნურობა კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთება, თუ „ყამარის" ეტიმოლოგიურ ახსნას უფრო ახლოს შევეცდებით და დავინახავთ, რომ ეს სახელი თავისი წარმომავლობით ბუნებრივად უკავშირდება არაბულ სიტყვას „კამარს", რაც სხვათაშორის მთვარეს ნიშნავს. როგორც ჩანს, არცერთი ამ სახელის ქვეშ — არც ბადრის, არც უსუპის და არც ყამარის — უძველესი ქართული სახელის ნაშთი არ იფარება. იამანისა და ამბრის სახელთა სპარსულ-არაბული წარმომავლობა კი სადავოდ არავის გაუხდია; არც ტოპონიმ „ბაღბეთის" ასეთივე წარმოშობა.

მიუხედავად იმისა, რომ ვერსიებში უშუალოდ ქართული სახელწოდებანიც გვხვდება: ქალღვთაება დალი, ტოპონიმები — ალგეთი, მყინვარწვერი... ამასთან, ამირანის მამის სახელიც, სულკალმახი, ეტიმოლოგიურად არავითარ საერთოს არ ამჟღავნებს სპარსულ-არაბულ გარემოსთან და მისი ახსნა თითქოს ელამური ენის მეშვეობით უფრო ხერხდება... დიახ, ამის მიუხედავად, ვერსიებისეულ სახელწოდებათა საერთო ფონი მუსახაუკუნეებისეულია და სწორედ ეს საერთო ფონია, რაც კვლავ და კვლავ „ამირანდარეჯანიანის" მხატვრულ სამყაროსთან გვაბრუნებს.

თუმცა საერთო ფონი საერთო ფონად, მაგრამ განა თავისთავად ასე უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ სახელი „ამირანი" თავისი საწყისი ძირით უძველეს ქართულ გარემოს უკავშირდება, ანდა სულკალმახი რომ მომდინარეობს ძველაღმოსავლურ სამყაროში კარგად ცნობილი ტიტულისაგან „სუკალმახ", რაც შუმერულ ენაზე ითარგმნება როგორც „დიდი სუქალი". ეს ტიტული შუმერიდან ელამის სამეფოშიც გავრცელებულა და ქართულ ეთნიკურ სამყაროში აქედან შემოსულა? მართალია, გიორგი მელიქიშვილის ეს თვალსაზრისი თავის დროზე დემნა შენგელაიამ და მიხეილ ჩიქოვანმა უარყვეს, მაგრამ ამჟამად მაინც ასეთი ეტიმოლოგიაა გაზიარებული (ჯემალ შარაშენიძე), რადგან სხვა უფრო დასაბუთებული გზა არა ჩანს. არა, თავისთავად ეს ფაქტები შეუძლებელია უმნიშვნელო იყოს, მაგრამ სპარსულ-არაბულ ონომასტიკონს უპირატესობა ენიჭება არა სიმრავლის გამო, არამედ იმავე ზოგადი შეხედულების მიხედვით, რაც ლექსთა ციკლის მხატვრული ფორმის ანალიზზე ვრცელდება ანუ ამ ციკლში უძველესი პოეტური ტრადიციის კვალის არსებობა არა წარმართული ხანის ნაშთად, არამედ ჩვენს დროში ძველი პოეტური სტილური ხერხის ხელახალ გამოჩენად წარმოგვიდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ზოგადი შეხედულება კი ის გახლავთ, რომ ბოლოსდაბოლოს ხადამდე წვდება ხალხის მხატვრულ-მითოლოგიური ცნობიერება და დღესდღეობით, განვლილ საუკუნეებს რომ გავზედოთ, განა რამდენი საუკუნე მოექცევა ამ ცნობიერებაში, „უძველესით", „ქრისტიანობამდელით", დაბეჯითებით ვიმეორებთ ამ გამოთქმებს ჩვენს ზეპირსიტყვიერებაზე საუბრისას, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ქრისტიანობამდელი ხანის მითოლოგიურსა და ეპიკურ შემოქმედებას, თუნდაც შეცვლილსა და დამახინჯებულს, მაინც მოეღწია ჩვენს დრომდე?

ეს არის ის აუცილებლად გასათვალისწინებელი და, ერთი შეხედვით, ლამის გადაულახავი შეკითხვა, რამაც, არსებითად, დაბადა ეჭვი იმ მომხიბლავი ერთიანი სისტემის მიმართ, ამირანის თქმულების უძველესა და უაღრესად ხანგრძლივ ისტორიას რომ ამტკიცებდა, და სწორედ ეს ეჭვი იყო, არაერთი საბუთის გაბათილებასთან ერთად კვლევის არეალში რომ შემოიტანა „ამირანდარეჯანიანი" და შუა საუკუნეების ეპიკურ ქმნილებათა გახალხურების რამდენიმე მსგავსი შემთხვევა, რათა ცალკეული საკითხებისა და მერე კი მთლიანი სისტემისათვის ახლებურად შეგვეხედა.

და ასეთ დროს არაერთი აქამდე გაუთვალისწინებელი ფაქტიც ჩაერთვის მსჯელობის მდინარებაში.

ჩვენი ზეპირსიტყვიერებისათვის უცნობია არგონავტთა ლაშქრობისა და კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცების ამბავი, ის წარმტაცი და მღელვარე სიუჟეტური ქარგა, რაც გარკვეული ქრონოლოგიური მაჩვენებლის მიხედვით — როგორც ვარაუდობენ — ამირანის თქმულების მერეა შექმნილი.

ასევე უცნობია ეპიკური თქმულებანი ქართლის პირველ მეფეზე, ფარნავაზზე, რაც ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების" მეოხებით შემოგვრჩა და, პავლე ინგოროყვას რწმენით, ქრისტიანობამდელი ქართული ეპოსის უდავო ნიმუში უნდა იყოს. უცნობია ამავე ისტორიულ თხზულებაში მის მიერვე მიგნებული, ეს უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისეული რამდენიმე ფოლკლორული ნიმუშიც: „გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქუელისა", „ბრძოლა ქართველთა მეფის მირვან I-სა და დურძუკთა" და ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები „ბრძოლა გმირთა და სახტიკება ბაერისა".

ეს ფოლკლორული ნიმუშები (განსაკუთრებით, არგონავტების მითი და ფარნავაზის ეპიკური თქმულება) გარკვეული თვალსაჩინოებისათვის გავიხსენე; და კვლავ თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გავიხსენოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (სადაც ყველაზე კარგადაა დაცული არქაული ცხოვრების წესი და წარმოდგენები) საყმოს ცნობიერება, ის საერთო ცნობიერება, რაც (ზურაბ კიკნაძის ვრცელი გამოკვლევის მოწმობით) საკმაოდ მკაფიოდაა შემოსაზღვრული თამარის ეპოქით. საყმოს წარმოდგენით ეს ეპოქაა ის მითოლოგიური (ანდრეზული) ხანა, რომლის მიღმაც მისი მეხსიერება ვეღარ აღწევს, ან როგორ შეიძლება აღწევდეს, როგორ შეიძლება მეხსიერება უსაზღვრო იყოს.

კი მაგრამ, ნუთუ ის მითოლოგიური პლასტების, ცალკეულ მითოლოგემათა და უძველეს მოტივთა მოშველიება — რაც მკვლევარებმა გამოყვეს თქმულების დღევანდელი ვერსიების ანალიზისას — ვერ მოგვცემს რაიმე ისეთ დასაყრდენს, თქმულების შუასაუკუნეებში წარმოშობის თვალსაზრისთან დაპირისპირება რომ შეგვაძლებინოს?

მართალია, ვართაგნის ეპოსის ამირან-პრომეთეს თქმულებიდან წარმომავლობა ჯერჯერობით მაინც საბოლოოდ დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება და, ამდენად, ამ მითოლოგიურ სიმბოლიკას — ვართაგნის მიერ ღვთაება ბარშამისათვის ცეცხლის მოპარვასა და „ირმის ნაბიტომის" ასტრალური გზის გავლას — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ, მაგრამ ხომ არსებობს სხვა მომენტები, რომელთა მითოსურ საწყისსაც სადავოდ და საეჭვოდ თითქოს ვერავინ უნდა გახდიდეს. აი, ამ მომენტების: გმირის დაბადების ეპიზოდში კუროს მითოსურ ეპოქაზე მინიშნება; გველეშაპის მიერ ამირანის გადაყლაპვის ეპიზოდში უძველესი მითოლოგემის გამოვლენა; მიჯაჭვის ეპიზოდში ამირანის ვეგეტაციური ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისებური სიმბოლური ნიშნების გამჟღავნება... ანდა: ჰეროდოტეს თვალსაზრისი ძველ კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობის შესახებ კი არის საფუძვლიანად უარყოფილი, მაგრამ ეს რად უნდა გვექცეს ხელისშემშლელად, რომ იმ რამდენიმე მოტივის უძველესობაც სრულიად არაფრად ჩავაგდოთ, ამირანის თქმულების ვერსიებში რომ შეიმჩნევა და ძველ ტრადიციებთან ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს: კამათი მშობიარესა და შობილის შორის, მამის თვალის ძიება, სვეტში შენახული განძი, ქალღმერთის შემაძრწუნებელი კივილი... არა, თავისთავად სადავო თითქოს მართლაც არაფერია, მაგრამ სხვა ყოველივეს რომ თავი დავანებოთ, განა მითოსურმა აზროვნებამ, უძველესმა მოტივებმა არ შეიძლება ჩვენს დროშიც იჩინოს თავი? ტრადიციული პოეტური ხერხების განმეორებისა არ იყოს, ამ აზროვნებისათვის ნიშანდობლივი მომენტები თუ სიმბოლიკა ქვეცნობიერად დღესდღეობით შექმნილ მხატვრულ თხზულებაშიც შესაძლოა გაჩნდეს, ასე რომ, თუ სხვა მხრივ უეჭველად არა ვართ დარწმუნებულნი ამა თუ იმ ზეპირსიტყვიერი ქმნილების უძველესობაში, მარტოდენ მითოსის კვალის მიგნება რაიმე რეალურ დასაყრდენს ვერ მოგვცემს, და ამ კერძო შემთხვევაშიც, მითოსური აზრით განმსჭვალული ეპიზოდები თუ მოტივების სიძველე ისევე შეიძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება იყოს ნაყოფი ქრისტიანობამდელი ხანის ეპოქის, როგორც ჩვენი შუასაუკუნეების.

ასევე: ის ვითარება (რასაც ერთხელ უკვე მიექცა საგანგებო ყურადღება), რომ ამირანის თქმულებამ ვერ ჰპოვა ადგილი მთიანეთის საყმოს ანდრეზულ სისტემაში; რომ ამირანს, სახელგანთქმულ დევთა მებრძოლს, ვერ ვხედავთ ღვთისშვილთა შორის, რომელთა უპირველესი ღვაწლი დევების წინააღმდეგ ბრძოლაა; და რომ ამირანს, განსხვავებით ღვთისშვილთაგან, არ მიეწერება რომელიმე საყმოს თავის გარშემო შემოკრება და მისი პატრონობა... ერთი სიტყვით, ეს ვითარება ისევე შეიძლება აიხსნას ამირანის თქმულების უძველესობით, როგორც შუასაუკუნეობრივი ლიტერატურული წარმოშობით.

საყმოს ანდრეზულ ცნობიერებაში ამირანის სახე შესაძლოა იმიტომ არ თავსდება (თუმცა ამირანის თქმულების ცალკეული ვარიანტები და ფრაგმენტები ამ არეალშიც არსებობს, მაგრამ მათი დამახინჯებული ფორმა კიდევ ერთი მეტყველი დასტურია იმისა, თუ როგორ არ თავსდება ამირანის სახე საყმოს ცნობიერებაში), რომ დრო-ჟამთა წყვდიადით მოცულ ხანაში ჩაძირა მისი ეპიკური თქმულების ნამდვილი შინაარსი და, შესაბამისად, მისი მოღვაწეობის დამადასტურებელი ლანდშაფტიც.

ანდა არ თავსდება იმ უბრალო მიზეზით, რომ ლიტერატურულმა პერსონაჟებმა თუნდაც დიდი პოპულარობა მოიპოვონ, შეუძლებელია მათი სახეები და ბიოგრაფია მკაცრად ორგანიზებულ მითოლოგიურ წარმოდგენათა სისტემაშიც შეიჭრას, მათი ღვაწლის კვალი კი საყმოს ტოპონიმიკაზეც აღიბეჭდოს. ამ აზრით, ამირანს ისევე არ მიეწერება რომელიმე საყმოს თავის გარშემო შემოკრება და მისი პატრონობა, როგორც სხვა გახალხურებულ ლიტერატურულ გმირებს ტარიელს, ავთანდილს, აბესალომს, მურმანს, როსტომს, ზურაბს...

საერთო სურათი თვალსაჩინოა: მითოსური აზროვნებისათვის ნიშანდობლივმა მომენტებმა ვერ მოგვაძებნინა რეალური საფუძველი ამირანის თქმულების უთუო მითოლოგიური წარმომავლობის სამტკიცებლად.

მაგრამ პრომეთეს მითი? პრომეთესა და ამირანის იგივეობა, ის საბუთები, რაც ამ იგივეობას გვიდასტურებს: ანტიკური წყაროები პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასიის ქედს რომ ასახელებენ; ერთ-ერთი ბერძნული ვერსიით პრომეთე ღმერთქალ ათინას რომ იტაცებს, რაც უკვე არა სიმბოლურად, არამედ უშუალოდ შეესატყვისება ყამარის მოტაცების ეპიზოდს (ამ საგულისხმო პარალელს ყურადღება მიაქცია აკაკი ურუშაძემ); ანდა პრომეთეს ჰერაკლე რომ ათავისუფლებს ჯაჭვებისაგან. ან კიდევ ის ცნობილი გადმოცემა, ძველი კოლხები უზენაეს ღმერთზე მეტ თაყვანს რომ სცემდნენ ჰერაკლეს მისი ამ ღვაწლის გამო? ნუთუ ამ მითის ქართული წარმომავლობის რწმენა მაინც არ დაგვეხმარება, რომ ჩვენს თვალწინ ასე მოულოდნელად წამომართული ახალი კონცეფცია — ამირანის თქმულების ლიტერატურული და შუასაუკუნეობრივი წარმოშობა — მიუხედავად გარკვეული ლოგიკურობისა, არ მივიჩნიოთ ბოლომდე დამაჯერებლად და ჭეშმარიტების საძიებლად არა ახალ ხანას, არამედ ჩვენი ეროვნული ისტორიის უძველეს ეპოქას მივმართოთ? ან ამ ძიების გზაზე ვითომ საკმაოდ არ შეგვეწევა პრომეთეს მითთან შედარებით გვიანდელი, მაგრამ შუასაუკუნეებთან შედარებით კი ბევრად ადრეული არტავაზისა და მჰერის სომხური ლეგენდების ასევე ქართული წარმოშობის მტკიცება? უმცროსი მჰერის ციკლის ორი ბუნდოვანი ადგილის განმარტება ამირანის თქმულების ფინალური ეპიზოდის მიხედვით თუ შესაძლოა გარკვეული აზრით სადავო შეიქმნას — ასეა თუ ისე სომეხი მკვლევარები ამ პასაჟებს თავისებურად განმარტავენ და, ამასთან, ამირანის თქმულების პლასტების საკითხი ჯერჯერობით ხომ საბოლოოდ დადგენილი არ არის — თითქოს სადავო არა ჩანს ამ გმირთა ტრაგიკული ბედის მსგავსება და მათი უშუალო მიმართება ერთმანეთთან. ის საერთო არეალი, სადაც ეს თქმულებანი აღმოცენდნენ, უთუოდ გვაძლევს იმის რეალურ საშუალებას, რომ მათ შორის არა ტიპოლოგიური, არამედ უშუალო მიმართება ვივარაუდოთ. უშუალო მიმართების, მათ შორის აშკარა კავშირის დადასტურება კი თავისთავად გვიხსნის გზას ქართული თქმულების უშორესი ფესვებისაკენ, ხოლო ასეთ დროს ღღევანდელ ვერსიებში არსებულ მითოლოგემებს ძალზე მნიშვნელოვანი აზრი მიენიჭება და ამირანის სახისა და ბიოგრაფიის არქაულობაც მკაფიოდ გამოიკვეთება. სინამდვილეში იქცევა ის, რისკენაც ასე მივილტვით, ან რატომ არ უნდა იქცეს, — რა მოვალენი ვართ მაინცდამაინც მიხეილ ჩიქოვანის თვალსაზრისი გავიზიაროთ, ამირანს, პრომეთეს, არტავაზდსა და მჰერს მხოლოდ ერთმანეთის ორეულებად რომ მიიჩნევდა, და არ გავიზიაროთ სხვა მკვლევართა შეხედულებანი ამირანის სახის, მისი ბედის არქეტიპად გამოყენებაზე სხვა თქმულებების შექმნისას.

ოღონდ რადგანაც კვლავ ჯიუტად არ გვშორდება ის აზრი, რომ ერის მითოლოგიური ცნობიერება წარმოუდგენელია უსაზღვრო იყოს, შესაძლოა აქ ასეთი შეკითხვა დაიბადოს, შეკითხვა, რაც ანტიკურ წყაროთა ჩვენებასაც ითვალისწინებს — განა არ შეიძლება, რომ მიჯაჭვული გმირის ის თქმულება, რაც წარმართული ეპოქის ქართველ ტომთა შორის ყოფილა გავრცელებული, იყოს არა იმ შინაარსისა, დღესდღეობით ჩვენთვის რომ არის ცნობილი, არამედ სულ სხვა შინაარსის? ხომ შეიძლება იმ თქმულების გმირს ჰქონოდა სულ სხვა ბიოგრაფია, ვიდრე დღევანდელი ვერსიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ვიცნობთ. უფრო მეტიც, ვინ იცის ან დაბეჯითებით ვინ დაამტკიცებს, რომ უძველესი გადმოცემა გმირის მთელს ბიოგრაფიას მოგვითხრობდა და მიჯაჭვის ამბავი მისი ერთ-ერთი, ლოგიკური და დამაგვირგვინებელი ეპიზოდი იყო? იქნებ თქმულებას ვრცელი სახე სულაც არ ჰქონდა და მიჯაჭვის ეს ამბავი თვითონვე იყო მთელი თქმულება, ანუ ის გარკვეული არქეტიპი, რაც საფუძვლად იქცა პრომეთეს, არტავაზდის, მჰერის ცხოვრებათ შესაბამისი ეპიზოდებისა — ღმერთი რომ განურისხდებათ კადნიერებისა თუ მის წინააღმდეგ მოქმედებისათვის და დასჯით.

ისე ჩანს, რომ ასეთი ვარაუდები საბოლოოდ აცლის ყოველგვარ საყრდენს ამირანის თქმულების უძველესობის რწმენას, იმ რწმენას, რომლის შინაგანი სიმტკიცისა და გაუბზარაობის იმედითაც მივეცით ეჭვებს სრული გასაქანი და, აი, ხელთ რა შეგვრჩა: ამირანის თქმულება წარმოგვიდგა ლიტერატურული წარმოშობის (იქნებ სწორედ ამის გამოც არ შეიმჩნევა მისი არსებობის რაიმე კვალი „ქართლის ცხოვრებაში?“) ფოლკლორულ ძეგლად, შუა საუკუნეებში შეთხზული საფალავნო რომანის ისეთ გახალხურებულ ვერსიად, რომელსაც — ჩვენთვის აუხსნელი მიზეზით — ფინალური ეპიზოდად გადაება რომელიღაც სულ სხვა ამბავი.

ღმერთთან შებრძოლებისა და გმირის მიჯაჭვის ეს ამბავი თავისი შინაარსითა და იდეური მრწამსით იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ მთელი ლიტერატურული ვერსია ახლებური აზრით განმსჭვალა. შესაძლოა სულაც ეს იყოს იმის მიზეზი, რომ შინაგანად უთუოდ კეთილი გმირი, არაერთ სახიკეთო და სასახელო საქმეთა ჩამდენი, ზოგიერთი ვერსის მიხედვით უკეთურ თვისებებს რომ ამჟღავნებს თავიდანვე, ბოროტ ძალად კი თითქმის ყველა ვერსის მიხედვით იქცევა.

და იქნებ სხვადასხვა სიუჟეტურ რკალთა, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ამბავთა ამ ხელოვნურმა გადაბმამაც გამოიწვია ის, რომ გმირის თანმიმდევრული ბიოგრაფია ყამარის მოტაცების მერე ერთბაშად წყდება და აშკარა სიცარიელე იქმნება ამ ეპიზოდთა და ამირანის მიერ ღმერთის ორთაბრძოლაში გამოწვევის ეპიზოდს შორის.

ივანე ჯავახიშვილი ამ სიცარიელის არსებობას, თხრობის ბუნებრივი მდინარების ერთბაშად შეწყვეტას იმით ხსნიდა, თქმულებას უეჭველად ბევრი ცნობები უნდა აკლდეს: აღარაფერია ნათქვამი ამირანის მიერ მოტაცებულ ქალზე, რა მოუვიდა მას, სად და როგორ ცხოვრობდნენ ერთად. ქალისა აღარა ისმის რა და თქმულების ბოლომდე, თვით იმ ადგილამდე, სადაც ამირანის მიჯაჭვა არის მოთხრობილი, კამარ-ქეთუ ქალი არსად ჩანსო.

ამგვარი ახსნა ბუნებრივია მხოლოდ მაშინ, თუ თქმულების პირვანდელ სახეს წარმართულ სანაში ვეძიებთ, ხოლო თუ მის ლიტერატურულ წარმოშობას ვაღიარებთ, ერთადერთი ახსნა სწორედ ის იქნება, რომ თხრობის ერთიანი მდინარების შეწყვეტა მკვეთრად წარმოაჩენს ორი ამბის — გმირის თავგადასავლისა და ტრაგიკული ხვედრის — სხვადასხვაობას, ერთიმანეთთან შეუთავსებლობას.

თუ ამას დავიჯერებთ, ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამირანის მითოსი, ეს ღრმა აზრით განმსჭვალული სიმბოლიკა უშუალოდ პოეტებს შეუქმნიათ, აკაკისა და ვაჟას. პირველებს იმათ შეუმჩნევიათ, ტანჯული გმირის თქმულების ხალხში გაფანტული ცალკეული ვერსიები — დაშლილი, დამახინჯებული, შეცვლილ-შემოცვლილი — ეროვნული მრწამსის საქადაგებლად მშვენივრად გამოგვადგებაო და გმირის გრანდიოზული სახე-სიმბოლოს სრულყოფილი გააზრებისათვის, რაც კი შესაძლო იყო, ყველაფერი გამოუწურავთ ხალხური ვერსიებისაგან, არსებითი შტრიხები კი თავიანთი მხრივ მიუმატებიათ. ასე მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა ვერსიებისეულ მითოლოგემებს, იმ მითოსურ ფონს, რასაც ვაჟამ მიაკვლია; ასე მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა ყამარის მოტაცების ეპიზოდს, რაც, აკაკის რწმენით, ასე ზუსტად ესადაგებოდა ცეცხლის მოტაცების ძველბერძნულ თქმულებას და ამირანის ღვაწლს — დევების გაჟლეტვასა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას — ასეთი ღირსეული საქმის აღსრულებით აგვირგვინებდა.

ისღა დაგვრჩენია, ასე ვიფიქროთ, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ, რადგან აკაკი და ვაჟა ამ მითოსს ჰქმნიდნენ, მიჯაჭვული გმირის სიმბოლოს შექმნა და ჩვენს ყოფასთან მისი გაიგივება აუცილებლად მიაჩნდათ ჩვენი ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების განახლებისა და განმტკიცებისათვის. მართალია, ჩვენს ეროვნულ ისტორიას, მის უძველესსა და ხანგრძლივ კულტურას არავითარი გამოგონება და შელამაზება არა სჭირდება, მაგრამ რახან ამ თქმულებას დასჭირვებია გარკვეული შელამაზება და ახლებური შინაარსით ავსება, დაე, ასევე დარჩენილიყო ჩვენი სიმხნევისა და სიამაყის წყაროდ და ამ რწმენის თანდათანობით დაშლას აღარ შევდგომოდით. აკაკისა და ვაჟაზე უკეთესად ხომ არ შეიძლება ვიცოდეთ, რა რისთვისაა საჭირო, ანდა რა როგორ შეიძლება გამოგვადგეს, როცა აზრი და გრძნობა თავისუფლების იდეალს მიელტვის.

რაკი ასეა, იქნებ საბოლოოდ ავიღოთ ხელი ყოველგვარ ეჭვსა და ჩხრეკაზე და უარვყოთ მთელი ეს ახალი თვალსაზრისი; და ისევ ისევე ვირწმუნოთ, როგორც გვწამდა, ისევ ისე აღგვანთებდეს ჯაჭვების დალეწვისა და გმირის გათავისუფლების სურვილი, როგორც ადრე, ბავშვობისას აღვუნთივართ, საკუთარი ხელებით რომ გვეწადა იმისი შველა, რათა მერე უკვე იმას ეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველა ჩვენთვის, ანდა ჩვენ თვითონვე რომ მოგვქონდა ზეციდან მოტაცებული ცეცხლი, მოვაპობდით უსაზღვრო სივრცეს, მოვდიოდით და მოგვქონდა ჩვენი დამზრალი, უსახო [illegible]სათვის... იქნებ...

მაგრამ არა, ჩვენთვის სასურველი თვალსაზრისის საწინააღმდეგო აზრის ასე ხელაღებით უარყოფა და მიფუჩეჩება რომ გვდომებოდა, არც ამბელა ჩხრეკასა და განსჯას წამოვიწყებდით; ისიც იოლი გამოსავალი იქნება, იმის მტკიცებას რომ შევეცადოთ, ამირანის თქმულება, როგორც განსაკუთრებული მოვლენა, განსაკუთრებული ხვედრითაც გამოირჩევა და ამიტომ ბუნებრივადაც გამოაღწია ათასწლეულებსო. ამ შემთხვევაში, ესეც მხოლოდ ნაძალადევ სურვილად გამოჩნდება, რადგან ახალი თვალსაზრისის სახით ჩვენს თვალწინ არცთუ იოლად გადასალახი დაბრკოლება აღიმართა.

მაგრამ განა ამ ახალ თვალსაზრისს კი დაუეჭვებლად უნდა ვენდოთ, განა აქ კი ყოველი რგოლი, ყოველი საბუთი უტყუარი ჩანს და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი? მითუმეტეს, ცალკეულ საკითხებზე რომ ალარაფერი ითქვას, ეს უაღრესად დამაფიქრებელი მიზეზიც ჩნდება დასაეჭვებლად: აი, თითქოს გაირკვა ამირანის თქმულების დღევანდელ ვერსიათა შექმნის პირველსაწყისი — საფალავნო რომანის გახალხურებულ ვერსიასთან გადაბმული რომელიღაც თქმულების გარკვეულად სახეცვლილი ვარიანტი; მაგრამ სწორედ მათი შინაგანი შეუთავსებლობა, გმირის ხასიათის აუხსნელი წინააღმდეგობრიობა გვიბიძგებს, რომ კვლევა აქ არ შევწყვიტოთ.

აქ თავიც რომ დავანებოთ იმას, როგორ ერთბაშად იცვლება თქმულების ჰეროიკული პათოსი და სიკეთისათვის მებრძოლი გმირი ბოროტ ძალად როგორ იქცევა, და ამ ორ ნაწილს შორის გაჩენილ ხარვეზს მაინცდამაინც რაიმე მნიშვნელობა არ მივანიჭოთ, თქმულების უკანასკნელი ეპიზოდის — კლდეში გამომწყვდეულსა და მიჯაჭვულ ამირანთან მონადირე თუ მწყემსი რომ შეაღწევს — ახსნა უთუოდ გაგვიჭირდება, განსაკუთრებით იმ პასაჟისა, ამირანი მონადირისა თუ მწყემსის პურს ხელს რომ მოუჭერს და სისხლს გამოადენს, თავის პურს კი — რძეს. ხომ ამბობს ამირანი — როგორც იგივე მთქმელები ირწმუნებიან, ადამიანები, აი, ასეთ პურს შეჭამენ, სისხლიანს კი არაო.

მაშ ამირანი კვლავ კეთილ ძალად დარჩენილა და მისი მიჯაჭვა, მიუხედავად მანამდელი მოტივირებისა, სიკეთის მიჯაჭვა ყოფილა და არა ბოროტებისა.

ამ წინააღმდეგობას ბავშვობისას გაუცნობიერებლად ვგრძნობდით, გვახარებდა იმის მოსმენა, რომ ჩვენი საყვარელი გმირი კვლავაც საყვარელ გმირად რჩებოდა და მისი ტრაგიკული ბედი [illegible] შარავანდედით იმოსებოდა. ახლა კი ეს შეუსაბამობა სხვა თვალით შეგვახედებს მიჯაჭვის ეპიზოდის მოტივირებას.

თანაც: როკაპის მიჯაჭვის თქმულებაც რომ არსებობს ჩვენში, ხომ შეუძლებელია ამ ანდა მსგავს თქმულებას მოულოდნელად ისეთი ეპიზოდი დამატებოდა, სადაც როკაპი კეთილ სულად მოგვევლინებოდა?., ანდა შეიძლებოდა კია, რომ ეს თქმულება კეთილი გმირის მოღვაწეობის გადმოცემას შერწყმოდა? რა თქმა უნდა, შეუძლებელი ჩანს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: თუ ამირანისა და ღმერთის ორთაბრძოლა „ამირანდარეჯანიანამდე" არსებული ვერსიების სისხლხორცეული ნაწილი არ იყო — ვერსიებისა, რომელთაც საფალავნო რომანი დაეყრდნო — ყოვლად წარმოუდგენელია ვიფიქროთ, ამირანის გმირული ღვაწლი და ეს ეპიზოდი (ანუ საპირისპირო ტენდენციის შემცველი რომელიმე დამოუკიდებელი თქმულება) ერთმანეთს დაუკავშირდებოდაო.

უფრო ბუნებრივია და სარწმუნო ეს უნდა იყოს, რომ: „ამირანდარეჯანიანის" შექმნამ და მერე კი მისმა გახალხურებამ გამოიწვია ადრინდელ ვერსიათა განახლება და ხელახალი გამოცოცხლება.

ისიც სავსებით აშკარაა, რომ აკაკისა და ვაჟას მიერ ამირანის სახის სიმბოლურ გააზრებას საფუძველი თვით თქმულების დღევანდელ ვერსიებშიც ჰქონია, არამცთუ როგორც მის პირვანდელ სახეს ვარაუდობენ.

კვლავ პირვანდელი სახე, რაც უშორეს ეპოქაში გვეგულება...

რაც თქმულების შუასაუკუნეობრივი წარმოშობის თვალსაზრისი ეჭვქვეშ დადგა, ბუნებრივია, მზერა ისევ უშორესი ეპოქისაკენ გაგვირბის.

მაგრამ როგორ?.. ახლა არ იყო, ეს ჩვენი რწმენა ნელ-ნელა რომ შემოგვეძარცვა და თითქმის მკაცრი რეალობის წინაშე დავდექით?..

და ამიტომ კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შევამოწმოთ თქმულების დღევანდელი ვერსიები.

ვნახოთ, რამდენად გამოიყოფა მათში ყველა ვერსიისათვის საერთო ძირეული სტრუქტურა, რომელი ეპიზოდები შეადგენენ ამ სტრუქტურას და როგორი თანმიმდევრობითაა დალაგებული, რამდენად იოლი გამოსარჩევია მათში აშკარად არაძირითადია და დანამატი ეპიზოდები თუ მოტივები, კუთხური კოლორიტისათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი, რათა მერე — როცა ზოგადი სახე ასე თუ ისე გამოიკვეთება — უფრო გაგვიადვილდეს თქმულების ნამდვილი წარმომავლობის ძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ონაშვილი

# მშვენიერი ოცნების საუფლო

სალაცარი სისპეტაკით მოდის მკითხველამდე გიორგი ლეონიძის მოთხრობებში გაცოცხლებული ერთი სოფელი, თუმცა ეს სოფელი კი არა, ჟამთა სვლის უსაზღვროებაში პირველქმნილი უშუალობით შემორჩენილი უმდიდრესი მუზეუმია, სადაც ჩვენი საუკუნის დასაწყისის საქართველო ინახება თავისი ეროვნული, სოციალური, პიროვნული თუ კოსმიური ვნებებით. ამ სამყაროსკენ უნაზესი იებით მოჩითული ცისფერი ბილიკი მიგვიძღვის, ხოლო მის მძიმე, არქაულ ჭიშკარს დედის გრძნეული ხელის შეხება თუ შეგვიხსნის. სხვაგვარად ვერ შევაღწევთ მის ზღაპრულ წიაღში... მაგრამ იქ შესვლამდე ერთი წუთით უნდა შეჩერდე, სასოებით უნდა ეზიარო წიგნის წინათქმაში შენახულ მხატვრულ ჩანაფიქრს, ლოცვასავით ჩურჩულით უნდა გაიმეორო თითქოს ეკლესიის თაღებქვეშ გახმიანებული იდუმალი აღსარება:

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის. ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყის პირებზე ყოველ გაზაფხულზედ ია ბლუჯეულად ამოდიოდა, არე-მარე ხულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ უტირიათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში. იის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.

თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვშორდა...

ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას, რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული".

„იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული" აქ აბსტრაქტული ცნებები არ არის. ის მწერლის ბუნების, მისი არსების ორგანული თვისებაა, რასაც მოაქვს ჩვენამდე ეროვნულ ხასიათებში განხორციელებული ურწყინვალედ მატერიალიზებული პოეტური სული და მაღალი ზნეობრივი იდეალები, ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ იდეალების შთამაგონებელი და მოკარნახე დედაა, მინდვრის ყვავილივით ნაზი და ჰაეროვანი, ქართული კაბით დამშვენებული უსაყვარლესი არსება, ეროვნული ხინდიხივით რომ აღმართულა წიგნში დამკვიდრებული ამ ჯადოსნური ქვეყნის კარიბჭესთან, იქიდან უცნაური სინათლით გვეღიმილება და სასოებით გვიწვდის მშვენიერების საუფლოს ოქროს გასაღებს.

ჩვენი საუკუნის ათიანი წლებისათვის, როცა უდიდესი მასშტაბების ნგრევისა და სისხლისღვრის მოლოდინში გალურსულა მსოფლიო, როცა ტექნიკური პროგრესი პირველ გიგანტურ ნაბიჯებს ადგამს და დათრგუნული იდილია უკანასკნელად აფახულებს შეშფოთებულ, გაოცებულ თვალებს, ტყიანი მთებით შემოზღუდულ ამ პატარა სამყაროში, მწერალს პოეტური სახელი — მუხათწყარო რომ შეურქმევია, ჯერ ისევ ბორგავს რომანტიკული წარსული, ისევ უდგათ სული ლეგენდებს, ნაცისარებში ისევ დააბიჯებენ აბჯრიანი რაინდები, თეთრი ციხე-კოშკის თავჩამონგრეული გალავნიდან ცისკრის ამოსვლის უწინარეს ისევ ჩამორბის მთვარის კიბეზე თმაჭაღარა მანდილოსანი. ეს ვარამით დაზაფრული დედაა, ერეკლე მეფის ჯარში შვილები რომ გაუსტუმრებია. მათ შორის მხოლოდ ერთს შეურცხვენია თავი და აი, უკვე საუკუნეზე მეტი ხანია, დედა ვერ მორევია სულზე მაჯლაჯუნასავით დაწოლილ სირცხვილს, ყოველ ცისკრისჟამს შეშფოთებული დგება იგი სამარიდან და ხელაქნევით გასძახის ხეობებში ჩაკარგულ ლანდს:

— „არ გაბედო მოსვლა, სირცხვილიანო, არ მომეკარო!"

და ეს წამება იმ დრომდე გასტანს, ვიდრე სოფელში ვინმე ახალი ამაყად მოსაგონარ სახელს არ დაიმკვიდრებს, ვალმოხდილ წინაპრებს ვიდრე ახალი პირნათელი მოყმე არ მიემატება.

აქ გასაოცარი ზნეობრივი კრიტერიუმები დამკვიდრებულა. სხვა ქვეყანაში მოღალატეს სიკვდილით ან განდევნით სჯიან, აქ სიტყვიერი შერცხვენა და ქალაჩუნად აღიარება მიუჩნევიათ უსაშინლეს და უმკაცრეს სასჯელად:

— „თითისტარი მიეცი!

— თავს ჩიქილა დახურე!

— თმა ჩამოიწნას ქალისა!"

და ჯოჯოხეთის გენიით იწვის პირშერცხვენილი, ის, ვინც, თუნდაც, უნებლიედ, თუნდაც ერთი წამით გამოიჩინა სულმოკლეობა და მტერს შეუშინდა. ახლა სვეგამწარებული დაბორიალობს მისი წამებული აჩრდილი, მუხლმოდრეკილი ითხოვს შენდობას, თავში ხელს წაიშენს და გულამოსკვნილი ფიცით ფიცულობს:

„ან შევაკვდები ან მოგიყვან იმედიანი!"

მაგრამ ამაოა [illegible]! ერთხელ გაბზარულ სახელს ვერ-რაფერი შეაკოწიწებს, როგორც ვერაფერი დაჩრდილავს ერთხელ სახელდამკვიდრებულის უნათლეს ხსოვნას. ამიტომაც არ თავდება მოღალატის ცუდის ვაება:

„ვაი, რა ვქნა, რა უყო, წავალ და გავნიავდები!"

მართლაც, ნიავს დაეხსომება სიტყვებში შუალმისა, მხუხუქი ფრთებით გადააფრენს ციხის ქონგურებს, სოფლად ჩაიტანს, თითოეულ ქოხსა და მიწურს გააგონებს როგორც შთამბეჭდავ გაკვეთილს, ზედ კერიაზე დამყრის ამბავს, მერე ციხის ზარს ჩაეკხოვება, რომ მარად რეკდეს სიკვდილის შიშის დათრგუნვის ზეიმზე. ამიტომაც აქ სირცხვილს სიკვდილის შიშზე გაცილებით მეტი ძალა აქვს ხალხის თვალში დამცირებასთან შედარებით. აბა, რა სახსენებელია არყოფნის წყვდიადი?! სიცოცხლეს ხომ მარტო მაშინ აქვს ფასი, როცა თამამად შეგიძლია უცქირო თვალში შინაურსა თუ გარეულს, როცა არაფრით დაგიჩრდილავს შენი სინდისი, არ გამქცევიხარ წიფათსა და სიძნელეს, არასოდეს გიზრუნია შენი ტყავის გადარჩენისთვის, პირადულის სამსხვერპლოზე არ მიგიტანია საზოგადო, ეროვნული, როცა სხვის უბედურებაზე არ აგიგია საკუთარი ბედნიერება, როცა მაძღარს მშიერისათვის ლუკმა არ დაგითვლია, როცა საქვეყნო გასაჭირი არ მიგიყურისძირებია და თავად ნებართვის ტალღებზე არ გიტივტივია ნებივრად.

ეს არის სოფლის ურყევი რწმენა, ამიტომაც დაუწესებია ტკბილ-მწარე, ცრემლიან-ღიმილიანი დღეობა — „სახელის მილოცვა". ეს ისეთი ტრადიციაა, ყოველ ქართველს სინდის-ნამუსის შეურცხვენელ ქუდს რომ ახურავს და არც ერთ დროს, არც ერთ ეპოქაში უფრო დაბლა დადგომას რომ არ ანებებს.

ამ სულისკვეთებით მოდის მკითხველამდე „ნატვრის ხის" ერთი მოთხრობა — „სახელის მილოცვა". მასში გიორგი ლეონიძემ წარსულის ბურუსს გამოხტაცა და ხელუხლებლად შემოგვინახა გარეკახეთის მიწის ერთი მცირე მონაკვეთი, როგორც აუჩაცხელი განძით დაზვინული კუნძული, როგორც ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართული სოფლის ამსახველი ფაქიზად მოვლილ-ნახათუთები მდიდარი მუზეუმი, თავისი ხელოვნური თუ უბრალო ექსპონატებით, მკვდრებით და ცოცხლებით, ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით, ბუნებრივი თუ ეთნიკური თავისებურებებით და ამგვარად გამოკვეთა ზოგადეროვნული ყოფის ფენომენი.

ამ სოფლის სასაფლაოს ლოდებქვეშ მარტო მხედრები როდი განისვენებენ. აქ მარადიული ძილით სძინავთ მეზვრეებსაც და გუთნისდედებსაც, მთიბელებსაც და მეწისქვილეებსაც, რომლებიც შეძლებისდაგვარად ემსახურნენ ხალხს და ქვეყანას, ამიტომაც სოფელს ტრადიციად ექცევია ყოველი აღდგომის კვირას მათი სახელოვანი საქმეების მოხსენიება. სოფელი ზორავით გადის სასაფლაოზე, სახელს ულოცავს გარდაცვლილებს იმათ, ვინც გაზაფხულის წვიმებივით გადაიქუხეს, ქარიშხლებივით გადაიარეს, მაგრამ არ დაიკარგნენ, რადგან აქ ყველაზე დიდი ძეგლი — სახელი დატოვეს. მათ საფლავებზე ათასფერი ყვავილი ელავს. „უამრავი მწვანეა გაზაფხულზე, თითქოს მათმა სისხლმა ამოაცენა სხივნარა ყვავილები, თითქოს საფლავში მყოფთაც უხარიათ, რომ მათმა მკლავებმა ასეთი ლამაზი მიწა დაუტოვა შთამომავლობას, რომ უფლება მისცა ამ სილამაზის ყურებისა". თუ არა მათი თავდადება და ერთგულება, ვინ იცის, გაუძლებდა კი საქართველო ჟამთა სიავეს? სოფელი ამიტომაც ელოლიავება მათ ხსოვნას ასეთი სახოებით, თითქოს სჯერა, რომ ყოველ განსაცდელში ისინი ისევ წამოდგებიან საფლავებიდან და ათასჯერ გაწირავენ თავს მამულისათვის.

პირნათლად გარდასულთ ასე დასტირის სოფელი:

—„სახელი მომილოცნია, შვილო!.. განა შინ მოკვდი? ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

— მაი, შე უდროოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო, მადლობელი ვარ შენი სახელისა!

— ერთი მოიმწყვდიეს ოცთა და ოცდაათთა, მაინც არ გატყდა, არ შეეპოვა!"

ქირნახულის ამაგდარიც გმირად ითვლება, ამიტომ გუთნისდედასაც ულოცავენ სახელს, საფლავში ჩასძახიან, — დღესაც შენი დათესილი მადლით გამოვდივართო, წაჩველ და თან წაიღეო ბარაქაც.

არც „სიმღერაში დამწვარ ბულბულს" ივიწყებენ, — „რატომ სიმღერა აღარ არის ქვეყანაზე? იმიტომ, რომ შენ აღარ მღერიო".

ეს ზმები გაზაფხულის ცინცხალ, თავანკარა ნიავს მიაქვს ოლოფლერი ჭეჭილებისკენ. თითქოს ამ ზმებით იშლება ყველა კვირტი. ლულუნებს ჩონგური და ახლა საფლავში მწოლთ ალაპარაკებს გადამდები სევდით. იმქვეყნიდან ეხმიანებიან აქ დარჩენილთ მიწად ქცეული, მაგრამ სახელით ცოცხლად დარჩენილი თანასოფლელნი.

სახელნაქები გარდაცვლილი ოქროს ძარღვია, მიწაში ჩადებული. ხშირად ასეა გამდიდრებული ქართული მიწა. სახელოვანნი არ წასულან ამა ქვეყნიდან, ისინი მშობელ მიწაში არიან შენახულნი, როგორც უმდიდრესი განძი. სწორედ იქიდან ამოდის მათი ჩაუმქრალი სხივი, როგორც მარადიული სიცოცხლის სიმბოლო, როგორც წყარო და სათავე ეროვნული ხასიათის სრულყოფილებისა.

აქ არ არსებობს უქირისუფლო მკვდარი, უპატრონო საფლავი. იმათაც კი, ვისი საგვარეულოც მთლიანად ამოწყვეტილა, გულდამწვარი სოფელი ქირისუფლობს მდუღარე ცრემლით. ეს არ არის გლოვა და მოთქმა. ეს სოფლის ალერსი და მოფერებაა სოფლისა, რომელსაც სიცოც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოის წარმავლობის საკომპენსაციოდ საუმირო [illegible]

[illegible] გულმოდგინებული დედა [illegible] ლივით. ახლა კი მიწას ჩაჰყურებს და ჩასჩივის, მიწას, რომელშიც შვილის ცხედარიც კი არ ძევს, რადგან მისი თმაქოჩორა შალვა სადღაც, შორეულ მხარეში დაილუპა. გამწარებული დედა შენატრის უგრძნობ ქვებსა და უხულო კლდეებს, რომლებსაც მისი ტკივილი არ განუცდიათ... მაგრამ აი, ხოფელი იხსენებს ამბავ მოტანილს, — შალვამ წინ ცხრა მტერი გაიმძლვარაო... და პირობითად შვილისად მიჩნეულ საფლავზე ულოცავენ გმირს სანაქებო, სადიდებელ სახელს. სიამაყის ხზივი თანდათან თრგუნავს მძიმე მწუხარების წყვდიადს და უბედურებით განადგურებულ დედას ნუგეშად ევლინება შეგნება იმისა, რომ სახელოვან მკვდრებს მისი შვილიც ღირსებით მიუმატა. დედა ჯველას ისეთი სიხარულით უხდის მადლობას, ვითომ შვილის ქორწილსა და ბედნიერებას ულოცავდნენ.

შალვას გმირული სიკვდილი თითქოს კომპენსაციაა განთიადის ჟამს მთვარის ბილიკით მოარული, ლეგენდიდან გადმოსული დედის ტკივილისა, რადგან შალვას სახელის მილოცვის შემდეგ მისი მოტირალი აჩრდილი აღარავის უნახავს...

არის ამაში რაღაც შემზარავად დიდებული და შთამბეჭდავი. ეს ცრემლიანი ზეიმია გმირული სულისა, რომლის წიაღშიც ფერმკრთალდება უოველგვარი წვრილმანი და იქმნება თავისებურად ორგანიზებული მხატვრული სივრცე, სადაც ყველაფერი ამაღლებულის კატეგორიით აღიქმება.

აქ ლეგენდები ქმნიან გარემოსაც და ხასიათების სისტემასაც. ისინი იქცევიან რწმენად, რომლის მიხედვითაც, წეროების აფრენა ცაში გმირთა სულების მოგზაურობაა, ქუხილი — გმირის დატირება, გადაშოლტილი ცისარტყელა კი — გადავლოვებული ზეცის ღიმილი.

აქ ყველაზე ურყევი ზნეობირვი ნორმა ქვეყნად სახელის დატოვებაა, ამიტომაც სახელის მილოცვა ყველაზე დიდ ღესასწაულად არის მიჩნეული. ამგვარ დღეთა ცრემლითა და კაეით იწრთობა მომავალი თაობების შეგნება და ნებისყოფა. ასეთ დღეებში ყველაზე მწვავედ მახვილდება ყურადღება კითხვებზე: რისთვისაა საჭირო სახელი? ჩვენ თუ მოგვილოცავენ სახელს იდესმე? რა უნდა მოვიმოქმედოთ სახელის მოსაპოვებლად?

ამ კითხვებზე პასუხი ერთია:

„სახელი... სახელი... კლდე ჩამოიშლება, ქვამყარი დაირღვევა, არ მოიშლება სახელი!"

ეს კი სიცოცხლის გაგრძელების, ყოფის მარადიულობის გარანტიაა, რაც ასე ხწყურია გლობალური სკეპსისით გათანგულ დღევანდელობას.

რა ზრდიდა, რა აყალიბებდა ამ სულისკვეთება!? მარტოოდენ მკაცრი ისტორიული გაკვეთილები [illegible]

გმირობისა და ხელოვნების [illegible] ეპიკური [illegible] ბული ბუნებისა. ეს არის დედა, ქართველი ქალი, ტანჯვასა და ვაებაში ნაწრთობი ხზივნათელი არსება, ასე სასოებით რომ შემოინახა ისტორიული ავბედითობის ნაცარში ნაღვერდალივით გამოხვეული ეროვნული სული.

აბა, დააკვირდით, სიყვარულის, ალერსის, თანაგრძნობისა და პოეტურობის რა მადანი ძევს დეიდა მაიკოში, ეს ხათნო მანდილოსანი როგორ ეფერება კალთაში ჩაგორებულ ოქროსკულულებიან, ვაშლის ყვავილით დათრთვილულ ყრმას, შემდეგ, სიჭაბუკეში, უცხო მიწისთვის რომ არის განწირული:

„რა გითხრა, ვარდის დედამა, დილილა დედილამა! გაიცინე, გენაცვალე, გაიცინე, შენს სიცილზე ღრუბლები იფანტებიან, შუბლს თუ შეკრავ, შავად იკუმშებიან! გაიცინე, გენაცვალე, ღრუბლები გადაიკარგებიან!"

რა სათაცარი მოფერება იცის, რა მზე და სიკეთე, სიყვარულის რა ულევი მარაგი იფრქვევა მისი ვარდის ბაგიდან:

„ჩემო სიცოცხლის ცისკარო, თავს შემოგევლე, ჩემო გაშლილო იაო, შენი გულის ჭირიმე, საყვარელო, სახელო, წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე, ჩემო სიყრმის მზეო, შენ კი გენაცვალე! ჭირი მოგჭამე, ჩემო სულო და სიცოცხლევ, ჩემო სულისდგმავ! შენი მუხლების ჭირიმე! ჩემო ცხოვრების ნიავო, სანდომელავ, ჩემო ბალის კუნწულავ! ჩემო ათასნაირო! დედის ოქროს შანდალო! შენამც დამაყრი მიწასა! უშენოდ ნუმცა ვარ ცოცხალი! იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომაგონდები..." და სხვა მრავალი ასეთი...

თაფლად და შაქრად დნება დეიდა მაიკო და მწუხარებს გული სწყდება, რომ დღეს ქართველი დედის საალერსო ლექსიკონიდან სადღაც გაქრალა ეს ფასდაუდებელი საუნჯე. სიყვარულიანი სიტყვებისა, არადა, უამტკბილქართულოდ როგორ ითოშება და იძარცვება სული!

ამ ალერსში იხატება ქვეყნიერებისათვის ჩიტის თვალით მზირალი, მზესთან მოლაპარაკე, კამკამაჭავლიან ყანასთან იდუმალად მოჩურჩულე კდემამოსილი არსება, ისე ლამაზი, ისე მაღალი, ზოგჯერ ფიქრითაც ძლივს რომ შესწვდები. მისთვის მთელი სამყარო მშვენიერების საუფლო და სიყვარულის საბრძანებელია, ამიტომ ეფერება ყველას და ყველაფერს: ადამიანს, ხბოს, ფუტკარს, ყვავილს, ფოთოლს.

„ღმერთო მაღალო, ვინ გააჩინა ამდენი სილამაზენი? ეს ხზივნარა დილა, ისფერი ცის ღიმილი, დილის ოქროს კრიალი, მზეკაბანის ღელვა ყანებზე, ქვეყნის შემშვენებელი ვარდები, ყოველთა მხედი ალვისხეები, აყნოსებული ცაცხვები... ცივწყარო, ბრიალა ჩიავი!..."

ამ სილამაზეს წინაშე თუ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] თუ ეს [illegible] [illegible] საჩუქრად და ღვთის წყალობად არ ჩათვალე, არ დატკბი, არ გაიხარე, რაღა ფასი აქვს შენს სიცოცხლეს, ლედილასა?!"

რარიგ ებრალება ყველა, ვისაც ამ სილამაზით ტკბობა არ ძალუძს! იგი პოეტია, სულით ხორცამდე პოეტი. რა ვუყოთ, რომ სტრიქონს სტრიქონზე არ აწყობს და რითმას არ ეძებს! აქ ამბობს მწერალი მოთხრობა „ნატვრის ხის" ფინალში: „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან! პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გახსნილ გადახსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე!"

გიორგი ლეონიძის პერსონაჟებს ოცნება ადგათ მარადჟამად, ოცნება უმოსავთ გალეულ-გამქრალ სხეულს, ოცნების ფრთები აქვთ გამოსხმული დამდნარ მხრებზე და ასე დაფრინავენ ვარდისფერ ზეცაში. მწარე ცხოვრების ჭაობს ოცნებით მოწყვეტილნი, მათ ვერ ხოჭავს ყოფიერების მძიმე მარწუხები, ვერ აკარგვინებს მომავლის იმედს. იციან, რომ ცალ-ბარდიანია ბედნიერებისაკენ სავალი გზა, მაგრამ სწორედ ეს სიძნელე იზიდავს და ატყვევებს მათ მეოცნებე ბუნებას.

ამ ოცნებით უდგას სული თაღრიას ცოლსაც, „ქიშმიშივით დამჭკნარსა და ხარივით გამხმარ" დედაკაცს, („თაღრია"). მთელი სიცოცხლე ბედნიერების მოლოდინში რომ ჩაალამა და ამაოდ სდია ამ მოუხელთებელ ფრინველს:

„ბედნიერი ბედი გინდა, ძეირფასო? ამაღლება დღეს, დილაადრიან, მინდორში ოთხყურა უნდა მოწყვიტო ოქროს ბეჭდით და ბედნიერებას მოგიტანს". ოთხყურას კი როგორმე წააწყდება კაცი ვენახის ბოლოს, მაგრამ ოქროს ბეჭედს ვინ მიაშავებს, ვინ უყიდის — მამა, ძმა თუ ნათლია? არის კიდევ ერთი გზა:

„მძინარე მდინარეს თუ მიეპარე, თუ უხედ-თე, შიგ რასაც ამოავლებ, ოქროდ იქცევა". თითბრის ბეჭედი რომ ამოევლო ამ წყალში და იმით მოეწყვიტა ოთხყურა? მაგრამ მძინარე მდინარე? ეს ყოვლად შეუძლებელია და სწორედ ეს შეუძლებლობა განაპირობებს ოცნების მარადიულობას, სწორედ ესაა უქონელთა და უპოვართა სიცოცხლის საზრდო და სიცოცხლის ნაზრდო და საფარველი.

აუხდენელი ოცნების ტყვეა თაღრიაც. ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, „სიღარიბისაგან გაწყალებული, ჯანით მრეთა-მრე, სიღარიბის ვერმომრევი... ძალმიშვებული, ღუნე, მთვლემარე", მაგრამ საოცრად ამაყი და თავმოყვარე, ჯიქური სიჯიუტით რომ ითმენს უქონლობას და მოწყალებას არავისაგან იღებს, „გვიბოძეხი" არა გვინდა რაო... მაგრამ საკუთარი არსებობის გასამარ-[illegible] და ადამიანური უფლებების [illegible] [illegible] კაცი [illegible] ხომ ური. [illegible] [illegible] შეუბღალავი [illegible], [illegible] ვის იმედი ხომ უნდა აიკიდოს ცხოვრების მძიმე მორიხელებზე? ამისთვის როგორმე უნდა დაიჯერო, რომ იმთავითვე უბადრუკი ყოფისათვის არ იყო განწირული, რომ მასაც დაჰყვა ქუდ-ბედი, მაგრამ მეზობლებმა დაუკარგეს, ამიტომაც დარჩა უიღბლოდ, გაუქრა ხვავი და ბარაქა, გადაეკეტა ცხოვრების სახსარი და ამას ზედ დაერთო ისიც, რომ შეეძინა ცხრა შავტუხა, გამურული გოგო.

„ნატვრის ხის" პერსონაჟებს საკუთარი ზნეობრივი კანონები აქვთ, საკუთარი მორალური კრედო, საკუთარი ეთიკური ნორმები, მტკიცე და შეუვალი, ნათელი და დაუჩრდილავი, და რაც უმთავრესია, ძალზე ქართული, ეროვნული, მშობლიური. მათ არსებაში მყარად არის გამჯდარი საკუთარი მოვალეობის შეგნება ღვთისა და ქვეყნის წინაშე. მათი მართებული რწმენით, ნათლობის წესი საყოველთაო სიკეთის დამკვიდრების წმინდა რიტუალია, პრაქტიკულ საჭიროებაზე აღმოცენებული. ძმობის, მეგობრობის, სიყვარულიანი დამოკიდებულების წადილით გაპოხიერებული, მოკეთის, ნათესავის, ახლობლის შეძენის სურვილით ნასაზრდოები, მკაცრად რომ გამორიცხავს შურისა და მტრობის შესაძლებლობას და თავის არსში შეიცავს ეროვნული ფესვის გამაგრების, მშობლიური ძირის გაძლიერების ჯანსაღ ტენდენციას.

მოთხრობა „ღვინჯუას" პერსონაჟები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ღმერთმა პირველად ნათლია გააჩინა, უფალმა კი ყოველთვის იცის თავისი საქმე. „მაშ, ქვეყანა რაზე უნდა მდგარიყო, თუ არა მიროზე? უმადლოდ დარჩენილი ხომ დაიღუპებოდა?"

ერთი ოჯახის ორი ნათლია ასე უმტკიცებს ერთმანეთს სიყვარულსა და ერთგულებას:

„მცხეთის სამირონეს გეფიცები, მაშ, სვეტიცხოვლის დამქცევი ვიყო, თუ გიღალატო!"

„ქართველების ღმერთს გეფიცები და კერის ანგელოზს, შენი გულის ძმა ვარ!"

უფრო წმინდა და შეუვალი ფიცი აღარ არსებობს. მის გამტეხს უსაშინლესი დანაშაულის დამღა ედება. ეს დამღა სვეტიცხოვლის დამქცევის სახელია, ეს კი იგივეა, რაც სახელი ქვეყნის დამქცევისა, რადგან ქართველი კაცისათვის აღთქმული საუფლოა ღვთის სახლი, ტაძარი და ისიც სვეტიცხოველი, დამაშვრალი სულის სამკვიდრო, ღმერთთან თუნდაც წამიერი ერთობის სახოებით საოცნებო წმინდა ადგილი, ლოცვის, სურვილის იმედის, ნუგეშის თავშესაფარი, რწმენის, სათნოების, სიკეთის, პატიოსნების, თავისუფლების შთაგონება.

ნათელ-მირონი მადლიანი საშუალებაა იმისა, რომ ადამიანები მჭიდროდ დაახლოვდნენ, ერთმანეთის შესამატი და საძმობინარი გაეხარდეთ, ნადობი, ნაძმობი, მისადევარ-მოსადევარი, განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარი, კარის მეზობელი, მოკეთე — და ნათესავი ერთად შეიყარნენ, ერთმანეთს ბერი და ლხინი გაუზიარონ. დაიცვან ერთგულობის ის შენაწირნაგი ტრადიცია, ლდეს ასე უდრეკლად რომ ქარკა ქართველმა კაცმა და, უაზრო ლუფუფუნებით ფის აყოლილი, მარტოობის კუნძულზე გაირიყა თავისი პაწაწკინტელა ეგოისტური ინტერესებით. არის რაღაც პატრიარქალური სიდიადე ამ გასაოცარ ერთიაბაში. ასეთი შეხვედრის დღეს ისინი სამოყვრო ამინდს ირჩევენ.

„იცი, რა არის სამოყვრო ამინდი?

არა?

პატარა თოვლი რო წაროვა ფიფქლებად, მიწას რო ოდნავ წაპქირქლავს ნელა, ტკბილად, თბილად, უზრუნველად, მაშინ თუ სოფლად ხარ და უკვე აკრეფილი გაქვს მიწის ზურგიდან მოსავალი და მარან-ბეღელში დაბინავებული, მინ ასალა უნდა გააკეთო, ისიც ასეთ ამინდში? და უცბად შეგახსენდება, რომ ამდენი ხანია, რაც არ გინახავს შენიანი, ნათესავ-შემოდგომის საშრომელმა არ მოგაცალეს ახლა კი წყურვილით მოგწყურდება მოკეთის, მოყვრის ნახვა, წახვალ და მოინახულებ, გაუხარდება, გაიხარებ! აი, რა არის სამოყვრო ამინდი, ალერსის დღე!"

ეს არის მიწის მადლით ცხებული ხალხის ურთიერთობის მაღალი კულტურა. ეს კულტურა ვლინდება გაშლილ სუფრაზეც. ის, რაც სუფრაზე მოაქვთ, არის „ხვავი სოფლის ბარაქა, საზრდელი, ნაშრომი, ნაწალმართევი: პური, ღვინო, ხორაგი — სისხლით ნაზელი მიწის ამაგი" და არა თავლითობით უკუღმართობით, სხვისი ძარცვით ნაშოვნი ტკბილია ამგვარი სუფრა. მისი ლაზათი და გლეხური მადლიანი ბუნება იმაშიც ვლინდება, რომ აქ ხალხმა გზიანი სიტყვა, მზიანი აზრი, სანაქებო ზრდილობა, სანიმუშო დარბაისლობა, გასაოცარი სიბრძნე და გონიერება, მოყვასისადმი თანაგრძნობა და გულისხმიერება, მამულის სიყვარული და ერთგულება, მტრის სიძულვილი და შეუპოვრობა, ბრძოლის მღერად მიჩნევა, ერთი სიტყვით, ნამდვილი ერისკაცობა უნდა გამოამზეუროს. არა ყალბი, არა ქიქაში სათქმელი, არა ბახუსის გავლენით მოძალებული, არამედ წრფელი და მართალი, უბიწო და გულისხმიერი. აქ თეთრი ამბა, ხატაკი და წმინდანივით ნათელი პაპა (ერ) დაუღუღარი ახალგაზრდობის დასამოძღვრად შთამბეჭდავად ტკბილმოუბრობს იმაზე, თუ ლეკვობით ხალაშქროდ წასვლის წინ, გაშა ბურანში, გაშა სიზმარში, აშკარად და თვალხათლივ როგორ გამოეცხადა პაპის პაპა. შარავანდით მოსილი აზოვანი ბერიკაცი, ლეგა ჩოხაში გამოწყობილი, მიწამდე მიწვდენილი ხმლით, და ასეთი რჩევით დაუბარა:

„პაპის პაპა ვარ შენი, თოოელო! ბიჭო, არ შემარცხვინოთ! სახელი ხმის გონებასაო. დაჭრილობა და ჭრინაზულებს სჯობია ტყუილად ხეტიალსაო! მტრის გამარჯვებლები ვიყავითო. ხმლით გვეჭიროს მამული! საქართველოზე ხელი არ აილოთ! ენით ნუ ჩქაროობთ, საქმით იჩქარეთო!"

ასე იზრდებიან თაობები. ასე ვალიან ხამ-მთლიშვილო, საკაიკაცო სკოლას. პაპისპაპის ამ მადლიან შენაგონარს თეთრაბამშა ახლაც უმატებს თავის საგულისხმო სათქმელს, რომ ახალი თაობის სულის ყამირში ღრმა ხნული გააკლოს და შიგ კიკეთის მარცვალი ჩაყაროს:

„არ აგრიოთ დიდმა ხდომამ, პატიოსან ლუკმას დასჯერდით, შრომა, ოფლი და ამაგი ყველაზე დიდი სიმდიდრეაო! ეშმაკის ნატეხი პური ნუ გინდათო!"

ამგვარი იყო ქართველი კაცის ცხოვრებისეული ფილოსოფია, ამგვარი რწმენით მოიტანა მამული დღემდე და დღეს თუ რამ გადაგვარჩენს კოჯხეთური განსაცდელიდან, ისევ და ისევ ამ შეგნების აღდგენა და ხელახლა გათავისება!

აი, ასეთ სუფრაზე თამადობს ღვინჯუა — „მონაფებული ყანწის სარდალი" — ღვინის კი არა, ლხინის ტრფიალი, დაუთრობელი, ჭკუადამჯდარი, დარბაისელი. მეტადრე რომ არასოდეს დალევს, არ გატყვრება, გონს არ დაკარგავს, ენა არ აერევა, უდიერი და უკადრისი არაფერი წამოსცდება, რადგან სჯერა, რომ „კარგმა თამადამ ხორციელი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს". თავადაც სიტყვაგზიანია. მთელი სუფრა ახლად გაზედნილი ველური კვიცის აღვირივით მარჯვედ უპყრია ხელთ და თავის ნებაზე წარმართავს. ლარში ატარებს მის მზუღთვარე დიხებას, რის წყალობითაც ყოველი ახალი სუფრიდან ახალი ხიბილი მოაქვს შინ. შუაგულ ლხინში არ ჩაშლის ქეიფს, ლელოს ბოლომდე გაიტანს და უთუოდ იტყვის საყველაწმინდოს, მისი მართებული რწმენით, „ვინც ბუდექართველია, უამსადღეგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან", ეს ჩვენი წინაპრების ჩვევაა, საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული, ერის ხასიათიდან ამომავალი, და არავისა აქვს უფლება ამ ადათის დარღვევისა.

მაგრამ ერთხელ ღვინჯუასაც აერევა სუფრა. ერთხელ მასაც აუმხედრდება ქარაჯუცა, მეცილ-ღმერთა, უვარგისი კაცი, აზლის აფუროტნის ტკბილ ლხინს და შეურაცხყოფილი, თავმოყვარეობაშელახული თამადა, გულნატკენი უფრო იმით, რომ მის დასაცავად თავი არავინ გამოიდო, არავინ გამოესარჩლა. შუაღამისას დაადგება თოვლში ჩაკარგულ ბილიკს, ხევ-ხუვებსა და ღრანტეებში გზააბნეული, გათენებამდე ეკიდება მშიერი მხეცივით გაშმაგებულ გრიგალს. ბევრჯერ ჩახედავს სიკვდილს თვალებში, ბოლოს მაინც დაჯაბნის სტიქიას და სწორედ მაშინ, როცა შორიდან თავისი კოხის მბჟუტავ სინათლეს დალანდავს, როცა გათოშილი სხეული საკუთარი ლოგინის შორეულ, მაგრამ გამაბრუებელ სითბოს იგრძნობს, როცა სულს ნეტარი მოლოდინის სუნთქვა აავსებს, სწორედ მაშინ გაახსენდება, საყველაწმინდო რომ დარჩა სათქმელი... გაახსენდება და ისევ უკან მიბრუნდება. ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვალებით გაივლის იმ ჯოჯხეთურ გზას, უკვე ღრმა ძილით ჩაძინებულ სახლში, ორიოდე მთვლემარე სტუმართან ერთად. ამ ბოლო და აუცილებელ სადღეგრძელოსაც დალევს და ასე გამოსწევს შინისაკენ ვალმოხდილი, პირნათელი.

ეს არის საკუთარი ღირსების შეგნების, კეთილსინდისიერების, შინაგანი პატიოსნების, ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის ტრიუმფი, ეგზომ ნიშანდობლივი ეროვნული ხასიათისათვის.

„ნატვრის ხეში" სახოებით შენახული სოფელი ღვთაებრივ ხმებს მოაქვს ჩვენამდე. გულისყურს იტაცებს კალოს ხევდიანი ოროველა, საწნახლის სამაჯრე ღარის შხრიალი, ბოსტნის მწვანილეულობის ფუშვინვარება, ციხის ნანგრევთა იდუმალი გუგუნი, სიყვარულის ჩუმი ოხვრა, წვიმით დანამული ფოთლების სუნთქვა. ამ სამყაროდან მზის მხურვალებით აღანძული მტევნები და აღთავარდნილი ვარდები იმზირებიან. წელზე ვერცხლის ქამარივით რომ შემოურტყამთ დაისის ოქროთი აღაპლაპებული იორი.

ამ სოფლის მკვიდრთა ხატვისას გიორგი ლეონიძე ძირითადად ქართული კლასიკური პროზის ტრადიციულ გზას მისდევს. უმეტესწილად აღწერის, სიტყვიერი დახასიათების ხერხს მიმართავს, ოღონდ მისი სემანტიკური პლასტი და მხატვრული სალებავები შეუდარებლად, გამორჩეულად თბილი, მსუყე და ბარაქიანია.

მისი პერსონაჟი ყოველთვის ცოცხალი, ხილული და ხელშესახებია. აი, თუნდაც, დადლაურა:

„რა მომლხენი კაცი იყო, რა მომღერალი, ვერც კი ეტეოდა გრძელ კაბურ მრავალჟამიერში".

ავტორი აქცენტს უფრო პერსონაჟის შინაგანი ბუნებისაკენ მიმართავს, გარეგნული პორტრეტის გრაფიკული მონახაზი კი მასთან ფიგურირდება, როგორც შინაგანი ბუნების ადექვატური ელემენტი, რომელიც ამ სახის გაძლიერებას, მეტი რელიეფურობით წარმოჩენას ემსახურება. თუ ტიპი გულღრძო და ბოროტია, მისი გარეგნობაც ზუსტად ამ თვისებებს მიესადაგება. მწერლისათვის თითქმის კანონად ქცეული ეს ხერხი სრულიადაც არ იწვევს მარტივის უინტერესო შთაბეჭდილებას, პირიქით, ამ გზით მიიღწევა ხასიათის საოცრად მონუმენტური სიდიადე.

ეს ხასიათები არ არის ერთგანზომილებიანი, მარტივი, უბრალო, პირიქით, ისინი რთული ფსიქოლოგიური ორგანიზმებია, მაგრამ სირთულეთა ამ ლაბირინთებიდან მაინც იკვეთება ერთი, ყველაზე უფრო ნიშანდობლივი მომენტი, რაც განსაზღვრავს ცალკეულ პერსონაჟთა ჭეშმარიტ არსს. მკითხველის გაფაციცებული მზერაც სწორედ ამ არსებითისკენაა მიპყრობილი. აი, ერთი ნიმუში:

„ბოროტი, უხმინარი, ალმართი კაცი იყო ხვედია. ვის არ ახსოვს ჩვენს სოფელში უკეთური, ბუღლორღიანი, ღვარძლი, ჰინჭყლიანი, ენიდან შხამის მდენელი. შესახედავად ძნელი იყო: დაშხალული, შეკვამლული, ჩაღრუბლული, კუზიანი, თანაც წყალდასხმულ-ნაცრისფერი".

ამგვარი დეფინაციის გზით იკვეთება ვიზუალური ხატი, რომელიც შემდეგ თითქოს შიგნიდან ნათდება იმისათვის, რომ, რაც შეიძლება, მკვეთრად წარმოჩინდეს მისი ხასიათის ყოვლად შემაძრწუნებელი თვისება. ეს ის კაცია, ვისაც ამქვეყნად არავინ და არაფერი უყვარს. მით უფრო — ჩიტები და ბავშვები. ჩიტებს ჯოხით ერეკება ყოველი კუთხე-კუნჭულიდან და მხოლოდ მაშინ წყნარდება, როცა ფრინველებისაგან დაცლილი არე-მარე უდაბნოს დუმილით მუნჯდება, ხოლო ბავშვები ისე სძულს, რომ ცოლს ნებას არ რთავს ზამთრის ყინვიან ამინდში მათთან მოყვანილ ურძეოდ დარჩენილ ჩვილს ძუძუ მოაწოვოს.

ეს ხარბი, ეგოისტი, ყველაფრის მიმტაცებელ-მიმთვისებელი ავკაცი სიკვდილსაც ყველას დაასწრებს. მიცვალებულსაც დანაცრულ პირსახეზე იმის შიში აწერია, ემანდ, საფლავშიც არავინ შემეცილოსო. „ეტყობა, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გუნება დამყუდროებული".

როგორც უკვე ითქვა, გმირის ხატვისას გიორგი ლეონიძის სემანტიკური არსენალი ძალზე უხვი და მდიდარია. მეტაფორული ხელოვნება — ნატიფი, ფაქიზი და მრავალმნიშვნელოვანი. ეს მომენტი ყველაზე ნათლად და სრულყოფილად მარიტას სახეში გამოვლინდა.

ვიდრე ამ პერსონაჟს გაგვაცნობდეს, ჩვენი წინასწარი შემზადების მიზნით, მწერალი თხრობას ცოტა შორიდან იწყებს. ჯერ მზისა და სიხარულის ჩქერში გაგვახვევს, ბროწეულის ყვავილის მშვენებით გაგვაბრუებს, მერე კი, შედარებისათვის ამ ყვავილს ისე მიუახლოვებს გამოსახვის საგანს, როგორც ფართო პლანის საჩვენებლად გამიზნულ ობიექტივს, და უცებ გაზაფხულის შხაპუნა წვიმასავით წამოვა ეპითეტებისა და შედარებების ულევი ნაკადი, რომლის წიაღიდან, როგორც ჯადოსნური სარკიდან, თანდათან გამოიკვეთება შეუდარებელი მშვენება ახალგაზრდა ქალისა და დაიხატება მარიტა.

ეს პორტრეტი უფრო დამაჯერებელი რომ გახადოს, ავტორი უშუალოდ გვეპატიჟება მის სანახავად:

„ვისაც ღმერთი არ გინახავთ, მოდით და ნახეთ მუხათწყაროში!" ხან ხალხური ზღაპრის ანალოგიასაც იშველიებს:

„— გლეხის ქალი და ეგრე ლამაზი?

— განა ეთერიც გლეხის ქალი არ იყო, მეფისწული აბესალომი რომ ეტრფოდა?"

თითქოს ვერ იოკებს ლაგამმიშვებულ წადილს ამ მშვენიერების რაც შეიძლება სრულყოფილად ჩვენებისას.

ეს არის ხატოვანი აზროვნებისა და პოეტური მეტყველების ნამდვილი ფეიერვერკი, მადლიანი ქართულის ზეიმი, სიტყვის პლასტიკური შესაძლებლობის ბრწყინვალე დემონსტრირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭოიძე

# ჩვეულებითი სამართლის საკითხები ვაჟა-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველას მდიდარი მემკვიდრეობა საინტერესოა ჩვეულებითი სამართლის შესწავლის მხრივაც. ამ კუთხით ვაჟას ეთნოგრაფიული წერილები შესწავლილია (იხ. გ. დავითაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1990). მაგრამ ეთნოგრაფიული ნაწერების გარდა ჩვეულებითი სამართლის ცალკეული საკითხები აისახა ვაჟას მხატვრულ შემოქმედებაშიც. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ვაჟა-ფშაველას იმ ნაწარმოებთა განხილვა, სადაც აისახა ფშავ-ხევსურეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნორმები.

პიესა „მოკვეთილში" დეტალურად არის აღწერილი დამნაშავის თემისაგან მოკვეთის პროცესი. ჩონთასთან პირადი მტრობის გამო ბაზა ქისტებს შემოუძღვა და ფშავი ააკლებინა. ეს იყო თემის ღალატი, რაც ჩაქოლვით ან მოკვეთით ისჯებოდა. ხალხმა ბაზას ჩაქოლვა მოითხოვა, მაგრამ ხევისბერმა ჭუჭამ თემს სასჯელი შეაცვლევინა: „ჩვენ ჩაქოლვაზე მეტი სასჯელი გვაქვს გულში გადაწყვეტილი... ბაზა ჩვენი აღარ არი, აღარ არი ლაშარის ჯვრის ყმა, აღარ არის ფშაველი... (საერთო ხმა): ...მოკვეთილ იყოს ჩვენგან, მოკვეთილი!" ბაზა აღარ ჩაქოლეს, მოკვეთა აკმარეს. თემის მოღალატეშ სიცოცხლე შეინარჩუნა, მაგრამ, როგორც პიესიდან ჩანს, თემი მოკვეთას უფრო მძიმე სასჯელად თვლის, ვიდრე დამნაშავის სიკვდილით დასჯას — ჩაქოლვას. ეს უცნაურობად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ მოკვეთის არსს, ყოველივე იმას, რაც მოკვეთილს დაატყდებოდა თავს. მოკვეთილს ეკრძალებოდა საზოგადოებასთან ყოველგვარი ურთიერთობა, — თემის ყრილობაზე დასწრება, დღეობებში მონაწილეობა; თემი მოკვეთილს ჭირსა და ლხინში ხელს არ გაუწვდიდა, წისქვილზე საფქვავს არ დაუფქვავდა, არავინ მიესალმებოდა. იგი მოიკვეთებოდა არა მარტო თემისგან, არამედ ხატისგანაც. სწორედ ამას გულისხმობს ხევისბერი ჭუჭა, როცა ამბობს, ბაზა აღარ არის ლაშარის ჯვრის ყმაო. ეს კი ყოველი ფშაველისათვის უმძიმესი სასჯელი იყო, რადგან ფშავლები თავიანთ თავს ხატის ყმებად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ ხატის მფარველობის გარეშე უბედურება არ ასცდებოდათ. მოკვეთილს ხატის კარზე არ მიესვლებოდა, მას ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, ხატს წყალობას არ გამოსთხოვდა მისთვის. მოკვეთილს არც თემის სასაფლაოზე მარხავდნენ. თემის რისხვა დაატყდებოდა თავს იმასაც, ვინც მოკვეთილს რაიმეთი ხელს გაუმართავდა. „მოკვეთილში" ხევისბერი ასე რისხავს თემის გადაწყვეტილების დამრღვევს: „ვინც ამას იქით ბაზასთან ან გაიაროს მკვდარზე, ან ცოცხალზე, ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს გამარჯობა უთხრას, ესე დაიქცეს იმისი ყოფაცხოვრება (აქცევს თასს...)... ასე გაქრეს (აქრობენ ორივე კელაპტარებს) იმის სახსენებელი, ღვთისა და ემ ბატონის რისხვა გაჰყვეს იმის შვილთაშვილამდე".

მოტანილი ციტატა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში აღწერილა მოკვეთის რიტუალი — სასმელის დაღვრა თასებიდან, ანთებული სანთლების ჩაქრობა, რაც დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა დამნაშავესა და შეკრებილ ხალხზე. როგორც ვხედავთ, მოკვეთა, ფაქტობრივად, პიროვნების ზნეობრივ სიკვდილს უდრიდა. ამიტომაც ითვლებოდა იგი უფრო მძიმე სასჯელად, ვიდრე სიკვდილით დასჯა-ჩაქოლვა.

მოკვეთილის ტრაგედია კარგად ჩანს პოემა „ბახტრიონში". იმში შერცხვენილმა წიწოლამ თავი ჩამოიხრჩო:

მუხაზე ჩამოკიდული
კაცი სჩანს სამკლავიანი,
თავი დაურჩვავ მხედარსა.
თუ იყო გულჯავრიანი?
იორი ყურსაც არ უგდებს,
ნელად აქანებს ტალღებსა,
არ ედარდება, დაობლდნენ,
მამა აღარ ჰყავ ბალღებსა.
თემისგან უარყოფილსა
გადაუგდებენ ძაღლებსა.

წიწოლას არც ბუნება დასტირის, არც თემი, მხოლოდ დედა მოსთქვამს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის (ლაჩრობა, ომიდან გამოქცევა) თემმა წიწოლა მოიკვეთა:

თასი დაღვარეს ხატშია:
ახლოს მიუდგეს არვინა...
არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლი წინ დაიგუბოსა.

თასიდან სასმელის დაღვრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკვეთის რიტუალის აუცილებელი ელემენტია, ხოლო ჭირს გაუზიარებლობა — მოკვეთის შედეგი.

„მოკვეთილში" კიდევ ერთმა სასჯელმა ჰპოვა ასახვა. მას „ძაღლის სალაფავზე დაბმა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

პქვია და გამაწბილებელ სასჯელთა რიცხვს მიეკუთვნება. რას გულისხმობდა ეს სასჯელი?

იარაღაყრილსა და შეკრულ დამნაშავეს სახლში მიიყვანდნენ და გეჯით ძაღლის საღაფავს დაუდგამდნენ. ჩონთა დედას ეუბნება: „შენ, დედავ, წადი და როგორც იცოდე ძაღლებისთვის საღაფავი, სწორედ ისეთი აადუღე და გამოიტანე, რომ ამ ძაღლს (ბახას — ო. ზ.) გეჯით დავუდგა“.

ვაჟა ჩონთას პირით რამდენჯერმე იმეორებს, რომ დამნაშავის „ძაღლის საღაფავზე დაბმა“ მამა-პაპური წესია: „მანამ ჩემის მამა-პაპის წესს არ დავუყენებ ამ ძაღლს, მანამდე ვერ გავუშვებ... ძაღლის საღაფავზე რომ არ დამაბმევინეთ, ეგ თქვენი ბრალია. ჩემის მამა-პაპის წესი არ ამასრულებინეთ და მაგის მოპასუხედ თქვენ უნდა იყოთ ხატთან და ღმერთთან“.

იარაღის აყრა და შეკრულის სახლში მიყვანა უდიდესი სირცხვილი იყო იარაღაყრილისათვის. ამას ემატებოდა ძაღლის საღაფავზე დაბმით პიროვნების დამცირება. ბექას სამართალი იმდენად მძიმედ თვლის კაცის „ძაღლის საღაფავზე დაბმას“, რომ სასჯელსაც კი აწესებს ამისთვის: „თუ სწორმან სწორი ხელთა დარჩენილი კაცი გინა გლეხისას, გინა საზვასტაგესა და რასა გინდა სახლსა შიგან შეაყენოს და სასირცხუად პური აჭამოს მუნ, ბრჭობამან და წესმან სისხლი მართალი დააურვებინოს მართლად...“ „სასირცხუად პურის ჭმევაში“ ძაღლის საღაფავზე დაბმა იგულისხმება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფშავში მომხდარი ერთი კონკრეტული შემთხვევა ძაღლის საღაფავზე დაბმისა გამხდარა პოემა „გოგოთურ და აფშინას“ დაწერის საფუძველი. ვაჟა წერს: „ეს გოგოთური, პოემის გმირი სცოცხლობდა მე-18 საუკუნის პირველ ხანში, ცხოვრობდა სოფელ ყოფჩაში... გოგოთურმა ქურდობაში დაიჭირა ორი ხევსური, ორივე შეკონა და მოიყვანა თავის სახლში. ცოლს დაუძახა, ცეცხლზე წყალი შედგი და ძაღლების საღაფავი გააკეთეო... ცოლი ასრულებს გოგოთურის ბრძანებას — წყალს გააცხელებს და შიგ ქატოს ჩაჰყრის. გოგოთური ამ საღაფავს ჩაასხამს ძაღლის გეჯაში, წინ დაუდგამს ხევსურებს და ეტყვის: „ცქლიფეთ ეს ძაღლის საღაფავი, რადგან თქვენ ამის ღირსები ხართო!“... ეს არის მხოლოდ ხალხის ნათქვამი და აქედან დაიბადა... „გოგოთურ და აფშინა... (ვაჟა-ფშაველა, თხზ. თბ. 1987, გვ. 738-739)“.

ჩვეულებითი სამართლის კუთხით საინტერესოა აგრეთვე „ალუდა ქეთელაურის“ განხილვა. თემს ალუდა არ გაუძევებია დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის („მაჭკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?!“ „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა.“). მუცალის მოკვლის შემდეგ ქეთელაური თავისივე თემში ცხოვრობდა. ალუდა რელიგიურ დღესასწაულზეც მივიდა სამხვეწრო საკლავით; ხატის მსახური მას ჩვეულებრივად, როგორც სხვა მახვეწართ, შეხვდა: „ვის ამწყალობნებ, ალუდავ, ამა კურატით შავითა?“ ხუცესისა და ხალხის რისხვა გამოიწვია ალუდას მიერ რელიგიური ნორმების დარღვევამ:

გაგონილაა, იძახდა (ხუცესი — ო. ზ.),
ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ კლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.

მაჰმადიანი მუცალის სულის სახვეწრად საკლავის დაკვლით ალუდა ქეთელაური „გაურჯულოვდა“.

გაურჯულებულს არჯულებ,
შენ! ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მაგიხდებისა.
მამით არ მოიდს ანდერძი,
პაპითა-დ პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა, —

აფრთხილებდა ხუცესი ბერდია ალუდას. ქეთელაურმა ყურად არ იღო გაფრთხილება და დანაშაული ჩაიდინა — მაჰმადიანი მუცალის სულის მოსახსენებლად თვითონ დაკლა საკლავი, რასაც ალუდასა და მისი ოჯახის გაძევება მოჰყვა სასჯელად. ჩვეულებითი სამართლის ნორმებით გათვალისწინებული იყო გაძევებულთა თემისა და ხატისგან მოკვეთა, სახლ-კარის დაქცევა, ქონების დარბევა, და ბოლოს თემისგან განდევნა. პოემაში გაძევების ყველა ეს ელემენტი დიდი სიზუსტითაა გადმოცემული:

სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას კარის დირენი...
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შენამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები...
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შესაბრალები.

დაქცეულ სახლს-კარს დასტირს ალუდას დედა თუ ცოლი:

ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ქვა-ქვაზე აღარ დგებაო,
ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე
ეხლა ყოვები სხდებაო.

ფშავ-ხევსურული ჩვეულებითი სამართალი „ლაშქარში გამოკლებისთვისაც“ აწესებდა სასჯელს. ომში საპატიო მიზეზის გარეშე წაუსვლელობისათვის დამნაშავეს თემი დაარბევდა — დაუკლავდა ხარს ან კურატს და შეუჭამდა. სწორედ ეს სასჯელი იგულისხმება იმ „ჯარიმაში“, რომელიც შეიძლება დაედო თემს ძაღლიკა ხიმიკაურისათვის ომში წაუსვლელობის გამო.

რას ასტეხილხართ, კალებო,
აღარ მწადიან ომიი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც უნდა ჯარიმა წამართვათ,
არა ვარ წინამდგომია. —

მიმართავს ძაღლიკა ხევსურებს. „სტუმარ-მასპინძელში" ვაჟას აღწერილი აქვს ნანადირევის გაყოფის წესი, რაც ასევე ჩვეულებითი სამართლით იყო დადგენილი. „ამხანაგურად" (რამდენიმე მონადირის მიერ ერთად ნადირობის პირობის დადება, შეამხანაგება) ნადირობისას მოკლული ნადირი „ამხანაგთა" შორის თანაბრად ნაწილდებოდა, ოღონდ ნადირის უშუალოდ მომკვლელს „საისრედ" ერთი ნაწილი ზედმეტად ერგებოდა. თუმცა მოკლულ ნადირში წილი შეიძლება ჩაედო უცხო მონადირესაც, რომელიც ამხანაგობაში არ შედიოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა იგი მოკლულ ნადირს ფეხგაუტყავებელს მიუსწრებდა. „სტუმარ-მასპინძელში" ჯოყოლა ალხასტაიძე შემთხვევით შემხვედრილ, „არაამხანაგ" ზვიადაურს მოკლული ნადირის განაწილებას სთავაზობს:

თუ გინდა ეხლავ გავიყოთ
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
გავინაწილოთ სწორადა...
წილი გდებია შენაცა
ამ ჩემგან მოკლულ ჯიხვშია.

ჩვეულების მიხედვით მოკლულ ნადირში ზვიადაურს წილი არ ედო, რადგან ჯოყოლას უკვე მოესწრო ჯიხვის ფეხების ჩატყავება, ამიტომაც ალხასტაიძეს „ამხანაგურად", ე. ი. თანაბრად სურს ნანადირევის გაყოფა; „ჯოყოლა ხელს იღებს „საისრეზეც" („ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი, გავინაწილოთ სწორადა), რაც მას ნანადირევის „ამხანაგურად" გაყოფის შემთხვევაშიც ეკუთვნოდა. ზვიადაური უარს ამბობს დადგენილი ნორმების დარღვევაზე:

საცა არ მიხნავ, ძმობილო,
იქ ვმკო, — ეს სადაურია?
ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
ფეხებიც ჩატყაულია...
წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე,
თავს არა ვკადრებ ამასა.

განვმარტავთ ორიოდე სამართლებრივ ტერმინს, რომელიც გვხვდება პოემებში: „გიგლია" და „ბახტრიონი".

გიგლია ვერ პოულობს თავის იარაღს და შეწუხებული დედას ეკითხება:

ხმალი რა იქნა აქითა,
ან ჩემი თოფი ხარაო?
აღარსად სამკლავენი ჩან,
აღარც ფარი და ჩაჩქანი!...
ვინ რა-რა ფიქრობს გიგლიას
გააღებინოს ალმანი?

ვაჟა თავათ განმარტავს „ალმანს", მაგრამ არასწორად: „ფშავლების ძველის სამართლის ძალით, ვისი იარაღითაც კაცი მოკვდებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეზღო, თუნდ იარაღი სხვას ეხმარა". ამ განმარტებაში „ალმანის" გაიგივებულია „არბითთან", რაც შეცდომაა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ წერილში „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები" ზუსტად გადმოგვცემს „ალმანის" არსს: „მოკლულის ნათესავნი მკვლელს იმ შემთხვევაში, როდესაც შერიგება მოხდებოდა, თავსისხლის საფასურის გარდა, გამოართმევდნენ იმ ნივთს, რომელიც კი მოეწონებოდათ მოკლულის ნათესავებს; დამნაშავეს უარის თქმა არ შეეძლო. ამ ჩვეულებას „ალმანია", „ყისტი" ჰქვია, „ალმანის" გაღება ალმანიად ერთი თემი მეორეს მამულსაც წაართმევდა. ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც ერთს თემს მეორისა სისხლი დაედებოდა და ემართებოდა. ალმანიდგან იყო განთავისუფლებული ზოგი სახელოვანი იარაღი, ისეთი იარაღი, რომელიც ომის ლაშქრობის დროს პატრონს ასახელებდა. ხევისბერი დაჰლოცავდა ხმალს ან თოფს სახელოვანს და შეაჩვენებდა, „დაარისხებდა" იმას, ვინც ალმანიაში წაართმევდა, ანუ „ყისტად მოუდებდა" მის მექონეს ამ დალოცვილს იარაღს". (ვაჟა-ფშაველა, თხზ. თბ. 1987, გვ. 581).

ვაჟას ამ განმარტების სიზუსტეს ადასტურებს ეთნოგრაფიული მასალა; ხოლო რაც შეეხება „არბითს", მას (სისხლის საზღაურის ნაწილს) გაიღებდა იარაღის პატრონი იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული მისი იარაღით ჩაიდინა, თუნდაც სხვა პირმა. გიგლიასაც სწორედ ეს აფიქრებს: მისი იარაღით (რომელიც დაკარგული ჰგონია) არავინ ჩაიდინოს დანაშაული და სისხლის საზღაურის ნაწილის გაღება მასაც არ დაეკისროს.

„ბახტრიონში" ნახსენებია „ხვიშვილი". კვირია ამბობს:

ოც წელს სრულ ხვიშვილადა ვარ,
სამშობლო გამიწირია.

„ხვიშვილობა" სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი არსი ისაა, რომ გაჭირვებული ოჯახიდან ერთ-ერთი შვილი, ან თუნდაც უსახლკარო კაცი (როგორც კვირია: „ფშავს უბინადროდ რჩენილი, წაველ საძებრად ბედისა".) წინასწარ დადგენილი პირობით შეეხიზნებოდა შეძლებულ ოჯახს, სადაც „ხვიშვილი" ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოს: აპობდა შეშას, ეზიდებოდა წყალს, უვლიდა ყანასა და პირუტყვს. სანაცვლოდ იგი იღებდა საკვებსა და ტანსაცმელს, ხოლო დათქმული ვადის გასვლის შემდეგ „ხვიშვილი" გასამრჯელოსაც მიიღებდა ნატურის სახით.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ არა მარტო ეთნოგრაფიული მასალები გვეხმარება ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნაწარმოებების ზოგიერთი ეპიზოდის სწორად განმარტებაში, არამედ, პირიქით, ხშირად ეს ეპიზოდები ავსებენ და აზუსტებენ ეთნოგრაფიულ მასალებში დაცულ სამართლებრივი ხასიათის ცნობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდოლფ შტაინერი

# თეოსოფია და სოციალური საკითხი

**რუდოლფ შტაინერს განათლებული ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგენა არ ესაჭიროება — უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მის ნაწერებს განსაკუთრებული ინტერესით ეტანებიან. ოღონდ ყველანი როდი ითვალისწინებენ, რომ „იდუმალთმეტყველების" და სხვა მსგავსი ქმნილებების გარდა, რუდოლფ შტაინერი არის აგრეთვე ავტორი ზოგიერთი იმგვარი თხზულებისა, რომლებშიც კაცობრიობის არსებობის არა მხოლოდ ზესთასოფლური, არამედ სოფლიური, საამქვეყნო ასპექტებიც მიმოიხილება.**

**ამ ხასიათის სამი თხზულება („ჭეშმარიტება და მეცნიერება", „თეოსოფია და ფილოსოფია", „თეოსოფია და სოციალური საკითხი") ვთარგმნე ქართულად 1952 წელს, იმ საზარელ ხანაში, როდესაც ყოველგვარი მაღალი აზრი გაუგონარი გულმხეცობით ითრგუნებოდა. რაღა თქმა უნდა, ამ თხზულებათა თარგმნისას ვერც კი ვიოცნებებდი, რომ მათს გამოქვეყნებას ვეღირსებოდი ოდესმე.**

**ხსენებული სამი ნაშრომიდან ამჯერად მკითხველს წარმოვუდგენ „თეოსოფიას და სოციალურ საკითხს". ამგვარი არჩევანი თავისთავად განაპირობა დღევანდელმა ვითარებამ — მარქსისტული, კომუნისტური იდეების შემუსვრამ საზოგადოების გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია სოციალურ საკითხში. სულ უფრო ჭირს ხელჩასაჭიდი სოციალური იდეალის გამოკვეთა. რუდოლფ შტაინერის ნაშრომმა, ჩემის აზრით, შესაძლოა მცირეოდენი სიცხადე მაინც შეიტანოს ამ საკითხში. ასეა თუ ისე, სოციალური პრობლემებით დაინტერესებულ პირთ მისი გაცნობა უეჭველად მართებთ.**

**ქართული თარგმანი გერმანული ორიგინალიდან არ არის შესწორებული (ჩემი თაობის ადამიანებს იშვიათად ჰქონდათ საიმისო მოცალეობა და მატერიალური სახსარი, რომ უცხო ენებს რიგიანად დაუფლებოდნენ). მაინც გადავწყვიტე ამ თარგმანის გამოქვეყნება იმის მოიმედემ, რომ, „რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს".**

მთარგმნელი

ვინც დღესდღეობით ფხიზლად უმზერს ქვეყნიერებას, შეამჩნევდა, თუ რა ძალუმად არის წამოჭრილი მის წინაშე ის, რასაც „სოციალურ საკითხს" უწოდებენ. ყველა, ვინც კი ცხოვრებას სერიოზულად უყურებს, მოვალეა ასე თუ ისე გარკვეული მრწამსი შეიქმნას ამ საკითხის შესახებ. და თავისთავად ცხადია, რომ აზროვნების იმ სახეობამ, რომელსაც საგნად კაცობრიობის უზენაესი იდეალები გაუხდია, სავსებით გარკვეული მიმართება უნდა იქონიოს სოციალური საკითხებისადმი. აზროვნების ამგვარ სახეობად სურს იყოს დღეს თეოსოფიას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ იკითხავენ ხოლმე ამ საკითხისადმი მისი დამოკიდებულების ამბავს.

გარნა თავდაპირველად შესაძლოა იმნაირი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს თეოსოფიას ამ მხრივ რაიმე საგულისხმოს თქმა არც შეეძლოს. თეოსოფიის ერთ-ერთ ყველაზე განმასხვავებელ და ნიშანდობლივ თვისებად, უწინარეს ყოვლისა, მიჩნეულია სულიერი ცხოვრების გაღრმავება და გონის სამყაროსათვის მზერის განხმა. თვით ისინიც კი, ვინც თუნდ ზერელედ გაეცნობა თეოსოფ ორატორთა და მწიგნობართა მეოხებით გავრცელებულ იდეებს, მიუდგომელი დაკვირვებისას შეძლებენ ამგვარი სწრაფვის აღიარებას. მაგრამ უფრო ძნელია იმის დანახვა, რომ ამ სწრაფვას დღეს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ძნელი შესამჩნევი იქნება თეოსოფიის კავშირი სოციალურ საკითხთან. რით შეძლებს სოციალურ ავბედობათა ასარიდებლად დახმარების გაწევას მოძღვრება, რომლის საგანია „გარდასხეულება", „კარმა", „ზეგრძნობადი სამყარო", „ადამიანის წარმოშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა" და მისთანანი? — [illegible] მეკანი. — აზ[illegible] ყოველდღიური [illegible] შორის, ბუნე[illegible] სიტკბოებებისკენ. მაშინ, როდესაც [illegible] მთელი თავისი აზრის მოკრებით, რათა იმ ამოცანათა სიმაღლეზე იდგეს, მას რომ მიწიერი სინამდვილე უჩვენებს.

ყველა იმ განსხვავებულ შეხედულებათაგან, ჩვენს დროში უეჭველად რომ წარმოიქმნებიან თეოსოფიის შესახებ, აქ ორს მოვიხსენიებ.

პირველის მიმდევარნი თეოსოფიას თავაშვებული ფანტასტიკის გამოვლენად მიიჩნევენ. ამგვარი თვალსაზრისის არსებობა სავსებით ბუნებრივია, თეოსოფიისთვის ყველაზე ნაკლებ გაუგებარი ჩანს ეს თვალსაზრისი. ყოველივე, რაც საგრძნობ საგანთა ცხოვრებაში, რაც კი ირგვლივ ხდება, რაც ადამიანებს სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებს, — ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ თეოსოფის სიტყვები მრავალთათვის უაზრობაა ჯერაც. ცხადია, ამგვარ გარემოში თეოსოფს უეჭველი რწმენა უნდა ჰქონდეს — სწორ გზას მივყვებით. უამისოდ ერთობ ძნელი იქნება მტკიცედ დგომა, რა რომ შეიცნოს იმ წინააღმდეგობას, რომელიც მის წარმოდგენებსა და ამდენი განსწავლული, მოაზროვნე ადამიანის აზრებს შორის არსებობს. მაგრამ შესაფერი რწმენით აღჭურვილი, თავის შეხედულებათა ჭეშმარიტებასა და ძალმოსილებაში გულდაჯერებული თეოსოფი იტყვის: დიახ, მშვენივრად ვიცი, რომ დღესდღეობით შესაძლოა ფანტასტად მთვლიდნენ. ისიც მესმის, თუ რატომ ხდება აგრე. ოღონდ ჭეშმარიტება უნდა გამოვლინდეს, თუნდაც რომ დასცინოდნენ და ქირდავდნენ მას. ჭეშმარიტების მოქმედება მოარულ შეხედულებებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მის სიღრმისეულსა და მკვიდრ საფუძველზე.

თეოსოფიის წინააღმდეგ მიმართული მეორე შეხედულება ის გახლავთ, რომ, თუმცა კი მისი აზრები მომხიბვლელიაო და სიამოვნების მომნიჭებელი, გარნა მათ მხოლოდ შინაგანი სულიერი ცხოვრებისთვის აქვთ მნიშვნელობა, ხოლო პრაქტიკულ ცხოვრებისეულ ბრძოლას არას არგებენო. თვით ისინიც კი, თეოსოფიას თავიანთ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად რომ ეტანებიან, შესაძლოა ადვილად შეცდნენ და თქვან: დიახ, მაგრამ სოციალურ ავბედობას, მატერიალურ გასაჭირს როგორ უნდა ვუწამლოთ, ამის თაობაზე აზრთა მთელი ეს სისტემა ვერაფერს გვეტყვისო. გარნა სწორედ ეს აზრია დამყარებული ცხოვრების ნამდვილ ფაქტთა სრულ გაუგებრობას და, უწინარეს ყოვლისა, თეოსოფიური აზროვნების ნაყოფთა მიმართ მცდარ შეხედულებას.

თითქმის ყველა ასე სვამს კითხვას: რას გვასწავლის თეოსოფია, როგორ არის შესაძლო მისთა დებულებათა დასაბუთებისა? და თეოსოფიის [illegible] ხერხდება. [illegible] რა თქმა უნდა. სავსებით გასაგებია, [illegible] უნდა ვიწამოთ, თეოსოფია [illegible] გვაძლევს. მაგრამ თეოსოფიის ჭეშმარიტი ნაყოფის ძიება აქ არ ეგების, ეს ნაყოფი მაშინ ვლინდება მხოლოდ, როდესაც თეოსოფიური აზრებით მივუდგებით პრაქტიკული ცხოვრების ამოცანებს. საქმე ის არის, შეგვეწევა თუ არა თეოსოფია იმაში, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ ამოცანებს და გონივრულად ვეძიოთ მათი გადაწყვეტის გზები და საშუალებანი. ვისაც ცხოვრების ასპარეზზე მოქმედება სურს, ჯერ ცხოვრება უნდა შეიცნოს. ეს არის საქმის არსება, ვიდრე არ გავცილებივართ კითხვას — რას გვასწავლის თეოსოფია, მანამდე ეს მოძღვრება შესაძლოა პრაქტიკული ცხოვრებისთვის ერთობ „ამაღლებულად" მოგვეჩვენოს. მაგრამ როდესაც ყურადღებას იმას მივაპყრობთ, თუ როგორ გამოიწვრთნება ამ მოძღვრების მეშვეობით აზროვნება და მგრძნობელობა, მაშინ მსგავს შეკითხვებსაც დავეხსნებით. რაგინდ უცნაურადაც უნდა ჩანდეს ამგვარი დებულება ზერელე მჭვრეტისთვის, მაინც პაერთვან კოშკებში დავანებული თეოსოფიური აზრები, ყოველდღიური ცხოვრების ჯეროვანი წარმართვისათვის გადაგვიხსნიან მზერას. და თეოსოფია სწორედ იმით გვიმაზვილებს სოციალურ საკითხთა გაგების უნარს, რომ თავდაპირველად ზეგრძნობადის ნათელ სივრცეებში აჰყავს სული. რაოდენ წინაუკმოდაც უნდა გვეჩვენებოდეს, აგრეა მაინც.

მაგალითით ვნახოთ, თუ რას ვგულისხმობთ ზემოთქმულში. ამ უკანასკნელ ხანს გამოვიდა მეტად საგულისხმო წიგნი ასეთი სათაურით: „ამერიკელი მუშებისადმი". მისმა ავტორმა (მთავრობის მრჩეველი კოლბი) განიზრახა უბრალო მუშად გაეტარებინა რამდენიმე თვე ამერიკაში. ამ გზით მან შეძლო ადამიანებისა და ცხოვრების შესახებ იმგვარი აზრები მოეპოვებინა, როგორსაც ვერც მაღალ თანამდებობამდე მისი აღმტყორცნი განათლება შესძენდა და ვერც ამ თანამდებობისგან თუ ძველ თანამდებობათაგან მიღებული გამოცდილება. ასე რომ, ეს კაცი მრავალი წლის განმავლობაში იყო საპასუხისმგებლო პოსტზე, მაგრამ მხოლოდ ამ პოსტის მიტოვებისა და შორეულ ქვეყანაში ხანმოკლე დროის გატარების შემდეგ გაიცნო ცხოვრება ისეთი მხრიდან, რომ თავის წიგნში ამგვარი საყურადღებო სტრიქონები დაწერა:

„რაოდენ ხშირად მომხდარა წინათ, მოწყალების მთხოვნელი ჯანმრთელი ადამიანის დანახვისას რომ წამომიძახია ზნეობრივი გულისწყრომით: რატომ არ შრომობს ეს უქნარა? ახლა მივხვდი. თეორიაში სულ სხვაგვარად ჩანს ეს ამბავი, ვიდრე პრაქტიკაში. და ეკონომიკური თეორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ყველაზე უსახური კატეგორიებითაც კი ერთობ მოსაბეზრებელია განსწავლულობა საწერ მაგიდასთან".

ოღონდ ჩვენ თეოსოფებს გაუგებრობაც არ გვსურს გამოვიწვიოთ. კაცი, რომელმაც თავისთავი აიძულა დალხინებული ცხოვრება მიეტოვებინა და მძიმე სამუშაოზე დამდგარიყო ლუდსახარშსა თუ ველოსიპედების ფაბრიკაში, უეჭველად ღირსია პატივისცემისა. აუცილებელია ჯერ რაც შეიძლება ხაზგასმით აღვნიშნოთ, თუ რა მაღალ შეფასებას ვანიჭებთ ამ საქციელს, რათა არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენ ამ კაცის გაკილვა გვეწადოს. მაგრამ ყველასთვის, ვისაც კი დანახვა სურს, ცხადი უნდა შექნილიყო, რომ მთელმა განათლებამ, ამ ადამიანის მიერ შესწავლილმა ყველა მეცნიერებამ ვერავითარი აზრი ვერ შეუქმნეს მას ცხოვრების შესახებ.

შევეცადოთ თვალსაჩინო გავხადოთ, თუ სახელდობრ რას ვამტკიცებთ ჩვენ, როდესაც ვამბობთ: შესაძლოა ყოველივე იმის შესწავლა, რაც დღესდღეობით კაცს შედარებით მაღალ თანამდებობაზე ყოფნის საშუალებას აძლევს, და შესაძლოა, ამასთანავე, სრულებით შორს დგომა ცხოვრებისგან, რომელიც ზემოქმედებას საჭიროებს. განა ეს იგივე არაა, ადამიანი რომელსამე სასწავლებელში ხიდების აშენებას სწავლობდეს და შემდეგ, როცა ნამდვილი ხიდის აგებას შეუდგება, არაფერი გაეგებოდეს ამ საქმისა?! თუმცა არა, სულ ასე არ არის. ვინც ხიდთა ასაგებად ცუდად მოემზადა, მალევე დარწმუნდება თავის ნაკლოვანებებში, რა რომ პრაქტიკულად დაადგება საქმეს. ამნაირი კაცი ცუდი მუშაკი იქნება და ყველგან უარით გამოისტუმრებენ. ხოლო იმათი ნაკლოვანებანი, ვინც სოციალური ცხოვრების სფეროში საქმიანობისთვის ცუდად მომზადებულა, აგრე ჩქარა ვერ დაჩნდებიან. ცუდად აგებული ხიდი ჩატყდება და მაშინ ყველაზე მიმკერძავი ადამიანისთვისაც კი ცხადი შეიქნება — მშენებელი არაფრად ვარგებულაო. ხოლო სოციალურ საქმიანობაში დაშვებული შეცდომები მხოლოდ იმით გამოვლინდება, რომ მათი გამოისობით ხვანი დაიტანჯებიან. და ამ ტანჯვასა და დაშვებულ შეცდომას შორის არსებული კავშირი არც ისე ადვილი შესამჩნევია, როგორც ხიდის ჩანგრევისა და უვარგისი მშენებლის დამოკიდებულება.

კარგი, მაგრამ ყოველსავე ამას თეოსოფიასთან რა კავშირი აქვსო? — გვეტყვიან ალბათ. — ხომ არ ჰგონია თეოსოფს, რომ მისნი მოძღვარნი მრჩეველ კოლბს ცხოვრების უკეთ გაგების შესაძლებლობას შეუქმნიდნენ? რას არგებდა კოლბს „გარდასხეულების", „კარმას" და „ზეგრძნობად სამყაროთა" ამბების ცოდნა? ხომ ვერავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ პლანეტარული სისტემებისა და ზესთასოფლის იდეები შესაძლებელს გახდიდნენ ზემოხსენებული კოლბი იმ აუცილებლობისგან დაეხსნათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავს არ გამოტყდომოდა: „ეკონომიკური თეორიის თვით ყველაზე უსახური კატეგორიებითაც კი ერთობ მოსაბეზრებელია განსწავლულობა საწერ მაგიდასთან"?

და, აი, თეოსოფს მართლაც შეუძლია ამ კითხვას ისევე მიუგოს, როგორც ლესინგმა თქვა ერთხელ: მზად გახლავართ, ვიყო ის „ვერავინ", სწორედ მაგას ვამტკიცებო. ოღონდ ეს იმ აზრით არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველას, ვინც კი „გარდასხეულების" თუ „კარმას" მოძღვრებას იცნობს, ამით უკვე შეეძლოს საზოგადოებრივი საქმიანობის თავგზიანი გაძღოლა. ეს გულუბრყვილობა იქნებოდა, რაღა თქმა უნდა. საქმე, ცხადია, იმას კი არ ეხება, რომ ვინც მთავრობის მრჩეველი უნდა შაიქნეს, ბლავატსკაიას „საიდუმლო მოძღვრება" მივთავაზოთ ნაცვლად იმისა, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა შმოლერთან, ვაგნერთან ან ბრენტანოსთან, არამედ, აი, რას: იქნება თუ არა თეოსოფიისგან მომდინარე ეკონომიკური თეორია ისეთი, რომ მისით აღვილი იყოს განმგებლობა საწერ მაგიდასთან, ხოლო ცხოვრებაში უვარგისი გამოდგეს? კარგი, სწორედ რომ უვარგისი არ იქნება ამგვარი თეორია. რადგან როდის აღმოჩნდება ხოლმე თეორია ცხოვრების წინაშე უმწეო? — როდესაც იმნაირი აზროვნების მიერ არის შექმნილი, რომელსაც ცხოვრებისეული სკოლა არ გაუვლია. ხოლო თეოსოფიის მოძღვრებანი ცხოვრების ისეთივე ჭეშმარიტი კანონებია, როგორც ელექტრონის შესახებ მოძღვრებანი არიან კანონები ელექტრული აპარატების ფაბრიკისთვის. ვისაც ასეთი ფაბრიკის გამართვა სურს, ჯერ ელექტრონის შესახებ ჭეშმარიტი მოძღვრება უნდა შეითვისოს. და ვისაც ცხოვრების ასპარეზზე მოქმედება სურს, ჯერ ცხოვრების კანონები უნდა შეისწავლოს. რამდენადაც ერთი შეხედვით ძალზე ჩამორჩებიან ცხოვრებას თეოსოფიის მოძღვრებანი, იმდენად ახლოს არიან სინამდვილეში მასთან. ზერელე თვალთახედვას ისინი სამყაროსგან დაშორებულად ეჩვენებიან, ჭეშმარიტი გაგების შემთხვევაში კი ცხოვრების არსებას მიგვაჭვევენ ეს მოძღვრებანი. „თეოსოფიურ წრეებში" უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო კი არ მიდიან, რათა ყოველგვარი „საინტერესო" ცნობები მოიპოვონ ზესთასოფლის შესახებ, არამედ იმისათვის, რათა აზროვნება, მგრძნობელობა და ნებელობა გამოიწვრთნან „ბუნების მარადიულ კანონთა" მეშვეობით და შემდეგ ცხოვრების ასპარეზზე გამოსულებმა ნათელი მზერით მიმოიხილონ იგი. თეოსოფიური მოძღვრება **ცხოვრებისეული** აზროვნების, მსჯელობისა და გრძნობებისაკენ მიმავალი გზაა; მხოლოდ მაშინ აიღებს სწორ გეზს თეოსოფიური მოძრაობა, როდესაც ადამიანები ცხადად შეიგნებენ ამას. მართებული ქმედება მართებული აზროვნებისგან გამომდინარეობს და უმართებულო ქმედება მცდარი აზროვნებისგან ან სულაც აზრთა უქონლობისგან გამომდინარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს. ვისაც საერთოდ სურს სწამდეს, რომ სოციალურ სფეროში შესაძლოა რაიმე სიკეთის ქმნა, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ სიკეთის ქმნა მის კაცობრიულ უნართაგან არის დამოკიდებული. თეოსოფიურ იდეათა ჩაწვდომა ნიშნავს საკუთარ უნართა ამაღლებას სოციალურ საქმიანობათათვის. ამ მხრივ საქმე მხოლოდ იმას კი არ ეხება, თუ როგორ აზრებს შევითვისებთ თეოსოფიის მეოხებით, არამედ იმასაც, თუ რას ვიქმთ მისი მეოხებით ჩვენი აზროვნების მიერ.

რასაკვირველია, უნდა ვაღიაროთ, რომ საკუთრივ თეოსოფიურ წრეებში სწორედ ამ მხრივ ჯერ კიდევ არცთუ ისე ბევრი რამ კეთდება. და არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სწორედ ამიტომ თეოსოფიისგან შორს მდგარ პირებს ჯერაც სრული საფუძველი აქვთ ზემოთ წარმოდგენილ მტკიცებებში დაეჭვებისა. მაგრამ არც იმის დავიწყება ხამს, რომ თეოსოფიური მოძრაობა აწინდელი ფორმით მხოლოდღა იწყებს თავისი საქმიანობის გაშლას. მისი შემდგომი განვითარება ის იქნება, რომ ცხოვრების ყველა პრაქტიკულ სფეროს მოიცავს. მაშინ, მაგალითად, „სოციალურ საკითხთან“ დაკავშირებით გაირკვევა, რომ იმ თეორიათა ნაცვლად, რომლებითაც „მოსახერხებელია განმგებლობა საწერ მაგიდასთან“, ისეთნი გამოვლინდებიან, რომელნიც გონებას შესძენენ ცხოვრების მიუკერძოებლად განჭვრეტის უნარს, ხოლო ნებელობას იმგვარი საქმიანობისკენ წარმართავენ, რომლისგანაც სხვა ადამიანთათვის სიკეთე და ბედნიერება აღმოცენდება.

ბევრი იტყვის ალბათ — სწორედ კოლბთან დაკავშირებით ზედმეტია თეოსოფიის დამოწმებათ, მხოლოდ აუცილებელია, ისინი, ვინც რაიმე მოწოდებისთვის ემზადება, თავისი თეორიების ოდენ სასკოლო მერხზე შესწავლით კი არ მოიზღუდონ, არამედ ცხოვრებასთან კონტაქტი დაამყარონ და თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულიც შეიძინონ, რამეთუ როგორც კი მიმოიხილა კოლბმა ცხოვრება, მისი ძველი ცოდნა საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რათა ადრინდელთაგან განსხვავებულ შეხედულებებამდე მისულიყო.

არა, ეს არ კმარა, ვინაიდან ნაკლოვანება უფრო ღრმად არის დაფარული. თუ ადამიანი ხვდება, რომ არასაკმარისი წინასწარი მომზადების გარეშე მას მხოლოდ ისეთ ხიდთა აგება ძალუძს, რომელნიც ინგრევიან, ამით მას სულაც არ შეეძინება, რომ არ ჩაინგრევიან, იმნაირ ხიდთა აშენების უნარი. საამისოდ მან ჯერ ნამდვილად სასარგებლო განათლება უნდა მიიღოს. რასაკვირველია, რაგინდ უმწეოც უნდა იყოს ჩვენი თეორიები ცხოვრების ძირითად კანონთა შესახებ, სოციალური პირობებისთვის თვალის მოვლებაც კი საკმარისია, რათა ყოველ უმუშევარ კაცთან შეხვედრისას ის არ ვთქვათ ხოლმე — „რატომ არ შრომობს ეს უქნარა?“ მაშინ თვით ის სოციალური პირობებიც გაგვაგებინებენ მისი უმუშევრობის მიზეზს. მაგრამ განა ამით იმასაც ვისწავლით, თუ როგორ არის შესაძლო ამ პირობების გარდაქმნა ადამიანთა საკეთილდღეოდ? უეჭველია, რომ ყველა ის კეთილგანწყობილი ხალხი, რომელნიც ადამიანის ხვედრის გასაუმჯობესებლად თავიანთ გეგმებს გვთავაზობდნენ, სრულიადაც არ მსჯელობდნენ ისე, როგორც კოლბი მსჯელობდა ამერიკაში გამგზავრებამდე! ყველა ისინი ხომ მსგავს ექსპედიციამდეც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყოველ გაჭირვებულ კაცს სულაც ვერ მოიშორებ თავიდან ამ სიტყვებით: „რატომ არ შრომობს ეს უქნარა?“ მაგრამ განა ამის გამო სოციალური რეფორმების ყველა მათი წინადადება სასარგებლოდ იქცა? არა, ეს წინადადებანი ასეთნი ვერ იქნებიან თუნდაც იმიტომ, რომ აგრე მრავალმხრივ ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს. ამიტომაც უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მრჩეველ კოლბის რეფორმატორული გეგმები (მისი მოქცევის შემდეგაც) მაინცდამაინც ნაყოფიერ შედეგს ვერ გამოიღებენ.

სწორედ ეს არის ჩვენი დროის ცდომილება, რომ ყველა თავის თავს ცხოვრების გაგების უნარის მქონედ მიიჩნევს, თუნდაც რომ ჯერ ცხოვრების ძირითადი კანონები არ შეესწავლოს და აზროვნება წინასწარ არ გაეწვრთნას ცხოვრების ჭეშმარიტ ძალთა შესაცნობად. ხოლო თეოსოფია ცხოვრების ჯანსაღი გაგებისათვის გვწვრთნის, რამეთუ ცხოვრების თვით საფუძვლებამდე ატანს. არ კმარა იმის ცოდნა, რომ გარემოებებს მიჰყავთ ადამიანი ცხოვრების უკეთურ პირობებამდე, რომლებშიც იღუპება იგი. საჭიროა იმ ძალთა გაცნობა, რომელთა წყალობითაც ხელსაყრელი პირობები იქმნება. ოღონდ ამის ცოდნა ჩვენს ეკონომისტებს იმავე მიზეზის გამო არ ძალუძთ, რომლის გამოც შეუძლებელია მათემატიკური გაანგარიშებები გამრავლების ტაბულის ცოდნის გარეშე. დაწერეთ ამნაირი ადამიანის წინაშე რიცხვთა, რამდენიც გნებავთ, იმდენი რიგი: მათი ცქერა მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. დააყენეთ სინამდვილის წინაშე ადამიანი, რომელსაც თავისი აზროვნებით არაფერი გაეგება სოციალური ცხოვრების ძირითადი კანონებისა: შესაძლოა მშვენივრად აღწეროს ის ყოველივე, რასაც ხედავს, მაგრამ როგორ ინასკვება სოციალური ძალები სიკეთისა თუ ავბედობის მხრივ, ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით.

ჩვენს დროში აუცილებელია ცხოვრების ისეთი გაგება, რომელსაც ცხოვრების ჭეშმარიტ საფუძვლებამდე მივყავართ. და ცხოვრების ამგვარი გაგება შესაძლოა იყოს თეოსოფია. ყველას, ვისაც კი სურს წარმოდგენის შექმნა იმის თაობაზე, თუ რა არის „სოციალური საჭიროებანი“, ჯერ რომ ცხოვრების თეოსოფიური მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლვრების წიაღ გაევლო, მაშინ წინ ვიქნებოდით წასულნი.

იმ შეპასუხებას, რომ ამჟამად თეოსოფები ოდენ „ლაპარაკობენ“ და არა „მოქმედებენ“, ისევე მცირე მნიშვნელობა აქვს, როგორც მეორეს — თეოსოფიური შეხედულებებიც ხომ ჯერ არ შემოწმებულა საქმით და, მაშასადამე, შესაძლოა ესენიც ისეთივე ჭეშმარიტად ფუჭი თეორიები გამოდგნენ, როგორც ბატონ კოლბის ეკონომიკაო.

პირველი შენიშვნა იმის გამო იხსნება, რომ, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია „მოქმედება“ მანამ, ვიდრე ადამიანს ყველა სამოქმედო გზა დახშული აქვს. რაგინდ მშვენივრადაც უნდა უწყოდეს ბავშვის სულის აღმზრდელმა, რისი ქმნა მართებს მამას თავის შვილთა აღსაზრდელად, იგი მოქმედებას მაინც ვერ შეძლებს, თუკი მამამ მოძლვრად არ მიიწვია. ამ მხრივ გვიჯობს მოთმინებით დაველოდოთ იმ დროს, ვიდრე თეოსოფთა „ლაპარაკი“ არ განანათლებს იმათ ცნობიერებას, ვისაც „მოქმედება“ ხელეწიფება. და ეს აღსრულდება.

მეორე შენიშვნის საქმეც ასეა, მასაც ის გააკეთებს მხოლოდ, ვინც თეოსოფიურ ჭეშმარიტებათა არსებას არ იცნობს. ვინც ამ ჭეშმარიტებებს იცნობს, იცის კიდეც, რომ ისინი სულ სხვაგვარად წარმოიქმნებიან, ვიდრე „საქმით შემოწმებულნი“. კაცობრიული სიკეთის კანონები ისევე მკაფიოდ არიან შთაბეჭდილნი ადამიანის სულის ულრმეს საწყისებში, როგორც გამრავლების ტაბულა. საჭიროა მხოლოდ საკმაო სიღრმით წვდომა ამ საწყისებისა. რა თქმა უნდა, შესაძლოა **თვალსაჩინოდ** ვაქციოთ ის, რაც ამგვარად შთაბეჭდილია სულში, ისევე როგორც შესაძლოა თვალსაჩინო გავხადოთ „ორჯერ ორი ოთხია“, თუ ოთხ მარცვალს ორ ისეთ ჯგუფად დავაწყობთ, რომ თითოეულში ორ-ორი მარცვალი იყოს. ოღონდ ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ჭეშმარიტება — ორჯერ ორი ოთხიაო — ჯერ მარცვლებით უნდა შევამოწმოთ? სინამდვილეში საქმე ასეა: ვინც თეოსოფიურ ჭეშმარიტებაში დაეჭვებულია, მას ჯერ **არ შეუცვნია** ეს ჭეშმარიტება, ისევე როგორც „ორჯერ ორი ოთხიაში“ შეეჭვება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ჯერ არ გაუგია ეს. და რაც უნდა განსხვავდებოდეს ეს ორი ჭეშმარიტება, — რამეთუ უკანასკნელი აგრე მარტივია, პირველი კი ესოდენ რთული, — სხვა მხრივ მაინც მსგავსნი არიან ისინი. რაღა თქმა უნდა, ვიდრე თავად არ შეგვიღწევია თეოსოფიის წიაღში, ამის გაგებას ვერც შევძლებთ. ამიტომაა სწორედ, რომ თეოსოფიის არმცოდნისათვის შეუძლებელია რაიმე „საბუთის“ მოტანა ამ ფაქტის დამამტკიცებლად. შესაძლოა შემდეგის თქმა მხოლოდ: ჯერ გაეცანით თეოსოფიას და მაშინ ეს ყოველივე თქვენთვისაც ცხადი შეიქნება.

თეოსოფიის დიდი მოწოდება ჩვენს დროში მაშინ გაცხადდება, როცა მთელი ცხოვრების დვრიტად გადაიქცევა იგი. ვიდრე ცხოვრებაში ამ გზის სრულად გატარება შეუძლებელია, მანამდე თეოსოფიურად მოაზროვნენი თავიანთი საქმიანობის ოდენ დასაწყის საფეხურზე იმყოფებიან. და მანამდე მოუწევთ კიდეც ისმინონ საყვედურები, თქვენი მოძღვრება ცხოვრებას ეწინააღმდეგებაო. დიახ, ეს მოძღვრება ისევე ეწინააღმდეგება ცხოვრებას, როგორც რკინიგზა ეწინააღმდეგებოდა იმ ყოფას, რომელიც მარტოოდენ საფოსტო ეტლში ხედავდა ჭეშმარიტებას, ისევე, როგორც მომავალი ეწინააღმდეგება წარსულს.

ორი საპირისპირო აზრი არსებობს დღესდღეობით „სოციალური საკითხის“ შესახებ. პირველი სოციალური ცხოვრების ავისა თუ კარგის მიზეზად უფრო ადამიანებს მიიჩნევს, მეორე — უმთავრესად იმ პირობებს, რომლებშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება. პირველი შეხედულების მომხრენი ცდილობენ უკეთესი მომავლისთვის იმით იღვაწონ, რომ ადამიანის სულიერი და ფიზიკური დონე და მისი ზნეობრივი გრძნობა აამაღლონ; მეორე თვალსაზრისის მომხრენი, პირუკუ, უწინარეს ყოვლისა იმის გამო ზრუნავენ, რომ ცხოვრებისეული პირობები გააუმჯობესონ — როდესაც ადამიანები გასაძლის პირობებში იცხოვრებენ, მაშინ მათი დონე და ზნეობრივი გრძნობა თავისთავად ამაღლდებაო. შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მეორე თვალსაზრისი ამჟამად სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. პირველი შეხედულების მიყოლა სავსებით ჩამორჩენილ აზრადაც კი ჩაითვლება მრავალ წრეში. ამ წრეებში იტყვიან: ვისაც სიხხამ დილიდან გვიან საღამომდე მწარე გაჭირვებასთან ბრძოლა უხდება, თავის მორალურ თუ სულიერ ძალთა განვითარებაც არ ძალუძს, ვიდრე სულიერ საგნებზე დაუწყებდეთ საუბარს, ჯერ პური მიეცითო მას.

განსაკუთრებით მკვეთრადაა ეს უკანასკნელი აზრი მიმართული ისეთ მდინარებათა გასაკიცხად, როგორიც არის თეოსოფია. და მას ჰკიცხავენ ჩვენი დროის არცთუ უარესი ადამიანები. ისინი ამბობენ: ნამდვილი თეოსოფი დევაქანური და კამიური ველებიდან ჩვენს მიწაზე უხალისოდ ეშვება. იგი ამჯობინებს ათიოდე სანსკრიტული სიტყვა გაიზეპიროს, ვიდრე ის შეიტყოს, თუ მიწის რენტა რას წარმოადგენსო. — ეს შეგიძლიათ წაიკითხოთ ლ. დანკმარის ამას წინათ გამოსულ საგულისხმო წიგნში „ევროპის კულტურული ვითარება თანადროული ოკულტიზმის აღორძინებისას“.

ამგვარ საყვედურს, ჩვეულებრივ, შემდეგნაირ ფორმას აძლევენ: მიუთითებენ, რომ ჩვენს დროში რვასულიანი ოჯახი მოქუჩულია ერთ ოთახში, სადაც ჰაერიცა და სინათლეც კი არაა საკმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი, რომ მათ უხდებათ შიმშილით მისუსტებულ ბავშვთა გასტუმრება სკოლაში. შემდეგ ამბობენ: განა ყველამ, ვინც მასების განვითარებისთვის ზრუნავს, მთელი თავისი ძალისხმევა არ უნდა მიმართოს ამგვარ პირობათა განსარინებლად? ნაცვლად იმისა, რომ სულის უმაღლეს სფეროთა მოძღვრებებზე დაეუნჯებინათ აზრი, მათთვის უმჯობესი იქნებოდა კითხვა დაესვათ — სოციალური ავბედობანი როგორ ავიცილოთო? „დაე თავისი ყინულოვანი სიმარტოვიდან თეოსოფია ძირს დაეშვას, ადამიანებთან, ხალხთან, დაე თავისი პროგრამის სათავეში სერიოზულად და მართებულად დასვას საყოველთაო ძმობის ეთიკური მოთხოვნა, დაე ამ მოთხოვნის მიხედვით იმოქმედოს შედეგთა გამო ზრუნვის გარეშე, დაე სოციალურ საქმიანობად აქციოს ქრისტეს სიტყვები მოყვასის სიყვარულის შესახებ, — და იგი შეიქნება კაცობრიობის ძვირფას, წარუვალ მონაპოვრად", — ასე წერია ზემოხსენებულ წიგნში.

თეოსოფიის წინააღმდეგ ამგვარ საბუთთა წამომყენებელნი ამას კეთილი განზრახვით სჩადიან. ისიც უნდა ითქვას, რომ თეოსოფიით გატაცებული მრავალი ადამიანის მიმართ ისინი სწორნი არიან სავსებით. უეჭველია, რომ ამ გატაცებულთა შორის მრავლად შეხვდებით პირთებს, რომელნიც მხოლოდ საკუთარი სულიერი მოთხოვნილებების გამო ზრუნავენ და მხოლოდ იმის გაგება სურთ, თუ რას წარმოადგენს „ზესთასოფლური ცხოვრება" ან „რა მოელის სულს გარდაცვალების შემდგომ". და, რაღა თქმა უნდა, ნაწილობრივ მართალნი არიან ისინი, ვინც ფიქრობს, დღესდღეობით უმჯობესია განვავითაროთ საყოველთაოდ სასარგებლო საქმიანობა, მოყვასთა სიყვარული და ადამიანთა სიკეთის გამო ზრუნვა, ვიდრე ქვეყანას განშორებულნი სულში მთვლემარე რაღაც უმაღლესი უნარების წვრთნას გადავეგოთო. ისინი, ვინც უწინარეს ყოვლისა ამ უკანასკნელისკენ ისწრაფვიან, შესაძლოა მიჩნეულ იქნან დახვეწილი თვითმოყვარეობის მქონე ადამიანებად, რომელთათვისაც საკუთარი სულიერი სიკეთე უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადამიანური სიკეთენი. ხშირად მოგვისმენია აგრეთვე იმის მოსმენა, რომ თეოსოფიურისდაგვარი სულიერი ძიებებით მხოლოდ მათ შეუძლიათ დაინტერესება, ვინც „უზრუნველად ცხოვრობს" და ვისაც ამიტომ შეუძლია ამნაირ საგნებს მოახმაროს თავისი „უქმი დრო". ხოლო ვინც იძულებულია დილიდან საღამომდე მძიმე სამუშაოს ადგეს საცოდავი ხელფასის გულისთვის, მას მთელი კაცობრიობის ერთიანობის, „უმაღლესი ცხოვრებისა" და მსგავსი საგნების შესახებ საუბარი არას წაადგებაო.

თქმა არ უნდა, მართალია, რომ თვით თეოსოფებიც გვარიანად სცოდავენ ამ მხრივ. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მართებული გაგების შემთხვევაში თეოსოფიურმა ცხოვრებამ ადამიანი უნდა მიიყვანოს თავგანწირული მუშაობის სიკეთემდეც და საყოველთაოდ სასარგებლო საქმიანობამდეც, ყოველ შემთხვევაში, თეოსოფია არავის დააბრკოლებს ისეთივე კარგი კაცი იყოს, როგორიც სხვანი, რომლებმაც არაფერი იციან (ან არ სურთ იცოდნენ) თეოსოფიის შესახებ.

გარნა ეს ყველაფერი „სოციალური საკითხის" მიმართ უმთავრესს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს. ამ უმთავრესის მისაღწევად უფრო მეტი რამ არის საჭირო, ვიდრე თეოსოფიურ ძიებათა მოწინააღმდეგეებს წარმოუდგენიათ. ამ მოწინააღმდეგეებთან ერთად უსიტყვოდ უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ღონისძიებათა მეოხებით, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან წამოყენებულია ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მრავალი რამის მიღწევა შეიძლება. ერთ პარტიას ეს სურს, მეორეს — სხვა რამ. მისთვის, ვინც ნათლად აზროვნებს, ბევრი რამ ამ პარტიულ მოთხოვნათაგან განუხორციელებელ ოცნებად გამოჩნდება. თუმცა, ცხადია, მრავალი რამ ღირებულ მარცვალსაც შეიცავს.

**ოუენი** (1771-1858) — უეჭველად ერთი უკეთილშობილესი სოციალურ რეფორმატორთაგან — მუდამ ხაზს უსვამდა, ადამიანს ის გარემო განსაზღვრავს, რომელშიც იზრდება. და ადამიანის ხასიათი თავად **მისგან** კი არ წარმოიქმნება, არამედ ცხოვრების იმ პირობებისგან, რომლებშიც ვითარდებოდა. ზედმეტია იმ აშკარად სწორ აზრთან შედავება, ეს სიტყვები რომ შეიცავენ. ზედმეტია აგრეთვე მათი მოსმენა ამრეზილად მხრების აჩეჩვით, თუმცა მართლაც თავისთავად გასაგებნი არიან ისინი. პირუკუ, გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი რამ უკეთ იქნებოდა, თუკი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამგვარი ცოდნით იხელმძღვანელებდნენ. მაგრამ სწორედ ამიტომ თეოსოფია არავის დააბრკოლებს იმ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც კაცობრიულ პროგრესს უწყობს ხელს და იქითკენაა მიმართული, რომ ზემოთქმული აზრით უკეთესი ჩვეული დაუმკვიდროს ჩაგრულსა და გაჭირვებულ კლასებს.

მაგრამ თეოსოფია სხვა სიღრმეს უნდა ჩასწვდეს. საქმე ისაა, რომ მსგავსი საშუალებებით არასდროს არ შეიძლება გადამწყვეტი წარმატების მიღწევა. ვინც ამ აზრს არ ეთანხმება, ჯერაც ვერ გარკვეულა, თუ საიდან წარმოიშობა ცხოვრების ის პირობები, რომლებშიც ადამიანებს უხდებათ არსებობა. რამდენადაც კაცის ცხოვრება ამ პირობებზეა დამოკიდებული, იმდენად ისინი (პირობები) თავად ადამიანთაგან არიან შექმნილნი. როგორ ვინ დაამყარა ისეთი წესი, რომლის წყალობითაც ერთი მდიდარია და მეორე ღარიბი? რაღა თქმა უნდა, ისევ სხვა ადამიანებმა. საქმის ვითარებას ხომ არ ცვლის ის გარემოება, რომ ეს „სხვა ადამიანები" მეტწილად იმათზე ადრე მოევლინენ ქვეყნიერებას, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამ პირობებში კარგად ცხოვრობს ან ცუდად. თავად ბუნების მიერ მოყვანებულ სატანჯველთ სოციალური მდგომარეობისთვის არაპირდაპირი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ. ეს სატანჯველნი უნდა შემცირდნენ ანდა სულაც აღიდებულ იქნან კაცობრიული საქმიანობის მეოხებით. თუკი ამ მხრივ აუცილებელი ნაბიჯები არ გადაიდგმის, ამაში ბრალი მაინც კაცობრიულსავე დაწესებულებებს მიუძღვით. საგანია საფუძვლიანი ცოდნა გვასწავლის, რომ მთელი ის ბოროტება, ნამდვილად სოციალური რომ შეიძლება ეწოდოს, ადამიანის ქმედებათაგან მომდინარეობს: და თუ ცალკეული ადამიანი არა, ამ მხრივ, ცხადია, მთელი კაცობრიობა „საკუთარი ბედის მჭედელია“.

ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისიც სწორია, რომ კაცობრიობის არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილი, არც ერთი კასტა თუ კლასი მეორე ნაწილს ტანჯვას ბოროტი განზრახვით არ აყენებს. ის ყოველივე, რასაც ამ მხრივ ამტკიცებენ ხოლმე, უბრალოდ, არასაკმარის გაგებას ემყარება. და თუმცა ეს თავისთავად გასაგები ჭეშმარიტებაა, მაინც საჭიროა მისი გამოთქმა. რამეთუ, მართალია, ამ ამბებს გონება ადვილად ითვისებს, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ადამიანები ყოველთვის მათ შესატყვისად როდი იქცევიან. თავისი მოყვასის ყოველი ექსპლუატატორისთვის, ცხადია, ყველაზე უფრო სასურველი ის იქნებოდა, თუ მისი ექსპლუატაციის მსხვერპლნი არ დაიტანჯებოდნენ. ადამიანები ბევრად უფრო შორს წავიდოდნენ, ეს ამბავი რომ არა მარტო თავისთავად ცხად რამედ მიეჩნიათ, არამედ ნამდვილად მისი შესატყვისი გაეზიდათ თავიანთი გრძნობები.

კარგი, მაგრამ რა გამომდინარეობს ამგვარი მსჯელობებიდან? — ასე შეგვეკითხება ალბათ ზოგიერთი „სოციალურად მოაზროვნე“. — რაო, კეთილმოსურნედ რომ არ უნდა განეწყოს ექსპლუატირებული თავისი ექსპლუატატორისადმი? განა სავსებით ცხადი არაა, რომ პირველს სჭულს უკანასკნელი და ამ სიძულვილის გამო მისდამი ამა თუ იმ პარტიულ დამოკიდებულებას იღებს? რა თქმა უნდა, ერთობ ცუდი რეცეპტი იქნებოდა, — გვეტყვიან შემდეგ, — ჩაგრულის დარწმუნება რომ მოგვეწადინებინა — შენს მჩაგვრელს სიყვარულით მოეპყარიო, მსგავსად იმისა, როგორც ბრძანებს დიდი ბუდა: „სიძულვილი დაიძლევა არა სიძულვილით, არამედ ოდენ სიყვარულით“.

და, მიუხედავად ამისა, მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ცნობიერება მიგვიყვანს დღეს ჭეშმარიტად „სოციალურ აზროვნებამდე“, რომელიც ამგვარ თვალსაზრისს თანხვდება. და თეოსოფიური აზროვნება აქ იწყება სწორედ. იგი საგანთა ზედაპირზე ვერ დარჩება, სიღრმეს უნდა მიმართოს. ამიტომ მას ვერ დააკმაყოფილებს იმის უბრალო მითითება, ავბედობა ამა თუ იმ პირობათა მეშვეობით იქმნებაო, არამედ უნდა ჩასწვდეს ერთადერთ სასარგებლო ცოდნას იმისა, თუ რისგან წარმოიქმნა და განუწყვეტლივ რისგან წარმოიქმნება ეს პირობები თავად. და ამ უფრო ღრმა საკითხების წინაშე სოციალურ თეორიათა უმეტესობა სწორედ „ფუჭი თეორიებია“, თუ რომ ფუჭი სიტყვები არა.

ვიდრე ჩვენი აზროვნება ზედაპირულია, მანამ პირობებსა-და, საერთოდ, ყოველსავე გარეგანს სავსებით მცდარ ხელმწიფებას მივაწერთ. სინამდვილეში ეს პირობები ოდენ **შინაგანი ცხოვრების გამოხატულებაა**. და, მსგავსად იმისა, როგორც კაცის სხეული მხოლოდ იმისთვის არის გასაგები, ვინც იცის, რომ ეს სხეული სულის გამოხატულებაა, ასევე — გარეგან დაწესებულებათა შესახებ მართებულად მსჯელობას ის შეძლებს მხოლოდ, ვისთვისაც ცხადია, რომ ეს დაწესებულებები სხვა არაფერია, თუ არ ადამიანების სულთა წარმონაქმნი. ეს სულნი ამ დაწესებულებებში განასხეულებენ თავიანთ გრძნობებს, შეხედულებებსა და აზრებს. ის პირობები, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, თავად ადამიანების მიერ არის შექმნილი. და უმჯობეს პირობებს ვერც ვერასდროს შევქმნით, ვიდრე ამ პირობათა შემქმნელ ადამიანთაგან განსხვავებული აზრებით, შეხედულებებითა და გრძნობებით არ ვიხელმძღვანელებთ.

უფრო გამოწვლილვით განვიხილოთ ეს საკითხი. ზედაპირული მზერის მიხედვით ადვილად შეიძლება მჩაგვრელად ის მოგვეჩვენოს, ვინც განცხრომით ცხოვრობს, ვისაც შეუძლია რკინიგზაზე პირველი კლასით იმგზავროს და მისთანანი. ხოლო ჩაგრულად ის მოგვეჩვენება, ვინც ცუდმანი ტანსაცმლით იმოსება და იძულებულია მეოთხე კლასით იმგზავროს. გარნა სულაც არ არის აუცილებელი გულქვა, რეაქციონერი ან სხვა ამდაგვარი კაცი იყო, რათა ცხადად შეიგნო შემდეგი: მე არც არავის ვჩაგრავ და ექსპლუატაციასაც არავის ვუწევ იმით, რომ ასეთსა თუ ისეთ ტანსაცმელს ვიცვამ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ერთობ მცირე გასამრჯელოს ვუხდი ამ ტანსაცმლის ჩემთვის დამამზადებელ მუშას. ამ თვალსაზრისით ღარიბი მუშა, რომელიც თავის ჯლანს იაფად ყიდულობს, მაღლობლებთან იმგვარსავე ურთიერთობაშია, როგორშიც ჩინებული ტანსაცმლის შემმოსველი მდიდარი კაცი. სულერთია, მდიდარი ვარ თუ ღარიბი, რაკი ისეთ ნივთებს ვყიდულობ, რომლებიც არასაკმარისადაა გასტუმრებული, ექსპლუატატორი გამოვდივარ მაინც. კაცმა რომ თქვას, დღესდღეობით სხვას არავინ არ უნდა უწოდებდეს მჩაგვრელს. უმჯობესი იქნებოდა საკუთარი თავისთვის მიეხედა მას. და თუკი საკმაოდ გულმოდგინედ მოიმოქმედებდა ამას, სულ მალე „მჩაგვრელს“ თავის თავშიც აღმოაჩენდა. განა შენს მიერ შესრულებულ სამუშაოს მარტოოდენ მდიდარი კაცი ანაზღაურებს არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისად? არა, აგერ ის, შენს გვერდით რომაა და შენთან ერთად უჩივის ჩაგრულ ყოფას, შენს ნამუშევარს ზუსტად ისეთივე პირობებით იღებს, როგორც ის მდიდარი, რომლის წინააღმდეგაც ხართ ორივენი შემართულნი. საჭიროა მხოლოდ ყოველივე ამის რიგიანად გააზრება და მაშინ სოციალური აზროვნების საყოველთაოდ აღიარებულთაგან განსხვავებულ საყრდენებსაც მივაკვლევთ.

უწინარეს ყოვლისა, ამ საკითხებზე დაფიქრებისას ცხადად შევიგნებთ, რომ საჭიროა ერთიმეორისგან საგულდაგულოდ გავმიჯნოთ ცნებები „მდიდარი" და „ექსპლუატატორი". მდიდარია თუ ღარიბი დღესდღეობით ვინმე, ეს დამოკიდებულია მის პრაქტიკულ უნარიანობაზე, ან მისი წინაპრების უნარიანობაზე, ან კიდევ რიგ სხვა გარემოებებზე. და იმ ამბავს, რომ ერთი ადამიანი მეორის სამუშაო ძალის ექსპლუატატორია, **ამასთან** არავითარი დამოკიდებულება არ აქვს (ყოველ შემთხვევაში — უშუალო დამოკიდებულება). მაგრამ არის სხვა რამ, რასთანაც იგი ფრიად მნიშვნელოვან დამოკიდებულებაშია. სახელდობრ, ის, რომ ჩვენი დაწესებულებები და გარემომცველი პირობები **პირად ანგარებაზე არის აგებული.** საჭიროა ზემოთქმულის მთელი სიცხადით გათვალისწინება, თორემ ყოვლად უკუღმართად გავიგებთ იმას, რასაც საუბარი ეხება. როდესაც ახლა მე ტანისამოსს ვიძენ, არსებულ პირობებში სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, რომ რაც კი გაეწყობა იაფად შევიძინო ეს ტანსაცმელი. ეს იმას ნიშნავს, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემი თავი მყავს მხედველობაში. ოღონდ ამით ის თვალსაზრისიც აშკარავდება, მთელ ჩვენს ცხოვრებაში რომ ბატონობს.

აქ შესაძლოა შემოგვედაონ: განა სოციალურად მოაზროვნე პარტიები და პიროვნებები სწორედ იმას არ ესწრაფვიან, რომ ეს ბოროტება მოისპოს? განა შრომის დაცვას არ ესწრაფვიან ისინი? განა მშრომელი კლასები და მათი მომხრეები ხელფასის მომატებას და სამუშაო დროის განსაზღვრას არ მოითხოვენო?

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თანადროული თვალსაზრისით სრულიად არაფერი გვეთქმის ამგვარი მოთხოვნებისა და ღონისძიებების წინააღმდეგ. ოღონდ, ცხადია, ჩვენ ამით ამა თუ იმ პარტიულ მოთხოვნებს როდი ვემხრობით. სახელდობრ, ჩვენი თვალსაზრისის თანახმად, არავითარი აზრი არა აქვს ამა თუ იმ შეხედულების „წინააღმდეგ" გალაშქრებას თუ მის მიმხრობას. ეს, უწინარეს ყოვლისა, საკითხის განხილვის თეოსოფიური მეთოდის გარეშე დგას.

შესაძლოა რამდენიც გნებავთ, იმდენი გაუმჯობესების მიღწევა რომელიმე მუშათა კლასის დასაცავად. ეს, რასაკვირველია, დიდად შეუწყობს ხელს ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის მდგომარეობის შემსუბუქებას. მაგრამ ექსპლუატაციის **არსება** არ შეიცვლება ამით, რამეთუ იგი იმაზეა დამოკიდებული, რომ ადამიანი სხვისი შრომის პროდუქტებს საკუთარი სარგებლიანობის თვალსაზრისით იძენს. სულერთია, ბევრის მქონე ვარ მე თუ მცირედისა, ოღონდ, თუკი ჩემი ანგარების დასაკმაყოფილებლად ვსარგებლობ იმით, რაც გამაჩნია, ეს უეჭველ კავშირშია სხვის ექსპლუატაციასთან. ამ შემთხვევაში გინდაც მის შრომას ვიცავდე, ამით მხოლოდ მოჩვენებით სარგებლობას მოვუტან მას, რადგანაც თუ მე სხვის შრომას უფრო ძვირად ვანაღდებ, იმანაც აგრეთვე უფრო ძვირად უნდა გაანაღდოს ჩემი შრომა, თორემ ერთის მდგომარეობის გაუმჯობესება მეორის გაუარესებას გამოიწვევს.

სხვა მაგალითითაც გავარკვიოთ ეს ამბავი. როდესაც ფაბრიკას იმ მიზნით ვყიდულობ, რომ მისგან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მივიღო, მე შევეცდები სამუშაო ძალები შეძლებისდაგვარად იაფად ჩავიგდო ხელში და ასე შემდეგ. ყველაფერი, რასაც ამასთან დაკავშირებით მოვიმოქმედებ, ჩემი პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით იქნება გაკეთებული. და პირუკუ, ფაბრიკას თუ იმ მიზნით ვყიდულობ, რომ რაც გამეწყობა უკეთ უზრუნველვყო ორასი ადამიანი, მაშინ ყველა ჩემი ძალისხმევა სულ სხვარიგი იქნება. ცხადია, დღესდღეობით მეორე შემთხვევა პრაქტიკულად დიდად არ გამოირჩევა პირველისგან. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რომ ცალკეულ უანგარო ადამიანს არცთუ ისე ბევრი რამის გაკეთება ძალუძს ისეთ საზოგადოებაში, რომელიც სხვა მხრივ ანგარებაზეა აგებული. გარნა საქმე სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, უანგარო შრომა **საყოველთაო** რომ ყოფილიყო.

„პრაქტიკული" კაცი, რაღა თქმა უნდა, იმას იფიქრებს, რომ მარტოოდენ „კეთილი აზრებით" ვერავინ დაეხმარება მუშებს შრომის ანაზღაურების უკეთესი პირობების მიღწევაში, ვინაიდან კეთილმოსურნე დამოკიდებულებით ვერ შევძლებთ ჩვენი საქონლიდან მიღებული შემოსავლის მომატებას, ხოლო უამისოდ მუშისთვის უკეთეს პირობებსაც ვერ შევქმნითო. მაგრამ საქმეც ის არის სწორედ, რომ ამგვარი მოსაზრების სრული ცდომილება შევიგნოთ. ყოველგვარი ინტერესი და, ამასთან, ცხოვრების ყველა პირობა იცვლება, როდესაც რაიმე ნივთის შეძენისას ადამიანებს უკვე **თავისი თავი** კი აღარ ჰყავთ მხედველობაში, არამედ **სხვები.** რისთვის ზრუნავს ის, ვისაც მარტოოდენ საკუთარი სიკეთის სამსახური სწადია? ცხადია, იმისთვის, რომ რაც გაეწყობა მეტი შეიძინოს, ხოლო როგორ უხდებათ მუშაობა სხვებს, რათა **მისი** მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ, ამას იგი ანგარიშს ვერ გაუწევს. ამიტომ მას უხდება თავისი ძალისხმევა არსებობისთვის **ბრძოლას** მოახმაროს. როცა ვაარსებ საწარმოს, რომელმაც **მე** რაც შეიძლება მეტი შემოსავალი უნდა მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს, მაშინ არც იმას ვკითხულობ, თუ როგორ მოდის მოძრაობაში ის სამუშაო ძალები, რომლებიც ჩემთვის შრომობენ. მაგრამ თუკი ჩემი თავი კი არ მყავს მხედველობაში, არამედ მხოლოდ ის, თუ როგორ ემსახურება სხვებს ჩემი შრომა, მაშინ იცვლება ყოველივე. მაშინ ვეღარაფერი მაიძულებს ისეთი რამ მოვიმოქმედო, რაც სხვათათვის საზიანო იქნებოდა. მაშინ ჩემს ძალებს ჩემი თავის კი არა, სხვათა სამსახურს ვახმარ. და ამის შედეგია ადამიანის ძალთა და უნართა სრულიად სხვაგვარი გაფურჩქვნა. იმის თაობაზე, თუ პრაქტიკულად როგორ ცვლის ეს გარემოება ცხოვრებისეულ პირობებს, ქვემოთ გვექნება საუბარი.

უკვე მოხსენიებულ რობერტ ოუენს პრაქტიკული სოციალური საქმიანობის სფეროში გარკვეული აზრით შეიძლება გენიოსი ვუწოდოთ. ამ სახელის ჭეშმარიტად გამამართლებელი ორი თვისება ჰქონდა მას: ჰორიზონტის სიფართოვე საზოგადოებრივად სასარგებლო დაწესებულებათა საქმეების მოგვარებისას და ადამიანებისადმი კეთილშობილური სიყვარული. საკმარისია დავუკვირდეთ იმას, რის შექმნაც მან შეძლო ამ ორი თვისების წყალობით, რათა სწორად დავაფასოთ მათი მნიშვნელობა. მან ნიუ-ლენარკში სანიმუშო საწარმოები შექმნა და, ამასთან, ამ დაწესებულებებში შრომას იმგვარად წარმართავდა, რომ მუშები ჯეროვან პირობებში ცხოვრობდნენ არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. მის მიერ თავმოყრილ ხალხში ხელიდან წასულნი და გალოთებულნიც იყვნენ. ოუენმა მათში გაურია რჩეული ადამიანები, რომელთაც თავიანთი მაგალითით ზემოქმედება უნდა მოეხდინათ სხვებზე. ასე იქნა მოპოვებული შეძლებისდაგვარად საუკეთესო შედეგები.

ის, რასაც ოუენმა მიაღწია, სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ სხვა ცოტად თუ ბევრად ფანტასტიკურ „ქვეყნიერების გარდამქმნელთა" (ეგრეთ წოდებულ უტოპისტთა) რიცხვს მივათვალოთ იგი. ოუენი პრაქტიკულად განსახორციელებელი ამოცანების ფარგლებს არ გასცილებია, ისეთი ამოცანებისას, რომლებსაც თვით ყველაზე ნაკლებ მეოცნებე კაციც კი მიიჩნევდა კაცობრიულ ავბედობათა არიდების უნარის მქონედ — თავდაპირველად თუნდაც გარკვეულ სფეროში მხოლოდ. და არ ეგების უპრაქტიკობა ვუწოდოთ იმ ამბავს, რომ ვისმე მოუშლელი რწმენა აქვს — ამგვარი მცირე ღვაწლი მაგალითად გამოდგება, თავის გავლენას მოახდენს და ამის მეოხებით თანდათანობით საფუძველი ჩაეყრება სოციალური მხრივ კაცობრიული ხვედრის ჯანსაღ განვითარებას.

თავად ოუენიც ასევე ფიქრობდა, ცხადია, ამიტომ გადაწყვიტა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა ამ მიმართულებით. 1824 წელს მან გაანხრახა თავისებური მცირე სანიმუშო სახელმწიფო დაეფუძნებინა ინდიანას შტატში (ჩრდილოეთ ამერიკა). მან შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელზეც სურდა თავისუფლებასა და თანასწორობას დამყარებული საზოგადოება მოეწყო. ყველაფერი იმნაირად იყო გამართული, რომ ექსპლუატაცია და დამონება შეუძლებელი ყოფილიყო. ვინც ამგვარი საქმის განხორციელებას შეუდგება, მას საუკეთესო სოციალური სიქველენი უნდა მოჰყვებოდეს: სხვათა გაბედნიერების მგზნებარე სურვილი და კაცობრიული ბუნების კეთილ თვისებათა რწმენა. იგი იმ აზრს უნდა ადგეს, რომ ამ ბუნებაში თავისთავად გაღვივდება შრომის სურვილი, თუკი შრომის კეთილი ნაყოფი შესაბამისი დაწესებულებებით იქნა უზრუნველყოფილი.

ოუენის რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მის შესარყევად ერთობ მძიმე გამოცდის გადატანა შეიქნა საჭირო.

და მართლაც დადგა ამ მძიმე გამოცდის ჟამი. ხანგრძლივი და კეთილშობილი ძალისხმევის შემდეგ ოუენი იძულებული გახდა ეღიარებინა: „ამგვარი კოლონიების მოწყობის საქმე მუდამ მარცხით დასრულდება, თუ რომ მანამდე ადამიანთა ზნე არ გარდაიქმნა. კაცობრიობაზე თეორიული გზით ზემოქმედება უფრო მეტად არის საჭირო, ვიდრე პრაქტიკულით". ეს საზოგადო რეფორმატორი ამ აზრამდე იმ ფაქტმა მიიყვანა, რომ საკმაოდ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც შრომა არ სურდათ და იმის ცდაში იყვნენ, თავიანთი სამუშაო სხვათათვის გადაელოცათ. ამას უეჭველად უნდა მოჰყოლოდა შფოთი, ბრძოლა და ბოლოს და ბოლოს კოლონია გაკოტრდა.

ოუენის ცდა მაგალითად გამოადგება ყველას, ვისაც გულით სწადია სწავლა. მას შეუძლია კაცობრიობის საკეთილდღეოდ ყველა ხელოვნურად შექმნილი და ხელოვნურად მოაზრებული დაწესებულების წილ ნაყოფიერ და ჭეშმარიტი სინამდვილის გამთვალისწინებელ სოციალურ საქმიანობამდე მიგვიყვანოს.

თავისი ცდის წყალობით ოუენი საფუძვლიანად განიკურნა იმ რწმენისგან, რომ მთელ კაცობრიულ ავბედობას იწვევენ ოდენ ის „უვარგისი დაწესებულებები", რომლებშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება, და რომ კაცობრიული ბუნების კეთილი თვისებები თავისთავადვე გამოვლინდება, თუკი ამ დაწესებულებათა გაუმჯობესება მოხერხდა როგორმე. ოუენი იძულებული შეიქნა გული დაეჯერებინა, რომ კარგი დაწესებულებები იმ შემთხვევაში იარსებებს მხოლოდ, თუკი მათში მონაწილე ადამიანები თავიანთი შინაგანი ბუნებით მათს შენარჩუნებას მიესწრაფებიან და მათი მოყვარულნი იქნებიან.

ახლა, უწინარეს ყოვლისა, ის აზრი შეიძლებოდა გაგვჩენოდა, რომ საჭიროა ჯერ თეორიულად მოვამზადოთ ის ხალხი, რომლისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ დაწესებულებათა შექმნა განგვიზრახავს, მაგალითად, ამ ღონისძიებათა სისწორე და მიზანშეწონილება განვუმარტოთ მათ. ამის ამოკითხვა შეიძლება ოუენის აღსარებიდან მისი მიუკერძოებელი გაცნობისას.

და მაინც ჭეშმარიტად პრაქტიკულ შედეგს იმ შემთხვევაში მივაღწევთ მხოლოდ, თუ უფრო ღრმად ჩავწვდით საქმის არსებას.

კაცობრიული ბუნების კეთილ თვისებათა ლიტონი რწმენიდან (რომელმაც ოუენი გადააცდინა) უნდა გადავიდეთ **ადამიანის ჭეშმარიტ შეცნობაზე.** რაგინდ ცხადად წარმოიდგინონ ადამიანებმა ამა თუ იმ დაწესებულების მიზანშეწონილობა და კეთილისმყოფელობა კაცობრიობისთვის, მთელი ეს სიცხადე მათ საბოლოოდ სასურველ მიზნამდე მაინც ვერ მიიყვანს. რამეთუ მარტო ამ ცხადი გაგებით ადამიანს ვერ აღეძვრის შრომის შინაგანი სწრაფვა, თუკი, მეორე მხრივ, მასში გამოვლინდებიან ეგოიზმს დაფუძნებული მისწრაფებანი. ამავე დროს, ეს ეგოიზმი ადამიანის ბუნების ნაწილია. ხოლო ამას ის მოსდევს, რომ როდესაც კაცს სხვა ადამიანთა წრეში ცხოვრება და შრომა უხდება, მაშინ მის გრძნობებში ეგოიზმი იღვიძებს. ასე რომ, ადამიანთა უმრავლესობა ყველაზე უკეთ მოწყობილად ისეთ საზოგადოებას მიიჩნევს უეჭველად, რომელშიაც ყოველი ცალკეული ადამიანი ყველაზე უკეთ შეძლებს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამრიგად, სოციალური საკითხი ეგოისტურ გრძნობათა გავლენით სავსებით ბუნებრივად იღებს შემდეგ სახეს: როგორი საზოგადოებრივი წყობილების შექმნაა საჭირო საიმისოდ, რათა თითოეულმა საკუთარი შრომის ნაყოფი **თავისთვის** გამოიყენოს? განსაკუთრებით ჩვენს მატერიალისტურ დროში ერთობ მცირედნი უწევენ ანგარიშს სხვაგვარ წანამძღვარს. რა ხშირად გვსმენია, ვითარცა თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება, რომ კეთილმოსურნეობასა და კაცობრიულ თანაგრძნობას დამყარებულ სოციალურ წესწყობილებაზე სიტყვის ჩამოგდება უაზრობაა. გაცილებით უფრო დიდ ანგარიშს იმ აზრს უწევენ, რომლის თანახმადაც მთელი საზოგადოება ყველაზე მეტად მაშინ აყვავდება, როდესაც ყოველ ცალკეულ ადამიანს შეეძლება „მთლიანად" ან შეძლებისდაგვარად დიდი ოდენობით მაინც მოიგდოს ხელში თავისი შრომის შემოსავალი.

სულ სხვა რასმე გვასწავლის ადამიანისა და სამყაროს უფრო ჩაღრმავებულ შეცნობას დაფუძნებული ოკულტიზმი. იგი გვიჩვენებს, რომ მთელი კაცობრიული ავბედობა ეგოიზმის შედეგია მხოლოდ და მხოლოდ; რომ ყოველ საზოგადოებაში, ადრე იქნება თუ გვიან, უეჭველად ავბედობა, გაჭირვება და სიღატაკე გამეფდება, თუ რომ ეს საზოგადოება ასე თუ ისე ეგოიზმზეა დაფუძნებული. ამის მისაწვდომად გაცილებით უფრო ღრმა ცოდნაა საჭირო, ვიდრე ის, სოციალური მოძღვრების დროშით რომ გამოჩნდება ხოლმე აქა თუ იქ. ეს „სოციალური მოძღვრება" კაცის ცხოვრების ოდენ გარეგან მხარეს უწევს ანგარიშს და არა მის უფრო ღრმად დამკვიდრებულ ძალებს. მეტიც, თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობას ძნელად თუ გავუღვიძებდით თუნდაც ბუნდოვან ცნობიერებას, რათა ამგვარი ღრმად დამკვიდრებული ძალების ამბისთვის მიეპყრო ყური. ხალხი პრაქტიკულ მეოცნებედ მიიჩნევს ყველას, ვინც კი ამდაგვარ რამეზე ჩამოუგდებს სიტყვას.

გარნა ჩვენ არც კი შევეცდებით ამ ღრმად დამკვიდრებულ ჭეშმარიტებებზე აგებული სოციალური თეორიის განვითარებას. საამისოდ ვრცელი თხზულება იქნებოდა საჭირო. აქ ერთი რამ თუ მოხერხდება მხოლოდ: შესაძლოა მივანიშნოთ კაცთა მოდგმის ერთობლივი შრომის ჭეშმარიტ კანონებზე და ცხადვყოთ, თუ რაოდენ გონივრული სოციალური შესაძლებლობანი გადაეშლებიან ამ კანონთა შემცნობ ადამიანებს. ამ საქმეს სრულად ის შეიცნობს მხოლოდ, ვინც ოკულტიზმს დაფუძნებულ მსოფლმხედველობას შეისისხლხორცებს. ამგვარი თხზულება იმას თუ დაისახავს მიზნად, რომ ოკულტური თვალსაზრისით შუქი მოჰფინოს განსახილველ საკითხს. რადგან მუდამ მოიძებნება იმდაგვარი ხალხი, ვის გულსაც ჩასწვდება იმის ჭეშმარიტება, რასაც აქ მოკლედ გადმოვცემთ და რაიც მთელი თავისი სისრულით ვერ გადმოიცემა ამჯერად.

ოკულტიზმი მიგვანიშნებს ძირითად სოციალურ კანონს: **თანამოსაქმე ადმიანთა საზოგადოების კეთილდღეობა მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებ მიიჩემებს ყოველი ცალკეული ადამიანი თავისი შრომის ნაყოფს, ესე იგი, რაც უფრო მეტს გაიღებს ამ ნაყოფიდან სხვათათვის, და რაც უფრო მეტად დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები არა საკუთრივ მისი, არამედ სხვათა შრომით.** ნებისმიერ საზოგადოებაში არსებული ყველა დაწესებულება, რომელიც კი ამ კანონს ეწინააღმდეგება, დროთა განმავლობაში ავბედობასა და სიდუხჭირეს წარმოშობს უეჭველად. ეს ძირეული კანონი ისეთივე აუცილებლობით უფლობს სოციალურ ცხოვრებას, როგორც ბუნების ნებისმიერი კანონი—სიცოცხლის ყოველ გარკვეულ სფეროს. ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს საკმარისი იყოს ამ კანონის საყოველთაო ზნეობრივი მნიშვნელობა ვაღიაროთ ან მრწამსად გადავიქციოთ ის, რომ ყოველი ადამიანი თავის მოძმეთათვის უნდა შრომობდეს. არა, სინამდვილეში ეს კანონი სათანადოდ მხოლოდ მაშინ ცხოველმოქმედებს, როდესაც რომელიმე საზოგადოება ისეთ დაწესებულებათა შექმნას შეძლებს, რომლებშიც ვერავინ ვერასდროს მოახერხებს თავისი შრომის ნაყოფთა მიჩემებას, არამედ ეს ნაყოფნი მთელ საზოგადოებას მოხმარდებიან მთლიანად. ამის სანაცვლოდ საზოგადოების ყოველი წევრი, თავის მხრივ, მოძმეთა შრომამ უნდა არჩინოს. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგად, საქმე ის არის სწორედ, რომ მოყვასთათვის შრომა და გარკვეული მოგების მიღება მკაცრად იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული.

ის, ვინც თავს „პრაქტიკულ ადამიანად“ მიიჩნევს, ცხადია, მხოლოდდა გაიღიმებს (ოკულტისტს შეუძლია დარწმუნებული იყოს ამაში) ამგვარი „საარაკო იდეალიზმის“ გამო. ამისდა მიუხედავად, აღნიშნული კანონი გაცილებით უფრო პრაქტიკულია, ვიდრე სხვა რომელიმე, ოდესმე შეთხზული თუ დანერგილი „პრაქტიკოსების“ მიერ. ცხოვრების ყოველ ჭეშმარიტ შემსწავლელს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ნებისმიერ საზოგადოებას, რომელიც კი ხადმე არსებობს ან არსებულა, ორგვარი დაწესებულებები აქვს. ამ დაწესებულებათა ერთი ნაწილი შეესაბამება ზემოაღნიშნულ კანონს, ხოლო მეორე ეწინააღმდეგება მას. აუცილებლად აგრე ხდება ყველგან, სულერთია, სურთ თუ არა ეს ადამიანებს. ყოველგვარი საზოგადოება უმალვე დაიშლებოდა, მთელს რომ ცალკეულ ადამიანთა შრომა არ ერთვოდეს. ოღონდ კაცობრიული ეგოიზმიც აგრეთვე ოდითგანვე ერწყმოდა ამ კანონს. ეს ეგოიზმი მუდამ იმას ესწრაფვოდა, შეძლებისდაგვარად მეტს გამორჩენოდა თავის ნამუშევარს. და მხოლოდ იმას მოსდევდა მუდამჟამს გაჭირვება და სიღატაკე, რაც ამგვარად გამომდინარეობდა ეგოიზმიდან. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ დაწესებულებათა ის ნაწილი, „პრაქტიკოსები“ რომ მუდამჟამს ქმნიდნენ საკუთარი თუ სხვისი ეგოიზმის გათვალისწინებით, სწორედ არაპრაქტიკული ყოფილა.

გარნა, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ის როდია საქმე, რომ ეს კანონი გავიცნობიეროთ. ნამდვილი პრაქტიკა იმ კითხვით იწყება, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ცხოვრებაში ხსენებული კანონი. ცხადია, რომ ეს კანონი მხოლოდ და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ადამიანთა კეთილდღეობა მით უფრო საგრძნობია, რაც უფრო ნაკლებია ეგოიზმი. ამიტომ მისი განხორციელებისას უნდა გვახსოვდეს, რომ იმდაგვარ ადამიანებთან გვაქვს საქმე, რომელნიც ეგოიზმის პრინციპიდან ეძიებენ ამოსავალს. და სწორედ აქედან ვლებულობთ პრაქტიკულად ყოვლად განუხორციელებელ თვალსაზრისს. ვინც **თავისთვის** შრომობს, აუცილებლად ეგოიზმში ინთქება. ვინც მთლიანად **სხვათათვის** შრომობს, მხოლოდ ის შეიძლება იქცეს თანდათანობით არაეგოისტურ მუშაკად.

ოღონდ საამისოდ კიდევ ერთი წინაპირობაა აუცილებელი. სხვათათვის მშრომელი ადამიანი ამ სხვებში თავისი შრომის საფუძველს უნდა ხედავდეს, თუ ვისმე საზოგადოებისთვის მუშაობა სურს, ამ საზოგადოების ღირებულებასა და მნიშვნელობას უნდა გრძნობდეს კიდეც. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლო, თუ მისთვის საზოგადოება მარტოოდენ ცალკეულ ადამიანთა მეტნაკლებად განუსაზღვრელ ერთობლიობას არ წარმოადგენს. ეს საზოგადოება აღვსილი უნდა იყოს ჭეშმარიტი სულით, რომელშიც ყოველი ადამიანი იქნებოდა შერწყმული. ეს საზოგადოება იმგვარი უნდა იყოს, რომ ყოველმა მათგანმა თავისთავს უთხრას: ჭეშმარიტია ეს საზოგადოება და მეც ის **მწადია**, ამგვარი იყოს იგი. საზოგადოებას სულიერი მისია უნდა ჰქონდეს და ყოველი კაცი ამ მისიის აღსრულებას უნდა უწყობდეს ხელს. პროგრესის განუსაზღვრელი აბსტრაქტული იდეები, რომელთა შესახებაც ლაპარაკობენ ხოლმე ჩვეულებრივ, ასეთ მისიად ვერ მოგვევლინება. მარტოოდენ ამ იდეათა ბატონობისას სხვადასხვა ადგილას მომუშავე ცალკეულ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს შესაძლებლობა არ ექნებათ იგრძნონ, საერთოდ რა საჭიროა მათი შრომა, თუ იმ მოგებას არ ვიანგარიშებთ, თავად ისინი ან მათი მახლობლები რომ ღებულობენ ამ მუშაობისას, ან იმ ინტერესებს, მათ რომ ამ სამუშაოსთან აკავშირებთ. საზოგადოების ეს სული ყოველ ადამიანში უნდა ღვიოდეს.

სიკეთე მხოლოდ იქ გაიდგამდა ხოლმე ფესვებს მუდამ, სადაც ასე თუ ისე ხორციელდებოდა სულიერი საზოგადოების ამგვარი ცხოვრება. ძველბერძნული ქალაქის ყოველ მოქალაქეს და თვით შუასაუკუნოვანი ქალაქის მოქალაქესაც ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა ამ საზოგადოების სულის ბუნდოვანი გრძნობა. და თუ, მაგალითად, ძველი საბერძნეთის შესაბამისი დაწესებულებები იმის მეოხებით არსებობდნენ მხოლოდ, რომ „თავისუფალ მოქალაქეთა“ სამუშაოს შემსრულებელ მონათა მთელი არმიები ჰყავდათ და ამ მონებს საზოგადოების სული კი არ უქმნიდა სტიმულს, არამედ მბრძანებელთა ნება, ეს არაფერს მეტყველებს ზემოთ გამოთქმული აზრის საწინააღმდეგოდ. ეს მაგალითი იმას გვასწავლის მხოლოდ და მხოლოდ, რომ კაცობრიული ცხოვრება ვითარდება და დღესდღეობით კაცობრიობამ ისეთ საფეხურს მიაღწია, რომელზეც საზოგადოებრივი საკითხები იმგვარად ველარ გადაიჭრება, როგორც ძველ საბერძნეთში ხდებოდა ეს. თვით უკეთილშობილეს ბერძნებსაც მონობა უმართებულო რაიმედ კი არა მიაჩნდათ, არამედ კაცობრიულ აუცილებლობად. ამიტომ იყო, მაგალითად, რომ დიდმა პლატონმა ისეთი სახელმწიფოს იდეალი წამოაყენა, რომელშიც საზოგადოების სული იმის წყალობით ხორციელდებოდა, რომ მცირერიცხოვანი ელინნი მუშაობას აიძულებდნენ მშრომელ ადამიანთა უმრავლესობას. გარნა დღევანდელი დღის ამოცანაა ადამიანთა იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ ყოველი მათგანი საკუთარი შინაგანი სწრაფვის გამო ასრულებდეს სამუშაოს საზოგადოებისთვის.

ამიტომ არავის არ უნდა ეგონოს — სოციალური საკითხის ყოველი დროისთვის გამოსადეგ წამალს მივაგენით. საფიქრალი ის უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ, თუ როგორ უნდა წარიმართოს მისი სოციალური აზროვნება და საქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიანობა თავისი დროის უშუალო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. საერთოდ, ახლა არც ერთ ცალკეულ პიროვნებას არ ძალუძს თეორიულად დაასაბუთოს ან სინამდვილეში განახორციელოს ისეთი რამ, რაც, თავისთავად შესაძლოს გახდიდა სოციალური საკითხის გადაჭრას. ამისთვის მას მოუხდებოდა ძალით გამოეყენებინა და ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ეიძულებინა მის მიერ დაწესებულ პირობებს დამორჩილებოდნენ. რამეთუ, უეჭველია, ოუენს რომ საიმისო ხელმწიფება ან სურვილი ჰქონოდა, თავისი კოლონიის ყველა წევრი ეიძულებინა მათ-მათი წილხვედრი სამუშაოს აღსრულებად, მაშინ მისი საქმე აღარ დაბრკოლდებოდა. მაგრამ სწორედ დღეს ლაპარაკიც კი არ შეიძლება ამგვარი იძულების შესახებ. საჭიროა იმის შესაძლებლობის შექმნა, რომ ყოველმა კაცმა საკუთარი ნებით გააკეთოს ის, რისთვისაც მოწოდებულია თავისი შესაძლებლობებისა და ძალის კვალობაზე. ოღონდ სწორედ ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმის თაობაზე, რომ „თეორიული" ზეგავლენა მოეახდინოთ ადამიანებზე — მსგავსად ოუენის ზემოთ მოტანილი აღსარებისა, ესე იგი, უბრალოდ ვამცნოთ მათ სწორი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოგვარდება ყველაზე უკეთ ეკონომიკური პირობები. ფხიზელი ეკონომიკური თეორია ვერასდროს ვერ იქცევა ეგოისტურ ძალთა საწინააღმდეგო საშუალებად. გარკვეული დროის განმავლობაში ამგვარი თეორია შეძლებს მასების ზეაღსვლა გამოიწვიოს, მაგრამ საბოლოოდ ვერავის მოუტანს სარგებლობას. ვინც ხალხს მსგავსი თეორიებით ასაზრდოებს, ვინც რაიმე სხვას, ნამდვილად სულიერს არ აწვდის, იგი სცოდავს კაცობრიობის განვითარების ჭეშმარიტი აზრის წინაშე.

ერთადერთი მხსნელი სულიერი მსოფლმხედველობაა, რომელიც თავისთავადაც და აგრეთვე იმითაც, რისი მოცემაც მას შეუძლია, შეესისხლხორცება გრძნობებს, ნებელობას, ერთი სიტყვით, ადამიანის მთელ ფსიქიკას. ის რწმენა, ოუენს რომ ჰქონდა კაცის ბუნების კეთილ თვისებებთან დაკავშირებით, მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. მეორე მხრივ, იგი ერთ-ერთი უკეთური ილუზიაა. ეს რწმენა სწორია იმ მხრივ, რომ ყოველ ადამიანში თვლემს „უმაღლესი მე", რომელიც შეგვიძლია გამოვაფხიზლოთ. მაგრამ მისი გამოფხიზლება მხოლოდ იმგვარი მსოფლმხედველობით არის შესაძლო, რომელსაც ზემოაღნიშნული თვისებები ეპოვება. ადამიანებს ისეთ დაწესებულებებში თუ შევიყვანთ, როგორიც ოუენს ჰქონდა მოფიქრებული, საზოგადოება აყვავდება ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. მაგრამ ისეთი ადამიანები თუ შევყარეთ, რომლებსაც ამგვარი მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ, მაშინ ამ დაწესებულებათა კეთილი მხარეები ადრე თუ გვიან აუცილებლად ბოროტებად გადაიქცევა. და სწორედ იმ ადამიანებში, რომელთაც სულიერი სამყაროსკენ მიმსწრაფი მსოფლმხედველობა არ მოეპოვებათ, მატერიალური კეთილდღეობის ხელშემწყობი დაწესებულებები ამასთან ერთად ეგოიზმის გაძლიერებას გამოიწვევენ უეჭველად და ამით თანდათანობით ავბედობას, გაჭირვებასა და სიღატაკეს დაბადებენ. უცილობელი ჭეშმარიტება გახლავთ ეს: მარტოოდენ ცალკეულ კაცს შეგვიძლია შევეწიოთ მისთვის უბრალოდ პურის ბოძებით; საზოგადოებას კი მხოლოდ იმით ძალგვიძს პური მივუბოძოთ, რომ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დავეხმაროთ. არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანდა, საზოგადოების ყოველი ცალკეული წევრისთვის რომ მოგვეწოდებინა პურის მიძღვნა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმე მაინც ისე წავიდოდა, რომ მრავალნი კვლავ ულუკმაპუროდ დარჩებოდნენ.

ამ ძირითად კანონთა შეცნობა, რაღა თქმა უნდა, არამცირედ ილუზიებს გაუქარწყლებს იმათ, ვისაც ხალხის კეთილისმყოფელად გახდომა ეწადა. რამეთუ ეს ყოველივე სოციალური სიკეთისთვის გარჯას საკმაოდ ძნელ ამოცანად აქცევს. ამასთან, ისიცაა, რომ წარმატება გარკვეულ პირობებში სრულიად უმნიშვნელო. ნაწილობრივ წარმატებათაგან იქმნება მხოლოდ. დიდი ნაწილი იმისა, რასაც ახლა მთელი პარტიები სოციალური ყოფის პანაცეად ასაღებენ, ყოვლად უმაქნისია, ცდომილებაა და ფუჭი სიტყვა ადამიანის ცხოვრების საკმაო ცოდნის გარეშე. არავითარი პარლამენტი, არავითარი დემოკრატია თუ მასობრივი აგიტაცია, თუკი ისინი ზემოთ მითითებულ კანონს არღვევენ, არაფერს არ ნიშნავს იმისთვის, ვინც უფრო ღრმად სწვდება ცხოვრებას. ყოველივე ამას მხოლოდ მაშინ შეუძლია კეთილი ნაყოფის გამოღება, თუკი აღნიშნული კანონის შესატყვისად მოქმედებს. იმის ფიქრიც კი, რომ მავანსა და მავან სახალხო წარმომადგენლებს პარლამენტში ძალუძთ რაიმე ხელი შეუწყონ კაცობრიობის კეთილდღეობას, — თუკი მათი საქმიანობა ძირითადი სოციალური კანონის არსებას არ თანხვდება, — საშიში ილუზიაა.

სადაც უნდა გამოვლინდეს ეს კანონი, ვინც უნდა იმოქმედოს მის შესაბამისად (რამდენადაც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა აძლევს შესაძლებლობას), ყველგან სიკეთეს დაიმკვიდრებენ იქ, — ცალკეულ შემთხვევებში თუნდაც მცირეოდენს. მხოლოდ ამგვარად აღსრულებულ ცალკეულ ქმედებათაგან იქმნება საერთო კეთილისმყოფელი სოციალური პროგრესი. რასაკვირველია, ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ ადამიანთა უფრო დიდ-დიდ საზოგადოებებსაც აქვთ განსაკუთრებული მიდრეკილება, რათა ამ მიმართულებით ერთბაშად მიაღწიონ მნიშვნელოვან წარმატებას. უკვე ამჟამადაც არსებობს გარკვეული საზოგადოებები, რომლებშიც მსგავსი მიდრეკილებები იკვეთება. ისინი კაცობრიობისთვის შესაძლოს ხდიან მათი დახმარებით ერთგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი სწრაფი ნაბიჯი გადადგას წინ, ერთგვარი ნახტომი გააკეთოს სოციალურ განვითარებაში. ოკულტიზმი იცნობს ამგვარ საზოგადოებებს, მაგრამ ამნაირ საკითხთა გამო აშკარად ლაპარაკი მის ამოცანას არ წარმოადგენს. არსებობს აგრეთვე საშუალებები ადამიანთა უფრო დიდი მასების მოსამზადებლად მსგავსი ნახტომისთვის, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს არცთუ ისე შორეულ მომავალში. მაგრამ ის, რის გაკეთებაც ყოველ კაცს შეუძლია, გახლავთ თავის სფეროში მოქმედება აღნიშნული კანონის შესაბამისად. ქვეყნიერებაზე არც ერთი ადამიანის მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ ამგვარად ქმედება შეუძლებელი იყოს, იმისდა მიუხედავად — სულ უმნიშვნელო იქნება ეს მდგომარეობა, თუ, პირიქით, უაღრესად აღზევებული.

უმთავრესია ყოველი კაცი გზებს ეძიებდეს იმ მსოფლმხედველობისაკენ, რომელიც სულის ჭეშმარიტ შეცნობად არის მიმართული. თეოსოფიურ მიმდინარეობას ხელეწიფება ამგვარ მსოფლმხედველობად განვითარდეს ყველა ადამიანისთვის, თუ რომ უფრო და უფრო მეტად წარიმართება იმ მხრივ, მის შინაარსსა და მასში დანერგილ მიდრეკილებებს რომ შეესატყვისება. მისი მეოხებით ადამიანს შეუძლია შეიტყოს, რომ შემთხვევით კი არ დაბადებულა ამა თუ იმ ადგილას ან ამა თუ იმ დროს, არამედ სულიერი მიზეზობრობის კანონის (კარმას) მიერ აუცილებლობით იქ არის მოხვედრილი, სადაც ამჟამად იმყოფება. მას შეუძლია შეიცნოს, რომ მისმა ბედისწერამ, რომელსაც ჭეშმარიტად ღრმა საფუძვლები აქვს, იმ საზოგადოებაში მოიყვანა, რომელშიც ამჟამად იმყოფება. ასევე, თავისი უნარის თაობაზე მას შეუძლია შეიტყოს, რომ ბრმა შემთხვევის გამო კი არ ხვდომია წილად ეს უნარი, არამედ მიზეზობრიობის კანონი ანიჭებს მას აზრს.

კაცს შეეძლება შეიცნოს ეს ყოველივე იმგვარად, რომ მისი შეგნება ოდენ ფხიზელი გონების მონაპოვარი კი არ იქნება, თანდათანობით მთელ სულს აღუვსებს შინაგანი ცხოვრებით.

კაცში გაღვივდება იმის გრძნობა, რომ მსოფლიოში თავისი ადგილისა და თავისი უნარის შესაბამისად მუშაობით უმაღლეს აზრს ახორციელებს იგი. ამ შეგნებას ფუჭი იდეალიზმი კი არ მოჰყვება, არამედ მთელი მისი ძალების ძალუმი იმპულსი. მაშინ აღნიშნული მიმართულებით ამგვარ ქმედებას თავისთავად გასაგებ რაიმედ მიიჩნევს, იმდაგვარად, როგორც სხვა შემთხვევაში სმა-ჭამა არის მისთვის. შემდგომ იმ აზრსაც შეიცნობს, მის საზოგადოებას რომ უკავშირდება, იმ ურთიერთობებს, მისი საზოგადოება რომ იმყოფება სხვებთან. აგრე შეირწყმიან ამ საზოგადოებათა ცალკეული სულნი და მათ აღავსებთ სულიერი მიზანი კაცთა მთელი მოდგმის ერთი მისიისა. კაცთა მოდგმიდან მისი შემეცნება მთელი დედამიწის არსებობის აზრამდე შეიძლება აღვიდეს.

ვინც ამ საკითხებს არ ჩაღრმავებია, მხოლოდ მას შეაეჭვებს ზემოთ ნაჩვენები მხრივ მიმართული მსოფლმხედველობის ამგვარი მოქმედება. ცხადია, კაცობრიობის უმრავლესობა დღესდღეობით ვერ იქნება საიმისოდ განწყობილი, რათა რასმე ამის მსგავსს დაეთანხმოს. მაგრამ თეოსოფიური აზროვნება უფრო და უფრო ფართო წრეებს მოიცავს აუცილებლად. და იმისდა შესატყვისად, თუ როგორ გავრცელდება თეოსოფია, ადამიანები მიაკვლევენ სოციალური პროგრესისთვის ხელის შეწყობის ჭეშმარიტ საშუალებებს. ამაში დაეჭვება არ ეგების იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ დღემდე, ასე ჰგავს, არც ერთ მსოფლმხედველობას კაცთა მოდგმისთვის სიკეთე არ მოუტანიაო. კაცობრიობის განვითარების კანონთა თანახმად, ვერც ერთ უფრო ადრეულ ეპოქაში ვერ მოხდებოდა ის, რაიც აწ თანდათანობით შესაძლო გახდება: ეს არის ყველა ადამიანისთვის მიბოძება მსოფლმხედველობისა, რომელსაც აღნიშნული პრაქტიკული წარმატება უნდა მოჰყვეს.

გარდასულ დროთა მსოფლმხედველობანი ადამიანთა მარტოოდენ ცალკეული ჯგუფებისთვის იყვნენ მისაწვდომნი. გარნა ყოველივე კეთილი, რაც კი კაცთა მოდგმის ცხოვრებაში მომხდარა აქამომდე, მაინც მსოფლმხედველობიდან მომდინარეობდა. საყოველთაო სიკეთეს მხოლოდ ისეთი მსოფლმხედველობა მოიტანს, რომელსაც ძალი შესწევს ყველა სული მოიცვას და მათში შინაგანი ცხოვრება გააღვივოს. ამის გაკეთებას შეძლებს თეოსოფიური აზროვნება ყველგან, სადაც კი ჭეშმარიტად თვისთა მოვალეობათა სიმაღლეზე დგას იგი. რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება უბრალოდ იმ ფორმით დაკმაყოფილდეთ, რომელიც უკვე მიუღია თეოსოფიურ აზროვნებას. ნათქვამის ჭეშმარიტების შესაცნობად აუცილებელია იმის გაგება, რომ თეოსოფია ჯერ უნდა განვითარდეს და თავის მაღალ კულტურულ მისიას ასწვდეს.

მრავალი მიზეზის გამო თეოსოფიას დღემდე არ შეუძლია იმ სახის ჩვენება, რომელსაც ოდესმე გამოაჩინებს. ერთი-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ჯერ სადმე უნდა მომაგრდეს იგი. ამიტომ მან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს უნდა მიმართოს. ბუნებრივია, ეს ვერ იქნება სხვა ჯგუფი, თუ არა ის, რომელიც განვითარების განსაკუთრებული ბუნების წყალობით ილვწის სამყაროს საიდუმლოებათა ახლებურად გადაწყვეტისთვის, და რომელსაც, მასში გაერთიანებულ პიროვნებათა წინასწარი განსწავლის მეოხებით, ამ გადაწყვეტის გაგება და თანადგომა ძალუძს. თავისთავად გასაგებია, რომ თეოსოფია იძულებულია თავისი ცნობები წინასწარ ისეთი ენით გამოთქვას, რომელიც ადამიანთა აღნიშნულ ჯგუფს შეეფერება. იმის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვალობაზე, როგორც შემდგომი პირობები მოითხოვენ ამას, თეოსოფია გამოძებნის გამოთქმის ფორმებს, რათა სხვა ჯგუფებსაც შეესიტყვოს. მხოლოდ მას შეუძლია იფიქროს — თეოსოფიური ცნობების ჟანადროული ფორმა უცვლელია ან ერთადერთი შესაძლო ფორმა არისო, ვისაც მზამზარეულ უძრავ დოგმათ` ფლობა სწადია. სწორედ ამგვარად გულდინჯად უნდა ილვწოდეს თეოსოფია, რამეთუ მისთვის არსებითი ის კი არ არის, უბრალო თეორია იყოს ან ცოდნის წყურვილი დააკმაყოფილოს მხოლოდ. მის მიზნებს კაცობრიული განვითარების ზემოთ აღწერილი პრაქტიკული სფეროც შეადგენს აგრეთვე. მაგრამ კაცობრიული განვითარების ამ წარმატების უზრუნველყოფა მას საამისოდ ვარგისი ჭეშმარიტი პირობების შექმნით ძალუძს მხოლოდ. ხოლო ეს პირობები სხვაგვარად ვერ შეიქმნება, თუ არ ადამიანთა თანდათანობით, ერთიმეორის მიყოლებით, სათითაოდ მიმხრობით. მსოფლიო მხოლოდ მაშინ მიდის წინ, როდესაც ეს **სწადიათ** კაცთა. მაგრამ იმისთვის, რათა მათ ეს სწადდეთ, აუცილებელია ყოველ მათგანში შინაგანი სულიერი ქმედება ღვიოდეს. ეს ქმედება კი მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება ხორციელდებოდეს. ეს რომ აგრე არ ყოფილიყო, მაშინ თეოსოფიაც ჰაეროვანი კოშკების გარდა ვერაფერს შექმნიდა სოციალურ სფეროში და პრაქტიკული ქმედების ძალაც არ ექნებოდა.

თარგმნა **რევაზ თვარაძემ.**

Ежемесячный литературно-художественный
и общественно-политический журнал
«ЦИСКАРИ»

**ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარჯნის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილის — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-88; განყოფილებების — 98-86-43; სეკრეტარი — 98-64-58.**

გადაეცა ასაწყობად 4.02.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.03.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 275. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა.
380009, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

## რობერტ რაფავა



კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი

ტერენტი გრანელის სიკვდილი



„ფიქრები მერმისზე"



ფასი 1 მან. 20 კაპ. ინდექსი 76286